ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

1

გილოცავთ ახალ წელს!

1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოვაძა,
ქე
ად ახალ
საქართველოს,
ვაშა,
ძოწყრს
ძეხეებს !

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

283
გამოცემის ოცდამეოთხე წელი

1

იანვარი
1981
თბილისი

სსრ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

ერეკლეული
ბიბლიოთეკა

პოეზია და პროზა

3. დალილა გედიანიძე — მადლობა. ლექსი
7. ოთარ ჭილაძე — რკინის თეატრი. რომანი. დასაწყისი
59. ზაურ გოლძგაძე — ლექსები
63. რევაზ ინანიშვილი — სამგზიდო რკეულიდან
76. მანანა ჩიტაშვილი — ლექსები
78. ნოდარ ადეიშვილი — ლექსები
82. დოდო ჭუმგუურიძე — ლექსები
84. გოდერძი ჩოხელი — ზანები. მოთხრობა
88. ჯარეზი ფხოველი — ლექსები
90. მერაბ მეტრეველი — ლექსები
92. ოლეგ გველესიანი — ლექსები
94. გულიკო დვალი — („ეს ძველის-ძველი ოქროს, მონეტა). ლექსი
95. გიორგი ხორგუაშვილი — ცოცხალი სულები. მოთხრობა
108. მზია ხეთაგური — ლექსები

ახალი სახელები

110. გიორგი მეფისაშვილი — ლექსები

წერილები

111. ჯანსულ ღვინჯილია — კასუხი ნაჩქარევ დასკვნებზე
121. ამირან რობაქიძე, მურმან მურადაშვილი — „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა“...
127. ალექსანდრე ბარამიძე, მერი გუგუშვილი — ქეთევან დედოფლის წამების გარშემო
135. ბივი ალხაზიშვილი — სატვარი მკითხველთან

100 — ალექსანდრ ბლოკი — 100

140. ალექსანდრ ბლოკი — ინტელიგენცია და რევოლუცია. თარგმნა ალექსანდრე ზუაჩიძემ

გახსენება

146. ჯუმბერ ჯიშკარიანი — „მიწისქვეშეთის ლოცვანი“

ახალგაზრდა მეცნიერი „ცისკარში“

152. მორის ციშველაძე — ცოტათი გადაფეული ფარდა

ხელოვნება

157. კარლო კოტეარიძე — სიმღერა სულისა

მთავარი რედაქტორი
ბორის ფოცხიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, გივი გეგეჭკორი, გურამ გვერდწითელი, რისამან გოგოლეშიანი, გიორგი გუგლია, ნოდარ დუმბაძე, მერაბ ელიოზიშვილი, იოსებ ორეზოლიკიძე, ედუარდ მენაბდე.

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ოგნა ჰაჯორია

გურამ ფანეჯიკიძე, ნუგზარ მატარაძე, ჯანსულ ჩარკვიანი, გივი ძნელაძე, ნუგზარ ნერეთელი, თამაზ ნიკვნიკაძე, ბარნელ ჭანტურია, რევაზ ჭეშვილი.

ამაგზე და ამრიგზე

დალილა გედიანიძე

მადლობა

ადამიანებო!
დიდი მადლობა თქვენ, ვინც კაცთან და არაკაცთანაც
ადამიანი იყო!
დიდი მადლობა, რომ შემასწავლეთ, რა მახსოვდეს და რა დავივიწყო!
დიდი მადლობა მევენახეთა,
მეზღვაურთა და მეთევზეთა, ქირურგთა თუ მოქანდაკეთა
ყოვლისშემძლე, სულ მზადმყოფ ხელებს!
ისინი ისროდნენ ბადეს თევზისათვის,
ისინი უხელდნენ თვალს ახლადდაბადებულს და
მიცვალებულს — თვალს უხუჭავდნენ.
ისინი ასმევდნენ ავადმყოფს წამალს,
ისინი წველიდნენ ძროხას და შვილიშვილებთან რძე მიჰქონდათ...
როცა ლექსებს ხიდებივით გადებდნენ ხოლმე
საუკუნიდან საუკუნეზე გადასასვლელად,
მიმავალს რომ ხელს დაუქნევდნენ გელოდებითო,
ან — მიმავალზე ხელს ჩაიქნევდნენ,
მაშინ
მე მასწავლიდნენ გამომეცნო, ვინ დაბრუნდებოდა და ვინ — არა,
მე მასწავლიდნენ სნეულთა მოვლას,
შვილისათვის რძის მიტანას, ხიდების აშენებას.
მასწავლიდნენ უსიტყვებოდ და უწიგნებოდ,
მინდვრად, ქუჩაში, მატარებელში, სუფრასთან თუ — თეატრებში,
სახელოსნოში, საოპერაციოში,
მასწავლიდნენ წლითი-წლობით, დღითი-დღე და მოთმინებიდან
მოთმინებამდე.
არავინ არ მემუქრებოდა, რომ ორიანს დამიწერდა სიზარმაცისთვის,
არავინ არ მსაყვედურობდა, ყურადღებით თუ არ ვუსმენდი,
არავინ არ მაფრთხილებდა, როდის მელოდა გამოცდები...
რამდენჯერაც დავეცი, იმდენჯერ ფეხზე დამაყენეს
და წაქცეულს ხელი პირველად რომ გავუწოდე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მივხვდი, დაიწყო...
აი, მას შემდეგ თუკი ღამით არ მეძინება, ეს — იმიტომ, რომ გამოვიცნო,
რა ნიშანზე ჩავაბარე,
ჩავიჭერი თუ —არა უჭირს?
ვხედავ თქვენს თვალებს —
ზოგი ორ მზეს ჰგავს,
ზოგი —ორ მერცხალს,
ზოგი — ორ იას...
დღემდე რას აღარ შეადარეს პოეტებმა...
ხან წვიმს და ხან — თოვს,
ხან ინათებს დაღამებისას,
ხან — დღისით ისე ჩამობნელდება მაგ თვალებში, გზას ვერ გაიგნებ
და ვერც გაბედავ, შეეკითხო — „რა დაგემართათ?“
ხან ვაზი მოჩანს, ხან — ჯეჯილი,
ხან — ვიოლინოს ოთხი სხივი,
ხან „გენაცვალე“ და ხან — „მომშორდი“!,
მაგრამ არასდროს „სულ ერთია“ არ გამოჩნდება
ადამიანთა ნამდვილ თვალებში.
და მეც მინდა, თქვენთან ვიდგე ხარაჩოებზეც, კონცერტებზეც, სატირალშიც,
რომ დავინახო ყველაფერი, რაც მანდ მოჩანს
და მერე თქვენვე დაგიბრუნოთ, თქვენ დაგანახოთ ჩემს ოვალებში...
მინდა, თქვენთვის უფრო დიდხანს იჭიკჭიკოს ორმა მერცხალმა,
ჩამოსავარდნად ათრთოლებული ორი ფოთოლი თუნდ ერო წამს კიდეკ
შეჩერდეს ტოტზე,
ორი ია კიდეც ერთ დღეს რომ ყვაოდეს...
და როცა ჩემთან გულახდილი ხართ
და როცა მანდობთ თქვენს იებს და მერცხლებს და გლოვას,
როცა უცხოსთან წარმადგენთ ხოლმე — „ჩვენიაო“,
მე სიყვარულით თავდახრილი ვადასტურებ—„თქვენიანი ვარ, თქვენიანი!“
და რამდენჯერაც ვინმეს სიკვდილს გავიგებ,
მეც იმდენჯერ ვკვდები
და იმდენჯერვე ვიბადები, რამდენჯერაც ვინმეს პიჭი შეეძინება.
ეხედავ თქვენს ტუჩებს... წყვილია ბაგე...
იმათ წყვილად აღმოხდებათ „ვაი დედა“,
„გამარჯობა“,
„გზა მშვიდობისა“,
„აუ, ბიჭო, რა კარგიაო!“ ,
„მეშინია, მეშინიაო“,
„მიხდება, ერთი შემომხედეო!“,
ისინი ერთად მღერიან ხოლმე იმ სიმღერას, ვერვინ რომ ვერ გაიმეორებს
და მაინც რომ ყველა მღერის როგორც თავისს, როგორც საკუთარს.
ერთად ამბობენ — „მიყვარხარო“, რადგან კენტად სიყვარული არ შეიძლება:
მინდა, ისიც ვთქვა, რისი თქმაც გინდათ, მაგრამ თვითონ ვერ ახერხებთ.
ისმენს, ისმენს ორი ყური წყვილად და წყვილად.
უნდა თუ არა, ესმინება. ადამიანმა უნდა უსმინოს ადამიანებს,
ასეთია ჩვენი კანონი, თორემ რამდენი რამეა, რომ გირჩევია, არ გაიგო.
მე მოსმენაც თქვენგან ვისწავლე
და ვისწავლე, როგორც მარტო ცალი ტუჩი ვერაფერს იტყვის,

ისე, როგორც ცალი ყური ბევრს ვერაფერს გაიგებს და
ცალი თვალი ბევრს ვერაფერს ვერ დაინახავს,
სულ ბუდიდან რომ გადმოხტეს,
ერთი მაინც ერთია და რა შეუძლია!
ადამიანიც ასე ყოფილა.
შინ ყვირილით რომ შევარდები — „ხუთიანი! ხუთიანიო!“
ან — ახალ კაბას რომ ჩაიცვამ და შვიდ საათზე თეატრის წინ მიბაკუნდები,
ან — შენს მანქანას წინ რომ გადაუდგებიან — გამიჩერე, ბავშვი ცუდად
გამიხდაო,
ანდა — დილის ხუთ საათზე ლაბორატორიის კარს რომ გამოხსნი
და პირველივე შემხვედრს ეცემი — „არის! არისო!“,
მაშინ მე მიყვირი — „შორს არ შეცურო მარტომ, თორემ დაიხრჩობიო!“
რამდენჯერაც ფებმძიმე ქალს დაინახავ, ვინც არ უნდა იყოს ის,
გულში მუდამ მადლობას ვუთვლი —
ბარტყობით მოწამლულ ჩემს საუკუნეში ის მოკურავს,
რათა ხელი გამომიწოდოს და დახრჩობას გადამარჩინოს.
იგი ჩვენი მოსავლიანი შემოდგომა
ურომლისოდაც დედამიწა დაიმშევა
და უსიტყვოდ შემახსენებს, სულ პირველად რა მევალება!
მახსოვს უცნობი მასპინძლისგან მიღებული პური და ღვინო,
მახსოვს უცნობის ხელით მოწვდილი წამალი და უცნობი დონორის სისხლი,
მახსოვს ღიმილში დაფარული ცრემლი ჩემს გამო,
მახსოვს სკოლის შესავენებაზე გამოწვდილი ყველი და პური —
„აჰა! ორივეს გვეყოფაო!“,
მახსოვს... და მახსოვს... მახსოვს და მახსოვს!
და მეც გინდდი, მასპინძელო, ლექსებს —
ეს არის ჩემი პური და ღვინო!
ეს არის ჩემი სისხლიც, წამალიც და ცრემლიც ყველა იმათ გამო,
ვისაც დაეშორდი.
ეს არის ჩემი მოქსოვილი საკაბეც და ხალიჩებიც,
ჩემი სოლო, შეჯიბრი, რთველი...
ჩემი ლექსები — თქვენი ფოლადი, მანქანები, თვიომფრინავები!
ჩემი ლექსები — თქვენი —ნადირი, მონადირენო!
თქვენი — თევზი, მებადურებო!
თქვენი — კლდეები, მთამსვლელებო!
დიდი თევზივით დიდი ლექსიც ბევრჯერ არ მოდის,
ანდა — საერთოდ არ მოდის ხოლმე.
მე კი თქვენსაგით უნდა ველოდო, გავშალო ტრალი,
ნადირივით ტყე-ტყე ვეძებო, ჩავუსაფრდე და თუ დავჭერი —
კვალში მივყვე, არ ნამივიდეს.
ვისწავლე, როგორც! ახლა უკვე გამოცდები უნდა ვაბარო.
თქვენს ზურგჩანთებში, კინოფილმებში, სახელოსნოს თაროებზე,
თქვენს უჯრებში და ბლოკნოტებში
ჩემი ერთი ლექსი მაინც თუ ეტევა,
„ხუთიანი! ხუთიანიო!“ შინ ყვირილით მოვარდებიან ჩემი თვალები,
და თუ — არა, ვიტყვი, რომ ცუდი მოწაფე ვარ
და ყელამდე ვალებში ვარ დარჩენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშახტეები შახტაში ჩადიან მადნისათვის.
მე უფრო ღრმა და საშიშ შახტაში ჩავდივარ ხოლმე სიტყვისათვის.
შეიძლება, მოხდეს ავარია —ჩემი სიყვარული სიძულვილად გადაიზარდოს,
შეიძლება, ვინმეს ნდობა მორყეული საბჯენივით უეცრად ჩატყდეს,
ქვანახშირის ლოდებზე მძიმედ ჩამომექცეს თავზე თქვენი პრალდებები,
თქვენი თვალები, თქვენი გულები, ჩემთვის მოწვდილი ყოველი ლუკმა,
ყველაფერი, რაც გაიმეტეთ და რაც გამაჩნდა...
მაგრამ მე მაინც აქ უნდა ვიყო,
აქ, ჩემს შახტაში! ჩემს უბანზე!
ვინც ჩემამდე ავარიაში ძოყოლილა, ეს კანონი მათკენ ვისწავლე!

ვინც ჩემს მოსაკლავად ხასროლი ტყვია და ნაროლი სიტყვა
ჩემამდე არ მოუშვით,
ვინც სულ მებრძოდა და მასწავლა, მომხდური როგორ მოვიგერიო,
ვინც დამანახა: ზოგი მოყვარე მოყვარეა, ზოგი —მტერია,
თქვენ, ვინც ლექსებს იმიტომ წერდით, რომ გამეგო, რა იყო ლექსი,
ვინც შეკითხვებზე მპასუხობდით, რომ თავის დროზე მეც მეპასუხა,
ვინც მაპატიეთ, თუკი რაიმე შემეშალა და მხოლოდ ისე გამაგებინეთ,
ვინც იცინოდით ისე, რომ მეც გამაცინეთ
და გიყვარდით ისე, რომ მეც მიიკულეთ, მყვარებოდით,
ვინც მაპატიეთ, თუკი რაიმე შემეშალა და მხოლოდ ისე გამაგებინეთ
რა შეიძლება, ვაპატიო და რა — არა,
ვინც ჩემთვის სახლებს აშენებდით, გზები გაგყავდათ,
რომ თქვენთან სტუმრად მოვსულიყავი
და მეც მესწავლა გზის გაყვანა, სტუმრის დახვედრა,
ვინც სასაფლაოც არ დაივიწყეთ და სიკვდილამდე ბევრიც მადროვეთ,
ნათესავებო, ნაცნობებო, მტრებო, მოყვრებო,
მადლობა, ადამიანებო, დიდი მადლობა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

რკინის თეატრი

რომანი

მიწას ურმებით ეზიდებოდნენ. ორმოებში ჭუჭყიანი, დაბუშტული წყალი იდგა. ორმოების გასწვრივ ფესვებშეფუთვნილი ნერგები ეყარა. ვიღაც დამთხვეული გერმანელი ქვიშაზე ბაღს აშენებდა. ნავსადგურში ორიოდე ძირგამომპალი კარჭაპი ეხახუნებოდა ერთმანეთს. მწვანე წყლის ზედაპირზე ანძის გამრუდებული ანარეკლი ტივტივებდა. თოლიები ჩხაოდნენ, ჯარხარებდნენ. ნაპირზე მკვდარი ცხენი ეგდო. ცხენის გამოღადრული მუცლიდან ვირთხა გამოვარდებოდა უცებ, ჭურვივით გაფხრეწდა ჰაერს და პირდაპირ ზღვაში მოადენდა ტყაპანს. „მოუსვა თურქეთშიო“ — ამბობდა მამა. მაგრამ ყველაზე დიდი საოცრება მაინც მერძევე იყო. მერძევის ბიდონი თეთრსა და ორთქლიან ენას გამოუყოფდა ხოლმე. მერძევეს თავი ყაბალახით ჰქონდა წაკრული; პირში ჭრელტარიანი ყალიონი ედო და განუწყვეტლივ აქსუტუნებდა. „ჩაგსვამ ბიდონში და მაგაშენიც ეეღარ გიპოვისო“ — ეუბნებოდა ღიმილით. გაცლილ ბიდონთან ერთად წუხანდელი ნასუფრალიც მიჰქონდა; ანავნზე თბილსა და ნოტიო სურნელს ტოვებდა. ასე იწყებოდა დილა. საღამოს კი ისევ ზედიზედ ჩერდებოდნენ მხიარული სტუმრებით სავსე ეტლები მწვანედ შეღებილ ჭიშკართან. იდგა ერთი გაუთავებელი ჟრიამული: ცხენების ფრუტუნი, ხვიხვინი; მეეტლეების გინება, ქალების კისკისი, კაცების ხორხოცი და, რასაკვირველია, რევოლვერების ბათქა-ბუთქიც (მაშინდელი დაცხრილული ჭერი, მიუხედავად მრავალგზის შეკეთებისა, წვიმას დღემდე ატარებდა და წვიმის დროს, ანუ თითქმის ყოველ მეორე დღეს, სასტუმრო ოთახის იატაკი ტაშტებითა და ჯამებით იყო მოფენილი). გრიალებდა პიანინო: ოქროსფერი შანდლებით გაწყობილი, საკურთხეველივით გაჩაღებული. სანთლებს ტკაცა-ტკაცი გაუდიოდათ, ცხარე ცრემლით ტიროდნენ. კარადაში ჭურჭელი წკრიალებდა. მაგიდიდან გადმოვარდნილი ჩანგალი ობლად ეგ-

დო ნოხზე, აცეკვებულ ფეხებთან, როგორც თოჯინის მოგლეჯილი მკლავი. ჯერ კიდევ გასარკვევი ჰქონდათ. მათი ორასწლიანი მონობა დამთავრებულიყო თუ მათი მონობის მხოლოდ ორასი წელი, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ზეიმი უფრო შეეგერებოდათ, კიდრე გლოვა: სხვა თუ არაფერი, აქეთ-იქით წანწალს მაინც გადარჩებოდნენ და იმისი შიში აღარ მოკლავდათ — — სახლებიან- დუქნებიან- წვიმებიან- ზღვიანად ხვალ სად ამოყოფს თავს ჩვენი ქალაქი. და ისევ გრიალებდა პიანინო: მოვა ჩემი საყვარელი, მე დავხვდები თავშიშველი, ლა, ლა, ლა, ლა... ათი თითი გამწარებული დაქროდა თეთრად აელვებულ კლავიშებზე, აღმა და დაღმა, აღმა და დაღმა, თითქოს ზღვაში მოტივტივე ფიცარზე შერჩენილი თაგვები იყვნენ და ვერ მიმხვდარიყვნენ, ვერ შეეგნოთ, ამ მოკლე ფიცრის ერთი ბოლო ისევე რომ მთავრდებოდა მათთვის დამღუპველი ზღვით, როგორც მეორე. მოულოდნელად რევოლვერი დაიჭექებდა და ქალები წივილ-კივილით წამოიშლებოდნენ. ქალების შესაკრთობად, სუფრის აღსაგზნებად გასროლილი რევოლვერის ტყვიით (რა თქმა უნდა, შემთხვევით) დაჭრილ ოფიცერს მუხლზე მასპინძლის ბავშვი ეჯდა; გვერდზე ჩავლილი სიკვდილის გათოშილი, ვნებიანი ამონასუნთქი ჯერ ისევ დასთამაშებდა მიტკალინით გადაფითრებულ სახეზე; ახლახან მოსმული ღვინით დანამული ტუჩები ოდნავ, ძლივსშესამჩნევად უთრთოდა და მედიდურად, ამაყად იღიმებოდა, თუმცა მის მუხლზე მოკალთებული ბავშვი გაოფლილი კეფით გრძნობდა, რა გამალებით უცემდა გული სუფრის გმირს, ჰაეროვანი კოცნით რომ აჯილდოვებდნენ ქალები, ხოლო კაცები ფეხზე ამდგრები ადღეგრძელებდნენ, თავად კი, ყველაზე ლამაზი მანდილოსანის — ალბათ ბავშვის დედის — ლეჩაქით გადახვეულ ხელს (ტვივის ოდნავ გაეგლეჯა ცერისა და საჩვენებელი თითის შემაერთებელი ალკი) მუხლზე დასკუპებულ ბავშვს ცხვირწინ უტრიალებდა და ერთსა და იმავეს უმეორებდა „ანუ ყველაფერ-ლვა: ი, მე როგორი ვიყავ ოცდაა ში, მე როგორი ვიყავ მაქეს ში. ბავშვი ვერ ხვდებოდა, თავს აწონებდა თუ თავს აცოდებდა ეს უცხო ძია და, ღამის გრძელ პერანგში ჩაკარგული, დაძაბულობისგან ფეხის თითებს კრუნჩხავდა, ჯერ კიდევ გაოგნებული, დათრგუნული ძილში ჩასმენილი სროლის ხმით, ვერცხლის, ბროლის, ფაიფურის ჟურჟველზე ათასნაირად არეკლილი, აბრეშუკიალებული სინათლით, ნელსაცხებლისა და დამწვარი დენთის სუნით. მაგრამ ბავშვური ალღოთი გრძნობდა, თვითონნაც რომ უნდა დაემალა შიში, თვითონნაც რომ უნდა ეთვალთმაქცა, თუნდაც უცხო ძიას ხათრით, ვის მუხლზედაც დაესკუპებინათ დიდის ამბით — დაამახსოვრდებაო — და ვისაც სუფრის გმირად ნათლავდნენ თანამეინახეები, როცა ძიას გული ჩიტივით უფრთხიალებდა და ლაჯები გამოსველებული ჰქონდა. ისიც რომ დაეზოგა და საკუთარი შიშიც დაემალა, ძალაუნებურად, კოვზს იდებდა პირშ, ვითომ ყალიონნიაო, და ყაბალახით თავწყაკრულ მერძევესავით აწკლაპნებდა ტუჩებს. ყველანი იცინოდნენ. „უკვე მსახობია, ეს ეშმაკის ფეხიო“ — იძახდნენ დიასახლისის საამებლად.

მოვა ჩემი საყვარელი,
მე დავხვდები თავშიშველი,
ლა, ლა, ლა, ლა...

დრო კი გადიოდა. ახლა ღამღამობით ორთქლმავლების მოულოდნელი შეკივლება აღვიძებდა. მიუჩვეველი იყო და მძინარეც შეკრთებოდა ხოლმე. პირველი მატარებელი რომ შემოვიდა ბათუმში, მამამისმა სადგურში შეკრებილ ხალხს მიულოცა და თქვა: გათავდა, ფეხს ვეღარ მოიცლიან ჩვენი ქალაქი. და მართლაც, იმ დღიდან მოყოლებული, როცა ბათუმმა ოსმალეთის იმპერიის უკიდურესი ჩრდილოეთიდან რუსეთის იმპერიის უკიდურეს სამხრეთში გადაინაცვლა, ხოლო ახალმა ხე-

ლისუფლებამ ჯერ თბილისს გადაება იგი რკინიგზით, მერე კი, მიწისქვეშა მილებით ბაქოსაც დაუკავშირა, ერთბაშად იმდენი ხალხი მოაწყდა აქაურობას, სადმე წასვლა კი არა, ისიც საკვირველი იქნებოდა, თავის წამოწევა რომ მოეხერხებინა ამ მოხეტიალე ქალაქს. ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. სატვირთო და სამგზავრო სადგურები დგანდგარებდნენ, ორთქლმავლებს შხუილით გასდიოდა თვრი ორთქლი. ნავსადგურში ახლა „სამეულ სამეულსონისა და ამხ.“ ფირმის ნავთსაზიდი, სამბალნინი გემები ღმუოდნენ—ერთი სული ჰქონდათ, როდის ამოიესებდნენ მუცლებს შავი, ცეცხლოვანი სითხით. ნავთის რეზერვუარები თვალსა და ხელს შუა ამოდიოდნენ მიწიდან, როგორც ნაწვიმარზე სოკოები. ნავთი ნავთად და მალე მწვანე კონცხამდე გადაიჭიმა ჩაისა და ჩინური ჭიჭრის პლანტაციები. მიწას ჩალის ფაანი ედო. აქაურობა დაპყრობილ უფრო ჰგავდა, ვიდრე განთავისუფლებულს. მკვიდრი გარობდა, მოსული მკვიდრდებოდა. არავინ უშლიდა ხელს, არავინ უძალიანდებოდა, ციების მეტი, მაგრამ არც ციებას ეპუებოდნენ ბედის მაძიებელთა, საქმოსანთა და უპოვართა უდრეობი. ვიღას არ ზიდავდა „აღთქმული ქვეყანა“ — გადამდგარ გენერალსა თუ გიმნაზიის დირექტორს, ექიმსა თუ ნოტარიუსს, ბოგანოსა თუ ავაზაკს. ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. მოდიოდნენ, მოისწრაფოდნენ. რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება ღრმად რომ გაედგათ ფესვი ახალ მიწაზე. ნავსადგურში ყურთასმენა აღარ იყო: ხვნეშოდნენ, ღრჭიალებდნენ ტუმბოები; ჭრაჭუნობდა ფიცარნაგი; ცახცახებდა დაჭიმული ბაგირი: ლაპლაპებდნენ თუნუქის ალარები, ნავთის გუბეები, მტვირთავების შიშველი ზურგები. გულუბრყვილო დელფინები მალაყებს გადადიოდნენ აქაფებულ წყალში. უსაქმეობისგან გაბეზრებული მეზღვაური გემის მოაჯირზე გადმოდგებოდა და ზღვის უწყინარ ცხოველებს თოფით ხოცავდა. სისხლის ნაფლეთები, მეფუზების ჯოგივით, ნელა, ტალტალ [illegible] და ქალაქისკენ. ქვეყნებურად [illegible] მზე აცხუნებდა და თოლიები ჩხაოდნენ. ქალაქში კი ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. გარნიზონის უფროსი, პოლკოვნიკი ვეზჩირიშვილი ყოველდღე მართავდა აღლუმებს. დოლს ბაგაბუგი გაუდიოდა. ფაეხრენი ზრიალებდნენ. პოლკოვნიკი ვეზჩირიშვილი აცეკვებულ ცხენზე იჯდა, ცხენივით აქნევდა თავს აქეთ-იქით და ქუჩის ორივე მხარეს ჩარიგებულ კოპწია ქოლგებს მჭახე ხმით დასძახოდა: მაქეს პატივი, მაქეს პატივიო. სასტუმროებში „აღთქმული ქვეყნის“ დასაზვერად ჩამოსული უცხოელები ირეოდნენ: ცილინდრები, ბერეტები, ფესკები... „აღთქმული ქვეყანა“ სამი ვეშაპის ზურგზე იდგა. ყველას პირზე ეკერა შესალოცი სიტყვებივით უცნაური და შთამბეჭდავი სახელები: როტშილდი, მენთეშვი, ნობელი. მაგრამ ნახევარ ქალაქში წლიდან წლამდე მაინც ასკილი ყვაოდა. ასე ამბობდა დედა, რომელიც ახლა რომელიღაც ღატაკის ქოხში იჯდა და მომაკვდავ ბავშვს კროშტანტელი დეკანოზის მოყვანას, უკვდავების წამალსა და სკოლაში უფასო სწავლას პირდებოდა. გაძვალტყავებული ბავშვი გაოცებული, გაბეღნიერებული შემოსცქეროდა აქოთებული ძონძებიდან. თავი ალბათ სიზმარში ეგონა, ანდა ცაში, ხოლო ეს ლამაზი, ქათქათა და სურნელოვანი ქალი — ანგელოსი. მაგრამ მეორე ქოხშიც ზუსტად ასეთივე ბავშვი ებრძოდა სიკვდილს და რამდენადაც არ უნდა გაჭირვიყო დედა, ყველას მაინც ვერ გასწვდებოდა. პირზე ვარდისფერი აბრეშუმის ცხვირსახოცი მიეფარებინა და სლუკუნებდა. გარეთ ეტლი ელოდებოდა. საღამოს თბილისიდან ჩამოსული მსახიობები უნდა მოსვლოდნენ სტუმრად და კიდევ ათასი რამე უნდა მოესწრო საღამომდე (დედას მხოლოდ დიასახლისობით როდი უყ-

ოთარ ჭილაძე
რაინის თეატრი

ვარდა სტუმრებთან თავის გამოჩენა — უპირველეს ყოვლისა, ცოდნითა და განათლებით ანცაიფრებდა სტუმრებს. მშვიდად, ღიმილით, ვითომ სხვათაშორის იტყოდა ხოლმე: ერისთავის ტასო ქართველი ოფელია კი არა, თავად საქართველოა, რომელიც იმტომ ილუპება, იმის ნება-სურვილს ანგარიშს რომ არ უწევენო; და როცა უკვე შეზარხოშებული, მაგრამ გულწრფელად მოხიბლული სტუმრები იტყოდნენ, ასეთი რამ არა თუ პოლიციელისტერის მეუღლისაგან, ჩვენი განმანათლებლებისგანაც არ გაგვიგონიაო, სიხარულისა და სიამაყისაგან მეცხრე ცაზე დაფრინავდა; სტუმრების წასვლის მერეც დიდხანს ვერ მშვიდდებოდა და გულს უწყალებდა მეუღლეს: ხომ გაიგონე, რა თქვა ჩვენმა სახელოვანმა ხალხმაო). ცხოვრება კი დუღდა და გადმოდუღდა. სამაჯო და პოლიცია ფეხზე იდგა, მაგრამ შავ ბაზარზე ჩიტის რძეს იშოვიდა კაცი. ვისაც ნავი ყავდა და ღამით შინიდან გამოსვლისა არ ეშინოდა, კონტრაბანდისტობას მისდევდა, როგორც ადრე თევზის ჭერასა და სიმინდის მოყვანას. „ასე თუ გაგრძელდა, მალე მთელი ქვეყანა შეიქნება დასაპერი, ჩემი ჩათვლითო“ — ამბობდა შეწუხებული პოლიციმეისტერი. მისი პოლიციელები ივაანზე სცენას აწყობდნენ სოჯახო წარმოდგენისთვის; როგორც კი დროს მოიხელთებდნენ, კარადიდან არაყს იპარავდნენ და პირდაპირ ბოთლით იყუდებდნენ, თან თვალს უპაჭუნებდნენ მასპინძლის ბავშვს. ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. ნატო გაბუნიას პირიდან ია-ვარდი სცვიოდა. ახალგაზრდები კრეფდნენ და გულზე იბნევდნენ. ყაზბეგი ხანჯლებით ცეკვავდა. მეორე დღეს ნურიის ბაზარში ბუკინისტის მაღაზიასთან ოიგი იდგა: ყველა ყაზბეგის წიგნს დაეძებდა. ყაზბეგი სასტუმროში გვიანობამდე იჯდა მაგიდასთან და ახალ მოთხრობას წერდა. გვერდით „დროების“ ის ნომერი ედო, რომელშიაც მთელი მისი შემოქმედება მიწასთან იყო გასწორებული. ჩახედავდა და გაუშვებდა კალამი: ქუჩიდან მთვრალი მეზღაურების ლანძღვა-გინება ისმოდა. ხანდახან ქალაქ ბედბოლაკეანი და გულიანად. ღიღით ყელგამოჭრილ კაცს პოულობდა პოლიცია ქუჩაში. სისხლის გუბეს მიწას წაეყრიდნენ ხოლმე სასწრაფოდ. ცხოვრება კი დუღდა და გადმოდუღდა, როგორც შამპანიური ტანწერწეტა ჭიქებში. მარინეს პროსპექტზე ეტლი უცაბ სვლას შეაენელებდა, მერე სულ გაჩერდებოდა და ბეჭდიანი თითი ფოსტის წინ ატუზულ მეძავს მიიხმობდა.

ეს იყო და ეს, რისი დამახსოვრებაც ოდესაში გამგზავრებამდე მოასწრო. ხოლო შვიდი წლის მერე უკანვე რომ ჩამობრუნდა, უკვე განსწავლული და დაოჯახებული, კიდევ იმდენი რამე შეცვლილიყო აქ, არა თუ მისი ცოლი, რომელიც საერთოდ პირველად ჩამოვიდა ბათუმში, თვითონაც თავიდან უნდა შესჩვეოდა ყველაფერს. დამთხვეული გერმანელის გამენებული ბაღი მწვანე ღრუბელივით ჩაწოლილიყო ზღვასა და ქალაქს შორის. „აქ, ადრე, ქვიშისა და ნაგვის მეტი, არაფერი იყოო“ — უხსნიდა ცოლს, არანაკლებ გაოცებული. ფოთლების ზღვაზე ვედებივით გაფუყულიყვნენ მაგნოლიის თეთრი ყვავილები. ჭრიალებდნენ კანდამსცდარი ფიჭვები. ნოტიო, მსუყე სიმწვანიდან ჩიტის სტვენა, ანდა რომელიღაც ტროპიკული ყვავილის მძაფრი სურნელი გამოსხლტებოდა მოულოდნელად და უჩვეულოდ აგიფორიაქებდა სულს. ფართო, ლამის ქუჩის სიგანე ბილიკებზე ხალხი დასეირნობდა. ბავშვები დარბოდნენ. სასიამოვნოდ ჩხრიალებდა ფეხქვეშ ხმელი წიწვით მოფენილი ქვიშა, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, საკუთარ სახლს უნდა შესჩვეოდა, მამისეულ სახლს, უსაშველოდ გამოცარიელებულს, გამოყრუებულს, სადაც ყველაზე ცხადად გრძნობდა ქამთასვლის დაუნდობლობასაც და ადამიანურ ენებათა ამაოებასაც. აღარ ეყვნენ, სამუდამოდ მიეტოვებინათ აქაურობა ქველმოქმედ დიასახლისსა და ეაცთმოყ-

ვარე პოლიციმეისტერს, და ახლა დაბნეულნი თუ დარცხვენილნი იმზრერებოდნენ სურათის ჩარჩოდან, როგორც არარსებული ქვეყნის სარკმლიდან. ერთი—ნებისმიერი, შარვალგამოხეული და შიიერი მსახობის ჩამოსცლას გაცილებით დიდ მოვლენად თვლიდა ქალაქისათვის, ყოველ შემთხვევაში, საკუთარი ოჯახისთვის მაინც, ვიდრე — მეფისნაცვლის, ანდა თავად — მეფისა; თვეობით აცხოვრებდა ხოლმე თავისთან საგასტროლოდ ჩამოსულ დასს და გულისხმიერებით, თანგრძნობით, ქებადიდებითა და ქათინაურებითაც აპურებდა, რაც ჯერზე ნაკლებად როდი ჭირდებოდა თავქარიანთა, თავისუფალთა. „სინთლისა და სიკეთის თესლის გამავცელებელთა“ მოდგმას, რომელიც. არა თუ სცენაზე, სინამდვილეშიც არაერთხელ ეკიდებოდა თოკზე, არაერთხელ ეგებოდა ხანჯალზე, არაერთხელ სკამდა სამსალას და ათასნაირი უბედურების გადატანა უხდებოდა, ხანდახან მაინც, ოფიციანტისთვის წინასწარ რომ არ ეკითხა სადილის ფასი. ხოლო მეორე—პოლიციმეისტერი—იმდენად კაცთმოყვარე გახლდათ, უფრო სწორედ, იმდენად გულუბრყვილო, რაც არ უნდა საშიში ბოროტმოქმედი დაეჭირა, ღამე ციხეში არ გააჩერებდა, ეცოდებოდა, შინ უშვებდა, ცოლ-შვილთან, თუკი პირობას მისცემდა, უკანვე რომ მობრუნდებოდა დილით. ვინ არ მისცემდა პირობას? მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, იყენენ ისეთებიც, სიტყვას რომ ასრულებდნენ, თითქოს მხოლოდ იმიტომ, კაცთმოყვარე თუ გულუბრ... პოლიციმეისტერს რწმენა რომ არ შერყეოდა და თავისი „მეთოდის“ გასამართლებლად, მსმენელთა გადმოსაბირებლადაც, ეთქვა: ოთხმოცდაცხრამეტი მამაძაღლისათვის რატომ უნდა დაიჩაგროს თუსდაც ერთი პატიოსანიო. მაგრამ წარმოდგენა დამთავრებულიყო, მაყურებელი დაშლილიყო და იმთაც აღარაფერი ესაქმებოდათ აქ; ჩამოებანათ გრიმი, მოეხსნათ პარიკები და ახლა არარსებული ქვეყნის სარკმლიდან უთვალთვალებდნენ, რა ნაყოფს გამმეტ... ღებდა მათი ნამოღვაწარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლი იგივე იყო: ერთსართულიანი, კრამიტით დახურული, ერთიანად ჩაფლული ხახასა სიმწვანეში (გერმანელი მებაღის ნერგებზე ნაკლებად არც პოლიციმეისტერის ხელით ჩაყრილ ლიმონსა და მანდარინს გაეხარა). ქვითკირის ღობეზე ლეღვის ხეს ჩამოეწყო ხორკლიანი იდაყვები და აქაურობის ყრუმუნჯი მცველივით, მოწყენილი იყურებოდა ქუჩაში. ჭიშკარიც ისევ მწვანედ იყო შეღებილი, ოღონდ, გაღებისას, ახლა ქვანსაროლი ძაღლივით წკავწკავებდა და სახლის ახალმა ბინადრებმა იქამდე იცოდნენ მოსულის ვინაობა — თუ მთლად უცხო არ იყო იგი — ვიდრე ხრეშმოყრილ ბილიკს გამოივლდა, ოდნავ თავდახრილი, ბილიკზე გადმოშვერილ ტოტებს რომ არ წამოსდებოდა, და ორსაფეხურიანი კიბით აივანზე ამოვიდოდა. თუმცა ბევრი აღარავინ მოდიოდა აქ. ამ ჭერქვეშ შემთხვევით დაჭრილი ოფიცერი, საბა ლაფაჩი თუ შემოიხედავდა ხანდახან, წესიერი, პატიოსანი, კეთილშობილი კაცი იყო და თავს ვალდებულად თვლიდა, არ მოეშალა ძველი ნაცნობობა. მაგრამ არც ისაა გამორიცხული, მოურჩენელ წუხილს რომ მოჰყავდა იგი: რა გასაკვირია, თავმოყვარე ოფიცერს აქამდე ხსომებოდა თავისი უნებელი შერცხვენა და აქამდე ჰქონოდა შიში თავისი უნებლიე შერცხვენის ასევე უნებლიე მოწმისა. თუმცა ეს მართლაც არასასიამოვნო შემთხვევა არც იმას შეუხსენებია დიმიტრისთვის და არც დიმიტრის — იმისთვის. სხვებს კი თავი ისე ეჭირათ (ალბათ ახალი პოლიციმეისტერის ხათრით, ანდა შიშით), თითქოს ჭიქაც არ აეწიათ ჟურულების ოჯახში; თითქოს არასოდეს აებზნეთ გაქონილი ცერი დიასახლისის შესაქებად და არასოდეს ეთქვათ: თქვენს ნახელავს მაინც სხვა გემო აქვსო. მაგრამ სახლის ახალ

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

ბინადრებს ნაკლებად ადარდებდათ ეს ამბავი. დიმიტრის, ოჯახის ახალ უფროსს, გულის სიღრმეში არასოდეს მოსწონდა თავისი შშობლების ხმაურიანი ცხოვრება, გაუთავებელი, შემზარავი სიზმარივით ახსენდებოდა თავისი ბავშვობა და შეეურყეველ სიმშვიდეზე ოცნებობდა მხოლოდ, რომლისთვისაც თანბამად მიეღწეული იყო, როგორც შემთხვევით, სიცუღლუტით დაჭრილი, ლამაზი მანდილოსნის ლეჩაქით ხელგადახვეული ოფიცერი, ისევე სიბრიყვისა და სისასტიკის კეტით თავგაჩეხილი მეცნიერი. გული უკვე აცრუებული ჰქონდა ყოველდღიურ და ამაო ფუსფუსზე. სხვას რომ თავი გავანებთ, შშობლების მაგალითთ იცოდა, იქამდე რომ ჭირდებოდი მეორე კაცს, ვიდრე ფეხზე იდექი და სუფრის გაშლა შეგეძლო; და იქამდე რომ გივიწყებდა მეორე კაცი, ვიდრე შენი სამარე პირს შეიკრავდა, თავად კი სასაფლაოდან გამოვიდოდა და იმაზე ფიქრს შეუდგებოდა, დღეს ვისთან გავატარო დროო. სამსახურშიც ერთბაშად გაუნელეს უნივერსიტეტიდან გამოყოლილი ცეცხლი და სამართლიანობის, გაგების, ნდობის, ლმობიერებისა და მიმტევებლობის რაინდი, ჩვეულებრივ ტაკიმასხარად აქციეს. მოისხამდა ვექილის მანტიას და ჩაებმებოდა ხელჩართულ ბრძოლაში, პროკურორისა და მოსამართლის წინააღმდეგ. კიდევ ერთი გზასამცდარი, ჩაწიხლული, განწირული სულის დასაცავად, გაკვირვებული და, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებულიც რომ შემოსცქეროდა მის გაწამაწიას, ორ ანდარმს შორის მომწყვდეული, და შეიძლება, იმას უფრო ებრალებოდა თავისი ქომაგი, ვიდრე ქომაგს იგი, რადგან ქომაგს ჯერ კიდევ სჯეროდა, იმას კი — აღარ; იმას იქამდე დაეკარგა რწმენა, ვიდრე დაუშვებდა, ვიდრე სბრალდებულო სკამზე აღმოჩნდებოდა; ხოლო მისი ქომაგი უნივერსიტეტში გზეპირებულსა და ცხოვრებაში ძალადაკარგულ ფრაზებს სეტყვასავით აყრიდა მართლმსაჯულების ტაძრის ყრუსა და შეუვალ კედლებს, და თუმცა იმანაც წინასწარ იცოდა, განაჩენი უკვე გამოტანილი რომ იყო, მაინც სჯეროდა, სასწაულს რომ მოახდენდა, ქვას რომ შეაბრუებდა, გონებულს რომ გაალხობდა და თუ ვერ დაარღვევდა წინასწარ დადგენილს, ოდნავ მაინც შეცვლდა, ოდნავ მაინც დაულბობდა, დაურბილებდა რკინის წახნაგებს; მაგრამ რამდენიც არ უნდა ეფაფხურა, მეორე მხარე, მეორე ნაპირი, მეორე მოსაზრება, მეორე ვარაუდი კი არ იყო სასამართლო პროცესისა, არამედ უუფლებო, მაგრამ აუცილებელი მონაწილე სასამართლო სპექტაკლისა, რომელიც უიმისოდ ვერ დაიდგმებოდა, მაგრამ მისი მონაწილეობითაც აუცილებლად ისე დამთავრდებოდა, როგორც სპექტაკლის დამდგმელებს ჰქონდათ ჩაფიქრებული. ამიტომაც, შინ ყოფნა ერჩია ყველაფერს. შინ იმაზე ოცნებობდა, რასაც გარეთ ვერ აკეთებდა. ცოლიც შესაფერი შეახვედრა ბედმა: თუ აუცილებელი არ იყო, საერთოდ არ გამოდიოდა შინიდან. ისე დაეშინებინა ცხოვრებას, ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლებად მოხვედროდა თვალში. ბებიის ნაქონი გიშრის ჯვარი და აბრეშუმის ზონარი სათუთად ჰქონდა შენახული და გულუბრყვილოდ სჯეროდა იმათი ჯადოსნური ძალისა. მარჯვენა ხელის იდაყვით რეზინის სათბურს მიეჭერდა ფერდზე და, ქარგავდა თუ ქსოვდა, სულ იმის მოლოდინში იყო, როდის დაიწყავწკავებდა ჭიშკარი, ქვანასროლი ძაღლივით, თავდაც ერთგული ძაღლივით, კართან რომ მიჰგებებოდა მეუღლეს, პატრონს, მეგობარს... უფრო მეტიც — ერთადერთ ადამიანს, რომელიც ნამდვილად თავის ახლობლად შეეძლო ჩაეთვალა და რომლისაც არ ეშინოდა. სხვა აღარავინ შერჩენოდა. დედა საერთოდ არ ახსოვდა, მუცელს გადაჰყოლოდა. ისიც ძლივს გადაურჩენიათ. მერე ბებია და პაპა ზრდიდნენ კახეთში, ხოლო ისინიც რომ დაიხოცნენ, მამამ ოდესაში წაიყვანა. მამა ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტი იყო: მელიქიშვილი და პეტრიაშვილი მეცნიერების ამომავალ ვარსკვლავს ეძახდნენ თურმე, მაგრამ ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხელ ვიღაცას გამოქმამაგა ქუჩაში და ხელიგნებმა რკინის კეტით გაუხეთქეს თავი. მარტო დარჩენილმა დარიამ დიდხანს იავადმყოფა. ოდესის ქართველთა კოლონია პატრონობდა სამადლოდ. ახლაც ძლივს გადაარჩინეს, თუმცა თვითონ აღარ იცოდა — რიღასთვის, რა უბედურება უნდა შეხვედროდა კიდევ. დიმიტრიმ რომ ხელი სთხოვა, ესეც ჩვეულებრივ მოწყალებად ჩათვალა და მაშინვე მიზნად დაისახა, ქმრისთვის შეეწირა სიცოცხლე. ქმრის სამსახურით გადაეხადა კეთილი ხალხის ამაგი, რატომღაც, ასე თავგამოდებულები რომ ცდილობდნენ სიკვდილისთვის არ დაენებებინათ იგი. როცა თავად შვების მეტს ვერაფერს ხედავდა სიკვდილში, და აი, იმის მერე, რაც დიმიტრის ცოლი გახდა, რამე თუ ეხალისებოდა. ქმრის სამსახური იყო: რამე თუ სიამოვნებდა და ახარებდა, ისევ და ისევ, ქმრის სამსახური. მაგრამ ქალური აღლოთი გრძნობდა, მაინცდამაინც კარგი ამხანაგი რომ ვერ იყო ქმრისა, გრძნობდა, ეალდებული რომ იყო, მამობაც განეცდევინებინა მეუღლისთვის, მაგრამ მთელი მისი არსება ცხოვრების სუსხიანი ქარტეხილებისგან ისე იყო დამბრალი და დადამშლავებული, როგორც არ უნდა ელოცა და როგორც არ უნდა ენატრა. ვერაფრით ვერ ბედავდა ახალი კერიის გამოტანას. ქმარი ზოგადად, არ საყვედურობდა, მაგრამ თავად, ქმრის ურემად, ისევე მწარედ და მტკივნეულად განიცდიდა საკუთარ სიბერწეს, როგორც დედის, ბებიის, პაპისა და მამის სიკვდილს.

ცხოვრება კი გრძელდებოდა. „მაქეს პატივი, მაქეს პატივი" — ისევ დახეცილნებდა აკეკვებული ცხენიდან პოლკოვნიკი ვეზირიშვილი კოჭწია. ფერადი ოლეგების ქვეშ შეუფუფულ ლამაზხანებს სამაგიეროდ, ბარკახაში, ზეიმებისგან დაობებულ ქოხში, აგერ ღუკე მთელი წელი ფეხმოუცელელად იჯდა მუშა სოლორაშვილი და ჭრაქის შუქით თავლამოღამებული, იდაყვებით, ძუხლებით, მთელი წლის გაუკრეჭაი თმა-წვერით მაგიდას შეზრდილი. „კომუნისტურ ძანიფესტს" თარგმნიდა. ასე რომ, ყველა აღლუმები ერთადერთი [illegible] აღარ იყო ბათუმისთვის: შეიყრებოდნენ ლურჯხალათიანი მუშები, წაიმღეკარებდნენ წითელ დროშას და „მარსელიოზას" სიმღერით გამოვიდოდნენ ქუჩაში. მუშები და მათ საყურებელად დაფიფილი ხალხი ერთმანეთს ელაზღანდარებოდა, ეკამათებოდა, მაგრამ იმპერიას სრულებითაც არ ეცალა საკამათოდ, გრძნობდა აღსასრულის მოახლოებას, გრძნობდა, დროო რომ არ ეყოფოდა თავისი იმპერიული მიზნების განსახორციელებლად და ერობაშად, ძალითა და ძალადობით ცდილობდა იმის გაკეთებას, რაც გეგმის მიხედვით, დროთა განმავლობაში, თანდათანობით და ლამის თავისთავად უნდა მომხდარიყო. მეფისნაცვალთა შემპარავი, თაფლწყასმული ვერაგობა თვითმმართველთა აშკარა და თავაშვებულმა სისასტიკემ შეცვალა. ციხე ემბრი, ციხის ეზოში დროგმა დაპატიმრებული სტამბა შემოარხარხა. ქვეყანა ციხედ იყო ქცეული. ყოველი სოფლების ნაცვლად სამხედრო პლაცდარმები შენდებოდა. გაუქმებულ ეკლესიებსა და მონასტრებში ჯარი იდგა. ჯარისკაცები მთვრალ ძონაზონს აეკეკვებდნენ. ახლა გიეის მეტი აღარავინ იოცნებებდა ერობასა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსა და უმაღლესი სასწავლებლის გახსნაზე. ცენზორებს ალამი მოშარჯვებული ჰქონდათ, სიტყვა „საქართველო" რომ არ გაპპარეოდათ, რამდენჯერმე გადაშლილ სიტყვას ზემოდან „ჩვენს მხარეს" ანდა „ჩვენს კუთხეს" დაწერდნენ ხოლმე ლამაზი, გაწაფული ხელით, მაგრამ ტუტილად ხომ არ არის ნათქვამი: ზოგი ჭირი მარგებელიაო. საქართველო მკვდარი კი არ ყოფილა, როგორც ეგონათ, როგორც უნდოდათ, თუმცა ძხოლოდ ეძინა, ოღონდ ღრმად, საღათას ძილით და რაკი ასე უხეშად გამოაღვიძეს, ისიც იძულებული შეიქნა, გაბრეულიყო, გაეხედ-გაძოეხედა, საბოლოოდ გაძოფხიზ-

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

ლებულიყო, გამოგბერტყა თავიდან მაცდურად სასიამოვნო ბანგის ნალეკი. ნურიის ბაზარზე, ბუკინისტის მაღაზიაში ახლა საღამოობით ნემსი ვერ ჩავარდებოდა. კამათობდნენ ყველაფერზე, რაზეც კი კამათი შეიძლებოდა, რაზეც კი შეიძლებოდა ორი აზრი არსებულიყო. მართალია, ჯერჯერობით ძირითადად ერთმანეთს ებრძოდნენ, ერთმანეთის კამტყუნებასა და გაბათილებას ცდილობდნენ, მაგრამ საქმე მაინც კეთდებოდა. იბადებოდა ახალი სიტყვა, მრწამსი, ვარაუდი... უფრო სწორედ, დიდიხნის წინათ დაბადებული და სულში ღრმად ჩამარხული, უსაეერად ვეღარ ძლებდა და სამზეოზე გამოდიოდა, ხელახლა იბადებოდა, ახლა უკვე საფუძვლიანად. ყველა ერთნაირი მოუთმენლობით, ერთნაირი იმედით ელოდებოდა გაზეთის ახალ ნომერს, როგორც მომაკვდავი — ქანგბადის ბალიშს. ზოგს „ივერია" ეჭირა, ზოგს — „კეალი" და ოთხად გაეცალ გაზეთს ერთმანეთს უქნევდნენ კამათისას, ვითომ არ გეგონოს ჰაერში ვლაპარაკობდე, უსაფუძვლოდო. ეს ის დრო იყო, როცა კიდევ ერთი საუკუნე, ღრმად მოხუცებული, სიბერისგან გამოჩურჩუტებული, ცოდვებისგან ზეზეურად გამომპალი, სიძველისა და უძლურობის სუნდაკოული — ამ ქვეყანას აღარ ეკუთვნოდა. ხოლო მეორე, მომდევნო, ჯერ ისევ აკვანში იწვა და იქიდან იმუქრებოდა, იქიდან უღერებდა ქვეყანას დალოღნილსა და დადორბლილ მჯიღებს. ხალხიც ორად იყო გაჭრილი: ერთი ხელით თუ მომაკვდავ საუკუნეს წამალს ასხამდა უკბილო პირში, მეორეთი მომავალს ურწევდა აკვანს. ძველზე გული სწყდებოდა, რადგან შესჩვეოდა, ახლისა კი ეშინოდა, რადგან ახალი ბევრ რამეს გადაეჩვევდა, ბევრ რამეზე აღებინებდა ხელს, რის სანაცვლოდაც, ვინ იცის, რას შესთავაზებდა. კი არ ცხოვრობდნენ, დრო გაჰყავდათ, რაც შეიძლება მალე და უმტკივნეულოდ რომ გამოსულიყვნენ გაურკვევლობის ბურუსიდან. საამისოდ კი, მართლაც რომ ზედგამოჭრილი იყო გაუთავებელი სტუმრიანობა, აუულგებელი სუფრა, უზომო ჭამა-სმა, თავშესაქცევი [illegible] მაშინდანი — ლოტო [illegible] — და, რაც მთავარია, უაზრო, გაუთავებელი სჯა-ბაასი ყოველდღიურ წვრილმან სისაძაგლეებზე, თითქოს ორიოდე მეეტლის სითავხედე, ლაქის სიხარბე და ვაჭრუკანას სიწუწკე ანგრევდა ქვეყანას, თითქოს ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, ვირი ხეზე გავიდოდა, კატა ღვინოს მოიწყვლიდა, ძაღლი კი ბატკნებს დაჰყრიდა. ელოდებოდნენ, ირკი იცოდნენ — რას; საერთოდ არ იცოდნენ, რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდათ და მაინც ელოდებოდნენ უიმედოდ, ურწმუნოდ, უმოქმედოდ, რადგან, რაც თავი ახსოვდათ, სულ ასე ელოდებოდნენ რაღაცას, რაღაცას, რისი სახე და სახელი უფრო ადრე დავიწყებოდათ, ვიდრე მოლოდინის უაზრობას შეიგრძნობდნენ; უაზრო მოლოდინი უაზრო ცხოვრებას აიძულებდათ, ათვალთმაჭცებდათ; ერთი დღე რომ არ გენახა ნათესავი — მომძიძულეო — გეტყოდა; ერთხელ მაინც რომ არ დაგეპატიჟნა შინ ჩვეულებრივი ნაცნობი, სამკვლო-სასაოცცხლოდ გადაგეკიდებოდა. ასეთი იყო ცხოვრების წესი, ყაიდა... და არა იმიტომ, ერთმანეთზე რომ ამოსდიოდათ მზე და მთვარე, არამედ — მარტო დარჩენისა რომ ეშინოდათ. სიმარტოვე ფიქრს აჩენდა; ფიქრში კი, გაწბილებული იმედების, შეუსრულებელი დაპირებების, შეცდომების, შერცხვენების ჯარი აიშლებოდა ხოლმე და სულის გამაწვრილებლად შრიალებდა, შრიალებდა, შრიალებდა, როგორც უნაყოფო ქვიშაზე გაშენებული ბაღი. წინაპრებს გაესწროთ და სამუდამოდ დამკვიდრებულიყვნენ. სამუდამოდ დამშვიდებულიყვნენ საოჯახო ალბომებსა თუ სურათების შავ ჩარჩოებში. მაგრამ დრო არ ცხრებოდა. საუკუნიდან საუკუნეში გარდამავალი დრო, ლოტოვლილივით, სულ ბარგზე იჯდა. ნავსადგურში ტევა არ იყო. გაჭვარტლულ ლოკომანებს ზედიზედ შემოყავდათ უზარმაზარი, მიწიერ ცხოვრებას დანატრე-

ბული ხომალდები, როგორც მაჭანკლებს — სასიძოები, და ქალაქის საშოში გაგუსჯელად იღვრებოდა ყველა ჯურის თესლი. ყაღახანებში ფესკიანი თურქები, ტყავის გეტრებიანი გერმანელები თუ ჭრელ ქვედაკაბებში გამოწყობილი შოტლანდიელები ირეოდნენ. ქაჯი ვერ გარკვევდა, ვინ ჩხეკვი იყო, ვინ ყვავი; ვინ ძმისწული, ვინ მამიდა. მოკლედ, ძაღლი პატრონს ვეღარ სცნობდა. მაგრამ ერთსართულიანი, კრამიტით დახურული სახლი ჯერჯერობით გვერდზე იყო გამდგარი, ხასხასა სიმწვანეში გატრუნულიყო თავისთვის. სამარისებური სიწყნარე გამეფებულიყო ირგვლივ და ძნელი წარმოსადგენიც კი იყო, ოდესღაც სამხიარულოდ თუ იარიბებოდა აქ ხალხი. საოჯახო წარმოდგენები თუ იმართებოდა, ჩუმჩუმად თუ ხუხავდნენ ნაჭურადალ არაყს სცენის გასაწყობად მოყვანილი პოლიციელები. გამქრალიყო „ნაშთი ძველი დიდებისა“. და ამ სახლის ახალი ბინადრების სიცოცხლეც უკვალოდ გაქრებოდა ალბათ, თუკი რამე არ შეიცვლებოდა მათ ცხოვრებაში. სიცოცხლის თითქმის ნახევარი გასულიყო უკვე, ხოლო დარჩენილი, მეორე ნახევარი, მარტო იმისთვისღა თუ ივარგებდა, მარადიულს და შეურყეველ სიმშვიდეში, ანუ სიკვდილში რომ გადაზრდილიყო თანდათანობით, უხმაუროდ, შეუმჩნევლად, როგორც ჩრდილი — ჩრდილში, ღრუბელი — ღრუბელში, არაფერი — არაფერში. ასეთი ფერმრთი გაეღვიძა დიმიტრის ერთ მშვენიერ დღეს და ისიც იგრძნო, მისი ოჯახი საერთოდ რომ ამოშლილიყო სათვალავიდან, რადგან გაუნელებელ შიშსა და ოცნებას, უპირველეს ყოვლისა, მსგავსის, გამგრძელებლის, მომავალთან დამაკავშირებლის შექმნის უნარი წაერთმია და ისიც და მისი ცოლიც გვერდზე ჩაელილი ცხოვრების დანატოვარ დუმილში გამოეშწყვედია, როგორც ბრმა ლეკვები — ტომარაში. რაც არ უნდა ეთვალთმაქცა, ცხადზე ცხადი იყო, არავითარი აზრი რომ აღარ ჰქონდა მათ არსებობას. თუკი ასე გაგრძელდებოდა სულ, თუკი აღარაფერი მოხდებოდა, თუნდაც ცუდი, ერთბაშად გაქრებ[illegible] რიელებულსა და ერთბაშად [illegible] ბულ სახლში, სადაც გარდასულ ცხოვრებას ისეთივე შემაწუხებელი დუმილი დაეტოვებინა, როგორი ხმაურიანიც იყო თავის დროზე. მართალია, არასოდეს მოსწონდა მშობლების ცხოვრების ყაიდა, მაგრამ, ეტყობა, ცხოვრებისა თავად არაფერი გაეგებოდა. ისინი ცხოვრობდნენ, თვითონ კი ოცნებობდა. იმათ უყვარდათ ცხოვრება, რის გამოც, შეიძლება უფრო გულუბრყვილოებიც იყვნენ, მაგრამ უფრო ძლიერებიც, ყოველ შემთხვევაში, ჯიუტები მაინც. შიშის გრძნობა ალბათ არც იმათთვის იყო უცხო, მაგრამ სიყვარულის, ეგვე გულუბრყვილობისა თუ სიჯიუტის წყალობით, უფრო იოლად ერეოდნენ ანდა უკეთესად მალავდნენ შიშს. მამამისი სასიკვდილო სარეცელიდან იძლეოდა განკარგულებას, როგორ გამასპინძლებოდნენ მის დაკრძალვაზე ჩამოსულ ხალხს, ვისთვის შეეტყობინებინათ და ვისთვის არა, ხოლო დედას, ქმრის სიკვდილზე მეტად, ის ადარდებდა, ისეთი რამის ჩადება არ დავიწყებოდა კუბოში, ურომლისოდაც მის მეუღლეს „იქ“ ცხოვრება გაუჭირდებოდა. მაგალითად — ბურნუთის კოლოფი, ანდა ქიშმირის შალი, რომლითაც ძილის წინ წელს იხვევდა მოხუცი პოლიციმეისტერი. სიკვდილს „ყველაფრის დასასრულად“ კი არ თვლიდნენ, არამედ სიცოცხლის სახესხვაობად, თითქოს სიკვდილი ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასახლებას ნიშნავდა მხოლოდ, როგორც პოლიტიკურ პატიმრებს ასახლებდნენ ციმბირში, და იმ სხვა ქვეყანაშიც ისევ ერთად იქნებოდნენ, რაც მთავარია, ისევ ისეთები, როგორებიც აქედან წავიდოდნენ. „მამაშენი ჩემზე ადრე იმიტომ წავიდა, სამარე თბილი რომ დამახვედროსო“ — ამბობდა დედა, თავადაც წასასვლელად გამზადებული, და დიმიტრის ვერ გაერკვია,

---

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

მის დასამშვიდებლად, მისი მწუხარების შესამსუბუქებლად ლაპარაკობდა დედა ასე, თუ მართლა სჯეროდა, რასაც ამბობდა. ასე იყო თუ ისე, ცხოვრება იმათთვის ჭირისა და ლხინის განუწყვეტელსა და აუცილებელ მონაცვლეობას ნიშნავდა და, შეიძლება, არასწორი, მაგრამ მყარი წარმოდგენა ჰქონდათ ყველაფერზე, არც ჭირს ემალებოდნენ, არც ლხინს, არც გლოვისა ეშინოდათ და არც ზეიმისა. ხოლო მათ შვილს ცხოვრება გლოვასა და ზეიმს შორის დროებით ჩამოვარდნილი სიწყნარე ეგონა და ვერცკი ხვდებოდა, ამით საერთოდ უარს რომ ამბობდა ცხოვრებაზე. დაბნეულმა მიმოიხედა ირგვლივ, უცხო ჭერქვეშ გამოღვიძებული კაცივით. იგრძნო, როგორი დაჟინებით მოაჩერდნენ საგნები, კედლები, კედლებზე დაკიდებული სურათები, თითქოს ისინიც მოუთმენლად ელოდებოდნენ, რას იტყოდა, რას მოიმოქმედებდა ხანგრძლივი ძილიდან მოულოდნელად გამოფხიზლებული. უნებურად თავი აიქნია, თითქოს უსულო სამყაროს დაფრთხობდა, მოიშორებდა მის დაძაბულსა და შემაწუხებელ მზერას. დარია სარკმელთან მიმჯდარიყო და ქარგავდა. მარჯვენა ხელის იდაყვით რეზინის სათბური ჰქონდა ფერდზე მიჭერილი და კიდევ უფრო ამძაფრებდა სახლში გამეფებულ დუმილს, არა უაღრესად ქალური, სამშვიდობო საქმიანობით, არამედ საგნისმიერი გულგრილობით, მოთმინებითა და მორჩილებით; თითქოს ისიც უსიცოცხლო სამყაროს ნაწილი იყო, როგორც ყაისნაღი, რომლითაც ქარგავდა, და როგორც სკამი, რომელზედაც იჯდა. დიმიტრი სასწრაფოდ წამოდგა, ფეხები ფლოსტებში წაჰყო და ხალათი შემოიცვა. დარიამ მაშინვე გამოიხედა და ღიმილით ჰკითხა: პური ხომ არ გაგიხუხოო. სად იყავი, რაზე ფიქრობდიო — გაუღიმა დიმიტრიმაც, როგორც უფროსები უღიმიან პატარებს, გამოსატეხად, მათი ბავშვური საიდუმლოს გამოსაცინცლად. „პატარობისას, რამე რომ მეტკინებოდა, პაპაჩემი ვირზე შემსვამდა ხოლმე და მაშინვე მოვრჩებოდიო“ — თქვა დარიამ და საქარგავი კალთაში მოიმარჯა. დიმიტრიმ ნაძალადევად გაიცინა: „ეს ბავშვისა კარგი შეჯდომაც თუ წამალი იყოო. შუა ოთახში იდგა, ხალათის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი. ესმოდა, როგორ არაკოსებები ხუფს ნავთქურაზე შემოდგმული ჩაიდანი. „კი, წამალიაო“ — გაუხარდა დარიას. „ჩვენ კი არ ვცხოვრობთ, სიკვდილს ველოდებითო“ — რატომღაც გაბრაზდა დიმიტრი. დარიას თვალები ცრემლით აევსო. ასე ემართებოდა, რამე თუ დააბნევდა, შეაკრთობდა ანდა შეაშფოთებდა: თვალები მაშინვე ცრემლით აევსებოდა ხოლმე. „ვინ გაწყენინა, გოგო? ერთი მოვიდე მანდა“. — დაუაახა პაპამ ვენახიდან: ზაფხულის მტვრიანი სიმხურვალე შეაფრქვია სახეში, უარესად აუჩუყა გული და უცებ ისევ პატარა გოგოდ აქცია; ბაფთებიანი ლურჯი კაბა ეცვა და წითელი, ჭრაჭუნა ფეხსაცმელები; ვითომ ვენახის წინ იჯდა, თალარში, სელის სკამზე, და ელოდებოდა, როდის გამოუტანდა პაპა ვენახიდან აბლაბუდიან ჩხასა თუ ბუსუსიან ატამს. თან აქაც იყო, ქმრის სახლში, და გაკვირვებული უყურებდა ვიღაც უცხო კაცს, ხალათის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, თმაჩეჩილი, წვივებგაშიშვლებული ოთახში რომ დადიოდა წინ და უკან, დატყვევებული ნადირივით, და უთქმელი წუხილით, უთქმელი სევდით აწრიალებულ თვალებს მალულად, ერთი წამით გამოაპარებდა ხოლმე მისკენ. ვერ გაერკვია, რომელი იყო სინამდვილე: პაპის ვენახი თუ ქმრის სახლი; პაპის ხმა ეჩვენებოდა თუ ერთბაშად გაუცხოვებული, გასაცოდავებული ქმარი. მაგრამ ასე იყო თუ ისე, იმ დღის მერე ოჯახურ სიმშვიდეს ბზარი გაუჩნდა, თუმცა, სიმშვიდის ბზარში, დღითი-დღე რომ ფართოვდებოდა, ჯერჯერობით ისევ წარსულის ცალკეული ნაფლეთები მოჩანდა მხოლოდ; ერთისთვის — ვენახი, ნუშის ხის ძირას გარინდებული სახედარი, უგუმბათო ეკლესია, დედის საფლავის ქვაზე მიმწვარი სანთელი თუ საცხედრეს წინ შეგ-

როვილი სტუდენტები. მეორისათვის — მკვდარი ცხენის მუცლიდან ჭურვივით გამოვარდნილი ვირთხა, დაბუშტული წყლით სავსე ორმოები, დახოცილი დელფინები, დედამისის რომელიღაცა სტუმარი ქალის შთამბეჭდავი გულმკერდი თუ სისხლიანი ლეჩაქით ხელგადახვეული და ლაჯებგამოსვლებული ოფიცერი. ჯერჯერობით წარსულის ანაბარა იყვნენ დარჩენილნი. რაც რამე იცოდნენ, განეცადათ და ახსოვდათ, ძალაუნებურად, წარსულთან აბრუნებდათ. მაგრამ, საუბედუროდ, არც წარსული ჭქონდათ საერთო და ცოლქმრულ საწოლში ერთმანეთის გვერდით გატრუნულნი, ვითომ ერთმანეთის სიმშვიდეზე მზრუნველნი, თავთავიანთი წარსულისკენ მიიპარებოდნენ, ერთმანეთის უჩუმრად, სადაც გაცილებით თამამად და თავისუფლად გრძნობდნენ თავს და საიდანაც უნაყოფო, უმომავლო სინამდვილეს უბრუნდებოდნენ ყოველ დილით, კიდევ უფრო დათრგუნულნი და დაბოროკილნი სინდისის ქენჯნით, უერთმანეთოდ გატარებული კიდევ ერთი ღამის გამო. ისეთი გრძნობა ჰქონდათ, თითქოს ერთმანეთს ღალატობდნენ, ცოლქმრულ ფიცსა ტეხდნენ, რაკი მომავლის შესაქმნელად განკუთვნილ სიყვარულს მოგონებებს ახმარდნენ და ქურდბაცაცა მელიებივით, სხვადასხვა სოროში ეზიდებოდნენ საერთო სუფრიდან, მაგრამ რაკი სწუხდნენ, წვალობდნენ, რაკი რცხვენოდათ ერთმანეთისა და ერთმანეთის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდნენ, ესეც უკვე ერთგვარი შეღავათი იყო გამოყრუებული, უშვილძირო ოჯახისთვის, ერთგვარი გარანტიაც იმისა, მათთვისაც რომ შეიცვლებოდა რაღაცა, რის შემდეგაც ან მართლა უნდა გათიშულიყვნენ ისინი, თანაც სამუდამოდ, ან ასევე სამუდამოდ შეუღლებოდნენ ერთმანეთს, სისხლიან-ხორციანად, ერთმანეთით ავსილნი, ერთმანეთში ჩაწრეტილიყვნენ უსასრულოდ, ჯიუტად, უღალატოდ, როგორც დღე და ღამე, ვიდრე მათი ყველა ძარღვი, ყველა კუნთი, ყოველი უჯრედი არ განიმუხტებოდა გადატანილი ელდისაგან, შიშისაგან, ურწმუნოებისაგან და არ დაიჯერებდნენ, თვითონაც ჩვეულებრივი ადამიანებიც რომ იყვნენ, ჩვეულებრივი ცხოვრების ღირსნი, და არა მარტო შეეძლოთ, ევალებოდათ კიდეც მსგავსის შექმნა, გაუმწარებდათ თუ გაუხალისებდათ იგი ცხოვრებას, ბედნიერი იქნებოდა თუ უბედური თავად, რადგან იქამდე არც ცხოვრება ეთქმოდა იმათ ყოფას: ერთი ქარგვით იღამებდა თვალებს, მეორე კი მგზნებარე სიტყვებს წარმოსთქვამდა იმათ დასაცავად, დამარხვის მეტი აღარაფერი რომ სჭირდებოდათ, ვულს უჩუეებდა ხალხს, რომელსაც კაცის ნება წარმართავდა და არა კანონი. რა თქმა უნდა, ეს ის არ იყო, რისთვისაც გაჩენილიყვნენ, რაც ეევალებოდათ, რაც აუცილებლად უნდა შეესრულებინათ კიდეც, აღრე თუ გვიან, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, შესწეოდათ თუ არა საამისო ძალა და უნარი, რიგგან ცხოვრებას თავის უკიდეგანო სცენაზე ალბათ უკვე იმათთვისაც ჭქონდა ადგილი მოცლილი, შეიძლება, უფრო მცირე, უფრო უმნიშვნელო, ვიდრე საოჯახო თეატრის სცენა, რომელსაც ქალბატონი ქეთევანი პოლიციელებს გააწყობინებდა ხოლმე აივანზე, მაგრამ გაცილებით მრავალრიცხოვანი მაყურებლისთვის განკუთვნილი, რომელსაც სრულებითაც არ ენაღვლება შენი უნიჭობა თუ ნიჭიერება, შენი გაუბედაობა თუ გამბედაობა, და ახლოლდ თავფეხიანად, სულის ფსკერამდე გაშიშვლებას მოითხოვს შენგან. ამას ორივე გრძნობდა, ცოლიც და ქმარიც, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, წესი ენებად ექციათ, ენება — ცეცხლად, ცეცხლი კი — სიცოცხლედ; ბიძგი ჰირდებოდათ, თვალნათელი მაგალითი, რაც სცენაზე ასვლას გააბედვინებდათ, ანუ შიშითა და ოცნებით გაბერწებულ ხორცს შეუძრავდათ და ხვალინდელი დღის რწმენას ჩაუნერგავდათ. და აი, ერთ მშვენიერ დღეს (თუმცა მერე, როცა მო-

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

digitized by

სახდენი მოხდა, დიმიტრი სწორედ ამ „მშვენიერი დღიდან“ იწყებდა თავისი უბედურების წელთაღრიცხვას) ჭიშკარმა ქვანასროლი ძალიერით დაიწყაწყაცა და ეზოში უცხო ქალი და კაცი შემოვიდა. დარია ამჯერად თეორეულს ნამაგდა დასაუთავებლად. უთო უკვე გახურებული ჰქონდა. დიმიტრიც ეს წუთია შემოსულიყო ოთახში; ჩვეულებისამებრ, დაეხედა მამისეული ხეებისთვის და ახლა, სანამ რამეს იტყოდა, ხელებს იფშვნეტდა, როგორც რაიმეთი დიდად ნასიამოვნები კაცი. ცხელი უთოსი და დანამული ქსოვილის სუნი სრულებითაც არ იწვევდა საფრთხის წინათგრძნობას, მაგრამ ცხოვრებისეული ქარტეხილები, რომელთა შესახერებელი ჯერ ბირი ჯერ არ მოუგონია ადამიანს და, საბედნიეროდ, ვერც ვერასოდეს მოიგონებს, უკვე დაძრულიყო, ოღონდ ჯერჯერობით მხოლოდ წინამორბედი, სუსტი ტალღები ელამუნებოდა მწვანეში ჩაფლულ სახლს, სახლის პატრონს ეშვი რომ არ აეღო და მომზადებული არ დახვედროდა საბოლოო დამანგრეველ დარტყმას. და აი, აწკაფწკავებული ჭიშკარი ყურთამდე გაიღო და ეზოში უცხო ხალხი შემოვიდა. წინ ქალი მოდიოდა, გაღიმებული, თუმცა ხშირხშირად იხედებოდა უკან, თითქოს არ სჯეროდა, მართლა თუ მოჰყვებოდა კაცი. დარია და დიმიტრი აივანზე გამოვიდნენ და მოუთმენელი ცნობისმოყვარეობითა თუ მოუთმენელი ცნობისმოყვარეობით შენიღბული შიშით მიაჩერდნენ მათკენ მომავალ უცნობებს. კაცმა ხელები ასწია და შორიდანვე დაიძახა: ნუ გაგვიბრაზდებით, სამტროდ არა ვართ მოსულებიო. მაღალი კაცი იყო. თმა ლომის ფაფარივით აშლოდა თავზე. გამარჯობათო — თქვა უკვე ორსაფეხურიან კიბესთან და ისე მიმხიბველად გაიღიმა, უნებურად დამხედურებსაც გადასდო ღიმილი. ორივენი, ქალიცა და კაციც, თვალშისაცემად, გამომწვევად ხალისიანები, სიცოცხლით სავსენი იყვნენ: ჯინიან ცხენებს ჰგავდნენ, ადგილზე რომ ვერ მოუსვენიათ და ერთი სული აქვთ, როდის მოწყდებიან, როდის ამოიდებენ ფეხქვეშ სივრცეს. დიმიტრის პირველად და-ძმაც კი ეგონა ისინი, ბაკურა ნინოსა მისი არასწორი ვარაუდის გასაბათილებლად, კაცმა თავის მომხიბველ ღიმილს მაშინვე ბოდიშივით მოაყოლა: ჩემი ცოლის ბრალია, ჩემმა ცოლმა აიჩემაო, და თან ქალს ნაზად მოხვია მხარზე ხელი. „მე მგონი, ჯერ არაფერი დამიშავებიაო“ — მომხიბვლელად გაიღიმა ქალმაც. მწვანე კაბა ეცვა, სალათისფერი, თითქოს მკვრივი, მოქნილი სხეულის სინათლით გაბაცებული. ზედა ტუჩზე ოფლის მსხვილი წვეთები უციმციმებდა. ოდნავ გაპობილი პირიდან თეთრად ჩაწიკწიკებული კბილები მოუჩანდა. „მხოლოდ ალქაჯი შეიძლება იყოს ასეთი ლამაზოო“ — გაიფიქრა დიმიტრიმ და უცებ, ყოველად უსაფუძვლოდ, შეეშინება იმათი, მაგრამ თვითონვე შერცხვა ამ უსაფუძვლო შიშისა და ნირწამხდარმა ამოიღუღლუღა: მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა. „ახლავე აგიხსნით ყველაფერს“— გაგრძელა კაცმა და უფრო მაგრად მიიზიდა ქალი. დამხვდურები შეიშმუშნენ, ერთი წამით, ისე რომ, თავადაც არ მიუქცევიათ ამისთვის ყურადღება, უბრალოდ, ისინიც ცოლ-ქმარი იყვნენ, მაგრამ უცხო ხალხის თვალწინ არასოდეს მოხვევიან ერთმანეთს. ეგ იყო და ეგ. დიმიტრიმ ჩაახველა. დარიას ლოყები შეეფაკლა. „გამიშვი, უხერხულია“. — თქვა ქალმა. წელში გაზნექილი იდგა, ცალ ფეხზე; მეორე ფეხის წვერით ოდნავ ეხებოდა მიწას. „ახლავე აგიხსნით ყველაფერს“ — გაიმეორა კაცმა. „შინ მობრძანდით, შინ უფრო გრილა“ — ვაუწყვეტინა დიმიტრიმ. „ჩვენ ცოლ-ქმარი ვართ. მსახიობები, — გააგრძელა კაცმა. — თქვენმა თეატრმა მოგვიწვია სამუშაოდ. თბილისიდან გეახელით. უფრო სწორედ, მსახიობი მე ვარ. ეს კი მსახიობის მეუღლე გახლავთ, ჩემი მეუღლე. რამე თუ შემეშალა სცენაზე, მტრისას, ჯვარს მაცვამს ხოლმე. ასე არ არის? — მიხედა ქალს. ქალმა თავი დაუქნია. ისევ ისე იდგა, ცალ ფეხზე, წელში გაზნექილი, უსაშველოდ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემაშფოთებლად, სახიფათოდ, ალეჯინ-ვით ლამაზი. — თქვენს მეზობლად ვიქერავეთ ოთახი. — კაცმა თავისუფალი ხელი უკან გაიშვირა. დიმიტრიმ და დარიამ მომიჯნავე სახლის ყრუ კედელში დატანებულ ერთადერთ სარკმელს შეხედეს ერთდროულად. — მაგრამ ჩემს ქალბატონს არ მოსწონს თავისი ახალი ბუდე. უკეთესსაა მიჩვეული. მიდგება სარკმელთან და თქვენს სახლს უყურებს, როგორც ღორმუცელა ბავშვი საშაქარლამოს ვიტრინას". „შინ მობრძანდით, შინ უფრო გრილა" — გაიმეორა დიმიტრიმ, რამე რომ ეთქვა, სულელივით რომ არ მდგარიყო დაუპატიჟებელი სტუმრების წინაშე. „ტყუილად ვაწუხებთ ამ ხალხს" — თქვა ქალმა. თავი არ აუწევია. მიწას დასცქეროდა გაღიმებული. თითქოს მოსწონდა ქმრის ლაპარაკი და, იმავე დროს, თითქოს რცხვენოდა კიდეც ქმრის მაგივრად. „დამაცადე — უთხრა კაცმა და ფეხი კიბის საფეხურზე შესდგა. — რახან მოვედით, გაპრანჭვას აზრი აღარა აქვს. ხარჯი ხარჯია. სიმართლე რომ გითხრათ, რატომღაც მოხუცებად მყავდით წარმოდგენილი. თქვენი ხისფეხა მეზობლის ბრალია. იმან გვითხრა, უშვილძირო ოჯახიაო. მეც ასე ვიფიქრე, თითქოს ასეთ სახლში მხოლოდ მოხუცი ცოლ-ქმარი უნდა ცხოვრობდეს, წყნარი, კეთილი, ერთადერთი საზრუნავიღა რომ დარჩენიათ, ყვავილების მორწყვა ანდა ჩიტებისთვის საკენკის დაყრა არ დაგვავიწყდესო. არც კი აინტერესებთ, რა ხდება ქვეყანაზე, საერთოდ, არსებობს თუ არა ქვეყანა. ცხოვრობენ თავიანთ პატარა სამოთხეში, მშვიდად, უზრუნველად, უცოდველად დაბერებული ადამ და ევა. თქვენ კი, — ლაპარაკ-ლაპარაკით ამოვიდა აივანზე. ქალიც თან ამოიყოლა. ისევ მხარზე ჰქონდა იმისთვის ხელი მოხვეული, თითქოს ქალს უჭირდა თავისით სიარული ანდა უძალიანდებოდა. — ღმერთო ჩემო! — შესძახა დიდ ოთახში შესვლისთანავე. — აი, ჩვენი, ძველებური, ქართული სისადავე. აჭარაში ჩამოვედი და საქართველო აღმოვაჩინე. მართალი ხარ, — მიუბრუნდა, — ეს რომ ჩემი სახლი იყოს, არავის შეგიშვებდი. ანდა დამთვალიერებლებს შემოვუშვებდი მხოლოდ. თანაც ფასიანი ბილეთებით, როგორც მუზეუმში არა, როგორც ჩვენთან, თეატრში. ბილთის ფასი ხუთი კაპიკიდან ხუთ მანეთამდე. ღარიბებისთვის ხუთი კაპიკი, მდიდრებისთვის ხუთი მანეთი. შეიძინეთ, ბატონებო, ბილეთი! წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ. ერთი ღარიბი მოსწავლის სასარგებლოდ. მოუსავლიანობით დაზარალებულთა სასარგებლოდ. გადასახლებულთა სასარგებლოდ. ერთი ხელმოკლე სტუდენტის სასარგებლოდ..." „ნუ მოყვები ახლა შენებურად — გაიღიმა ქალმა და კაცს მხარზე ლოყა აუსვა. — მართლა როგორ გრილა აქ. მხოლოდ ძველ სახლებშია ასეთი სიგრილე. ასეთი სიწყნარე". „მხოლოდ მუზეუმში ანდა სასაფლაოზე — შეუსწორა კაცმა. — მუზეუმი და საყდარი. წარსული და მომავალი. სინანული და იმედი. აგე, ჩვენი დიდი პაპა" — ხელი კედელს მიუშვირა. კედელზე ფერადი ძაფით ნაქარგი რუსთაველის სურათი ეკიდა. ოთახის ბინდიდან ალისფერმა სახემ გამოანათა მოფლიდნელად, თითქოს სენაკიდან, ეს წუთია, სადღესასწაულოდ მორთული ბერი გამოვიდაო; თითქოს ისიც მასპინძელი იყო და მოსულებს გამოხედა. „ბავშვობაშიც მინახავს სადღაც ასეთი რუსთაველი". — თქვა ქალმა. „ჩვენი ბავშვობის თოვლის ბაბუა, — გაიწყვეტინა კაცმა, — სახელოვანი სიკვდილი მოგიტანეთ, ბავშვებო, საჩუქრად. ბირს კი ნუ აბჩენთ, შოშიებივით, თვალი გაახილეთ. ყველას გვახსოვს, არკი ვიცით, იყო თუ არა სინამდვილეში." „რატომ ჰქვია თქვენს თეატრს რკინისა?" — იკითხა უცებ ქალმა. დარიამ მხრები აიჩეჩა, დიმიტრის შეხედა. დიმიტრიმაც აიჩეჩა მხრები: რა კიცი, ასე ეძახიანო; ვიდრე

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრად გადააკეთებდნენ, რკინეულობის საწყობი იყო და ალბათ ამიტომო. „ალბათ, ალბათ... — გაწყვეტინა კაცმა. — მაგრამ თეატრი რკინასავით გამძლე უნდა იყოს, რკინასავით მაგარი. რადგან მარტო იქღა ფრიალებს ჩვენი დროშა, მტრების გულის გასახეთქად". „ოოოჰ, — შეიშმუხნა ქალი. — ამ ხალხს მაინც რას ერჩი, იქნებ არ სიამოვნებთ შენი ლაპარაკი". „კი მაგრამ, რას ვამბობ ამისთანას? — გაიკვირვა კაცმა. — ალარც ვილაპარაკოთ? ენას კბილი დავაჭიროთ? თვალი დავხუჭოთ? გულხელი დავიკრიფოთ? მოვკვდეთ? აღარა ვართ? ჩვენი თავადაზნაურობა სამარცხვინო იუბილეებით აპირებს ქვეყნის გადარჩენას, მაგრამ ახლაც ნაცარში ჩაუვარდა კოვზი. უნივერსიტეტის მაგივრად კიდევ ერთი სამხედრო სასწავლებელი მიიღო საჩუქრად, ზარბაზნის ბოლში რომ გაახვიოს თავისი ნიჭი. ერთი! და ორი! და სამი! ერთი! და ორი! და სამი! ყოჩაღ, ქართველო თავადიშვილებო! ვემსახურებით ხელმწიფეს! ერთი! და ორი! და სამი!..." „გამიშვი ხელი. ამისთვის მოვედით? ამისთვის წამომიყვანე?" — გაბარაზდა ქალი. გაიწია კიდეც, მაგრამ კაცმა კიდევ უფრო მაგრად მიიზიდა. ქალს სიბრაზისგან ტუჩები უცახცახებდა „მე რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ და არავინი არ მეშინიაო" — უთხრა კაცმა. სამაგიეროდ დიმიტრი შეშინდა უარესად. ვერ მიმხვდარიყო და ვერც ეკითხა (ვინ აცალა ლაპარაკი?), რა უნდოდა მისგან ამ უცნაურ ცოლ-ქმარს. ვექალი რომ არ ჭირდებოდათ, მაშინვე შეატყო. იქით დაუდგებოდნენ სხვას ვექილებად; მაგრამ, რა თქმა უნდა, არც იმის გასარკვევად იყვნენ მოსულები, თუ რატომ ერქვა ბათუმის თეატრს რკინის თეატრი. შინ იყო, საკუთარ ჭერქვეშ, მაგრამ მასპინძლისა არაფერი ეცხო. ისე იყო დაძაბული, თითქოს ბოშები შემოვარდნოდნენ შინ, გინდა თუ არა, უნდა გიმარჩიელოთო; თითქოს რაღაცა უნდა ეთქვათ იმისთვის — შემზარავი. წარმოუდგენელი. იმასაც კი ფიქრობდა, მოგზაურებმა ხომ არ არიანო, მაგრამ თვითონაც ... ამგვარი მდგომარეობა ფიქრისა; უნდობლობას ნამდვილად არ იმსახურებდნენ მისი უცნაური სტუმრები, მაგრამ ვერაფერი ზრდილობა გახლდათ უცხო ხალხთან იმაზე ლაპარაკი, რის გამოც, ადვილი შესაძლებელია, მთქმელსაც და გამგონებელსაც ციმბირი უკან დარჩენოდა. ესეც რომ არ იყოს, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაემხილათ თავიანთი მოსვლის მიზეზი? ისინი კი ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ, თითქოს სტუმრად კი არ იყვნენ, სცენაზე თამაშობდნენ და დიმიტრისა და დარიას ისღა ევალებოდათ, აეს პირდაღებულს ეცქირათ იმათი თამაშისთვის. არც ისაა გამორიცხული, თავიანთი მღელვარების შესანიღბად რომ იქცეოდნენ ასე, უფრო სწორედ, ასე გამოსდიოდათ, მაგრამ გინდაც მართლა ასე ყოფილიყო, რა შეღავათი იყო დიმიტრისთვის? პირიქით, დიმიტრისაც სწორედ მათი ცუდად შენიღბული მღელვარება გადასდებოდა, გაურკვეველი, უსახელო, მისი არსებისთვის ყოვლად უცხო, მიუღებელი და ამიტომაც, გაცილებით შემაწუხებელი, ვიდრე სხვა, საკუთარი, რაიმე გარკვეული მიზეზით გამოწვეული მღელვარება. ოთახში ჰაერი ჩაიხუთა. სუნთქვა ჭირდა. საგზებიც უჩვეულოდ დაძაბულნი, დაეშვებულნი გამოიყურებოდნენ. უნებურად მამის სურათისკენ გააპარა თვალი, თითქოს მკვდარი პოლიციმეისტერი დაიცავდა, თითქოს დაიფრენდა ამ დაუპატიჟებელ სტუმრებს, სტუმრებს კი არა, აკრძალული იდეების კონტრაბანდისტებს. დარია, დარიაო — იყვირა უცებ, გაცილებით სმამღლა, ვიდრე საჭირო იყო, ვიდრე გულდაჯერებულსა და ზუტგმაგარ მასპინძელს შეეფერებოდა. დარიამ გაკვირვებულმა შეხედა, თითქოს ისიც ეს წუთია გამოერკვა რინდიდანო. სხვათაშორის, ასედაც იყო. შეიძლება, ქმარზე მეტადაც დააბნია და ააღელვა იგი ამ მოულოდნელმა სტუმრებმა. დაინახა თუ არა თბილისელი მსახიობი, უფრო

ზუსტად, როგორც კი ხელები ასწია იმან, მაშინვე მკვდარი მამა გაახსენდა რატომღაც: თუმცა, რაღა რატომღაც — გაჭირული ვაშლივით ჰგავდა თბილისელი მსახიობი მამამისს. მამამისმაც ასე იცოდა ხელების აწევა. შორიდანვე რომ დანახვებოდა სარკმელთან მომლოდინე შვილს. ხელებაწეული მოდიოდა ქუჩაში და სრულებითაც არ ენაღვლებოდა, მთელი ქუჩა რომ ეყურებდა. მხრებს რომ იჩეჩავდნენ მისი უცნაური საქციელით გაკვირვებული გამვლელები. ხელებაწეული მოდიოდა ქუჩაში, თბილისელი მსახიობივით ლამაზი. ახოვანი, და სარკმლის მინაზე ცხვირმიკეჭლტილ შვილს ეღიმოდა. შვილსაც ეღიმებოდა და ისიც ხელებით ანიშნებდა მამას, სირცხვილია, ხალხი გიყურებსო, თუმცა გული სიამაყითა და სიხარულით ებერებოდა, ასეთი მამა რომ ყავდა, მისი ქკუისა, მისი ამყოლი, მისი გამგები, თითქოს ამხანაგი ბიჭი იყო და არა მამა, თანაც მეცნიერების ამომაკალი ეარსკლავი... და, რაც მთავარია, ასეთი აღგზნებული სახე ჰქონდა მამაძისსაც იმ საზარელ დღეს. იმ საზარელ დღეს მამას ხელები აღარ აუწევია შვილის დანახვისას: ერთი წამით გამოხედა ძხოლოდ, დაბნეულად, თითქოს შემთხვევით. და ისევ ვიღაც მთვრალებს მიუბრუნდა. მთვრალები ეკიდელწვეროანი მოხუცისკენ იწევდნენ, მაგრამ დარიამ მოგეიანებით შეამჩნია იგი. მერე შეამჩნია. როცა მამამ თვალებგადმოკარკლულ მთვრალს მკერდში ხელი უბიძგა, რომ დანარჩენი მთვრალები მამას მიესივნენ, ხოლო ის ჩია, გრძელწვერიანი მოხუცი მოკლე, სასაცილო ნაბიჯებით გაიქცა. დარია სწორედ იმ სასაცილო სირბილმა შეზარა: მაშინვე მიხვდა, რაღაც უბედურებაში რომ იყო გახვეული მამამისი და ის ამ უბედურებას რომ გაურბოდა ასე სასაცილოდ ის ჩია, გრძელწვერიანი მოხუცი. მერე თვითონაც არ იცოდა, რას აკეთებდა. რას გაპარ-ოდა, თავით გატანილ სარკმელში სანახეერად გადაკიდული. ეიდრე ეიღაცეები კარს შეაღოებენ-ენ-ენ-

ლებს, პირი დაუღიათ: ღმერთი ვიხილეთო. ქართველებმა აღარ იცოდნენ თურმე, როგორ გაბერილიყვნენ და გაბღენძილიყვნენ. სტუმრად, კი ბატონო, როდემდენაც უნდოდათ, ოთახს კი ვერ მიაჭირავებდა, ვერავითარ შემთხვევაში; ვერც იმას აკადრებდა, თქვენი ფული ან მინდათ. ბოლოს და ბოლოს, მსახიობები იყვნენ და არა უსახლკარო, მოხეტიალე ბოშები, მაგრამ იმთავაც ეგეგოთ, არ უნდა გაემტყუნებინათ დიმიტრი და კეთილ მეზობლებად დარჩენილიყვნენ მომავალშიც. „სხვათაშორის, ფიდაჩრიბიც მსახიობად. შეიძლება გაგეგეულიც გკონდეთო“ — მოაყოლა დარეხენილმა. კაცმა გაიცინა და დიმიტრისთვისაც რომ დაემტკიცებინა, არაფერი გითქვამს საწყენი, ხუმრობით დაემუქრა: არ დაგავიწყდეთ, თქვენი სამოთხე ხელისგულივით რომ მოჩანს ჩვენი სარკმლიდანო. თავაღებით შეეკუთამთ, თქვენიანადო. სხვაც ბევრი ითქვა. ასე რომ, დარია ხილის გამოტანასაც მოასწრებდა და ხაჭაპურის გამოცხობასაც, მაგრამ არცერთი აღარ დაფიქრებულა ამაზე. ოთხივე აღგზნებული იყო ამ მართლაც უცნაური გაცნობით. მოსულები თავიანთი „სითავედისთვის“ იხდიდნენ ბოდიშს; დამხდურები წუხდნენ, პირველსავე სათხოვარზე უარი რომ უნდა ეთქვათ და გაეწბილებინათ „ასეთი სასიამოვნო“ მეზობლები. გულწრფელად თხოვდნენ (რაღაი ახლა ასე მშვიდობიანად გადარჩენილიყვნენ), ხშირად მოსულიყვნენ „დაუპატიჟებლადაც“, „თავისუფლად, თამამად, როგორც საკუთარ ოჯახში“ (მერე კი იცემდა დიმიტრი თავში ხელს, მაგრამ მერე რაღას გამოასწორებდა. „ამას ჰქვია სწორედ, ენაზე დამაბიი“ — ბაიძახოდა გამწარებული, შუაღამისას მწვანე ჭიშკარი ქვანასროლი ძალიერად რომ დაიწკავწკავებდა და თბილისელი მსახიობი „დაუპატიჟებლად“ დაადგებოდა ხოლმე თავზე). თავაზიანობაში არც მოსულები ჩამორჩებოდნენ დამხდურებს. კაცმა წინასწარ დაპატიჟა ისინი თეატრში, ოღონდ ჯერჯერობით, ზუსტად არ იცოდა, რადის შედგებოდა წარმოდგენა. ეს ერთ ითამაშებდა. მაგრამ [illegible] ზუსტებდა, მაშინვე შეატყობინებდათ და ბილეთებსაც მოართმევდათ. „ან კეიასარს ვითამაშებ, ან კაი გრაუსს, ან ტრიელს, ან ხიმშიაშვილს. შეიძლება, ჰამლეტსაც. — თქვა კაცმა და უცებ, თითქოს ზნემ წამოეუარაო, თვალები გადაატრიალა, სახეზე მკვდრის ფერი დადედო, ცოლი ახლა ორივე ხელით მიეხუტა გულზე და სრულიად სხვა, იმქვეყნიური, არაადამიანური ხმით გააგრძელა: ნუ იზამ იმას, რაც მე გითხარ, რაც დაგარიგე. დეე, იმ მეფემ გარყვნილ საწოლს კვლავ მიგიტყუოს, გადაგისვას ხელი მაგ ლოყებზე, მოგეალერსოს; მაშინ შენ იმის უწმინდურსა, მხურვალე კოცნას და დაწყვეტილის თითებითა გაფუფუნებას შესწორავ ჩემსა საიდუმლოს, ყველას გაუმხელ, ეტყვი, რომ გიჟი კი არა ვარ, ვიგონებ მხოლოდ. კარგი იქნება, ყველაფერი გამოამეღვნო, ან ვით შეჰფერის შენებრ ლამაზს, ჭკვიან დედოფალს, მას დაუმალოს ესოდენი მძიმე საქმენი... მას, იმ ღამურას, ქვემძრომ ჯოჯოს, ქეციან კატას“. „ბრავო, ბრავო, ბრავოო“. — ტაში დაუკრა წეღანდელზე არანაკლებ დამფრთხალმა და დაბნეულმა დიმიტრიმ. დარიას თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. „საცოდავებიო“ — თქვა ბოლოს. თუმცა, ეს რომ თქვა, სტუმრები უკვე კარგახნის წასულები იყვნენ, თავად კი ისევ მაგდასთან იდგა, დანამულ თეთრეულზე ხელებდაწყობილი. დიმიტრიმ მოუკრუა. აღადა, ძალიან გააკვირვა დარიას ნათქვამმა; გააკვირვა და რაღაცნაირად შეაწუხა კიდეც. თითქოს დარია ქმარს კიცხავდა შეფარულად, რადგან, დიმიტრის აზრით, სტუმრებს არაფერი სჭირდათ შესაცოდი. პირიქით, დარწმუნებული იყო, ვერავინ და ვერაფერი აღუდგებოდა წინ იმათ ნება-სურვილს; ხოლო თუ, მინაცდამინც, ბინაზე იყო საქმე, ამასაც მოაბამდნენ თავს. ჯერ ახალი ჩამოსულები იყვნენ, ახლა იწყებდნენ ცხოვრებას და არაფერი დაშავდებოდა, ცოტახანს რომ გაეჭირვებინათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც მთავარია, წვიმა არ დასდიოდათ თავზე: ბოლოს და ბოლოს, თავშესაფარი კი რა უთხოვიათ, უკეთესს დაეძებდნენ: გიჟისა არ იყოს, სხვისი სახლი ერჩიათ თავისას. პირველი შემთხვევა იყო, მისი და დარიას აზრი ერთმანეთს რომ არ დამთხვეოდა და, ცოტა არ იყოს, განაწყენებული სცემდა ბოლოს, მაგრამ დარიამ რომ თხოვა, ზეწარი გამაჭიმინეო, გაუხარდა კიდეც, რადგან მარტო დარჩენილი, ძალაუნებურად, ისევ სტუმრებზე ფიქრობდა, როგორც მგრძნობიარე მაყურებელი უკვე დამთავრებული. მაგრამ მძიმე, დაძაბული წარმოდგენის გმირებზე. მაშინვე ჩამოართვა ზეწრის ბოლო და ათრთოლებული თითებით მოჭმუჭნა. მეორე ბოლო დარიას ეჭირა და ელოდებოდა. ცოლ-ქმარს შორის გაბმული, მობოშებული ზეწარი ოდნავ ირწეოდა ჰაერში, ეარეი ჰამაკივით, თითქოს ეს წუთია ვიღაც წამომდგარიყო იქიდან, ვიღაც მესამე, რომელსაც მათი ბედი ეკითხებოდა. უცებ ისეთი სევდა შემოაწვა დიმიტრის გულზე, ისე შეეცოდა ცოლიცა და საკუთარი თავიც, თითქოს უფსკრულის სხვადასხვა მხარეს იდგნენ ისინი და ამ დაჭმეჭნული ზეწრითღა უკავშირდებოდნენ ერთმანეთს: თითქოს საკმარისი იყო, რომელიმე მათგანს ზეწრისთვის ხელი გაეშვა, სამუდამოდ მოსწყდებოდნენ. სამუდამოდ დაჰკარგავდნენ ერთმანეთს და არარაობის, არარსებობის თვალჩაუწვდენელ უფსკრულში ჩაინთქმებოდნენ. გაუბედავად, ფრთხილად მოქაჩა ზეწრის ბოლო და იგრძნო, როგორ დაიძაბა, როგორ გაუძალიანდა ცოლის სხეული უფსკრულს გადაღმა. რაღას უცდიო — თვალებით ჰკითხა დარიამ, ხოლო დიმიტრიმ ახლა ისე მძლავრად დაიქნია ზეწარი, უნებურად წინ წამოვარდნილი დარია მკლავებში მოიმწყვდია. დარიამ გაკვირვებული, დაბნეული თვალებით აძოხედა. „როგორა ხარ, დარიაო" — მიესაყვარულა დიმიტრი, მაგრამ საკუთარმა ხმამ შეაკრთო, ნერწყვის ჩაყლაპვა გაუჭირდა და სასწრაფოდ აარიდა თვალი. ნიკაპი თავზე ჩამოადო და გაილურსა. შემცბარ-შერცხვენილი რიაქებული უსმენდა, როგორ დარიას გული, სადღაც ძალიან ახლოს, ლამის მის არსებაში. ისეთი გაფაციცებული სახე ედო, თითქოს ბავშვი იყო და პირველად მიედო ყურზე მამის საათი. და მართლაც, ერთი წამით, შორეულმა, ბავშვობის დროინდელმა მოგონებებმა გაიელვა მის გონებაში: ხელში დაჭერილმა ოფიცერმა, აკრიალებულებულმა სტუმრებმა, ატკაცუნებულმა სანთლებმა... მაგრამ ერთი წამით. ახლა წარსულისთვის არ ეცალა. ამდენი ხნის ქმარი იყო და აქამდე არ იცოდა, ასეთი თბილი, ასეთი გამბარუებელი სურნელი თუ ჰქონდა მის ცოლს; ასეთი ნაზი, სულისშემძრავად ფრეკადი ნეკნები... მერე წუთას გაშმაგებული ჭოკცნიდა დარიას ცრემლიან თვალებს, ლოყებს, ტუჩებს, თმას... ზეწარი უშლიდა, ზეწარში იყვნენ გაბლანდულნი ორივენი და ერთად, ზეწრიანად, მიჭერილნენ თვალჩაუწვდენელ უფსკრულში, ოღონდ იქამდე განუცდელი, იქამდე მათთვის არარსებული თავდავიწყების, შვებისა და ნეტარების უფსკრულში. „დიმიტრი. დიმიტრი". — აფხიზლებდა, აფრთხილებდა ცოლი, მაგრამ დიმიტრის ვეღარაფერი შეაკავებდა: ბოლომდე, სულიანხორციანად, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა ჩაცლილიყო ნეტარების უფსკრულში. მსგავსიც არაფერი გაგონცდია იქამდე; არასოდეს არ უგრძნია ასე ცხადად საკუთარი მამაკაცობა, საკუთარი სხეული, ცოლის სხეულს შერწყმული, შედეგიანული; არასოდეს არ ყოფილა ასეთი გულწრფელი, ასეთი გულუხვი, ასეთი თამამი; არასოდეს არ გაუცია და არასოდეს არ მიუღია სანაცვლოდ ამგვარი წყალობა, ჯილდო, მადლი... არასოდეს. არასოდეს. არასოდეს... დარია!

ცხრა თვის მერე ნატო მოეკლინა ქვეყანას — ორი წყვილი ცოლ-ქმარის ნაშიერი, რამდენადაც, გარკვეული თვალ-

---

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

საზრისით, ახალ მეზობლებსაც მიუძღვოდათ წვლილი მის გაჩენაში, რის გამოც, სხვათაშორის, მადლობის მეტს არაფერს იმსახურებდნენ ისინი არც ნატოს კანონიერი მშობლებისგან და არც ნატოსგან, რაც არ უნდა ბაცარი, დაუნდობელი და შეუფერებელი ყოფილიყო ქვეყანა ნებისმიერი ახალი სიცოცხლისთვის, რადგან სიცოცხლე თავისთავად უკვე დიდი მადლია და ერთნაირად ძვირფასია — ბედნიერებით გაგაუბედურებს თუ უბედურებით გაზიარებს ბედნიერებას. მაგრამ, სამწუხაროდ, თავად წაუვიდათ ცუდად საქმე: თითქოს სამუდამოდ აპირებდნენ ბათუმში დარჩენას, მაგრამ ქალმა სამი თვეც ვერ გაუძლო აქაურობას, უფრო სწორედ — თავისი ქმრის სისულელეებს, და უკანვე გაიქცა. თუმცა გასაკვირი ის იქნებოდა, ასე რომ არ მოქცეულიყო, მკერდი მოეშშვლებინა, კომუნარი ქალივით, და ჩიტირეკია ქმარს ვვერდში ამოსდგომოდა ბარიადზე. ქალს თავისი ოჯახი, თავისი ბუდე უნდა და არა ჩხუბი და აყალმაყალი: ხოლო იმის მეუღლე სულ იმაზე ფიქრობდა, კიდევ რა მოვიგოთო ისეთი, უარესად რომ გადავრიო ხალხიო. მეფეს ებრძოდა, ტახტის დამხობას აპირებდა, დიდება აუვარდა თავში და მსახიობობა აღარ აკმაყოფილებდა, გმირის გვირგვინს ელტოდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, აღწევდა კიდეც თავის მიზანს, რადგან ხალხს სეირი უჩრევნია ყველაფერს და ვინც სეირს გაუმართავს, იმისი გმირიც ის არის. ცოლს გაქცევამ ხომ კიდევ უფრო განადიდა მისი სახელი, კიდევ ერთი ეკალი მიუმატა იმის გვირგვინს, თითქოს რაკი მსახიობი იყო, თანაც სახელოვანი, არ შეიძლებოდა ჩვეულებრივი ცხოვრებით ეცხოვრა: ოჯახი ჰქონოდა, ბავშვი გაეხარდა, თავის დროზე დაეინა, თავის დროზე ესადილა, ფული აარიათინაად დაეხარჯა და შავ დღეზეც ეფიქრა. მოკლედ, ისეთი ყოფილიყო, როგორიც მისი თაყვანისმცემლები, მისი განმადიდებლები იყვნენ, ჩვეულებრივები, შეგუებული ჩვეულებრივობას, რის სანაცვლოდაც თავიანთი ჩვეულებრივი სიხარბით, სიმკაცრითა და აღტკინებით, „განუწყვეტელ სეირს მოითხოვდნენ ბატონ ეტლერისგან, რჩეულისგან; არა — კიდევ უარესი — სეირს კი არა, სისხლს, თავგანწირვას, ეშაფოტზე ასვლას, მათი სახელით, მათი გულისთვის, და ისიც ადიოდა, დღითი-დღე, განუწყვეტლივ, ნაბიჯ-ნაბიჯ, რადგან სხვანაირად აღარც იმას შეეძლო, აღარც იმას ჰქონდა უკან დასახვევი გზა, რამდენადაც უკვე ნაგმი ჰქონდა დიდების შხამი. ამიტომ, ყველაზე ნაკლებად საკუთარ თავს ეკუთვნოდა და როგორც არ უნდა მოენდომებინა, მაინც ვეღარ მოიქცეოდა ისე, როგორც მარტო თვითონ უნდოდა. სცენაზე იყო თუ ქუჩაში, განუწყვეტლივ გრძნობდა მაყურებლის თვალს და მისი ყოველი სიტყვა, მისი ყოველი ნაბიჯი საერთო განსჯის საგანი ხდებოდა. ყველამ იცოდა: ნავებზე რომ ეკეიფა შუადამისას ზღვაში, მაგიდაზე რომ ეცეკვა რესტორან „ფრანციაში“, დუელში რომ გამოეწვია ვინაც პორუჩიკი მსახიობი ქალის შეურაცხყოფისთვის, მაგრამ ცოტანი თუ ფიქრობდნენ იმაზე, რა უჯდებოდა დიდება, რისი გადატანა უხდებოდა, რას უძლებდა და ითმენდა თავის გამოყრუებულ ოთახში, სადაც, ყველა სიკეთესთან ერთად, გაქცეული ცოლის ჩრდილიც არანაკლებ უწყალებდა ალბათ სისხლს. ერთადერთი ადგილი (როგორც თვითონვე ამბობდა), სადაც, ასე თუ ისე, კიდევ შეეძლო საკუთარი სახის დაბრუნება, სულის მოთქმა, გულის გახსნა — ისევ დიმიტრის ოჯახი იყო, თუმცა გაქცეული ცოლის ხსენებას იქაც ერიდებოდა, არც იქ იყო ბოლომდე გულწრფელი, მაგრამ დიმიტრი და დარია უთქმელადაც ხვდებოდნენ, გაქცეულ ცოლზე წუხილსაც რომ მოძაყავდა იმათთთან იგი, დაკარგულ სამოთხესაკით რომ ელტოდა იქაურობას, ბრძად, ალაბედზე, რის გამოც, მეტნაკლებად, თვითონაც დამნაშავეებად გრძნობდნენ თავს მის წინაშე (ისევ თავიანთი სიკეთისა თუ სისულელის გამო) და დასაშა-

ულის ეს გრძნობა აიძულებდათ ალბათ, ფსიტყვოდ. უსასრულოდ მოეთმინათ იმისი მოულოდნელი და, ცოტა არ იყოს, თავხედური გამოცხადებები. შუაღამისას, ქვანასროლი ძაღლივით რომ დაიწკავწკავებდა ჯიშკარი, ალარცკი ეკითხებოდნენ ერთმანეთს ვინ შეიძლება იყოს ასე გვიანო, და ფაციფუცით იცვამდნენ, ფეხზე რომ დახვედრილნენ თავიანთ მარადიულ სტუმარს, ბედისწერასავით გარდაუვალს, მოუშორებელს. გათენებამდე იჯდა ხოლმე დიდ ოთახში, ფეხი ფეხზე გადადებული, ოჯახურ სიმბოლს, სიმყუდროვეს დანატრებული, ხან დასაკლავი პირუტყვივით სევდიანი, აწრიალებული, ხან კი — ქარივით დაუდგრომელი, დაუოკებელი. მაგრამ ყველაფერს აიტანდა კაცი, და თავად თბილისელი მსახობისთვისაც აჯობებდა, მხოლოდ მსახობი რომ ყოფილიყო და მსახიობის დიდებით დაკმაყოფილებულიყო. მსახიობი, მართლაც რომ დიდებული გახლდათ, ცალ მუხლზე რომ დაიჩოქებდა და ხმაათრთოლებული დაიწყებდა: დედაო ღვთისა, ეს ქვეყანა შენი ხვედრიაო, რა დასამალია და, დიმიტრისაც ერთანტელი დაუვლიდა ხოლმე ტანში. მაგრამ გრძნობების აყოლა სცენაზეა კარგი და არა პოლიტიკაში. პოლიტიკაში საკმაოდ მოიკოჭლებდა, სტუდენტივით მსჯელობდა, „კაკვასიელთა წრის“ წევრებს ახსენებდა დიმიტრის, იმათ იცოდნენ ასე, რაღაცას მოკრავდნენ ყურს და ეგონათ, მარტო ჩვენ გვხვდა ამგვარი პატივი; ნათხოვარი წიგნის ორ გვერდს წაიკითხავდნენ ძილის წინ და მეორე დღეს თავს გადაგებამდნენ. კი ბატონო, ქვეყნის ხსნა კეთილშობილური საქმეა, მაგრამ გზა ხსნისა მრავალნაირია; ამიტომ, ადვილი შესაძლებელია, არც შენი მოსაზრება აღმოჩნდეს ერთადერთი. მეფის სიკვდილი მეფეს შობს. „ვინც მეფეს ებრძვის, ისიც მეფეაო“ — იტყოდა ხოლმე ობილისელი მსახიობი და მაშინვე პიანინოს მიუჯდებოდა, თითქოს დიმიტრის დაეწყო ამ თემაზე საუბარი და არა თვითონ. დიმიტრის კი, უკვე ეშლოდა ლაპარაკის საღერღელი, თავს ვეღარ ერეოდა. „დიმიტრი“ — ულია თესლი მეფობისა — ლამის ყვიროდა გაბრაზებული. — მარადიულია, რადგან სულ ერთია იმისთვის, ვის სულში აღმოცენდება: მებაღისა, მეკონინბისა, კაპალისა თუ მსახიობისაო“. თბილისელი მსახიობი კი, პიანინოზე უკრავდა, თითქოს დიმიტრის ჯიბრით, დიმიტრის გასაბრაზებლად, და მიჩანსაც აღწევდა. დიმიტრის აზრით ფეიერ (ვენდაც მეფეთა) მოსპობით, ისევე არ ისპობა მეფობა, როგორც ყანის ალებით პური. „ხოლო რაც შეეხება „გმირს“, ანდა როგორც თქვენ უწოდებთ, „ქვეყნის მხსნელს“, მე თუ მკითხავთ, შემთხვევითი, არაკანონზომიერი მოვლენაა; გამწარებული ხალხი წამოისვრის ხოლმე, უცვნზუორო სიტყვაესეთი, რაც მერე თავადვე უხდება საანგებლადო“ — ამბობდა დიმიტრი, მაგრამ თბილისელ მსახიობს თითქოს არც ესმოდა მისი ნალაპარაკევი, პიანინოსთან იჯდა და თავაღერილი მღეროდა: მოვა ჩემი საყვარელი, მე დავხვდები თავშეველი, ლა, ლა, ლა, ლა... მერე უცებ, ყველასათვის მოულოდნელად, გაჩუმდებოდა, თითები კლავიშებზე შეეყინებოდა და როდის-როდის იტყოდა: რასაც შენ ამბობ, ჩემო დიმიტრი, პირფშვარდნილი ქართული ფილოსოფიაა, ქართული ბედოვლათობის გასამართლებლად გამოგონილიო. ასე იყო თითქმის ყოველ ღამე. მაგრამ. ადრე თუ გვიან, მაინც იცრიცებოდა წყვდიადი. ჯერ აქა-ხეკ, გაუბედავად, თითქოს ხმების მოსასინჯად, ავიკვიდებოდნენ ჩიტები; მეთევზეები თავიანთ ნავებთან აფუსფუსდებოდნენ, აჩქარდებოდნენ, ხელიდან რომ არ გაეშვათ დილის თევზი. ცხენების სადგომიდან თბილი ჩონჩორიკის სასიამოვნო სუნი გამოდიოდა. ხეიხვინ-ფრუტუნით იღვიძებდნენ ზეზეურად მძინარე ცხენები. ყრუდ ამაკუნებდნენ ფლოქვებს ნამჯით მოფენილ მიწაზე. ბარცანინდან, კახაბერი-

დან, ჭაობიდან გუნდ-გუნდად მოისწრაფოდნენ მუშები თავიანთი ქარხნებისაკენ. ნელ-ნელა, თანდათანობით გამოდიოდა ქალაქი წყვდიადიდან, როგორც ნაყოფი საშოდან. ინაკვთებოდნენ, იკვეთებოდნენ სახლები, პორტში გალურსული გემები. მხრებზე ხალათმოგდებულ მეძავს ლამის მუჯლუგუნებით მიჰყავდა კარისკენ უყმურად გამოფხიზლებული, გუნებაწამხდარი და უკვე მონანიე მუშტარი; გზადაგზა ფაცაფუცით უხსნიდა, როგორ გაეღწია აქედან, ღამით, სიბნელეში, სიმთვრალით მოსულს. ახალი დღე იბადებოდა. დიმიტრისთვის კი, ახალი სადარდელი. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ეშინოდა თბილისელი მსახიობისა, უფრო მყარად, უფრო საფუძვლიანად, ვიდრე თავიდან, გაცნობის დღეს შეეშინდა. სხვა ოუ არაფერი, ვექილი იყო და არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, ხელისუფლება კარგი თვალით რომ არ უყურებდა მის მარადიულ სტუმარს, რომელსაც იმღენი უკვე მოესწრო, აქამდე სამგზის უკრავდნენ ციმბირში თავს, სხვა რაღაცაში რომ არ ყოფილიყო საქმე. თბილისელ მსახიობს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ნიშის გამო არ ზოგავდნენ, აქამდე, რაკი მსახიობი ხარ და თანაც ასეთი სახელოვანი, ყველაფერი გეპატიებიან. ასე რომ ეფიქრა დიმიტრის, ხელოვანი იქნებოდა და არა მშიშარა. უბრალოდ, ხელისუფლება თავისი გეგმის მიხედვით მოქმედებდა, ხოლო ის მეკვალნი, დიმიტრის ღრმა რწმენით, თბილისელ მსახიობს დიდი ხნის წინ ჭკონდა უკვე ჯვარი დასმული, როგორც იმპერიისთვის არასაიმედო პიროვნებას. საამისოდ მისი პირველი წარმოდგენაც კმაროდა (წარმოდგენა თუ ერქვა იმას), იმოდენა ხალხი ორმოში რომ ჩააყენა, როგორც იოანე ნათლისმცემელმა — მდინარეში. მაგრამ მთავარი უბედურება მაინც ის იყო, ძალაუნებურად, დიმიტრიც იმისი „ნათლული“ რომ გამოდიოდა, ძალაუნებურად, მხოლოდ და მხოლოდ თავისი ხათრიანობის გამო, დიმიტრიც განსაცდელში რომ იგდებდა თავს (აკი ერთხელ გაფრთხილებიც მოხუცმა ყაჩაღმა: „ეჯერ მეორე დღეს სახრჩობელაზე უნდა ასულიხარ, გული კი ვექილზე შესტკიოდა, თითქოს თავისი სიკვდილი გაცილებით იოლი ამბავი იყო, ვიდრე ვექილის სიცოცხლე — ეს დღეები სულ შენ გიყურებდი და, რაღა დაგიმალო, ძალიან შემეცოდეო; ახლა ისეთი დროა, რამენაირად თუ არ გამოიცვალე ხასიათი, სხვას კი არა, საკუთარ თავსაც ვერ დაიცავო. გაანათლოს ღმერთმა! ლამაზი, დარბაისელი მოხუცი იყო. ზეპირად რომ არ სცოდნოდა იმისი „საქმე“, ვერაფრით დაიჯერებდა, კაცის მოკვლა თუ შეეძლო იმას. ასეთი ხალხი ყავდათ ალბათ ადრე მეფეებს მრჩევლებად და ვეზირებად. თითქოს ცემენტის საკანში კი არა, საკუთარ ეიხედარბაზში იჯდა და გამოსამშვიდობებლად, ბოდიშის მოსახდელად მოსულ ვექილს კი არ ელაპარაკებოდა, საკუთარ მოურავს აძლევდა ყოველდღიურ დავალებას. გაანათლოს უფალმა!). მართალია, თბილისელი მსახიობი ყოველთვის ისეთ დროს დაადგებოდა ხოლმე თაგზე, როცა წყალსაც ეძინა და ეშმაკსაც, მაგრამ ხელისუფლება იმიტომაა ხელისუფლება, წყალზეც და ეშმაკზეც ფხიზლად რომ ეჭიროს ყური და ყოველთვის უშეცდომოდ იცოდეს, ვისი ჭიშკარი წყავწყავებს ქვანასროლი ძაღლივით, ნებისმიერი სტუმრობისთვის ასე შეუფერებელ დროს. მაგრამ დიმიტრი დარიასთანაც ვერ ბედავდა ამის თქმას. არა მარტო რეცხვენოდა დარიასი — შუაღამისას, ჭიშკრის დაწკაკწკაკებაზე, მერცხალივით რომ წამოფრინდებოდა ხოლმე საწოლიდან, თითქოს მამა გასცოცხლებია, ანდა მამაზეციერი მოსდგომია კარზეო — უბრალოდ, იმდენად იყო დაშინებული, შიშს შიშში ემალებოდა, იმასაც ცდილობდა, თავი ისე დაეჭირა, თითქოს, დარიასავით, ვერც ის ხვდებოდა, თავადაც დამნაშავის სახეს რომ იღებდა იმავე ხელისუფლების თვალში. როგორც კი ამას გაიფიქრებდა, სირაქლემასავით, მაშინვე შიშის სილაში წაჰ-

ყოფდა ხოლმე თავს, და ასე იყო მთელი წელი, მთელი წელი იძულებული იყო კვერცხი ეგორებინა იმისთვის, ვისთვისაც საერთოდ არ უნდა გაეღო კარი, ანდა მაშინვე მიეხურა, როგორც კი საფრთხე იგრძნო. კამათი კი არ უნდა გაემართა მასთან, თანაც მიკიბულ-მოკიბულად — პირდაპირ და გარკვევით უნდა ეთქვა, არ მაინტერესებს, ბატონო, არც შენი მამულიშვილური ვნებები და არც შენი მსახიობური მისწრაფებებიო. და მართლაც, რა დიმიტრის საქმე იყო, ან რაში აინტერესებდა, რის დადგმას აპირებდა თბილისელი მსახიობი, ანდა რომელ როლზე ოცნებობდა. რატომ უნდა გაეტეხა ღამე იმის გასარკვევად, მსახიობები ყველაზე ტანჯული, ყველაზე კეთილმობილი ხალხი იყო (როგორც ერთ დღეს ამბობდა თბილისელი მსახიობი), თუ გამოუსწორებელი ლოთები, უწესოები და უმაქნისები (როგორც მეორე დღეს ამბობდა თვითონვე); ანდა, ბოლოს და ბოლოს, რატომ უნდა შეეცხადებინნ შუაღამისას, ხელისუფლება სიკვდილის მერეც უნდობლობით რომ უყურებდა ყაზბეგს, არ აფასებდა, ძეგლს არ უდგამდა, როცა ყაზბეგმა სიცოცხლეშივე თქვა უარი ყველაფერზე, სიცოცხლეშივე უარყო ის, რის გამოც შეეძლო ხელისუფლების პატივისცემა დაემსახურებინა. ამიტომაც, რასაკვირველია, მკვდარიც უნდობლობას იწვევდა. „იციან ყაზბეგის ძალა. მკვდარსაც ებრძვიანო“ — გაიძახოდა საკუთარი მიხვედრილობით ბავშვურად გახარებული თბილისელი მსახიობი და ისევ აგრიალებდა პიანინოს. სანლის ალი კედელზე დაკიდულ სურათებს ელაციცებოდა და სურათის ბინადრებსაც ისეთი შემცბარი და გაკვირვებული სახეები ედოთ, თითქოს ისინიც ეს წუთია წამოეყრიათ საწოლებიდანო. თბილისელი მსახიობი წარსულსაც უფრთხობდა დიმიტრის. თუმცა, საცა სამართალია, არც თვითონ ჰქონნდა ცხოვრება დალაგებული. უცაებ ისეთი რამ გამოუტეტებოდა ხოლმე — თეატრში იატაკის აურისა არ იყოს — კაცს მოფიქრებაც კი გაუჭირდებოდა. მარცხიანი კაცი იყო და მარცხი ედო საფუძვლად ამბავ-ამბავ დებასაც. თავის პირველსავე [illegible] ნაზე მაყურებელზე მეტი არც იმას გაუკეთებია, ისიც ორმოში იდგა, სხვებთან ერთად, ვიდრე თეატრის პატრონი და პოლიციმეისტერი ხალხს ებოდიშებოდნენ სცენიდან, მეორე დღეს კი, უკვე მთელმა ბათუმმა იცოდა იმისი სახელი, როგორც უსამართლობის მსხვერპლისა და სამართლიანობისთვის მებრძოლისა. მაგრამ შენ რომ მსახიობი ხარ, მსახიობობას უნდა დასჯერდე, შენი ნიჭი ხალხის გაადამიანებას, განათლებას უნდა მოახმარო და არა ხალხის კიდევ უფრო გაპირუტყვებასა და გაგიჟებას. ხალხი შენს წარმოდგენაზე გასართობად, დასასვენებლად, თუნდაც განათლებლად მოდის და არა სახელმწიფო გადატრიალების მოსახდენად. ხოლო შენ, თუკი შენს მსახიობობას, შენს ნიჭს, კიდევ სხვა, ქვენა მიზნებისთვის იყენებ, ნუ გეწყინება და, ძალაუნებურად, ბორტების სამსახურში დგები, ეშმაკს უამხანაგდები, ანდა სულაც იმ ხარბი ბრიყვივით გემართება, ორი კურდღლის დაჭერა რომ მოინდომა ერთდროულად, და ამიტომ, ორივე სამუდამოდ გაუშვა ხელიდან, ანუ თეატრსაც საფრთხეში აგდებ, რადგან არცერთ სახელმწიფოს არ ესიამოვნება, საზოგადოების თავშესაყარი, საზოგადოების გასართობად გამიზნული დაწესებულება შეთქმულთა და მეამბოხეთა ბუნაგად გადაქცეინ, ხოლო მეორე მხრივ, კიდევ უფრო აძლიერებ იმას (როგორც ქარი — ცეცხლს), ვისი მოსპობაც შენი პატარა ჭკუით ასე განგიზრახავს, ასე თუ ებრძვი ანდა ასე თუ ელტვი მეფობას, თუმცა საამისოდ, კაცმა რომ თქვას, ნებისმიერი საშუალება თანაბრად მისაღებია, თუნდაც ხალხის ორმოში ჩაყენება, იმავე ხალხის გასაღიზიანებლად, გასამწარებლად და მერე იმის დასამტკიცებლად (რა თქმა უნდა, გაღიზიანებული.

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

გამწარებული ხალხისთვის), ტახტზე მჯდომი რომ უფრო ცუდია, ვიდრე ტახტზე დაჯდომის მსურველი, რაკი პირველმა თეატრში იატაკი აუყარათ, სინათლე ჩაუქრათ, ხოლო მეორემ, მიუხედავად უიატკობისა და უსინათლობისა, მაინც გაუმართათ „წარმოდგენა“, ხახამშრალნი, გაბითურებულნი რომ არ გაბრუნებულიყვნენ შინ. „გული ცუდს მიგრძნობსო“ — კი იძახდა დარია, მაგრამ ვინ დაუჯერა. მისი მეუღლე კეთილშობილების, თანაგრძნობის, გულისხმიერების გამომჟღავნების ერნით იყო შეპყრობილი და პროფესიული მაღალფარდოვნებითა და ბრტყელსიტყვაობით იმას უმტკიცებდა, მათი ოჯახისთვის უკადრისი საქციელი რომ იქნებოდა დაპატიჟებაზე უარის თქმა, ცხვირის აბზუება ჯერ კიდევ დასამკვიდრებელი ხალხისთვის, რომლებისთვისაც, შეიძლება, ჭერზეც, პურზეც და წყალზეც მეტს ნიშნავდა ყოველი ახალი ნაცნობი. მერე რა მოხდა? რა იმათი მამიდა იყო დიმიტრი? ან რა იმათი ამხანაგი? რაკი ოთახი არ მიაჭირავა (როდის იყო ოთახს რომ აქირავებდა? რატომ უნდა მიექირავებინა მაინცდამაინც იმათთვის ოთახი?), აღარც დაპატიჟება უნდა მიეღო, დატეულიყო შინ, როგორც დარია ურჩევდა, და მაშინ ვეღარც ისინი მისცემდნენ თავს ამდენის უფლებას, მეტი მორიდება, მეტი პატივისცემა ექნებოდათ და მეორე თეატრად არ გაიხდიდნენ იმის ოჯახს. მაგრამ ახლა უკვე გვიან იყო თავში ხელის ცემა და კბილთა ღრჭიალი, ახლა, ლა, ლა, ლა უნდა ეძახა თვითონაც და გალანძღული დროშის, დაკნინებული სულისა და გადახნული საფლავების სადღეგრძელო ესვა, ვიდრე მეზობელ ეზოში, ქვითკირის ღობის გადაღმა, გოდორში დამწყვდეული მამალი დაიყივლებდა ხრინწიანად, ყივნახველიანი ბავშვივით. დიახაც რომ უკვე გვიანი იყო. უკვე ორმოში იდგა. თავიდან ბრძად ჩასული, ისეკ აშშორებულ ორმოში იდგა, როგორც ეშმაკის ვალში. და ჯერ კიდევ საკითხავი იყო, საერთოდ ამოვიდოდა თუ არა იქიდან. ვერ გამოიცვალა ხასიათი და იმიტომ, ხარრანი მხდალი ბრძანდებოდა და. იმიტომ, ერთს ამბობდა და მეორეს აკეთებდა. სიტყვით მოთმინებას ქადაგებდა, ორმოში კი პირველი ჩავარდა. „მეშინია, მეშინიაო“ — იმის მაგივრადაც იძახდა თვალცრემლიანი დარია, ჯერ კიდევ ჩაუცმელი, ჯერ კიდევ მოსაწყობი, ის კი, ხარრანი მხდალი, უკვე სათეატროდ გამოწყობილი (სხვათაშორის, ის ერთი ხელი ტანსაცმელიც თავის სისულელეს შესწირა, მტვერსა და აბლაბუდას შეაჭამა), მთელი საათი ბრიყვივით უხსნიდა (თითქოს იმ დღეს პირველად უნდა წასულიყო დარია თეატრში), არაფერია საშინო: სცენაზე გათამაშებული ამბავიც ისევე შორსაა სინამდვილისაგან, როგორც ბათუში ოდესისაგანო. იცით, კიდევ რატომ? ადამიანს იმდენად ეშინია ბოროტებისა, განუსჯელად დაექვემდებარება ხოლმე, როცა სიკეთეს ათასჯერ ასწონს, გაზომავს, გემოსაც გაუსინჯავს, ხომ ნამდვილად სიკეთეო. დიმიტრიც ჩვეულებრივი ადამიანი იყო და ისიც განუსჯელად დანებდა ბოროტებას, თუმცა, ღმერთი-ოჯული, ქუჩაში გამოსვლისთანავე მიხვდა, სისულელეს რომ სჩადიოდა. ქუჩებში ისეთი საზეიმო განწყობილება სუფევდა, ისეთი უჩვეულო, ისეთი თვალშისაცემი, გამიმწვევი, თითქოს ჯიბრიანიც — დიმიტრის კი არა, ბავშვსაც არ გაუჭირდებოდა მიხვედრა, კარგი არაფერი რომ მოჰყვებოდა ამ ამბავს. წყლის გამყიდველი ბიუნები შემაშფოთებელი თავგამოდებით გაჰყვიროდნენ: დღეს თეატრში ქართული თეატრიაო, თითქოს პირველი შემთხვევა იყო ბათუმში ქართული წარმოდგენის გამართვა, თითქოს ბათუმში სხვა თბილისელი მსახიობი არასოდეს ჩამოსულიყოს, თუნდაც იმავე დიმიტრის დედის მოწვევით. თეატრის წინ ხომ ნემსი ვერ ჩავარდებოდა. ბილეთს სანთლით ეძებდნენ. ხალხი კი, მაინც მოდიოდა და მოდიოდა, ფეხითა თუ ეტლით. კბილდაკრეჭილი, თავაღერილი ცხენები ძლივს მიარღვევდნენ ხალხის ზოვას. გაცოფებული, ფეხზე

წამომდგარი მეეტლეები ერთმანეთსაც აგინებდნენ, ცხენებსაც, ხალხსაც და თეატრსაც, თითქოს თავიანთი ცხენებიან-ეტლებებიანად, სადაცაა უნდა ჩანთქმულიყვნენ ხალხის ჯაობში, და ელი სული ჰქონდათ, როდის გაეცლებოდნენ ამ სახიფათო ადგილს. თეატრიდან კი მართლაც ავის მომასწავებლად, ბოლქვაბოლქვა გამოდიოდა მოწითალო მტვერი, გეგონებოდათ, ცეცხლი გასჩენიაო. ხალხიც მტვრით იყო გადაწითლებული. ყელკისერმოშიშვლებული ქალები გაშლილ მარაოებს იფარებდნენ პირზე და იმის მაგივრად, მეეტლეებისა არ იყოს, თავიანთი კაცებიანად, უკანმოუხედავად გასცლოდნენ აქაურობას, რაკი თეატრის პატრონს უკვე განემარტა იმათთვის — საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ნამდვილად რომ აეყარათ თეატრში დამპალი იატაკი, ჯიუტად არ იცვლიდნენ ფეხს, თითქოს მათი სიჯიუტე სასწაულს მოახდენდა, თითქოს არ გამართლდებოდა თეატრის პატრონის ნათქვამი, ანდა თითქოს ერთ წუთში დააგებდა ვინმეს ახალსა და საიმედო იატაკს. თუმცა, რა გასაკვირია, ასე „უბრძოლველად“, ასე „უსახელოდ“ რომ არ ეთმობოდათ „ბრძოლის ველი“, როცა, ვინ იცის, რა მღელვარებით, რა ნეტარებით ელოდებოდნენ დღევანდელ დღეს. რათა ერთხელ კიდევ დაეხეთქათ ერთმანეთისთვის გულები — საფრანგეთიდან, იტალიიდან თუ ჰოლანდიიდან გამოწერილი კაბებით, ალმასის საყურეებით, ბრილიანტის ბეჭდებითა თუ მარჯნის ყელსაბამებით. მე შენ გეტყვი, განებივრებულნი იყვნენ სანახობებით. აღარ იცოდნენ, როდის რითი გაერთოთ თავი და გული გაწყალებული არ ჰქონდათ ვეზირიშვილის დოლების ბრაგა-ბრუგით. ახლა კი — დიდი ბოდიში, მაგრამ ამჯერად ტყუილად გარჯილხართ, ქალბატონო. წარმოდგენა არ შედგებაო. რას ჰქვია, არ შედგება?! რას ჰქვია, არ შედგება?! შენ მაინც გაგიგაგებინე, გენაცვალე, რა ხდება, რაშია საქმეო — აქეთიქიდან ეხვეოდნენ თბილისელი მსახობის მეუღლეს. ის კი, პასუხად, მხრებს იჩეჩავდა და იღიმებოდა, ალბათ უკვე გაქცევაზე ფიქრობდა და სრულებითაც აღარ ენაღვლებოდა აქაურობა, მაგრამ სწორედ ამ დროს, მისი ქმარი ეტლის კოფოზე შეხტა, მეამბოხესავით აღგზნებული, გადაფითრებული და იქამდე ილაპარაკა (ლაპარაკი, იცოცხლე, ეხერხებოდა), ვიდრე თავისი არ გაიტანა, ვიდრე ხალხის მღელვარება მისთვის სასურველ კალაპოტში არ მოაქცია და მისთვის საძულველი (თუ სანატრელი?) ტახტისკენ არ მიუშვა, როგორც ტლუ, შეუვნებელი, გულღრძო გლეხი მიუშვებს ხოლმე წვიმის ნიაღვარს გადამტერებული მეზობლის ბოსტანზე. „მართალს ამბობს. მასხრად გვიგდებენ. ძაღლებადაც აღარ გვთვლიანო“ — გაიძახოდნენ ლურჯხალათიანი მუშები და არა მარტო მუშები, ყველანი ერთნაირად შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს, ხოლო შეურაცხყოფილნი, უფრო იოლად ჯერებდნენ, მართლა მათი უპატიცემულობით, მათი აბუჩად აგდების მიზნით რომ აეყარათ თეატრში იატაკი მაინცდამაინც დღეს. „მაინცდამაინც დღეს დალპა?“ „მაინცდამაინც დღეს უნდა გამოეცალათ?“ ყურთასმენა აღარ იყო. ზოგი ქალაქის თავს აგინებდა, ზოგი პოლიციმეისტერს, ზოგი — ორივეს ერთდროულად: ერთი ცარიელი ადგილია, მეორე კი კონტრაბანდისტებისა და ქურდბაცაცების დამქაში და ითმოძაცაა, ყოველ ნაბიჯზე ათასი საშინელება რომ ხდება ჩვენს ქალაქშიო: ღამე ქუჩაში ვერ გამოვსულვართ, ბაღში სკამზე ვერ ჩამოვმჯდარვართ, რადგან, ღმერთი თუ შეგეწეოა და ცოცხლები გადავრჩით, დედაშობილას გამოგვაძუნძულებენ იქიდან,“ როგორც ადამს — ედემიდანო. ხოლო როცა თბილისელმა მსახობმა ეტლის კოფოდან გადმოსძახათ: თუ ფეხზე დგომას არ ითაკილებთ, ჩვენ, მსახიობები, მზადა ვართ, იატაკაყრილ თეატრშიც მოგვმსახუროთო, ახლა ამაზე აყაყანდნენ — ზოგი ფულის დაბრუნებას მოითხოვდა, ზოგი — თეატრის საერთოდ დახურვას: როდემდე უნდა გავამასხრებინოთ თავი ამ ყალ-

თაბანდ მსახიობებს. მთვრალები რომ გამოდიან სცენაზე და ორი სიტყვა ვერ გადაუბამთ ერთმანეთზეო (ყველაფერს იკადრებენ, ბატონო, ფული რომ არ დააბრუნონ. მე კი, სულელი თუ არა ვარ, რატომ უნდა ჩამოვწყდე ფეხზე დგომით და რატომ უნდა ვყლაპო მტვერი და აბლაბუდა?). მაგრამ ცდუნებაც დიდი იყო. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, უბრალოდ აინტერესებდათ, როგორ გამოიყურებოდა იატაკაყრილი თეატრი და ისიც ერთ სიამოვნებად ღირდა, შენი თვალით რომ ნახავდი, როგორ ამოიგანგლულებდა მტკერში საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული ამოდენა ხალხი. დიდი იყო „მსხვერპლის გაღების“ სურვილიც. ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვსო — ტყუილად კი არ დაიყვარა ეტლის კოფოდან თბილისელმა მსახიობმა. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, ხელოვნება ხელოვანისგან მოითხოვს მსხვერპლს და არა ხალხისგან, მაგრამ თბილისელმა მსახიობმა იცოდა, რას ამბობდა, სად ამბობდა და ვისთან. იცოდა, როგორ ემოქმედა ხალხის გრძნობებსა და პატივმოყვარეობაზე. იცოდა, ერთი დასტვენა რომ უნდა ხალხს, და მართლაც, ჯერ გაუბედავად დაიძრნენ, ზანტად, ზოზინით, მერე კი — გარეთ არ დავრჩეთო — ლამის შეამტვრიეს თეატრის კარი.

დარბაზში უზარმაზარ ორმოს შავად დაეღო ბინი. ორმოს ფსკერზე ნიჩბები და წერაქვები ეყარა. გვერდითა ლოჟებიდან იატაკის აყრილ ფიცრებს ამოეშვირათ მიწიანი ბოლოები. ჩამქრალი, აკუფოფული ჭაღი ისე ეკიდა ორმოს თავზე, თითქოს იმისთვის ამოეთხარათ ორმო, თითქოს ის უნდა ჩანთქმულიყო შიგ, როგორც კუბო — სამარეში. ხალხი ერთმანეთს ხელს აშველებდა, ერთმანეთს აწყდებოდა და სიცილით, გინებით, წუეკლითა და ტანსაცმლის ფერთხეა-ფერთხეით ეკავებდა ადგილს ორმოს ფსკერზე. ორმო ნელ-ნელა ივსებოდა. ქალები წიოკობდნენ. ორმოში ჩასვლა იმათ უფრო უჭირდათ, თავიანთი გრძელი კაბების გამო, მაგრამ მაინც არ კარგავდნენ კეკლუცობის ჩ ხალოს, ცდილობდნენ, რაც შეიძლება ფეხდადგმულად დაყრდნობოდნენ ქვეშეგან ამოშვერილ ხელს. ზომაზე მეტად აწეული კაბის კალთიდან ხან ჩამოქნილი, თვალწარმტაცი, ხან კი ცომივით გაფუებული წვივი გამოკრთებოდა ხოლმე. ჰაერში შმორის სუნი იდგა. აბლაბუდის ნაკუწები დაფრინავდნენ. უზარმაზარი, ჭრელი პეპლებივით ფარფატებდნენ მაროაები, მაგრამ ჰაერი უფრო და უფრო გუბდებოდა, იზნინებოდა, იოფლებოდა და უფრო და უფრო ძნელდებოდა თავის შეკავება, ზრდილობისა და ქცევის წესების დაცვა: უხეშად ეკინკლავებოდნენ ერთმანეთს, გაგულისებულნი, ამრეზილნი, გაბოროტებულნი, თუმცა, კაცმა რომ თქვას, თვითონვე იყვნენ დამნაშავენი, ამ დღეში რომ ჩაეგდოთ თავი, ასე რომ გაპამპულებულიყვნენ ერთმანეთის თვალში. მაგრამ რაკი გაპამპულებულიყვნენ, რა თქმა უნდა, ერჩიათ, ბევრი ყოფილიყო მთნსაირი პამპულა. კიდევ უფრო მჭიდროვდებოდნენ, სხვისთვისაც რომ მოეცალათ ადგილი, მეტნი რომ დატეულიყვნენ, მეტნი კი არა, ყველანი, მთელი ქალაქი, მთელი საქართველო, მთელი იმპერია, მთელი კაცობრიობა. ორმოდან თავებიღა მოუჩანდათ. ორმო კი ქოთქოთებდა: რა გვიყვეს ამ ოხრებმა, ცოცხლად დაგვამარხინეს თავიო. დრო გადიოდა და თანდათანობით წყვდიადში იძირებოდა იქაურობა. გვიან მიაქციეს ყურადღება, სინთლე რომ არ ენთო არც დარბაზში (უფრო სწორედ — ორმოში) და არც სცენაზე. „სი-ნა-ლე!“ — თითქმის მაშინვე დაიყვირა ერთნაირად შეშფოთებულმა რამდენიმე ხმამ. მერე მთელი ორმო კარგახანს ყვიროდა ერთხმად: სინათლე, სინათლე, სინათლეო, სანამ გაუჩინარებული ფარდა შხეილით არ გაიხსნა, თითქოს წყვდიადი გაიფხრიწაო, და სცენაზე სანთლის ალი არ გამოფარფატდა. ორმო გაისუსა. ცნობისმოყვარე, მოუთმენელი დუმილი ჩამოვარდა უცებ. სანთლის ალი სცენის კიდესთან შეჩერდა, ადგილზე უფრო გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალებით აპარპალდა და თბილისელი მსახიობის გამეხებული სახე გაანათა. ორმომ ითმინა, ითმინა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მოოთმინა და დაუძახა: რას გვეტყვი ახალსო. თვითონვე გაეცინა თავისსავე შეკითხვაზე. ხოლო თბილისელი მსახიობი თუ თბილისელი მსახიობის სახე — რამდენადაც მხოლოდ მისი სახე მოჩანდა, ისიც მკრთალად — არც შერხეულა, მყარად დუმდა, და ორმოც ძალაუნებურად ჩაწყნარდა, რადგან ძალიან აინტერესებდა, მართლაც და, რა უნდა ეთქვა ახალი ამ თავგზაანებეულ კაცს. „კარგს ვერაფერს გეტყვით, ბატონებო, — თქვა ბოლოს თბილისელი მსახიობის სახემ. — სინათლე გამოგვითიშეს. თეატრში კი სანთლის მარაგი არ ჰქონიათ. მაგრამ საბედნეროდ, ხმა სიბნელეშიც ისმის. — საცოდავად გაიღიმა, თითქოს ნაძალადევად, თითქოს ვიღაცას გამოჯავრა.—ასე რომ თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, ჩვენ სიბნელეშიც შეგვიძლია ვითამაშოთო“. „რა თავს იგდებ, ვიღაცა ხარ!“ — უხეშად გაიწყვეტინა ორმომ. „ჩემი ესე მოძღვრება არა არს ჩემი, არამედ მომვლინებლისა ჩემისაო“ — კიდევ უფრო საცოდავად გაიღიმა თბილისელი მსახიობის სახემ. თითქოს ლაპარაკი უჭირდა და თვითონაც არ უკვირდებოდა, რას ლაპარაკობდა: თითქოს სანთლის ალი წვავდა და ტკივილისგან ბოდავდა. „ვინ მოგავლინა, იმ ჩვენი ცოდვით სავსემ“. — დაუძახა ორმომ ღვარძლიანად. „თქვენ! — იყვირა უცებ თბილისელი მსახიობის სახემ. — თქვენ!“ — გაიმეორა ერთხელ კიდევ, ისეთი სიმტკიცითა და სიჯიუტით, ორმოს კარგახანს გაუჭირდა შეპასუხება. დიმიტრიც დაიძაბა. იგრძნო, როგორ გაეოფა ზურგი. ცალი ფეხი ბარის ტარზე ედგა, წარამარა უსლტებოდა, თანაც მკლავზე დარია ეკიდა და ყოველნაირად ცდილობდა, გაუნძრეველად მდგარიყო, არ წაერთმია დარიასთვის მკლავი. დარიაც წყედიადში იყო ჩაკარგული, მაგრამ მაინც გრძნობდნენ ერთმანეთს, მაინც ერთნი იყვნენ და ერთმანეთის მეშვეობით ინარჩუნებდნენ წონასწორობას. ერიყვის ამ ჭოსში. ერთი ნაბიჯიც, ორე ღუზა; უფრო სწორედ, ორივე ერთრდოულად ნავიც იყო და ღუზაც: საკუთარი თავისთვის — ნავი, მეორისთვის კი—ღუზა. ნავი და ღუზა და ნავი. ღუზა ფსკერზე, სილაშია ჩაფლული. ნავი წყლის ზედაპირზეა გაჩერებული. ერთმანეთს ვერ ხედავენ, მათ შორის მთელი სტიქია, მაგრამ მაინც ერთნი არიან, ერთად არიან, ჯაჭვით გადაბმულნი... ღმერთმა ნუ ქნას, ჯაჭვი რომ გაწყდეს. ერთი სამუდამოდ ფსკერზე ჩარჩება, სილაში; მეორე აქეთ-იქით უნდა ეხეთქოს უკიდეგანო ზღვაზე. ღმერთმა ნუ ქნას. ასე რომ, ვიდრე სცენაზე თბილისელი მსახიობის სახე გამოვიდოდა, დიმიტრის კიდევ ჭკონდა იმედი, თეატრის ადმინისტრაცია რაღაცას რომ იღონებდა და, ბოლოს და ბოლოს, დაადგებოდა საშველი მათ სასაცილო გაწამაწიას. დარიასთან გამოლაპარაკებას ვერ ბედავდა, დამნაშავედ გრძნობდა თავს, რადგან მისი მიზეზით იყო მოხვედრილი ისიც ამ გაწამაწიაში. იდგა და იცდიდა. თან უაზრო, დამქანცველი, გამაოგნებელი ბზუილიდან გამოსხლტილი ცალკეული სიტყვების დამახსოვრებას ცდილობდა, ზეპირად რომ გაემეორებინა გონებაში, პირველიდან უკანასკნელამდე, არა თავისი მახსოვრობის შესამოწმებლად, არამედ თავსმოხვეულ სიბრიყვეზე ჯავრის ამოსაყრელად. დეპუტატი. გამკითხავი. კვაწარახით. მთავრონა. ხელმწიფემდე. გუნულება. პარიზიდან. აქტრისებში. გვეტირება... — იმეორებდა უსასრულოდ, ჯიბრით, გამომწვევად. უაზრობას უაზრობით უპირისპირდებოდა და ერთგვარად ერთობოდა კიდეც, დრო გაყავდა. მაგრამ როცა სანთლის პატარა ალმა თბილისელი მსახიობის სახე გაანათა, ერთბაშად გაუქრა ყოველგვარი გართობის სურვილი. არასოდეს არ უნა-

---

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

ხავს ამგვარი სახე (არა ჰგავდა მიწიერსა). თითქოს ადამიანის სახე კი არ იყო, არაბედ წყვდიადის წიაღში თავისთავად შექმნილი, წყვდიადის სუსხით გამკვრივებული ციური სხეული, იდუმალი, ამოუხსნელი, მიუწვდომელი სამყაროებიდან გამოწეული, მაგრამ მაინც ადამიანური ტკივილების, სისუსტეების, მისწრაფებების ნაზავი, და ამიტომაც, ერთდროულად შემაძრწუნებელიც და შესაცოდიც. სასწრაფოდ აარიდა თვალი. არც იმის დანახვა უნდოდა, არც იმისი ხმის გაგონება. ახლა თავს ატრიალებდა აქეთ-იქით და წყვდიადში ჩაკარგულ სახეებს აშტერდებოდა დაჟინებით, აბა, თუ ვიცნობ რომელიმესო. ასე კი იმიტომ იქცეოდა, თბილისელი მსახიობისთვის რომ არ დაეგდო ყური. ტანმა უგრძნო წინასწარ, რასაც იტყოდა იგი, რას იტყოდა იმისი სახე, არამიწიერი. „ამიტომ აგვიყარეს იატაკი. ამიტომ ჩაგვიქრეს სინთლეც...“ — ამბობდა თბილისელი მსახიობის სახე. დიმიტრი კი წინ გადაიხარა, სიბნელეში დარიას ყური მოძებნა ტუჩებით და ჩასჩურჩულა: ჩვენს უკან სბა ლაფაჩი დგასო. თუმცა, თვითონაც არ იყო დარწმუნებული, მართლა რომ დაინახა სბა ლაფაჩი. უბრალოდ, ოფიცრის სამხრეებმა გაიელვა ერთი წამით წყვდიადში. ხომ შეიძლებოდა, დავით კლდიაშვილი ყოფილიყო? ანდა კიდევ სხვა? ქართველი ოფიცრების მეტი რაა ბათუმში. „თუ დავითია, ხვალ აუცილებლად დუელში გამოიწვევს თეატრის პატრონს, — გაგრძელა გუნებაში. — სულ ჩხუბზე უჭირავს იმასაც თვალი. რა გამოდის? არაფერიც არ გამოდის. ახლა ვინც რამეს ხედება, ენას უნდა დაეჭიროს კბილი, თორემ... თორემ, ძილში მოკლავენ. გმირი დაიძინებს და მკვდარს გამოელვიძება. მშვიდობით, ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო. თუ ასეა, მაშინ ცოდნა ბოროტება ყოფილა, — ნიშნი მოუგო საკუთარ თავს, უფრო სწორედ, იმის სათქმელად გამოიწვია საკუთარი თავი, რისი თქმაც დიდი ხანია უნდოდა უკვე. — დიახაც! თუკი არ ვიცით, რას მოვახმაროთ ჩვენი ცოდნა, ბრალი ესაა ჩვენი?“ — სცენისკენ გაიქცა თავი. ისე რომ, არც გაუხედავს იქით. „საუკუნეა, ორმოში ვდგავართ, ბატონებო. დავობდით. მტერად ვიქეცით...“ — ამბობდა თბილისელი მსახიობის სახე. „ორმოში ჩვენ ვდგავართ. შენ სცენაზე ბრძანდებიო“ — დაუძახა ორმომ და ისე გულიანად გაიცინა, წყვდიადში გალურსული ჭაღიც შეკრთა, შეინძრა, აყრიალდა. ვინმე თუ ეჯავრებოდა ახლა დიმიტრის, თბილისელი მსახიობი ეჯავრებოდა მხოლოდ. იმ წუთას პირველად იგრძნო, რა იყო სიძულვილი, და საშუალება რომ მისცემოდა, ალბათ მხოლოდ იმ წუთას შეეძლებოდა სიტყვებით გამოეთქვა ეს გრძნობა, მთელი თავისი სიავკარგით. მაგრამ დიმიტრის დამთავრებულიც არ ჰქონდა ფიქრი, თბილისელმა მსახიობმა ფეხი რომ დაჰკრა სცენას და ორმოში გადმოეშვა. სანთელი ჰაერშივე ჩაუქრა. ერთხანს ყველანი ჩუმად იდგნენ, როგორც დამხრჩვალები ფსკერზე, მაგრამ მეორე წუთას ყურთასმენა აღარ იყო, ყველა ერთდროულად ლაპარაკობდა, თავისას. თავისთვის. ზმუოდნენ, ყაყანებდნენ, ყვიროდნენ. გაოფლილი, გაღიზიანებული სხეულები უარესად იგლისებოდნენ ერთმანეთში. თითქოს სანთლის ალი ის უკანასკნელი ძაფი იყო, კიდევ რომ აკავშირებდათ სამყაროსთან, კიდევ რომ უნარჩუნებდათ დროისა და სივრცის შეგრძნებას, და, აქედან გამომდინარე, ერთმანეთისა და საკუთარი თავის პატივისცემასაც, მაგრამ რაკი ის ბოლო იმედიც ასე ერთბაშად გაჰქრობოდათ ხელში, დროსაც მოწყვეტოდნენ და სივრცესაც, ერთმანეთსაც და საკუთარ თავსაც. ოფლის, შმორის, გახრწნილი ნელსაცხებლის სუნით გაზნირული წყვდიადს ყველასთვის ერთნაირად დაეკარგა საღად განსჯის უნარი. მატლებივით ფუტფუტებდნენ, ერთმანეთში აზელილნი, ერთ ამაზრზენ, მრავალთავა, მრავალკიდურა არსებად, თბილისელი მსახიობის გადამყლაპავ, ბინილისელი მსახიობით სტომაქდამძიმებულ არსებად ქცეულნი.

თან უკანე უნდოდათ იმისი ამონთხევა, თან კმაყოფილნიც იყვნენ ამგვარი მოულოდნელი ძღვენის. და ისევ ხვნეშოდნენ, კვნესოდნენ, ღმუოდნენ. ყველას ერთნაირად ექავებოდა ენა რამე ბილწის, უწმაწურის, უხამსის სათქმელად. არც აყოვნებდნენ. მთვრალი მეეტვე გამოფხიზლდებოდა სირცხვილისაგან. ეაოცებისგან მაინც. იმათ კი აღარაფრის რცხვენოდათ, თითქოს მართლა აღარაფერი არ არსებობდა ამ ორმოს გარდა; თითქოს ამ ორმოში გაჩენილიყვნენ და ამ ორმოში აღმოხდებოდათ სული; თითქოს რაკი არ ჩანდნენ, არც არსებობდნენ; თითქოს აღარასოდეს აინთებოდა სინათლე და აღარასოდეს შეაწუხებდათ ამ ჰქოთებულ წყვდიადში გადატანილის გახსენება. ვიღაცას ყელსაბამი შეაწყვიტეს. ვიღაცას კაბა შემოახიეს ტანზე. ვიღაცას გული შეუღონდა. მაგრამ, საცა სამართალია, ისიც უნდა ითქვას, რომ რაკი არ უნდა შემაზრზენი, დამაკნინებელი და გამაბითურებელი ყოფილიყო წყვდიადში გატარებული დრო, როგორც არ უნდა დაემდაბლებინა ორმოში მდგარი ხალხი, ერთ სასიკეთო საქმეს მაინც აკეთებდა: შეიძლება ბუნდოვნად, სუსტად, შეუცნობლად, მაგრამ თანდათანობით მაინც ეუფლებოდა ორმოს ერთნაირობის დამიმედებელი შეგრძნება და ნებისმიერი მოვლენის ერთნაირად აღქმის უნარი. სურვილიც. თბილისელი მსახიობის საქციელმა ერთი პირობა კი აუმღვრია ორმოს გონება, როგორც გუბეში ჩაგდებული ქვა ამმღვრევეს ხოლმე წყალს, მაგრამ მეორე წუთას იმასაც მიხვდა, დამარცხებული კაცის უკანასკნელი, თავგანწირული ნაბიჯი რომ იყო ეს და არა მსახიობური ფანდი, მის გასაბრაზებლად, ანდა მისი გულის მოსაგებად გამიზნული. თბილისელმა მსახიობმა უბრალოდ თავი შეაფარა ორმოს, როგორც უსახლკარო ლტოლვილმა — მონასტერს, და ახლა მხოლოდ მონასტერზე იყო დამოკიდებული მისი ბედი, მხოლოდ შემფარებელსღა ეკითხებოდა, გაუგულისდებოდა — რაღა მაინცდამაინც მე მომადექეო — თუ ქომაგად დაუდგებოდა, როგორც მოიქცა კიდეც, რადგან, ყველაფერს რომ თავი გავანებოთო, თბილისელი მსახიობის ქომაგობა უკვე იგივე თავის დაცვა იყო, რამდენადაც უკვე თავის ოფლიან წიაღში ეგულებოდა იგი და, უნდოდა თუ არა, ესმოდა თუ არ ესმოდა იმისი, მაინც თავისიანად უნდა ჩაეთვალა: ერთად იყვნენ, ერთ ბედქვეშ, ერთ წყვდიადში. მაგრამ მრისხანება მაინც მრისხანებად რჩებოდა, ამჯერად საერთოდ უმისამართო და ამიტომაც უფრო ძნელად მოსარევი. ორმო შფოთავდა, გმინავდა, გუგუნებდა და რაიმე სადინარი რომ არ მიეცა თავისი მრისხანებისთვის, თანაც რაც შეიძლება მალე, ალბათ გული გაუსკდებოდა. წარმოდგენას ვიღა ჩიოდა, ანდა დაკარგულ დროსა და ფულს. სინათლის მომნათებელი, ხელის მომწოდებელიც არავინ ჩანდა, ისევ რომ ამოსულიყო სამზეოზე. „როგორი ხალხიც ვართ, თეატრიც ისეთი გვაქვსო“, „რასაც ვთესავთ, იმას ვიმკითო“ — იგესლებოდნენ უარესად. მაგრამ როცა სინათლე აინთო და თეატრის პატრონის თანხლებით, სცენაზე პოლიციმეისტერი შემოვარდა — თითქოს ვიღაცას გამოჰკიდებიაო — ორმომ ისეთი სტვენა და ღრიანცელი ასტეხა. ეტყობა, მართლა რკინისა იყო თეატრი, კიდევ ფეხზე რომ იდგა და უძლებდა. სტვენასა და ღრიანცელს ორმომ მთელი თავისი რისხვა, მთელი თავისი გაგულისება ამოაყოლა და მახვილივით დაიკგარა პოლიციმეისტერს. ამის მიხვედრა არც პოლიციმეისტერს გასჭირვებია, უკანაც გადაქანდა უნებურად, მაგრამ მალე მოერია თავს და მადლიერების ღიმილით სახეგაბადრულმა, მოწიწებით დაუკრა ორმოს თავი. ვიდრე ორმო ჩაწყნარდებოდა, ასე იქნევდა თავს; თან მუნდირის კალთებს იქანავდა ძირს, თითქოს მოულოდნელად დამოკლებიაო. ორმო უსტვენდა, ღრიალებდა, მაგრამ ბოლოს მაინც ცნობისმოყვარეობამ სძლია გაგუ-

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

ლისებას და თანდათან ჩაწყნარდა, გაღლურსა, სმენად იქცა, თითქოს დიდი ხნის ნანატრი წარმოდგება დაწყებულიყო, ბოლოს და ბოლოს; თითქოს პოლიციმეისტერი ნამდვილად პოლიციმეისტერი კი არ იყო, პოლიციმეისტერს თამაშობდა. პოლიციმეისტერმა პირი გააღო, რაღაცის თქმა დაიპირა, მაგრამ ხმა ვერ მოზომა თავ ნერწყვი გადასცდა, ხველა აუვარდა. სანამ თეატრის პატრონი წყალს მოურბენინებდა, ღიმილი არ მოშორებია სახიდან; გალიმებული ახველებდა. თეატრის პატრონი წყლის მოსატანად, რატომღაც, თითის წვერებზე გაიქცა, თითქოს ძლივს ჩაწყნარებულ ორმოს ჩასძინებოდა და შიშობდა, ძილი არ დავუფრთხოო. ორმომ გაიცინა. პოლიციმეისტერმაც მხარი აუბა ორმოს და გაქცეულს ხელი გააყოლა, ვითომ, შეხედეთ, მართლაც რა სასაცილოდ გარბისო. თან ახველებდა, თან იცინოდა. ისე ახველებდა, თითქოს იცინისო, და ისე იცინოდა, თითქოს ახველებსო. თეატრის პატრონი თითქმის მაშინვე შემობრუნდა, თითქოს წინასწარ იცოდა, პოლიციმეისტერს ხველა რომ აუვარდებოდა, თითქოს ასე იყო წინასწარ გათვალისწინებული, და კულისებშიც წინასწარ დაეყენებინათ ვიღაცა, გამზადებული ჭიქით ხელში. ისევ თითის წვერებზე მორბოდა, სახე ორმოსკენ მოღრეცილიდან და დაბნეული იღიმებოდა. ჭიქიდან წყალი ეღვრებოდა. თითქოს ესეც წინასწარ იყო განსაზღვრული, ორმოსთვის რომ ეჩვენებინა, ნამდვილად წყალი მომაქვსო. ორმომ ისევ გაიცინა. აქა-იქ, კანტიკუნტად, ტაშიც გაისმა. პოლიციმეისტერმა წყალი დალია, სული ჩაიბრუნა (წყალს ზურგშექცეული სვამდა), და ჯერ ჭიქა დაუბრუნდა თეატრის პატრონს, მერე კი, მადლობის ნაცვლად, თითი დაუქნია, ვითომ შენი ბრალია ანდა შენი თეატრისა, ხველა რომ ამივარდაო. ეს მუნჯური სცენაც მოეწონა ორმოს, გულიანად გაიცინა. პოლიციმეისტერმა ერთხელ კიდევ დაუკრა ორმოს თავი და ერთხელ კიდევ ჩაახვევი, სალაპარაკოდ მოემზადა, მერე თვალი ჭაღს გაუშტერა, ხელები კი მუცელს ქვემოთ დაიწყო, თითქოს ტიტველი იყო და სასირცხვოს იფარავდა. „ნუ გეშინინ, იოსებ“, გაეხმაურა ორმოს. მაგრამ პოლიციმეისტერს აღარ მიუცია ინა ყურადღება ამ უადგილო რეპლიკისთვის, ჭაღს შესცქეროდა, აზრის ძაფი რომ არ გასწყვეტოდა და ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა, თუ როგორ განიცდიდა და როგორ არ იცოდა, რანაირად, რა სიტყვებით გამოეთქვა უფრო ნათლად, თავისი გულისტკივილი ამ მართლაც რომ უმსგავსო და სამწუხარო შემთხვევის გამო, არა მარტო როგორც პოლიციმეისტერს, რომელიც ვალდებულიცაა ემსახუროს საზოგადოებას, არამედ როგორც ჩვეულებრივ, რიგით მოქალაქესაც, ოღონდ სხვაზე არანაკლებ მოყვარულსა და პატივისმცემელს თეატრისა, რომელიც (სხვათაშორის) არა მარტო პირად დამსახურებად, არამედ საერთო ბედნიერებად თვლის, ბათუმშიც რომ არსებობს „სულიერი ცხოვრებისთვის ისეთი დიდად მნიშვნელოვანნი დაწესებულება“, როგორიც თეატრი გახლავთ, და თუნდაც ამიტომ, უსამართლობა იქნებოდა და მეტი არაფერი, რაღაცის გამო, ვიღაცას თეატრის მტრად მოსჩვენებოდა იგი, რაც არანაკლებ დაიღონებდა თურმე, ვიდრე საკუთარი შვილების უმადურობა. „სადაც ხეა, იქ ცულიცაა“ — ისევ დაუძახა ვიღაცამ ორმოდან, მაგრამ პოლიციმეისტერი არც ამჯერად წამოჰგებია ანკესს, ერთი კი გაიფიქრა, სწრაფად, ყოველშემთხვევისთვის — ბარცხანელი იქნებაო — და ვითომც აქ არაფერიო, ისევ გააგრძელა თავისი საკმაოდ დაბნეული და გრძელი სიტყვა. ბოლოს ისე გამოიყვანა, ანდა ორმომ ისე გაიგო, თითქოს თეატრის პატრონს განზრახული კი ჰქონია თეატრში იტალკის აყრა, ისევ და ისევ, მაყურებლის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ ამის თაობაზე არც პოლიციმეისტერს შეთანხმებია თურმე და არც თბილისელ მსახიობს.

— ისა. ფუი. დასწყევლოს ღმერთმა. დიახ. შენ ხარ ჩემი ბატონი. გაუგებ-

რობა. გაუგებრობა. — შესძახა ბოლოს.

თეატრის პატრონმა ხელები გაშალა (ერთ ხელში ცარიელი ჭიქა ეჭირა) და ჭერს ახედა, ვითომ ღმერთის წინაშე ვაღიარებ, ნამდვილად ასეა, ნამდვილად გაუგებრობის ბრალიაო. „იუდა და ძმანი მისნი“ — ისევ დაიძახა ვიღაცამ. ხოლო პოლიციმეისტერი ახლა იმის მტკიცებას მოჰყვა, თუ როგორ უჭირდა, როგორ ესაკვდილებოდა თბილისელი მსახიობისთვის სახეში შეხედვა, ჯერ კიდევ „სტუმრისთვის“, ჯერ კიდევ „თბილისელისთვის“, რომელსაც ამ სამწუხარო გაუგებრობის გამო, არ მიეცა თავისი ნიჭიერების გამომჟღავნების საშუალება, არ მიეცა შესაძლებლობა დაეტკბო, მოეხიბლა, განეცცოფრებინა ადგილობრივი, მკვიდრი მაყურებელი, და ამიტომაც, „ალბათ საერთო სურვილს გამოვხატავ, ისა. ფუი დასწყევლოს ღმერთმა. თუკი, დიახ, რა თქმა უნდა, თქვენი სახელითაც, თავისთავად ცხადია, ერთხელ კიდევ მოვიხდი ბოდიშს მელპომენეს (მელპომენე, არა?) წარმოგზავნილის წინაშე“. ორმაში ტაშმა იქუხა. ყველანი თითის წვერებზე იწეოდნენ, ერთმანეთს მხრებზე ეყრდნობოდნენ, უკეთესად რომ დაენახათ თბილისელი მსახიობი. ორმო იქამდეც იყო მიხვედრილი, თბილისელ მსახიობს გაცილებით მეტი რომ შეეძლო, ვიდრე თავად ელოდებოდა იმისგან, თუნდაც იმიტომ, ხელისუფლების საქვეყნოდ გალანძღვასაც რომ არ მოერიდა და არაფრის წინაშე რომ არ დაიხია ხელისუფლების ჯიბრით, რის გამოც, ადვილი შესაძლებელი იყო, საერთოდ ის გამოეყვანა ხელისუფლებას დღევანდელი არეულობისა თუ „გაუგებრობის“ მოთავედ (რატომ შეიპატიჟე ხალხი იატაკაყრილ თეატრშიო) და დასაჯა კიდეც, რაც არავის გააკვირვებდა ალბათ, მით უფრო პოლიციმეისტერის „გამოსვლამდე“, მაგრამ პოლიციმეისტერის „გამოსვლამ“ ორმო იმაშიც დაარწმუნა, თბილისელი მსახიობის ჭეშმარიტი ფასი იმავე ხელისუფლებამ უკეთესად რომ იცოდა, ვიდრე თავად, რამაც კი არ შეურაცხყო, პირიქით, გააბარა და გააბედნიერა კიდეც, შვილშექცეული მშობელივით, ოღონდ იმ გონებამაღლებული მშობელივით, საკუთარ თავზე მეტად, ყოველთვის სხვისი რომ სჯერა, რადგან თუკი თავად მშობლიური უსამართლობა და მშობლიური უნდობლობა უშლის ხელს, იყოს მიუმხრობელი შემფასებელი შვილისა, სხვას არაფერი აიძულებს ტკუილუბრალოდ, უმიზეზოდ აქოს და ადიდოს იგი, არაფერი, არც მშობლიური სიყვარული და არც მშობლიური ანგარება. ახლა კი, მისი „შვილი“ არა თუ აქო და ადიდა „სხვამ“, ცამდე აამაღლა და მიწამდე დაუკრა თავი. გარდა ამისა, ორმო უკვე მართლა თავისად, თავის განუყოფელ ნაწილად თვლიდა თბილისელ მსახიობს; მართალია, თავად აკლდებოდა ის ადგილი, თბილისელ მსახიობს რომ ეკავა, ურომლისოდაც კიდევ უფრო უჭირდა განძრევაცა და სუნთქვაც, მაგრამ უკვე ისე შესჩვეოდა ამ დანაკლისს, თბილისელ მსახიობს ისევე უცაბედად რომ გაეთავისუფლებინა ადგილი, როგორც დაიკავა, სიკარიელეს იგრძნობდა მხოლოდ და არა სიხალვათეს, რადგან ცხოველური ალღოს ბრალი იყო თუ ერთად გადატანილი წყვდიადისა, შეუმჩნეველად და სამუდამოდ გაეთავისებინა იგი, გაეღენთილიყო იმისი მედიდური, ამაყი დუმილით, როგორც ლომის ბუნაგი — ლომის სუნით, ხოლო ეს უჩვეულო, მოულოდნელი, გადავიწყებული განცდა სიდიადისა და ძალისა, უნებურად თავადაც სიამაყით ავსებდა, რაც თავის მხრივ, მადლიერების გრძნობასაც უჩენდა ამ თითქმის უცხო კაცის მიმართ, გულხელდაკრეფილი რომ იდგა და მშვიდად, უდრტვინველად აჰყურებდა სცენას.

— ისა. ფუი, დასწყევლოს ღმერთმა. სხვათაშორის, თქვენ მანდ რა გინდათ? — დაუძახა უცაბ პოლიციმეისტერმა და ხელგაწვდილი გადაიხარა წინ, თითქოს სცენაზე უპირებდა ამოყვანას.

თბილისელმა მსახიობმა ჯერ ირგვლივ მიმოიხედა, დინჯად, აუჩქარებლად, ყურადღებით, თითქოს არ იცოდა და

ახლა უნდა გაერკვია, სად იმყოფებოდა; მერე უმანკო ყრმის სახე მიიღო, თვალები დახუჭა, მკერდზე გადაჯვარედინებული ხელის მტევნები ფრთებივით ააფართხალა, თითქოს მტრედი დაჰფრენია მკერდზეო, და სასაცილოდ დაწვრილებული ხმით დაიწრიპინა: ვინათლები, მამაო. ატყდა და რა ატყდა. ჰომერული სიცილი მოგონილი იყო იმასთან. დიმიტრი რას იფიქრებდა, ჭაღი თუ არ ჩამოწყდებოდა. კულისებიდან გაოცებული, გაუბედავად მომღიმარი მსახიობები და პოლიციელები გამოეფინნენ სცენაზე. პოლიციმეისტერს სიცილისგან ცრემლი სდიოდა — ერთი ხელით მუცელი ეჭირა, მეორე კი ისევ თბილისელი მსახიობისთვის ჰქონდა მიშვერილი, ორმოსაც და სცენაზე გამოფენილ ხალხსაც თბილისელი მსახიობისკენ უთითებდა, ვითომ არავის შეგეშალოთ, მე კი არა ვარ, აი, აგერ ბრძანდება ამ დაუოკებელი, ამ ზღვა სიცილის მიზეზიო.

მეორე დღეს მთელს ქალაქში ელვასავით გავარდა თბილისელი მსახიობის სახელი, რამაც გასახარზე მეტი სავალალო მოუტანა არა მარტო თბილისელ მსახიობს, არამედ მის მაღიარებელ ქალაქსაც; ხოლო ეს რომ ასე იქნებოდა, დიმიტრიმ უფრო ადრე იცოდა, ვიდრე საკუთარ კისერზეც იწვნევდა ამ დიდების დამანგრეველ, დამღუპველ, გამანადგურებელ სიმძიმეს. მაგრამ ჯერ დიდების პირველი დღე იყო მხოლოდ და ყველანი ერთნაირად თავბრუდახვეულნი იყვნენ, განდიდებულიცა და განმადიდებლებიც. სანამ თეატრში იატაკს დაგებდნენ, ხალხი ისევ მოდიოდა, ისევ ჩადიოდა ორმოში და სულგანაბული, აღელვებული, აღტაცებული უსმენდა თავის რჩეულს. საბედნეროდ, თეატრში იატაკი მალე დაიგეს. პოლიციმეისტერმა, სამუშაოს დასაჩქარებლად, მთელი ბატალიონი „ესესხა“ პოლკოვნიკ ვეზირიშვილს და არა მარტო თეატრის სიყვარულითა და პატივისცემით მოიქცა ასე, იმასაც ხელს აძლევდა, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს, თეატრი ისევ თეატრს დამსგავსებოდა და დამთავრებულთა, მეამბოხეთა, მორწმუნეთა [illegible] ოავშესაფრად არ ქცეულიყო. წარმოდგენები განახლდა. თბილისელი მსახიობი სცენაზე რომ გამოჩნდებოდა, ხან ბერძნულ ტოგაში, ხან ესპანურ ლაბადასა და ხან ქართულ ჩოხაში გამოწყობილი, ფერდაკარგული ქალები უფრო გამალებით იქნევდნენ მარაოებს. ქალაქში რომ ხმა გავარდა, თბილისელ მსახიობს ცოლი გაექცაო, თქვენ წარმოიდგინეთ, ესეც, მხოლოდ და მხოლოდ, თბილისელი მსახიობის არაჩვეულებრივობის დამადასტურებელ მოვლენად ჩათვალა ქალაქმა და, ცოტა არ იყოს, გაუხარდა კიდეც, თითქოს თბილისელ მსახიობზე უმეტოდ შეყვარებული ქალი იყო და რაკი ცოლი გაჰქცეოდა იმას, თვითონაც იმედი ჩასახვოდა გულში, ყოველ შემთხვევაში, ახლა უფრო შესაძლებლად თვლიდა, თვითონ რომ დაიკავებდა როდისმე გაქცეულის ადგილს. ხოლო თბილისელი მსახიობი ცოლისაგან თავალწუნებულ ბუდეში იჯდა ამ დროს, წინ სარკე დაედო და დაფინებით ჩასცქეროდა ორეულს თვალებში. ძალიან მარტო ვარო — ეუბნებოდა ორეული. როგორ გიშველო, განა არსებობს სიმარტოვის წამალიო — პასუხობდა თბილისელი მსახიობი. ხმაც რომ არ ამოეღო ორეულს, სახეზედაც ეტყობოდა, მართლა რომ იტანჯებოდა. დამფრთხალი, აწრიალებული, შიშისაგან გადიდებული თვალებით იყურებოდა სარკის ფსკერიდან, თითქოს თბილისელი მსახიობისგან ელოდებოდა რაღაც საზარელი საიდუმლოს გაგებას, რაც არა მარტო მის სიცოცხლეს, არამედ საერთოდ სამყაროს არსებობას შეეხებოდა. თბილისელმა მსახიობმა კი მხოლოდ ის იცოდა, ყველანი ერთნაირად უმწეონი რომ იყვნენ, მაგრამ რაკი გაჩენილიყვნენ, ბოლომდე უნდა გაეძლოთ: ამის უფლებაღა დაეტოვებინა იმათთვის ბედსა თუ გარემოებას; ხოლო ვინც ბედსა და გარემოებას ჩაწვდენოდა, იმისთვის სიცოცხლე წამების სახეობა იყო მხოლ-

ოდ, მაგრამ რაკი ამდენი იცოდა, აღარც სისუსტე ეპატიებოდა; უნდა აეტანა წამება, არ გამტყდარიყო, არ გამოტეხილიყო, არ ეღიარებინა დანაშაული, რომელიც არასოდეს ჩაედინა და რომლისთვისაც ისჯებოდა. „ჩაუდენელი დანაშაულის ზიდვა მცოდნეთა და რჩეულთა ხვედრიაო“ — ეუბნეოდა თავის ორეულს. მაგრამ სიმარტოვე მაინც მწარე იყო, მტანჯველი, მაინც აუტანელი. კუდიანი დედაბერივით ჩამოუჯდებოდა საწოლზე, გამოითრევდა ძლივს მოპოვებული ძილიდან, დაკრუნჩხული, ბოთოშილი თითებით გამოუწურავდა გულს, ღვიძლს, ფილტვებს, ოფლად გაღვრიდა, ნაპირზე ამოგდებული თევზივით აფფართხალებდა აწეწილ ლოგინში, თვალებდაყვლეპილს, კბილდაკრეჭილს, დამფრთხალს, დაუძლურებულს, დაბეჩავებულს, უსაშველოდ მიტოვებულს ყველასაგან, საკუთარი ფულით ნაქირავებ ოთახში, საკუთარ ოჯახში, საკუთარ საწოლში; არადა, გაქცეული ცოლის ერთი გამოხედვა, ერთი სიტყვა, ერთი უბრალო მოძრაობაც კმაროდა, უკვალოდ რომ გამქრალიყო ეს უკბილო დედაბერი, წრიპლიანი, ბინძური, დაუნდობელი, კაცის უნახავად გამრუშებული, დედობაგანუცდელი, თავადაც უსიყვარულოდ ჩასახული და უდედოდ გაჩენილი, ჯოჯოხეთის საშო, ღამურა, ჯოჯო, ქეციანი კატა, სიკვდილის ამხანაგი, სიკვდილის წინამორბედი, მოიქეული — არხეინად რომ ჩამოსკუბდებოდა ხოლმე სხვის საწოლზე და უკბილო, დორბლიან პირზე ხელაფარებული, ქირქილებდა, ქირქილებდა, ბედნიერი, კმაყოფილი, მადლიერი მსხვერპლისა, ჯიუტად რომ ითმენდა მის სტუმრობას; ხოლო მისი მსხვერპლი, მოთმინებისგან დამახინჯებული, გასაცოდავებული არსება, ღმერთის ხატად შექმნილი, ადამის ბრმა ლეკვი, ბრმად მძიგებელი სინათლისა, სიკეთისა, სიწმინდისა — საიდუმლო პაემანზე მოსული. სატრფოსავით ეჩურჩულებოდა ყურში (თითქოს სხვა ვინმე გაიგებდა იმათ ლაპარაკს): არ ჯობია... არ ჯობია, ერთხელ და სამუდამოდ დავაყენო საშველია? „არ ჯობიაო“ ეჩურჩულებდა სიმარტოვე. დრო ... ეჩოვრება დუღდა და გადმოდუღდა. ბათუმში ისევ ყველანაირი ფული გადიოდა, მაგრამ ინგლისური გემი რომ მიაყავირებდა ნავსადგურს, ყველანაირი ფული ერთბაშად უფასურდებოდა. ყველას სტერლინგი უნდოდა. თურქულ ლირას ხომ მეძავებიც აღარ უყურებდნენ ზედ. უკან მიიფარეო — ეუბნებოდნენ ლირის პატრონს და ქიავლ-ხიავლით მიისწრაფოდნენ ნავსადგურისკენ, შეძლებისდაგვარად დასუფთავებულ-დალამაზებულნი, მიისწრაფოდნენ, როგორც პატარა გოგონები გადიის დაძახილზე. ახლა რეზერვუარებში ერთდროულად ორასი მილიონი ფუთი ნავთი ინახებოდა და უადგილო ადგილს რომ გაეკრა ვინმეს ასანთი, მთელი ბათუმი დედაბუდიანად გადაიბუგებოდა. მუშები ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ: მოკლა ჩვენი ცოლები ქვის ხარშამ და ქვიშის ზელამო. ყველაზე მეტად ვეშაპებს არ მოსწონდათ ეს ამბავი, გაბრაზებულები ატყლაშუნებდნენ ჯოდებს, სხვა ქვეყანაში გადავიტანთ ქარხნებს და საერთოდ ულუკმაპუროდ დაგტოვებთო. მაგრამ მუშებს აღარ ეშინოდათ, იმდენს უკვე ხვდებოდნენ, ვეშაპებიც ვერაფერს რომ გააწყობდნენ უიმათოდ: ვერც დაშლიდნენ და ვერც ბემებზე დაუდებდნენ თავიანთ ქარხნებს. ქვიშაზე გაშენებულ ბაღში ორკესტრი ქუხდა. მსუყედ ნასადილევი ჩინოვნიკები ტილოს სავარძლებში თვლემდნენ. მოსეირნეთა ფეხქვეშ სასიამოვნოდ ჩხრიალებდა ხმელი წიწვით მოფენილი ქვიშა. რა აზრისა ხართ ქალთა ემანსიპაციაზეო — ეკითხებოდა სერთუკიანი ვაჟი ქოლგიან ქალიშვილს. ქალიშვილი ქოლგას მხარზე იბზრიალებდა და სასაცილოდ აგრძელებდა ცალკეულ ბგერებს: ररररა აზररररისა ვაররররგის, ქარররგის, მხოოოოლ-

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

ოდ კარრრრგის. ქალი გაუფასურდება. ბსსსსგათა შორისსსს, კაااااციც. თბილისელი მსახიობი კი, ნავის კიჩოზე გულალმა გადაწოლილიყო და ცას აჰყურებდა. შიშველი ფეხები თევზში ეწყო. ერთმანეთში არეული თევზი აქა-იქ შეთრთოლდებოდა ხოლმე, მობოშებულ კუდს გაუბედავად აბზეკდა და თვალისმომჭრელად ბრეშვიალებდა მზეზე. „ბაბუაჩემი ქართველად მოკვდა. მამაჩემი გათურქდა. მე კი გამოვდივარ, ჭოვ?“ — ამბობდა მეთევზე ხასანა. ჭროღა თვალები ჰქონდა და მიმინოს ნისკარტივით —: ცხვირი. გაოფლილი, გაწებილი თმა ყალაზე ედგა. მოხდილი ყაბალახი ჩიტის ბუდესავით ედო გვერდით. პოლკოვნიკ ვეზირიშვილს აღლუმებისთვის აღარ ეცალა, ჯარი თოფქვეშ ეყენა, არ იცოდა, რა დროს დასჭირდებოდა. გათავხედებული მუშები ზედიზედ იფიცებოდნენ. მიატოვებდნენ სამუშაოს და მოქუჩდებოდნენ ერთად. თან, ბოლომდე მტკიცენი და შეურყეველნი რომ დარჩენილიყვნენ, თეატრში დაზეპირებული ფრაზებით ამხნევებდნენ, აქეზებდნენ ერთმანეთს. თბილისელ მსახიობს ბაძავდნენ და იმასავით წარმოთქვამდნენ: ყოფნა, არ-ყოფნა — საკითხავი აი, ეს არისო. ან: მე კარგად ვიცნობ ჩემს ხმალს, ის ამჯობინებს ჩემს გულში გადატრიალდეს, ვიდრე მტერს ემსახუროს... მე და ჩემი ხმალი — ქართველები გახლავართ, დიდი შაჰპო. ან კიდევ: სასახლე საჯინიბოდ იქცა! კეისარი საზარელი და სულელი მასხარაა! რომაელები — მთვრალი პირუტყვები. ჩემი ადგილი აქ არ არისო. მოკლედ, წრას ყავდათ აყვანილნი, თითქოს არ იცოდნენ, გაცილებით ძვირი რომ ჯდებოდა ცხოვრებაში იმის გამეორება, რისი ნახვაც თეატრში ხუთ კაპიკადაც შეეძლოთ. პოლიცია გადიცულთა მოთავეებს აპატიმრებდა. ციხეში ტევა აღარ იყო. ხოლო გარეთ დარჩენილი მუშები ციხის ალაყაფზე მუშტებით აბრახუნებდნენ: ან ჩვენი ამხანაგები გამოუშვით, ან ჩვენც მაგათთან ერთად ჩაგვსვითო. „სადღა დავტიოო“ — მხრებს იჩეჩავდა ციხის უფროსი. ისეც მინდეფეთ-ყო ‘საიდუმლო თათბირზე, ფეოდალისტების კაბინეტში, ხელისუფლების სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ერთად. მათი სადილ-ვახშამი რესტორან „ფრანციიდან“ მოჰქონდათ პოლიციელებს დიდი, ხელსახოცგადაფარებული ლანგრებით. კაბინეტში კი თათბირი გრძელდებოდა: „ერთი ძირგახვრეტილი ბაკასი მიყენია ნავსადგურში. გავიყვან თქვენს პატიმრებს შუა ზღვაში და გადავდებ. ციხეც გაგინთავისუფლებთან.“ „მეყო. საკმარისია. ეს ბოლო ნაბერია. გგიკვირდებათ და, სალთისონი მაშინვე კუჭში შემკრავს ხოლმე“. „ჩემი ფაშატი მგონი მაკედაა. მეჯინეე კი იკლავს თავს, ულაყი სათოფეზე არ გამიკარებიაო, მაგრამ ფაშატიც ქალი არ არის? ერთ მეჯინეზეს ვეღარ გააცურებდა? აბა, სულიწმინდა ხომ არ დაამაკვდა, დალოცვილო?!“ „მოდიან და მოდიან. ისეც ციხეში გვირჩევნია, იქ უფასოდ მაინც გვაშეევენო“. „იქნებ, თავად თქვენმა მეჯინეებემ?“ „ა

ფერს ელოდებოდა, ამას კი არა. მარინეს პროსპექტზე ცხენოსანმა ყაზახებმა ჩაიქროლეს, თქარათქურით, ყრიალით, ქოშინითა და ბუბუყეთ. ცხენები დაბერილი ნესტოებიდან ცეცხლსა და კვამლს ფრქვევდნენ. მხედრებსაც აყად წამონთებოდათ გახვითქული სახეები. წაკუზულები ოდნენ უზანგებზე. შალითინანი კარაბინები ზურგებზე ეხათქუნებოდათ. იარაღის, ტყავისა და ცხენის ოფლის სუნი დასტოვეს მთელ სიგრძეზე, ქალაქის ერთი ბოლოდან მეორემდე. მოხალისე მოწყალების დები გათენებამდე აგროვებდნენ ქუჩებში მკვდრებსა და დაჭრილებს. მიირწეოდა, მიღრეჯალდა, მიბაკუნობდა წითელი ჯვრის ეტლი ღამის უკუნეთში, მიაპორწიალებდა მბეუტავ ფანრებს და მხოლოდ მაშინ ჩერდებოდა, დაჭრილის გმნვა რომ შემოესმებოდა ანდა გვამს რომ გადააწყდებოდა და სამუდამოდ გაშეშებული თვალის გუგა ფანრის მოქანავე შუქს აისხლეტდა. მოხალისე მოწყალების დებში, სხვათაშორის, დარიც ერია. დიმიტრიმ ვერ დაუშალა, ვერ გააჩერა, ვერ გაუბედა გაჩერება. „მამაჩემიც ხომ ქუჩაში მოკლესო“ — უთხრა დარიამ და წავიდა, რათა ერთხელ კიდევ განეცადა მკვდარი მამის ძებნის სიმწარე, ცივი, გამთოშველი ელდა საცხედრეში, ხის სველ მაგიდაზე გაშოტილი გვამის ხილვით მოგვრილი (რატომ იყო მაგიდა სველი?), გამაოგნებელი უაზრობა, გამაბითურებელი სიმარტივე სიკვდილისა, გაშიშვლებული სიკვდილი, სიშიშვლე არაფრისა (ნუთუ ესაა მამაჩემი?), არაფრისა და მაინც მომნუსხველისა, მომჯადოებელისა თავისი სიარაფრით, თავისი გულისგამხეთქავი, სისხლის გამჩერებელი უძრაობითა და უმწეობით. „დავით კლდიაშვილსა და საბა ლაფაჩს ბრძანება არ შეუსრულებიათ, ჯარისკაცებისთვის სროლა აუკრძალიათ, თორემ გაცილებით მეტი მსხვერპლი იქნებოდაო“ — ყვიროდა ქალაქის თავის მეუღლე. ეტლი მიირწეოდა, მიღრეჯალდა, მიძაკუნებდნენ ფლოქვებს. დარიას კი წყალში დამბალი, რაღაცნაირად, აბეზღიერი გაეხსენა ფიცრის მაგიდაზე გაშოტილი მამის შეშველი სხეული ქუჩაისევე თვალწინ, ჯვრიდან ჩამოხსნილი ნეშტი მაცხოვრისა? არა. არაფერი. საერთოდ არაფერი. გაშეშებული, გათოშილი არაფერი. უპირველეს ყოვლისა, იმის უარმყოფელი, ვის აღმოჩენასაც ამაოდ ცდილობდა დარია საზარლად პირდაბჩენილ, სისხლშემხმარ ჭრილობაში, მჭიდროდ მოკუმულ ტუჩებში, გულზე დაკრეფილ (ვერ დაკრეფილ) ხელებში, გამოყვითლებულ ტერფებში... რასაც დარია ხედავდა, ის მხოლოდ ზიზღნარევი სიბრალულის, შიშნარევი გაკვირვებისა და ტალანქი, უხამსი ხუმრობით გამოწვეული შეცბუნებისა თუ შეურაცხყოფის მაგვარ შეგრძნებას უჩენდა; იმას კი არ ეუბნებოდა: მოდი, ნუ გეშინია, მომკიდე ხელი, მე ვარ მამაშენიო, არამედ — მომშორდი, რას დამჩერებიხარ, ტყუილად ეძებ, არ არსებობს, აღარ არსებობს, აღარასოდეს აღარ იარსებებსო. აღარასოდეს? აბა, თბილისელი მსახლობი? მამაც ზუსტად ამ ხნისა იყო, როცა მოკლეს. კი არ მოკლეს, უბედურებას გაექცა, გაერიდა და... დაბრუნდა. „რატომ წევხარ? არც მკვდარი ხარ, არც დაჭრილი“ — ჩაესმა უცებ ქალაქის თავის მეუღლის გაღიზიანებული ხმა. გაკვირვებულმა გაიხედა იქითკენ, საიდანაც ხმა შემოესმა. ეტლი იდგა. ყველანი გადასულიყვნენ ეტლიდან და ღობის ძირში რაღაცას დასცქეროდნენ. მეეტლე ფანარს უნათებდათ. „სად გასკდი, ასე ღორივით... ადექი. ადექი“. ამბობდა ქალაქის თავის მეუღლე. „ლაზარე. ლაზარე“ — თქვა დარიამ გუნებაში, რაღაცნაირი, ბავშვური მღელვარებითა და სიხარულით.

ის ღამე დიმიტრიმაც თეთრად გაათენა ეზოში და, ღმერთმა იცის, რაღა არ იფიქრა, რაღა არ წარმოიდგინა, ვიდრე ცოცხალ დარიას დაინახავდა. ლეღვის ხის ძირას შეყუჟულიყო და შფოთავდა, თითქოს უკანასკნელი ღამე დამდგა-

რიყო ბათუმისა, სამყაროსი; თითქოს სადაცაა მიწა გაიპობოდა, ცა გაიხსნებოდა და აალებული, აბუყბუყებული, აშლეულებული, აღმფვლებული ლავა სამუდამოდ წალეკავდა, სამუდამოდ ჩაიმარხავდა თავის მდუღარე წიაღში ყველაფერს, რაც აქამდე არსებობდა, რასაც აქამდე, ავი იყო თუ კარგი, სიცოცხლე ერქვა. ასე კი, მხოლოდ და მხოლოდ, იმიტომ მოხდებოდა, თბილისელი მსახიობი რომ მოვლენოდა აქაურობას, ეშმაკის საყდრად რომ ექცია თეატრი და ჯოჯოხეთის ცეცხლში ყრიდა ყველას, განურჩევლად. „რა ჭამმ მაინც ამისთანა, ასე რომ გაუმწარა გულმუცელიო“ — ფიქრობდა აღრენილი, გაბოროტებული და მუშტს ულერებდა მომიჯნავე ყრუ კედელში დატანებულ ერთადერთ სარკმელს, უფრო სწორედ, იმ ადგილს, სადაც ის ერთადერთი, ამოსაქოლი, ამოსაშანთი სარკმელი ეგულებოდა. უკუნი ღამე იყო, უჩვეულოდ ბნელი. თითქოს ღამე კი არ იყო — კვამლი, კვამლი ჯურღმულისა, ქვეესკნელისა, ჯოჯოხეთისა, ცათამდე აღმავალი, წამლეკავი მთათა, ტყეთა, ზღვათა და მდინარეთა — ყოველთა ტომთა, ერთა და ენათა. ქვითკირის ღობის გადაღმა გოდორში დამწყვდეულნი მამალი თუ დაიყივლებდა ხანდახან, ხრინწიანად, უნდილად... თითქოს ისიც საიქიოდან ყიოდა. არც სხვამხრივ ეტყობოდა ქალაქს სიცოცხლის ნიშნწყალი. ლეღვის ძირას თავისთავად გაფაჩუნდებოდა ხოლმე შარშანდელი ფოთოლი და ესეც სიკვდილის ხმა იყო, უსულო, უძარღვო, გამფიტული. ესეც მხოლოდ სიკვდილს ახსენებდა დიმიტრის. არაფერზე არ შეეძლო ეფიქრა, სიკვდილის გარდა. ხანდახან ჭიშკარი თითქოს უხმაუროდ იღებოდა ყურთამდე და ვიღაცეებს დარიას გვამი შემოჰქონდათ ეზოში. დარიას თეთრი ხალათი და თავსაფარი სისხლში იყო ამოსვრილი, ხოლო ფრთებივით გადაშლილ მკლავებს უმწეოდ მოაქანებდა ჰაერში. დიმიტრი თვალებს ხუჭავდა, ხმამაღლა იწყებდა განგებ ლაპარაკს, ეს შემზარავი ჩვენება რომ დაეფრთხო როგორმე, მაგრამ ჩვენება კი არ ქრებოდა, პირიქით იცცლიდა მხოლოდ, აზარ-აზარ ... ...

გაჩენილ ლიმონს, იმის გულს წუწნიდა ასე გამალებული. „სიცოცხლისა გეშინოდეს, დიმიტრი, სიცოცხლისა, — შეუყვირა სიკვდილმა და ტუჩები უსიამოდ გაიწკლაპუნა—ხარბია. ყველფერი ბევრი უნდა. თანაც ახლავე. მე კი, ვიცდი, ვიცდი და ვარ ამ ერთ ლიმონს მიჩერებული“. „რისი თქმა უნდა, ნეტავიო“ გაიფიქრა დიმიტრიმ და უცებ უსვინდისო, მდაბალი, ამაზრზენი შვება იგრძნო, რადგან მაშინვე იმასაც მიხვდა, ჯერ შემოუსვლელი, ჯერ არარსებული ლიმონის შეჭმა იმის სიკვდილს რომ ნიშნავდა, ვინც ასევე ჯერ არ მოვლენოდა ქვეყანას და, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი მომავალში, მაინც უფრო ადვილი შესალეკი, ადვილი გასაწირი იყო ახლა, ვიდრე დარია, ანდა ვიდრე თუნდაც საკუთარი სიცოცხლე, რადგან საერთოდ ასეთია ბუნება კაცისა: დღეკანდელით ცხოვრობს და არა ხვალინდელით; ტყუილად კი არ თუქვამს: ხვალემ იკითხოს ხვალისაო, და ვერც გამტყუუნებ, რამდენადაც ნანახი და განცდილი განაპირობებს მის ყოველ ნაბიჯს, განზრახვას, მიზანს, ოცნებასა თუ იმედს, და არა ჯერ უნახავი, ჯერ განუცდელი, გინდაც ის ალმოჩნდეს სწორედ აზრი და გამართლება მისი არსებობისა, შედეგი და ჯამი ყველაფრისა, რაც იქამდე, უიმისოდ უნახავს და განუცდია. სიკვდილმა გაიცინა. გამოწურული ლიმონის ქერქი გადააგდო და ჰკითხა: ფეხსადგილი სადა გაქვსო. სიკვდილი წვავდა. ხოლო დიმიტრი ახლა უფრო მოუთმენლად ელოდებოდა დარიას, რადგან ახლა დარწმუნებული იყო, ნამდვილად რომ დაბრუნდებოდა იგი და ნამდვილად ცოცხალი. ახლა იმისი მოუთმენლობა კლავდა, როდის მოუყვებოდა თავის უცნაურ ჩვენებას. როდის აახსნევინებდა. როგორც სიზმრებს ახსნევინებდა ხოლმე, ბებიისგან განსწავლულს, ბებიის გაშრის ჯვრისა და აბრეშუმის ზონრის მპყრობელს. გალიაში დამწყვდეული ნადირივით დაძრწოდა წინ და უკან, ჭიშკრსა და ორსაფეხურიან კიბეს შორის, და თუმცა უკვე დარწმუნებული იყო, სიკვდილთან საუბარი, მხოლოდ და მხოლოდ, მისივე აღგზნებული გონების ფუყეე, მკვდრადშობილი ნაყოფი იყო, ყოველშემთხვევისთვის, ცალი თვალით მაინც დაეძებდა ლიმონის გამოწუწნულ ქერქს, ვითომ სიკვდილმა რომ გადააგდო წეღან. ის კი არა, ფეხსადგილთანაც მირბინა რამდენჯერმე და ვიდრე კარს გამოაღებდა, გარედან მიაყურადებდა ხოლმე, თუმცა ისიც წინასწარ იცოდა, არაფერი რომ დახვდებოდა იქ, ასისინებული, ნესტიანი წყვდიადის მეტი.

მეორე დღეს აზიზეას მოედანზე ცამეტი კუბო დასაკენეს. ქალაქი ერთად მარხავდა დახოცილებს, სამუდამოდ დამძიმებულთან ერთნაირი, ერთდროული სიკვდილით, ერთი სიკვდილის შვილებს, ერთიდიმავე ქვეყნის ბინადრებს. ასე გამოხატავდა ქალაქი თავის თანაგრძნობასაც და გულისწყრომასაც; თანაგრძნობას — დახოცილთა, ხოლო გულისწყრომას — ხელისუფლების მიმართ. ხელისუფლება კი დუმდა. ყაზარმიდან და პოლიციიდან ჩამპინუნი არ ისმოდა. თავახდილ კუბოებში გადალურჯებული, ტუჩებშეშუპებული გვამები იწვნენ. გულხელდაკრეფილნი. — ჩვენ ჩვენს საქმეს მოვრჩითო. იმათთვის ყველაფერი დამთავრებულიყო, ხოლო აზიზეას მოედანი ზღვასავით ღელავდა. მის ატორტმანებულ ზედაპირზე ადი-ჩადიოდნენ იალქნებივით გამობერილი პლაკატები. დროშები ბუბუნებდნენ. მღვდელი, პადრე, ხოჯა, რაბინი და ტერტერა ერთად წირავდა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ორატორები. დიმატრის შინ მოაკითხეს, ბათუმელი ვექილების სახელით თქვენ უნდა თქვათ სიტყვაო, მაგრამ დიმატრიმ სიტყვა ვერ დაამთავრა, ტირილი აუვარდა და ორმა მუშამ გვერდით გაიყვანა. „რა გატირებს, რა დროს ტირილიაო“ — უწყრებოდნენ ბავშვივით აზლუქუნებულ დიმიტრის. დიმიტრისთვის კი ცრემლი შვება იყო; წუხანდელ უძინარს, წუხანდელ ჯოჯოხეთში გამოვლილს, ცრემლი მალამოსავით ეცხებო-

და გულზე, მაგრამ თვითონვე რცხვენოდა ამ მოულოდნელი, დაუმსახურებელი შვებისა, ისევე, როგორც წუხელ შერცხვა, ჯერ კიდევ დაუბადებელი სიცოცხლის გამწირავს, და სახეზე ხელებაფარებული, ლუღლუღებდა: უკაცრავად, უკაცრავადო... ხოლო როცა ვიღაცამ დაიძახა — თეატრი მოდისო — და ცრემლით დასველებულ თითებს შორის თბილისელი მსახიობის სახე დაინახა, ისე დაფრთხა, ისე დაფაცურდა, თითქოს თბილისელი მსახიობი, თავის დასს კი არა, კიდევ უფრო დიდ უბედურებას მოუძღვოდა წინ. ცოტას მორჩა იყვირა: გააჩერეთ, გააბრუნეთო — მაგრამ გონზე რომ მოეგო, უკვე შინისკენ მიისწრაფოდა, ლამის გარბოდა შემაშფოთებლად, დამაეჭვებლად გამოცარიელებულ ღუჭაში. ქალაქი უცხო ქალაქივით დუმდა. სადღაც, შორს, ერთნაირად ყრუდ გუგუნებდა ზღვაცა და აზიზეას მოედანიც. ქვითკირის ღობეებს მწვანე ხავსი შესცოცებოდა. ერთმანეთზე გადაბმული სარმლებიდან სიცარიელის ტყუპი ძმები იმზირებოდნენ, გულგრილად, ბრიყვულად. დიმიტრიმ უნებურად უკან მიიხედა, მაგრამ უკანაც ის იყო, რაც წინ. „ეს ხომ გაქცევაა, ეს ხომ სილაჩრეა, ბატონო ვექილოო — დასაცინა საკუთარ თავს. — დიახ, სილაჩრეა, სიმამაცეს აზრი რომ ჰქონდესო“ — გაგრძელა გაგულისებულმა. მიდიოდა და ფიქრობდა: მოდგება ახლა და უარესად გადარეულ ხალხსო... ხვალ აზიზეას მოედანზეც ვერ დატევენ კუბოებსო. მიდიოდა და საკუთარი თავი ეჯავრებოდა. მაგრამ არც ამჯერად შემცდარა დიმიტრი. მართალია, თბილისელ მსახიობს იმ დღეს სიტყვა არ უთქვამს მოედანზე, „უარესად არ გადაურევია“ ხალხი, რომელსაც, დენთის საწყობივით, ერთი ნაპერწკალიღა უნდოდა, არ გაუქმნებია თავისი აჩემებული „სახელოვანი სიკვდილით“ (თითქოს სხვას არავის წუეკითხოს „ეეფხისტყაოსანი“), მაგრამ არც ნაკლები სისულელე ჩაუდენია: თეატრის შესასვლელში ბარიკადი გაუმართა ხელისუფლებას, ვითომ ხელისუფლებას თეატრის დარბევა — ბრძის განზრახული და ჩვენ [illegible] უნდა დავიღუპოთ, როგორც ჯეშმარიტ მსახიობებს შეეფერებათო. მაჩაბლობდა. თითქოს ბათუმი მეორე კრწანისის ველი იყო. ანდა კიდევ უარესი — თითქოს ბათუმი პარიზი იყო, თვითონ კი მისი მსახიობები კი — კომუნარები. კი აბა, კომუნარები! თამაშობდა. ხალხს ეკოპწიავებოდა. შემთხვევას არ უშვებდა, ყურადღების ცენტრში რომ ყოფილიყო ყოველთვის, ყოველნაირად, ნებისმიერი მსხვერპლის საფასურად. თეატრის დარბევა კი არა, ერთი პოლიციელი, ერთი ყაზახი არ გამოჩენილა იმ დღეს ქუჩაში. „თავსაც დაიღუპავს და სხვებსაც დაღუპავს, ეგ შეჩვენებულიო“ — დარიას უყვიროდა დიმიტრი. დარიას კი თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე და არც კარგს ამბობდა, არც ავს. და მართლაც, რა იმის საქმე იყო, როგორ მოიქცეოდა თბილისელი მსახიობი; თუ უნდოდა, ტყვეისთვის შეეშვირა შუბლი; მაგრამ დარია იმას ვერ ხვდებოდა, ისინიც რომ საფრთხეში იგდებდნენ თავს, ხელისუფლებისთვის ისინიც რომ ბარიკადზე იდგნენ, იმ დამთხვეულთან ერთად, რადგან როგორც კი მორჩებოდა თავის ბარიკადობანას, პირველ რიგში ამათთან მოირბენდა ახალ-ახალი სისულელეების გუდით. ის ერთი კვირა დიმიტრი თავის ჭკუაზე არ იყო. დღეში ათჯერ გავარდებოდა ხოლმე შინიდან, იმის დასახედათ, ისევ დგას თუ უკვე მოშალეს ბარიკადონი. „დგას. დგას. დგას“. — შეშლილივით ყვიროდა შინ მობრუნებული და თვალცრემლიანი დარიაც მოთმინებით ელოდებოდა, როდის გაიცლიდა უსამართლო რისხვით გაბერილ გულს მისი საბრალო, შიშისაგან თავგზაბნეული ქმარი. ის კი ყვიროდა: გადი, ნახე, რა ხდებაო; რაკი ქალაქში, ძაღლი, კატა და ბავშვია, იქ მოუყრია ყველს თავიო; ისეთი გნიანი დგას, მორიდ მოსვლა გეგონებაო; სიმართლე თუ გინდა, ქალაქის პამპულ შენი თბილისელი მსახიობი და მეტი არაფერიო; გაიქცეოდა, აბა რას იზამდა ის პა-

ტიოსანი ქალო! — დარიას უყვიროდა, თითქოს დარიას ბრალი იყო რამე, თითქოს დარია იყო „ამბოხების“ მოთავე და იმისი მითითებით ხდებოდა, რაც ხდებოდა. არადა, დარიას იმიტომ უყვიროდა, თავს რომ ერჩია იგი, არავინ რომ არ ყავდა სხვა, ვინც გაუგებდა და მიუტევებდა. ამას დარიაც ხვდებოდა და კიდევ უფრო იტანჯებოდა, კიდევ უფრო ეცოდებოდა ქმარი. მერე, ამ ამბავმაც რომ გადაიარა, თბილისელი მსახიობი მაინც ჯიუტად უმტკიცებდა ხოლმე დიმიტრის, ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ახლა თქვენს თეატრში ისევ რეინულობის საწყობი იქნებოდაო, მაგრამ ხმაზეც ეტყობოდა და სახეზეც, უმწეო სიბრაზე და შელახული პატივმოყვარეობა რომ ალაპარაკებდა ასე, რადგან არც ისეთი სულელი იყო, იმდენს ვერ მიმხვდარიყო, ყოველ მის გაბრძოლებას არაფრად რომ აგდებდა ხელისუფლება, უბრალოდ, ზედაც რომ არ აფურთხებდა, ბარიკადიც ისევე აპატია, როგორც ორმო, მაგრამ დიმიტრი ღრმად იყო დარწმუნებული, ორივესთვის პასუხს რომ მოსთხოვდა როდისმე. საღად ფიქრობდა დიმიტრი, მაგრამ ერთი რამე, თანაც მეტად მნიშვნელოვანი, მაინც ეშლებოდა. თბილისელი მსახიობი არც სისულელის, არც პატივმოყვარეობის გამო მოქცეულა ასე: ისიც იმავე შიშმა აიყვანა ბარიკადზე, რომელმაც დიმიტრი აზიზეას მოედნიდან შინისკენ გამოაქცია. ორივემ საფრთხე იგრძნო და ორივეს ბუნებრივად დაებადა სურვილი საფრთხისაგან თავის დაღწევისა. ორივემ თავშესაფარს მიაშურა, ოღონდ იმ განსხვავებით, ერთს მზამზარეულად რომ ჰქონდა იგი, მეორეს კი უნდა აეშენებინა, თანაც სასწრაფოდ. ასე რომ, დიმიტრის მამისეული სახლიც და თბილისელი მსახიობის ბარიკადიც, საბოლოო ჯამში, ერთსა და იმავეს ნიშნავდა — თავშესაფარს. ხოლო შეშინებული კაცი თავშესაფრისკენ, ანუ შინისკენ, მხოლოდ იმიტომ კი არ გარბის, იქ რომ დაემალოს განსაცდელს, არამედ იქ რომ შეებრძოლოს, სწორედ იქ რომ გაუმართოს გადამწყვეტი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, თუკი ფეხდაფეხ [illegible] ვება განსაცდელიც, რადგან [illegible] ნასკენელი გოდოლია, უკანასკნელი მიჯნაა ყოფნა-არყოფნას შორის და, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, თუნდაც მარტო ამის შეგრძნება და ცხოველური ეინი სიცოცხლისა, გადარჩენისა — ყბადაღებულ ლაჩარსაც გმირად შეიქმს ხოლმე, მით უფრო, როცა ის სახლი ნამდვილად შენი სახლია, მამისეული, გაჩენის დღიდან შესისხლხორცებული, ურომლისოდაც. რაც არ უნდა ძნელი დასათმობი იყოს, მართლაც რომ კაპიკის ფასიც აღარა აქვს სიცოცხლეს; მაგრამ ვისაც მსგავსი სახლი არ ეგულება, ვისაც ნაჭირავებ ოთახში, მხოლოდ და მხოლოდ, გაქცეული, მოღალატე ცოლის აჩრდილი ელოდება, რა თქმა უნდა, იმისთვის ბარიკადიც იგივე სახლია, რომელიც, ყველა სიკეთესთან ერთად, ერთ წუთში შეგიძლია აიშენო და ასევე ერთ წუთში შეეწირო კიდეც, როგორც საუკუნოვანი მამისეული სახლის სიმბოლოს. ამიტომაც იყო, თბილისელი მსახიობი და მისი დასი უკვე თავქუდმოგლეჯილი რომ გარბოდა თეატრისკენ, როცა პროცესიის კუდი ჯერ კიდევ აზიზეას მოედანზე იტკეპნებოდა. პროცესიას აჭარელი ცხენოსნები მიუძღოდნენ, ასლან ბეგ აბაშიძის მეთაურობით. ცამეტი კუბო ნელა მიირწეოდა, როგორც ზღვაზე მეთევზეთა ნავების მწკრივი. შაოსან ქალებს მზე ძირს ჩამოჰქონდათ კვიალით. ხოლო რკინის თეატრში ისეთი ალიაქოთი იდგა, თითქოს მართლა მარბიელი რაზმი შესევიაო. „ჩქარა. ჩქარა. ყოველი წუთი ძვირფასია“. — ყვიროდა თბილისელი მსახიობი, როგორც სცენაზე დეკორაციების დაწყობისას იცოდა ხოლმე, და მისი „კომეწარეობიც“ თავს არ ზოგავდნენ, არბოდნენ და ჩამორბოდნენ კიბეებზე, აჯახუნებდნენ კარებსა და ფანჯრებს, ეჯაჯგურებოდნენ დერეფანში გაჩხირულ მაგი-

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებსა თუ ტახტებს და ბოლოს, ყველაფერი, რისი დაძვრაცა და გამოტანაც შეიძლებოდა, თეატრის შემოსასვლელში ხვავდებოდა ერთმანეთზე. მიწით სავსე ტომრებსაც კი ეზიდებოდნენ, რათა მათი ბარიკადი, როგორც თბილისელმა მსახიობმა ბრძანა, შესახედავადაც შთამბეჭდავი ყოფილიყო. მაგრამ როგორც არ უნდა გამოედოთ თავი, ისინი მაინც ჩვეულებრივი მსახიობები იყვნენ და არა კომუნარები, ხოლო ჩვეულებრივი მსახიობური ბუნების გამო — მტრის დასაზვერად ემზადებოდნენ ისინი თუ მაყურებლისა — ვერაფრით ჩაიკვლდნენ ძველ-რბილში გაჰგდარ ჩვეულებას, სიცოცხლისკენ, სიმხიარულისკენ პროფესიულ მიდრეკილებას, რამაც მათი ერთკვირიანი „ამბოხება“, ისევ და ისევ, ჩვეულებრივ მსახიობურ დროსტარებად გადააქცია. ქალები სულ საჭმლის კეთებაში იყვნენ. კაცები ერთმანეთს ნარდს ეთამაშებოდნენ, ხოლო საჭმელსა და ღვინოს რომ დაიგულებდნენ, მერე გათენებამდე აკვნესებდნენ გიტარებს, მღეროდნენ, იცინოდნენ და ოხუნჯობდნენ. დიდი ამბით სვამდნენ კიდევ ერთი მოგებული „ბრძოლის“ სადღეგრძელოს და სახვალიო „ბრძოლისთვისაც“ აწყობდნენ გეგმებს, ახალ და ახალ ხერხებს იგონებდნენ, თუ როგორ დაეფრინათ, როგორ მოეშორებინათ იქაურობისთვის მათ საყურებლად მოსული ბავშვები, რომელთა დაუდგრომელი, დაუოკებელი ბრბოები, მიუხედავად ბარიკადის დამცველთა შეურყეველი წინააღმდეგობისა, დღითი-დღე მეტი ენთნი, მეტი აღტკინებით ეტანებოდნენ ბარიკადს, როგორც მუმლი სინათლეს. ხან წყალს ასხამდნენ, ხან ქვებსაც ესროდნენ იერიშზე გადმოსულ „ბტერს“, მაგრამ, ღამის მეტს, მაინც არაფერს შეეძლო მათი გაყრა, მათი გათიშვა. ამიტომაც, უფრო მეტი ხალისით ილხენდნენ ღამემობით. „ხეალ იქნება ვკვდებით, გოგო, ახლა მაინც ამოიღე ხმა, სცენაზე ხომ არა ხარო“ — ეხუმრებოდნენ ამალიას, ყველაზე ჩუმსა და მორიდებულ მსახიობ ქალს ანტიკური ხანიდან დღემდე. ამალია საერთოდ ფუსფუსი როლებს ასრულებდა, რადგან სცენაზე გასვლა და იმისი დამუნჯება ერთი იყო. სხვა, იმის ადგილას, ათასჯერ მიატოვებდა ალბათ თეატრს, სხვა საქმეს მოჰკიდებდა ხელს, თუნდაც მრეცხავად დადგებოდა, მაგრამ, ასევე ანტიკური ხანიდან დღემდე, არცერთი მსახიობი არ ყოფილა ალბათ ისე შეყვარებული თეატრზე, როგორც ამალია. ყველაფერრე თანახმა იყო, ყველაფერს მოითმენდა. ყველაფერს აიტანდა, ოღონდ თეატრში დაეტოვებინათ, ოღონდ ათასში ერთხელ მაინც მისცემოდა შესაძლებლობა, ბორძიკით, მუხლების კანკალითა და გულის ფრიალით, გაევლო ყველა გზაზე უგრძესი, ყველა გზაზე სახიფათო გზა — კულისიდან სცენამდე — და უკან — სცენიდან კულისამდე. ხოლო იმ დღიდან მოყოლებული, როცა თეატრში თბილისელი მსახიობი მოვიდა, საერთოდ აღარ შეეძლო უთეატროდ ცხოვრება, უბრალოდ მოკვდებოდა, როგორც უმაეროდ, დაწვებოდა ოავის საწოლზე, დაიკრეფდა გულხელს და მოკვდებოდა. მოჯადოებულს უფრო აგავდა, ვიდრე შეყვარებულს. შეყვარებულები სხვა ქალები იყვნენ და არც მალავდნენ, შემთხვევას არ უშვებდნენ თავიანთი სიყვარული რომ გამოეძღვანებინათ, რანაირად აღარ იმტვრიოდნენ, რანაირად აღარ იგრიხებოდნენ და იმაჭეებოდნენ, თბილისელი მსახიობის ყურადღება რომ მიექციათ; ხოლო როცა მარტო როიყრიდნენ ხოლმე თავს, უკაცებოდ, ისეთ სისულელეებს ამბობდნენ და ისეთ სისულელეებს ნატრობდნენ, ამალია კიდევ ერთხელ რწმუნდებოდა, იმის გრძნობას არაფერი რომ ჰქონდა საერთო სხვა ქალების გრძნობასთან. ნეტავი, ძაფი იყოს, მე კი ნემსიო; ნეტავი, ნამგალი იყოს, მე კი ყანაო; ნეტავი, გემი იყოს, მე კი ზღვაო; ნეტავი, ჩიტი იყოს, მე კი გალიაო; ნეტავი, ღვინო იყოს, მე კი თასიო; ნეტავი, ოთი იყოს, მე კი სათითეო; ნეტავი, ნეტავი და ნეტავიო. ამალიას კი არაფე-

რი არ უნდოდა, არაფერს არ ნატრობდა, გარდა იმისა, რომ თბილისელი მსახიობი სულ თბილისელი მსახიობი ყოფილიყო, თვითონ კი — სულ ამალია, თვალდახუჭული, ქუთუთოებათრთოლებული მდგარიყო იმის წინ, როგორც ბრმა — ჰოგუგუნე კოცონთან, და ესმინა, უსასრულოდ ესმინა, როგორ დაჰყვიროდა იგი, როგორ აღშფოთებდა იმას ამალიას უნიჭობა, მოუქნელობა, სიუშნოვე. თბილისელი მსახიობი ამალიასთვის ღმერთივით მკაცრი და უფლებამოსილი იყო; ღმერთივით სამართლიანიც, კეთილი და გამკითხავი. მართალია, რეპეტიციებზე ლანძღავდა, დასცინოდა, აწყალებდა, მაგრამ ისე არ წავიდოდა თეატრიდან, რომ ეთინაური რომ არ ეთქვა იმავე ამალიასთვის. „აგერ ნახავთ, ეს გოგო სასწაულს თუ არ მოახდენს სცენაზე. ტყუილად კი არ უდგას ძარღვებში (ამალიას დედა ბერძენი ყოფილა) ელექტრასა და ანტიგონეს სისხლიო“ — ამბობდა ხოლმე თბილისელი მსახიობი და ამალიას ისევე სჯეროდა მისი ქათინაურისა, როგორც მისი ლანძღვისა. დარწმუნებული იყო, მართლა რომ მოახდენდა სასწაულს, თუმცა, რაკი თბილისელ მსახიობს ასე მიაჩნდა, ამალია უბრალოდ ვალდებულიც იყო, მოეხდინა სასწაული. და ახლა იმასაც უკვე მეტი ხალისით გაჭქონდა სცენაზე ლამპა, მეტი ხალისით შლიდა სუფრას და მეტი ხალისით მიართმევდა ხოლმე ნარგილეს მუთაქებზე მისვენებულ „სულთანს“, რომელიც, მიუხედავად ამალიას თავგამოდებისა, ხშირად იძულებული ხდებოდა წამომდგარიყო მუთაქებიდან, თავად ჩამოერთმია ნარგილე ამალიასთვის და ჯარული მუჯლუგუნით დაეყენებინა იგი სცენიდან გასასვლელ გზაზე. ხოლო ერთხელ, შუადამისას, თავსხმაში, უგონოდ მთვრალი თბილისელი მსახიობი რომ გამოეცხადა შინ — თავფეხიანად გაწუწული, ტალახში ამოგანგლული, ყვავივითაა ხელდამშვენებული — ამალია სამუდამოდ დაემონა ამ ღვთაებრივად განუსაზღვრელსა და ღვთაებრივად დაუნდობელ ბედნიერებას. „ელენე, ელენეო“ — ჩასჩურჩულებდა ბალიშს თბილისელი მსახიობი ბინ გადთოშილ, ეკალდაყრილ მხართან, და ერთადერთი, რასაც ამალია მაშინ გრძნობდა, სელი ყვავილებისა და სელი მიწის სუნით გაყღენთილ წყვდიადში, სიამაყის გრძნობა იყო, ოღონდ არა ქალური სიამაყისა, არამედ სავნისმიერი, თუკი შეიძლება, რომელიმე საგანს, მაგალითად ჭიქას, ეამაყებოდეს, წყურვილს რომ იკლავს ვიღაცა მისი მეშვეობით. როგორც ქალი, ამალია იმ წუთას სათვალავში არ ითვლებოდა, ის იდუმალი გზა იყო. ანდა სულაც გზის მონაკვეთი, რომლის მეშვეობითაც ერთი დიადი სული მეორე დიად სულს უკავშირდებოდა. აი, როგორი ბედნიერი იყო ამალია. ამხანაგები კი დასცინოდნენ. „რა ვთქვა? მითხარით, რა გინდათ და გიპასუხებთო“ — ამბობდა თავჩაღუნული, გაწითლებული, ჭირის ოფლგადამსკდარი. ხოლო თბილისელი მსახიობი მოღუშული იჯდა ცალკე და ჩაისავით, ნელ-ნელა სვამდა ღვინოს. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო იღუშებოდა, უფრო და უფრო გულჩათხრობილი ხდებოდა, როცა სხვები ძველებურად ილხენდნენ, ძველებურად მღეროდნენ, იცინოდნენ და ოხუნჯობდნენ, ვიდრე, ერთ მშვენიერ დღეს, ფოსტის მოხელე, თეთრწვერა იასონი გამოეცხადებოდათ. თეთრწვერა იასონმა თბილისელ მსახიობს პოლიციმეისტერის ბარათი გადასცა. სანამ იქ იყო, დაბნეულად იღიმებოდა განუწყვეტლივ და განსაცდელში ჩავარდნილი კაცის სულსწრაფობით ათვალიერებდა იქაურობას, ქურდღლად, შიშით, თითქოს არ იცოდა, საიდან და როდის გამოუვარდებოდა ხიფათი. თბილისელი მსახიობი დიდხანს კითხულობდა ბარათს, თუმცა ღერბიან ფურცელზე სულ რამდენიმე სიტყვა ეწერა. პოლიციმეისტერი ოჯახურ ვახშამზე ეპატიჟებოდა თბილისელ

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

მსახიობს. ეგ იყო და ეგ. მაგრამ თბილისელი მსახიობი მაინც ჯიუტად დასცქეროდა ათრთოლებულ ფურცელს და ძველებურად მოღუშული, თითქოს არაფრად აგდებდა თანამებრძოლთა ცნობისმოყვარეობას, ცოცხალი სურათებივით გაშეშებულნი რომ შემოსცქეროდნენ მოუთმენლად. თბილისელი მსახიობი კი ისევ ბარათს დასცქეროდა, თითქოს კითხულობსო, ანდა თითქოს ვერ კითხულობსო, და განრისხებული, გამწარებული, შეურაცხყოფილი აქუცმაცებდა გუნებაში, გლეჯდა და აქუცმაცებდა, როგორც მშიერი ლომი ნანადირევს. „ოჯახურ ზეიმზე“, „დიდად გაგვაბედნიერებთ“, „თქვენი ნიჭის მარად თაყვანისმცემელი“ — იმეორებდა ბარათის ცალკეულ ნაგლეჯებს და არ იცოდა, როგორ შეეხედა ამხანაგებისთვის სახეში. ბოლოს, ვითომც აქ არაფერიო, ბარათი ჯიბეში ჩაიკუჭა, სკამიდან წამოდგა და თქვა, შეგიძლიათ, დაიშლოთ, პოლიციელტერი მოუთმენლად ელოდება ჩვენს მორიგ წარმოდგენასო. „ეაშაა! გავიმარჯვეეეეთ!“ — ერთხმად შესძახეს მსახიობთა გაცისკროვნებულმა, გაბედნიერებულმა, გამშვენიერებულმა სახეებმა, მაგრამ თბილისელ მსახიობს ხმა არ ამოუღია, ნელა, აუჩქარებლად გამოვიდა თეატრიდან — წვერმოშვებული, მოღუშული, მოტეხილი — როგორც პატიმარი ციხიდან.

ცოტა რომ გამოფხიზლდა, ზღვისპირას იყო. თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი. „როდის დაღამდაო?“ — გაუკვირდა გულწრფელად. ახსოვდა დუქანში რომ შევიდა სატვირთო სადგურის გადაღმა, მაგრამ არ ახსოვდა, როდის გამოვიდა იქიდან; ახსოვდა, მთელ ბათუმში ცნობილი გიჟი რომ გადაეკიდა, ორი შაური ძმეცი და საქართველოს ისტორიას მოვიყვები თავიდან ბოლომდეო, მაგრამ არ ახსოვდა, როგორ დაშორდა იმ გიჟს, მოაყოლა თუ არა საქართველოს ისტორია, თანაც ბოლომდე; ახსოვდა, დავით კლდიაშვილსა და გრიგოლ ვოლსკის რომ შეჩვდა ფრანგების ეკლესიასთან, მაგრამ არ ახსოვდა, რაზე ელაპარაკა იმათ. თუმცა არა; ისიც ახსოვდა, დავით კლდიაშვილმა რომ უთხრა: ნიჭს მოვლა უნდაო; ამას კი სიცილი აუვარდა და მთლად გადარია ის პატიოსანი ხალხი. „ბატონო დავით, არავის არ უნდა ჩვენი ნიჭი, ტაკიმასხარებისაა ქვეყანაო“ — ახლა ებოდიშებოდა გუნებაში და მიაჩჩრიალებდა ქვიშას. პირი გაშრობოდა. სულს ვერ ითქვამდა, თითქოს ზღვის პირას კი არ მდგომიდა, ვიწრო ყუთში იყო ჩაჭუჭკული, როგორც ონბაზის ბატი. მდგომიდა, მიაჩჩრიალებდა ქვიშას. „ახლა თუ ზღვაზე არ გავედი, მართლა დავიხრჩობიო“ — ფიქრობდა ამ უეცარი განზრახვით აფორიაქებული, აღგზნებული და დამფრთხალი, იმ ბავშვივით, სათავგადასავლო წიგნს რომ წაიკითხავს და შინიდან გაპარვას გადაწყვეტს, თუმცა დამოუკიდებლად ბაზარშიც არ გაიშვება ჯერ, დანაბარების ნაცვლად, კატის კნუტს მიიყვანს შინ, ანდა ძაღლის ლეკვს. „ახლა კი არ ავიჩემე, მთელი დღე მიდგომდა ზღვაზე გასვლა და იმიტომაც მოვედი აქო“, — ირწმუნებდა თავს და მიაჩჩრიალებდა ქვიშას. უჭირდა გაუჩინარებულ ქვიშაზე სიარული. მაგრამ მაინც მიდგიოდა. ცოტა ხნის მერე მეთევზე ხასანას უკაკუნებდა სარკმელზე და გული შიშით უსკდებოდა, ვაი თუ, შინ არ იყოსო. მეთევზე ხასანამ რომ გამოხედა, ცოტას მორჩა გადაეხვია, ისე გაუხარდა მისი დანახვა. „ამ შუაღამისას ნავი რად გინდა, ჭოვ, კონტრაბანდისტობა ხომ არ დაგიწყიაო“ — გაუკვირდა ხასანას. მაგრამ თბილისელ მსახიობს ისე ძალიან უნდოდა ნავი, როგორც არ უნდა განემარტა მეთევზე ხასანასთვის, მაინც ვერ გაავგებინებდა, ვერ დაარწმუნებდა, ვერ გადასდებდა იმ უსაშველო, უკიდეგანო, ენით უთქმელი ნეტარების აღმქმელ ჟინს, სურვილსა თუ აჩემებას, რითაც თვითონ იყო იმ წუთას შეპყრობილი. „მინდა. აუცილებლად, მჭირდება“. — იმეორებდა მიზეზიანი ბავშვივით. მაგრამ მეთევზე ხასანამ ეტყობა მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუგო და ვიდრე უჩინარ ნავს უჩინარ ზღვამდე მიათრევინებდა, ხმა აღარ ამოუღია. ბოლოს კი უთხრა, თუ რამე გიჭირს, წამოგყვებინო, მაგრამ ამან მხოლოდ გაუღიმა. პასუხად, თუმცა მაშინვე მიხვდა, ღიმილი მკვდარი, უმაქნისი ენა რომ იყო ამ შეუვალ უკუნეთში. მერე ნავზე იჯდა და გავიშვებული უსვამდა ნიჩბებს, თუმცა ვერც ზღვას ხედავდა, ვერც ნავს და ვერც ნიჩბებს. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ერთ ადგილზე ადი-ჩადიოდა, ჰაერში, თითქოს წყვდიადზე იყო მიბმული და ნიჩბებს კი არ უსვამდა, თავის განთავისუფლებას ცდილობდა თოკებიდან; ანდა, კიდევ უარესი — თითქოს აიწონა-დაიწონას ეთამაშებოდა ვიღაცა, ისეთივე უჩინარი, როგორც ზღვა, ნავი, ნიჩბები. მაგრამ უკან რომ მიიხედა და ნავსადგურის შუქურამ ციცინათელასავით გაიელვა, მიხვდა, ძალიან ღრმად რომ შესულიყო ზღვაში. ნიჩბებს ხელი შეუშვა და გაოფლილი, ტანზე მიწებებული პერანგი გადაიძრო. ცოტა სული მოითქვა. ზღვის ნიავი ბუბუნით ეხეოდა ზედ. ჯერ კიდევ უხაროდა რაღაცა, თუმცა არც აქ იგრძნობოდა გაწლილი და თვალუწვდენელი სივრცე. თვალთანვე მთავრდებოდა. უფრო სწორედ, არ არსებობდა. არაფერი არ იყო, სიბნელის მეტი. ჯერ კიდევ უხაროდა რაღაცა და ნელ-ნელა, აუჩქარებლად შიშვლდებოდა. ტანსაცმელს გულდაგულ კეცავდა, რამდენადაც ამის საშუალებას სიბნელე აძლევდა, და ნავის ფსკერზე ალაგებდა, ფეხებთან. დედაშობილა იჯდა ნავში და ყოყმანობდა; ცოტა არ იყოს, ეშინოდა უჩინარი წყლისა. მობუბუნე ნიავის ნაფლეთებს განუწყვეტლივ გრძნობდა ტუჩებზე, იღლიებში, ლაჯებში. „შეველ განსაწმენდელსაო“ — შესძახა ბოლოს, ალბათ გასამხნევებლად, და თავდაყირა გადაეშვა ნავიდან, თუმცა საფუძვლიანად არც იყო დარწმუნებული, აუცილებლად ზღვა რომ დახვდებოდა სიბნელეში. უჩინარი წყალი გამდნარი კუპრივით შემოეტმასნა მაშინვე: სქელი, თბილი, ვერაგი; ატორტმანდა, ახვეშდა, ადგილი ფუნდა. მაგრამ ის წყალს ხმასაც ალ[illegible]ვე გრძნობდა, როგორც თავად წყალს: სმენაც დაბუნდა ჰქონდა და თვალიც. გრძნობის ამარა არსებობდა. ბრმა იყო, ყრუ, ტიტველი; წყვდიადის ტყვე და, იმავე დროს, ყველაფრისგან თავისუფალი, როგორც ჩვილი დედის მუცელში. აი, რას მიელტვოდა თურმე; აი, როგორი ეშმაკი ყოფილა მაინც. „ვცხონდი. ვცხონდი, ვცხონდიო“. — გაჰყვიროდა მთელი ხმით და მალაყებს გადადიოდა, წყვდიადის ნაპუჭში მომწყვდეული. გული რომ იჯერა წყალთან თამაშით, გული რომ მოიოხა ცხოველური, ბნელი თავისუფლებით და ერთი-ორჯერ წყალიც ჩაყლაპა, სასწრაფოდ მიაშურა ნავს, მაგრამ ნავი იქ აღარ დაუხვდა, სადაც ეგულებოდა. დაფეთებული შემობრუნდა წყალში მთელი სხეულით. იცოდა ნავი თავისთავად რომ ვერ გაქრებოდა, მაგრამ ამ ყიამეთში ნავის ძებნა ისეთივე უაზრობა იყო ახლა, როგორც ნემსის ძებნა თივაში. მაგრამ მაინც უნდა მოეძებნა. აუცილებლად, რადგან უნავოდ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიაღწევდა ნაპირამდე, გინდაც სრდნოდა, საით იყო ნაპირი, თანაც, არა უახლოესი, არამედ თავისი, ერთადერთი, მშობლიური. „მთავარია, არ შევშინდეო“ — იმორრებდა ზედიზედ, უკვე შეშინებული, უკვე შიშს აყოლილი, უკვე ელდანაცემი. ხან ერთ მხარეს გაცურავდა, ხან მეორე, მაგრამ, ადვილი შესაძლებელია, ადგილზე ფაროხალებდა და მხოლოდ ეგონა — მიცურავო. ცოტაც და გონებას დაკარგავდა, თუ უკვე არ ჰქონდა დაკარგული. ახლა ზედიზედ ყლაპავდა წყალს და ხელები ძლივსღა ამოჰქონდა წყლიდან, თითქოს მართლა კუპრში იყო ჩაფლული. აღარაფერზე აღარ ფიქრობდა. განუწყვეტლივ, შემზარავად უწოდა რაღაცა გონებაში და ისიც აღარ ახსოვდა, რას დაეძებდა, მხოლოდ ნავს თუ ყველაფერს ერთდროულად, ნავამდე და ნავივით რომ დაჰკარგოდა. სწორედ ამ დროს ნიჩბის ბოლო მოხვდა

ტუჩებში და, ტკივილისგან, შიშისგან თუ სიხარულისგან, ისე შეჰყვირა, საკუთარმა, მაგრამ შემზარავად გაუცხოვებულმა, გატყიურებულმა ხმამ გამოაფეხზტა აღსასრულის წინამორბედი რინდიდან, ისევ ღამის წყვდიადში დაბრუნა აღსასრულის თვალსმომჭრელი სინათლიდან. ნავის კიდეზე ეკიდა ამაგდებული ხელებით და ჭლექანივით ახვევდა, ყრუდ, გადაბმულად, სულის მოუთმენლად. „ცოტას მორჩა... ცოტას მორჩა... ცოტას მორჩა...“ — იმეორებდა გუნებაში უაზროდ, გაოგნებული, აღგზნებული, გახარებული, გაბითურებული. ძლივს აიტანა სხეული წყლიდან და გვამივით ჩაშვავდა ნავში.

რკინის თეატრში ერთხელ კიდევ გაანახლა წარმოდგენები. თბილისელი მსახიობიც ისევ ძველებურად ატყვევებდა, აჯადოვებდა, ფორიაქებდა მაყურებელს, ხან ბერძნულ ტოგაში, ხან ესპანურ ლაბადასა და ხან ქართულ ჩოხაში გამოწყობილი; რეცენზენტებიც ისევ ძველებურად გამოყოფდნენ იმას წარმოდგენის სხვა მონაწილეებისაგან, „განსაკუთრებით მშვენიერი იყოო“, მაგრამ დაკვირვებული თვალი იმასაც შეამჩნევდა, ძველი ხალისსა და ცეცხლისა ბევრი აღარაფერი რომ შერჩენოდა. ისევ ვულკანი იყო, მაგრამ უკვე ამოხეთქილი და ჩასანავლებლად, ჩასაწყნარებლად, ჩასაქრობად განწირული. ახლა უფრო იოლად ბრაზდებოდა, ყოველგვარ წვრილმანს ეკიდებოდა და ხშირად უსაფუძვლოდაც ლანძღავდა და სჯიდა მსახიობებს, გაოცებულნი რომ შლიდნენ ხელებს თავიანთი „ტრანანის“ ზურგს უკან, ვითომ, გამაგებინე თუ კაცი ხარ, რა უნდა, რა ბუზმა უკბინაო. მაგრამ მსახიობებს მაინც სჯეროდათ, მაინც ენდობოდნენ, რაც მთავარია, მაინც უყვარდათ, და თავს არ ზოგავდნენ, იმისი გული რომ მოეგოთ როგორმე. ის კი, ბებერი მილიონერივით, დღითიდღე ჭირვეული და მიზეზიანი ხდებოდა. ამალიამ რომ ცოლის წერილი შემოუტანა, მხარზე გადაკიდარ ტოგას კემსავდა გაბზარული სარკის წინ და მარტოს ბებერივით ბუზღუნებდა, იმ დამცალ, ბარდელში ქალის საქმეს, მე რაღა ... თოოო. იმ წუთას არც ახსოვდა თბილისი თუ არსებობდა, მაგრამ ამალიამ წერილი რომ გაუწოდა, მაშინვე, რატომღაც, სიმამრის სახლის წინ ასვეტილი ჭადრები დაუდგა თვალწინ. იმასაც მიხვდა, ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი რომ უნდა ეუწყებინა იმ წერილს, და თუმცა ჯერ კიდევ ბრაზობდა გაქცეულ ცოლზე, მაინც ისე აუფრიალდა გული, ისე აღელდა, ნემსი თითში ტიკავა უნებურად. მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფრად ჩაადო ეს ამბავი, თითქოს ყოველდღე იღებდა ცოლისგან წერილს. წერილი მშვიდად ჩაიდო ჯიბეში და სარკეში ჩაიხედა, მაგრამ საკუთარმა გამოსახულებამ, თანაც ორ არათანაბარ ნაწილად გაპობილმა, ისე შეზარა, მაშინვე ცივად აარიდა თვალი. ვერ იქნა და ვეღარ დაიმშვიდა გული, მაგრამ ისევ სარკის წინ იჯდა და ვითომ ტოგის კემსვით იყო გართული. „იქნება მიხვდა თავის შეცდომას, იქნება ბოდიშს მიხდის და პატიებას მთხოვსო“ — წამოყოფდა ხოლმე თავს მაცდური იმედი მის ფორიაქებულ გულში. „რაღას უდგას? რატომ არ მიდისო?“ — ბრაზობდა ამალიაზე და, ვითომც აქ არაფერიო, ჯიბისკენ თავისთავად გაქცეულ ხელს თმაზე ისვამდა. „რამე უბედურება რომ იყოს, მაშინ დეპეშას გამომგზავნიდნენ და არა წერილსო“, — ფიქრობდა თან. მთელი წელი ისე გავიდა, ერთხელაც არ მოუკითხიათ, „აღიარეს ამისი თავისუფლება“, ანდა თავი ისე ეჭირათ, თითქოს საერთოდ აღარ არსებობდა იმათთვის, საერთოდ ამოეშალათ ცოცხლების სიიდან, არც ამარილებდნენ, არც ამტყუნებდნენ, თუმცა, ეტყობა, თვითონაც ხელს აძლევდა ამგვარი ურთიერთობა ცოლთან და ცოლოურთან, რადგან არც თვითონ გამოუდია თავი, არც თვითონ შეუხსენებია, ჯერ კიდევ იმათ კანონიერ სიძედ რომ ითვლებოდა. კანონი მაინც იცოდნენ, ღვთის წყალობით. ყოველ შემთხვევა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, ვალდებული იყვნენ, სცოდნოდათ. მის სიმამრს მართლმსაჯულების სასწორი ეჭირა ხელში, გუბერნიის მინისი გახლდათ, ჩემი ბატონო; და აი, უცებ ამხელა წერილი კიდევ რაღაცა უბედურება იყო მის თავს, ის კი, კეისრის ტოგას კვმსავდა, საკეისროდ ემზადებოდა. „მდაააო“ — მიაბღავლა უცებ გაბზარულ სარკეს, როგორც საძოვრიდან დაბრუნებული ძროხა მიაბღავლებს ხოლმე საკუთარ ჭიშკარს. „მიდი და გაარკვიე, თუ ბიჭი ხარო“ — გააგრძელა გუნებაში. გასაკვირი ის იქნებოდა, მის სიმამრს, თბილისის გუბერნიის მთავარ მოსამართლეს, ისევ ქმართან დაბრუნება დაეკალკინა ქალიშვილისთვის, თანაც უვარგის ქმართან, რომელმაც სამი თვეც ვერ შეინახა მათი ერთადერთი, თვალისჩინივით გასაფრთხილებელი და, თავისთავად იგულისხმება, უკეთესი ბედის ღირსი ქალიშვილი. ჯერ მარტო იმ სულელ ლიზას რამდენჯერ გაუგონებია, ჩემს გაბრდილს ვინმემ რომ აწყენინოს, ფრჩხილებით გამოვჩიჭნი თვალებსო. ახლა კი, მთავარი ქომაგებიც ჩაერეოდნენ საქმეში, ხოლო იმათი ერთი დაყვეკება გაცილებით საშიში იყო, ვიდრე ლიზას გაუთავებელი წკეფწკეფავი. ვინ იცის, ამ ერთი წლის განმავლობაში, სულ იმაზე ჰქონდათ ბჭობა, როგორ დაესაჯათ მათი ოჯახის შემარცხვენელი, და ახლა წერილით ატყობინებდნენ ოჯახური სასამართლოს გადაწყვეტილებას, რასაც, რა თქმა უნდა, წერილი უფრო შეეფერებოდა, ვიდრე დეპეშა. მართლაც არაფერია საჭოთირო, ან საგანგაშო, თუკი შენს პირად უბედურებას სხვაც შეეტყობს, სხვაც წაიკითხავს, თუნდაც ფოსტაში, მაგრამ შენი ოჯახური საიდუმლოებათა საქვეყნოდ გამოჭენება თანაბრად აკნინებს, ხალხს თვალში თანაბრად სცხებს ჩირქს ორივე მხარეს, იმასაც, ვისაც „ასე ცხოვრება აღარ შეუძლია“ და იმასაც, ვინც „ასეთ ცხოვრებაში“ იგულისხმება. ამიტომაც სდებენ წერილს კონვერტში და ლუქავენ კიდეც. მაგრამ ეტყობა, ქვეყანა მართლა ჩალითაა დახურული, ანდა მის სიმამრს თავი მართალი მინისი ჰგონია, მისნ ... წყსო კი — აჩრდილები, გარ ... თა სულები, და საითაც მოეპრიანება, იქით გადასწევს თავის სასწორს. ვერ მოგართვეთ! ვერ მოგართვით! ბოლოს და ბოლოს, ეს კი არ გაიქცა, ამას გაექცნენ; ეს არ ინდომეს, ეს გაწირეს, მარტო დატოვეს ბარიკადზე, და პირველ რიგში — ცოლმა. თუ სამართალი იყო, ეს კი არ უნდა დასჯილიყო, ამას უნდა დაესაჯა. ახლა კი რა გამოდიოდა? არაფერიც არ გამოდიოდა — სისულელე, უაზრობა, უმსგავსობა. წერილის წაკითხვასაც ვერ ბედავდა და გამალებული კემსავდა კეისრის ტოგას, შიგ რომ შემალულიყო დრობით, როგორც თაგვი — სოროში. სარკიდან ორად გაპობილი, გაორებული სახე შემოსცქეროდა: უაზრო, უსიცოცხლო — წყლით გთიშული ორი კუნძეული, თანაც ჯერ აღმოუჩენელი, დაუსახლებელი. „კეისარს კეისრისაო“ — უთხრა გაბზარულ სარკეს და წამოდგა. „მიბრძანებდით?“ — ჰკითხა ამალიამ. „წავალ, შევჭამ რამეს“, — უთხრა ისევ სარკეს. — წერილს წაეკითხავო — გააგრძელა გუნებაში. ცოტა ხნის მერე რესტორან „ფრანციაში“ იჯდა და ვერ გადაეწყვიტა, სადილამდე წაეკითხა წერილი თუ ნასადილევს. რესტორანი ჯერ კიდევ ცარიელი იყო და ახლა საითაც არ უნდა გაეხედა, ყველგან საკუთარ სახეს ხედავდა სარკეებიან დარბაზში, ოღონდ ახლა უკვე გაერთიანებულს და ჩვეულებრივად მედიდურს. მაინცდამაინც არ უყვარდა ეს ქალთქთა, ბრჭყვიალა, ხაზგასმულად „ევროპული“ რესტორანი, რომელიც ევროპული რესტორნის მდიდრულ დეკორაციას უფრო ჰგავდა. მაგრამ რესტორნის პატრონს ეამაყებოდა მისი სტუმრობა და ნისიიან ასმევ-აჭმევდა, განუსაზღვრელი ვადით. მაგიდაზე, ფაიფურის თეფშებზე, გედებივით გაფუყულიყვნენ ლამაზად დაგრაგნილი ხელსახოცები. მაგი-

ოთარ ჭილაძე
რაინის თეატრი

დის შუაგულში მოოქროვილი შანდალი იდგა, ახალი, თავადაც ოქროსფრად მბრწინავი სანთლით. უცებ ოფიციანტის მწიფიური, სიბერეშეპარული სახე დაინახა, ჯალარა, ხშირი წარბებითა და აკვ-ქვეტილი ულვაშებით გაჭყობილი. „როგორ ბრძანდებით-მეთქი“ — თქვა ოფიციანტმა. შემცბარი იღიმებოდა. ეტყობა, დიდხანს ელოდებოდა, როდის გამოეკვეოდა ფიქრებისგან ბატონი თბილისელი მსახიობი. „აა... მადლობთ თავად როგორ გიკითხოთ?“ — მოიკითხა თვითონაც. „ევროპამ თუ არ გვიშველა რამე, წასულია ჩვენი საქმეო“ — თქვა ოფიციანტმა, ალბათ სტუმრის საამებლად, რამდენადაც კარგმა ოფიციანტმა, არა მარტო პირის გემო იცის სტუმრისა, არამედ იმისი გულის დარდებიც (მეტი რა ესმოდა ალბათ ამისგან, თანაც მთვრალისგან). „ევროპამ?“ — გაიკვირვა და საბოლოოდ გამოფხიზლდა. „აბა. იაპონია ომითაა მისახედი“ — გახალისდა ოფიციანტი. მაგრამ თბილისელ მსახიობს ახლა არც ევროპისთვის ეცალა, არც იაპონიისთვის, თავისი პირადი სადარდელი ჰქონდა, ცოლის წერილი ედო ჯიბეში და უცებ ყოველგვარი ინტერესი დაეკარგა ამ სუფთა, კოპწია, ყურადღებიანი ,,ცისადმი, ჯენტლმენ რომ ცდილობდა მის გამოთრევას გამარხდებული ფიქრიდან. ერთისაც და მეორისაც — შეიგნა მოულოდნელად. ოფიციანტი შეცბა. ცოტა ხნის მერე უკვე ცივად, საქმიანად ჰკითხა: რას ინებებთო. თბილისელი მსახიობიც შეწუხდა. საკუთარმა უხეშობამ შეაწუხა, ოფიციანტი კი მეეცოდა „შინაურობის“, „ტკბილი ნაცნობ-მეგობრობის“ აღსადგენად, თვალი ჩაუკრა და უთხრა: ჰოლტეს ცრემლები გეკნებათ კარგი, სოფლურიო. თან მუცელზე მიიდო ხელი, ვითომ წამლად უნდოდა. „რა დამალევინებს არაყს ამ შუადღისასო“ შეიცხადა ოფიციანტის წასვლისთანავე; მაგრამ არაყი ესიამოვნა და ვიდრე ოფიციანტი სუფრას გააწყობდა, პირწმინდად მოიიხადა სამი სახარების კვალი. არაყმა გაამტვია. გაამხნევა კიდეც. „ავდგები და დავთვრებიო“, — ფიქრობდა ვიღაცის ჯიბრით, თუ ... ...

პოვის, სადა ვართ. ჩვენი სახელიც არ იცის. აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი რომ დაანგრია, პარიზმა ტაში დასცხო". — უთხრა ამან. „ღვინო ხომ არ დაგჭირდებათ კიდევ? ეს მესამე ბოთლია" — ჩაიბურდღუნა ოფიციანტმა. „მითვლი?" გაუღიმა ამან. ოფიციანტს ესეც ეწყინა, თქვენთვის ვამბობ, თორემ რა ჩემი საქმეა, რამდენს დალევთო. ვერ იქნა და ვეღარ მოინადირა იმის გული, სხვას ცდილობდა და სხვა გამოსდიოდა; იმიტომ რომ, ერთდროულად, აქაც იყო და იქაც — წერილში — და იქ გახარებული, აქ სიტყვებს ვეღარ ზომავდა, დაუმსახურებელ ტკივილს აყენებდა ვიღაცას, რომელიც სრულებითაც არ იმსახურებდა მისგან ამგვარ უსამართლობას. „ღვინო კიდევ მოიტანე. დიდი ჭიქებიც გამოაყოლე ხელს. ჩვენი შერიგებისა უნდა დავლიოთ". — უთხრა ოფიციანტს. ოფიციანტმა ისევ აიჩეჩა მხრები. „მე, სახელოვანი მსახიობი..." — გაიფიქრა ამან, და მეორე წუთას — გამარჯობა მამიკო — გამოაჯავრა ვიღაცას გუნებაში, აქ რომ შემოვიდა, დარბაზი ცარიელი იყო. ახლა კი, ჩვეულებრივი, რესტორნული ერიამული იდგა ირგვლივ, ოღონდ ევროპული კი არა, ქართული. „რა დროა ნეტავი" — გაიფიქრა უინტერესოდ; არც უფიქრია საათზე დახედვა. ოფიციანტმა ცარიელ ჭიქას ხელი დააფარა. ოქროსფრად მბზინავი სანთელი სანახევროდ ჩამწვარიყო. პირველად ახლა იგრძნო გამდნარი ცვილის სუნი. ესიამოვნა. „ჩვენვე უნდა მივხედოთ ჩვენს თავს, ბიძიკო" — უთხრა ოფიციანტს. „ვინ გაუმეცს? ვინ გირეცხავს? სხვათაშორის, თეატრი აქაცაა" — თქვა წერილმა. ოჰო! ეს უკვე სხვა ამბავია. ეს უკვე იმის ნიმუშია, თუ როგორ უნდა ზრუნავდეს ცოლი ქმარზე... ევროპა — პატარა, დაჩაგრულ ქვეყანაზე. „ევროპამ თავისი მისია დიდი ხანია დაკარგა, ბიძიკო. გაძღა ცხოვრებით. არაფერი აღარ უნდა. არც იცის და არც აინტერესებს, რა ხდება აქ, რა დღეში ვართ მე და შენ. კი ბატონო, მართალი ბრძანდები. სანამ საზღვიდან არ დაიყვირებს ვინმე — მაშველეო — რა უფლება გაქვს, ეფეგალეთ დე. მაგრამ დიდ პოლიტიკოსად ... აქვს თავი, უსაშველოდ გავნათლდიო, რომ იძახის, ისიც უნდა იცოდეს, მე პირზე ხელი რომ მაქვს აფარებული და გინდაც მოვახერხო დაყვირება, იქამდე გამაძრობენ ტყავს, ვიდრე ჩემი ხმა ევროპამდე ჩააღწევდეს. სანამ პაელე მოვიდა, პეტრეს ტყავი გააძვრესო. თუ პირიქით. ხომ გაგიგონია? მადლობელი ვარ. ძველ ანგარიშს მითვალე. შენი დიდი მადლობელი ვარ, ბიძიკო" — სხაპასხაპით მიაყარა ოფიციანტს და წამოდგა. ისევ რომ გამოერკვა, იმავე რესტორანში იჯდა, ოღონდ ახლა სხვა სუფრაზე, მისთვის თითქმის უცნობ ხალხში. მხოლოდ სახით ცნობდა ზოგიერთს. ვიღაც ქალი ძალით აფრინდებოდა ხელში, გინდა თუ არა, მაჩვენეთ თქვენი ხელისგული, გენიოსებს განსაკუთრებული ხელისგული აქვთო. ვიღაც კაცი საცობის ნაფშვნევს ნეკით იღებდა ჭიქიდან და უცინოდა: მეც ბიჭი მეყოლებაო. პიანისტი ტუშს უკრავდა, ისიც ამას ეღიმოდა, კისერმოღრეცილი. პიანინოზე ღვინით სავსე ჭიქა იდგა. უცებ პოლიცმეისტერი დაინახა, ვიღაც ზონზრორხა, მოკლეად თმაშეჭრილი ქალის გვერდით: მაშინვე ჭიქას დასტაცა ხელი, ფეხზე წამოვარდა და დაიყვირა: გაუმარჯოს ბათუმის პოლიციმეისტერს და ვეზირიშვილის ფაშატსო. დარბაზი უარესად აზრიალდა. აჭა-იქ ტაშიც დაუკრეს. მიტკალევით გადაფთრებული პოლიციმეისტერი სადღაც გაქრა, თავის ზონზორხა თანამგზავრიანად. კიდევ რომ გამოერკვა, ქუჩაში იყო. ქუჩაში ბნელოდა. შორს, ქუჩის ბოლოში, ოდნავ ბეუტავდა ობოლი ნათურა, თუკი ნამდვილად ნათურა იყო. სიბნელეს რომელიღაც ყვავილის მძაფრი სუნი დაჰკრავდა, მოტკბო, უსიამო. ოდნავ ილანდებოდა ფრანგების ეკლესიის წყვილი სამრეკლო, თითქოს სიმთვრალის წყალობით გაორებული.

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

„ამალია მელოდებაო“ — გაიფიქრა სულელურად. ამალია ყოველთვის სიმთვრალეში ახსენდებოდა. თავს კი იტყუებდა, ცოლის ჯიბრით ვიქცევი ასეო, მაგრამ სიმთვრალეში ადვილი იყო თავის მოტყუება; სასიამოვნოც; რადგან ცოლის გაქცევის მერე, მისი განახვერებული ხორცი განუწყვეტლივ იტანჯებოდა; უსვინდისოდ, დაუმსახურებლად მიტოვებული, კარგამოკეტილი ძაღლივით წკავწკავებდა, გაქცეულ ნახევარს ეძახდა, მაგრამ ეს შეგნებულად უურუებდა; გაბრაზებული იყო, შეურაცხყოფილი; ხოლო სიმთვრალე, კუდიანი დედაბრის ბანგივით, მის მკაცრსა და ფხიზელ გონებასაც ადვილად აძინებდა და მხოლოდ მაშინ ფხიზლდებოდა, როცა ყველაფერი ერთხელ კიდევ მოთავებული იყო, როცა ამალია ჯერ ისევ ლოგინში იწვა და ცხვირამდე აწეულ საბანს ორივე ხელით ჩაფრენოდა, თითქოს ძალით გადახდიდა ვინმე. ეს კი, შემაძრწუნებლად გამოკარიელებული, დარცხვენილი, გაბითურებული — ფაცაფუცით იკრავდა ფეხსაცმლის ზონრებს. სამაგიეროდ, ამალიასთვის მისი ყოველი გამოცხადება, თუნდაც ასეთი ხანმოკლე, უსულგულო და უხეში, ცის გახსნას უდრიდა, სასწაულს, ღვთის წყალობას, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული, არაფრით რომ არ იმსახურებდა თბილისელი მსახიობის ყურადღებას; ფიქრშიაც არ დაუშვებდა, მეტოქე ყოფილიყო იმისი ცოლისა, რადგან ცოლსაც ისევე აღმერთებდა, როგორც ქმარს. ერთად, ერთნაირად უყვარდა ორივე: გაქცეულიც და დარჩენილიც. კი არ უხაროდა, თავზარი ეცემოდა იმის დანახვაზე; კი არ აბედნიერებდა იმისი გამოჩენა, აფრთხობდა, აბნევდა და ამაღლებდა, როგორც მორწმუნეს — ღმერთისა. დაჩოქების სურვილი იპყრობდა მაშინვე და აღგზნებული, თვალებგადათეთრებული, ყელკისერდალაქავებული — ფეხებზე ეხვეოდა, გაშმაგებული უკოცნიდა მუხლებს, სანამ ის ძალით წამოაყენებდა, ლეშივით მიათრევდა საწოლამდე, სადაც. ხუთი წუთის მერე, მარტო დატოვებდა, კბილებაკაწკაწებულს... დაულეველი ცრემლით სველსა, და ბედნიერს, უსაზღვროდ, უთქმელად ბედნიერს.

— შეგიძლია მომილოცო. ვღებულობ მოლოცვებს. — თქვა თბილისელმა მსახიობმა და ამალიას ტუჩებს გარიდებული ხელები ზურგს უკან დაიწყო.

— გილოცავ. სულითა და გულით გილოცავ. — მხურვალედ, გულწრფელად აღმოსთქვა ამალიამ.

— კი მაგრამ, რას მილოცავ? არ გაინტერესებს, რას მილოცავ? — გაიღიმა თბილისელმა მსახობმა.

მაგრამ ღიმილი მაშინვე პირზე შეეყინა, თვალი გაუშტერდა, რადგან იმავე წამს მიხვდა, რისთვისაც მოსულიყო აქ: არა მამაკაცური ენინს მოსაკლავად, რისი გაგებაცა და პატიებაც, ასე თუ ისე, კიდევ შეიძლებოდა, არამედ საკუთარი პატივმოყვარეობის საამებლად; ამალიასთვის რომ დაემტკიცებინა, ამალიასთვის რომ მოეგო ნიშნი — ცოლისგან მიტოვებული, სხვათა შესაცოდი კაცი არ გეგონოო. იმის მაგივრად, რომ თვითონ დაეჩოქა ამ უბედური ქალის წინაშე, კაბის კალთაზე მთხვეოდა, მადლობა ეთქვა, ბოდიში მოეხადა — ყველის ვაჭარივით იკრიჭებოდა და თავის ბედნიერებას ახარებდა. მერე სკამზე იჯდა, თავჩაქინდრული, და წასვლა რცხვენოდა, თუმცა ერთი სული ჰქონდა, როდის გააღწევდა აქედან, მარტოხელა ქალის სენაკიდან, სადაც აღარაფერი ესაქმებოდა და სადაც მისი დაყოვნება, გაქცეული ცოლის ღირსებას კი არ შეურაცხყოფდა, არამედ ცოლთა მაგიერის მარადიულ, წმინდა სიმარტოვეს. ამის უფლება კი, ნამდვილად არ ჰქონდა. „მე არასოდეს მექნება ოჯახი“ — თქვა ამალიამ ისე მშვიდად, თითქოს ხმამაღლა ფიქრობდა, თითქოს მარტო იყო ოთახში, და ამას უარესად დაემდუღრა გული. ამალიას ოთახში დაბადებული სევდა ქუჩაშიც გამოჰყვა, ჰაერზე კიდევ უფრო გაიზარდა, გაფუვდა, და თავფეხიანად მოიქცია იგი თავის ტლანქსა და დაუნდობელ მარწუხებში. მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ამ სევდის მიზეზი ამალია კი აღარ იყო, არამედ მისი ცოლი: სიმთვრალის ბრალი იყო თუ ბედნიერი კაცის თავკერძოობისა, ამალია კი არ ეცოდებოდა — საკუთარი თავი. ცოლი ენატრებოდა. მთელი ეს ერთი წელი ცოლი ენატრებოდა მხოლოდ. მაგრამ პირველად ახლა, ქუჩაში, ამალიას ოთახიდან გამოსულმა იგრძნო ამ მონატრების ძალა და სიმძაფრე. პირველად ახლა იგრძნო, მთელი წელი ტყუილუბრალოდ რომ არ უტყდებოდა, ტყუილუბრალოდ რომ იპამპულებდა თავს, რადგან, როგორც არ უნდა დაეშალა, სხვები მაინც ატყობდნენ, ცოლი რომ ენატრებოდა, და კიდევ უფრო საცოდავი, კიდევ უფრო სასაცილო ხდებოდა სხვების თვალში. მხოლოდ და მხოლოდ, მისთვის დამაკნინებელი სიმთვრალეს გრძნობა უჩნდებოდა ყველას, თუნდაც იმავე ამალიას, სიტყვის შეუბრუნებლად რომ უღებდა კარს, რა დროსაც არ უნდა დასდგომოდა თავზე, უგონოდ მთვრალი, უპატრონო ძაღლივით ქუჩაქუჩა ნათრევი და ზღვისპირა ბაღში ნაქურდალი ყვავილით ხელდამშვენებული. იმიტომ რომ, ამალიას არც ცხოვრებაში შეეძლო თამაში და მხოლოდ იმას ასრულებდა, რაც ბუნებისგან ევალებოდა: იმავე კოსტას, ცალფეხას, ხისფეხას, თავად უპატრონოს — ერთსა და იმავეს რომ უმეორებდა ყოველ შეხვედრაზე: მეორე ფეხსაც მოვიჭრი, უკანვე თუ არ მობრუნდეს შენი ცოლო — იმიტომ რომ, ხისფეხა კოსტას არც თავისი უპატრონობისა რცხვენოდა და არც თავისი უმწეობისა; და იმავე დიმიტრასაც, უბილეთოდ და უდროოდროს რომ უშვებდა თავის საყდარსა თუ მუზეუმში, რათა ერთხელ კიდევ დაენახვებინა ამისთვის, რა ჭკნნდა და რა დაჭკარგვოდა, ანდა რა შეიძლებოდა ჭკნოდეს და არ დაეკარგა, მარტო სცენაზე რომ დაყაბულებულიყო გმირობას. ყველანი იცოდებდნენ და ყველა მოწყალებას იღებდა, მოწყალებას და არა ჯილდოს, როგორც თვითონ თვლიდა, რადგან ადრე, ასე თუ ისე, კიდევ ერეოდა თავს, ყრუდებოდა, ბრმავდებოდა, არ ტყუებოდა, უფრო სწორედ, გულს ეკვეთებოდა საიდუმლო კუნჭულშიც ეშვებოდა ისინ აღიარება, წარმოუდგენელი რომ იყო მისთვის უცოლოდ ცხოვრება, თუმცა მათი ერთად ყოფნა, ერთ-ერთის დაღუპვას ნიშნავდა მხოლოდ, რადგან ქაჯიც ვეღარ გაარკვევდა უკვე, რომელი იყო გადასარჩენი და რომელი გადამარჩენელი, რომელი რომელს ღუპავდა. მიდიოდა და შიშნაჭამი ბავშვივით უბაგუნებდა გული. ერთი მისი ნაცნობი დახლიდარი, თავად ლოთი და სხვათა გალოთების მსურველი, დიდად საიდუმლო სიბრძნესავით გაანდობდა ხოლმე: როცა ვთვრები — კაცი ვარ, როცა ვფხიზლდები — კაცუნაო. ეს კი, ჯერ ისევ მთვრალი იყო, მაგრამ კაცუნად გრძნობდა თავს. ტირილი უნდოდა, ერთიანად გამოკარიელებულს, ერთიანად გაოგნებულს, და ცოლს წერილი რომ არ სდებდა ჯიბეში, აღლათ მარილა ატირდებოდა. ატირდებოდა კი არა, ყმუილით გაიქცეოდა შინისკენ (დაქირავებული ოთახისკენ), ცოლის ხელშენაფლები ნივთები რომ დაეკოცნა, ცოლის თავხადებ ბალიშზე რომ დამბობილიყო პირქვე. წერილი აკავებდა, რადგან წერილი უდასტურებდა, მისი ცოლი ნამდვილად რომ არსებობდა ამ ქვეყანაზე, ნამდვილად რომ მისი ცოლი იყო და ისევ ერთად რომ იქნებოდნენ მალე, სულ, უსასრულოდ, რომელიმე მათგანის და, აქედან გამომდინარე, ორივეს საბოლოო დაღუპვამდე. წერილი ჯიბიდან ამოიღო, ტუჩებზე მიიდო და რამდენჯერმე აკოცა, ცხარედ, ენებიანად. ერთი წამითაც არ დაფიქრებულა, ვინმე დამინახავს, ვინმეს უცნაურად მოეჩვენება ჩემი საქციელიო. თუმცა ქუჩა ცარიელი იყო. ეტლმა ჩაიარა მხოლოდ. ისიც მოჩვენებას ჰგავდა. ერთი წამით, უსიცოცხლოდ, უსიამოდ გაიელვეს ეტლში მსხდომთა სანთლისფერმა, გაშშებულმა სახეებმა: თითქოს ეტლს ცოცხალი ხალხი -კი არ მიეყვა,

ოთარ ჭილაძე
ჯანი თეატრი

მანეკენები გადაჭონდა მაღაზიიდან მაღაზიაში. ნავსადგურში გემმა დაიღმუვლა, მაგრამ უფრო გაიღრმავა, გაამძაფრა ღამის დუმილი. სანამ ფოსტაში შეიდოდა, პირიდან არ მოუშორებია წერილი. გამხმარი წეროს გემოს გრძნობდა ენის წვერზე და სიამოვნებდა. ფოსტაშიც არავინ იყო, მოხელეს მეტი. ისიც თავის ხის ყუთში თვლემდა. ეს მაშინვე მაგიდასთან მივიდა, ლურჯი, ხაოიანი ფურცელი დაიდო წინ. სამელნის გარშემო დაყრილი კალმისტრებიდან ერთ-ერთი ამოარჩია, წვერი თითით მოუსინჯა და ჩაფიქრდა „ჩემმ ძვირფასებო“ — დაწერა ცოტა ხნის მერე. მაგრამ საჩქაროდ გადახაზა ნაწერი. კალმის წვერმა ფურცლის ბუსუსი აიყოლა. ამან ფურცელი მოკმუშნა და სხვა კალმისტარი აიღო. „მადლობელი ვარ“ — რატომღაც დიდი, ერთმანეთისგან მკვეთრად დაშორებული ასოებით დაწერა ახალ ფურცელზე. ცოტა ხანს უყურა საგულდაგულოდ გამოყვანილ ასოებს, თითქოს ტკბებოდა საკუთარი ნამოღვაწარით, მაგრამ იმის მაგივრად, წერა რომ გაეგრძელებინა, ის ფურცელიც მოკმუშნა, კალმისტარი მაგიდაზე დაახეთქა და ფოსტიდან გამოვიდა. ქუჩა ისევ ცარიელი იყო. გავეშებული მიაბიჯებდა, თითქოს ვინმე ელოდებოდა, თითქოს მიეჩქარებოდა, აგვიანდებოდა სადღაც. რკინიგზაზე გადავიდა და ციხისკენ მიმავალ ქუჩას გაუყვა, ხოლო ქუჩის ბოლოს ციხის შავი ლანდი რომ აისვეტა, კიდევ უფრო აუჩქარა ფეხს, მერე გაიქცა და ციხის ალაყაფს მიეხეთქა მთელი ძალით. თითქოს სიბნელეში ვერ დაინახაო. იდგა და მუშტებით აბრახუნებდა ალაყაფზე. უსიამოდ ყლრიალებდა გამოღვიძებული რკინა. მერე ვიღაცა თოფის კონდახით აწვებოდა მკერდში, ის კი ალაყაფისკენ იწევდა მაინც და გაჰყვირიოდა: დამიჭირეთ, დამიჭირეთო... მერე პოლიციელებს მიჰყავდათ გაკვებული. წინ ბოქაული გარბოდა, ხმალი ხელში ეჭირა, ფეხებში რომ არ გაბლანდეოდა. უფრო თავისუფლად რომ ერბინა. „შე ქეციანო კატავ, შე ქვემძრომო ჯოჯოო“ — მისძახოდა ბოქაულს, პოლიციელებით გაკავებული, და ეცინოდა. მერე პოლიციის [illegible] იჭდა სკამზე, ისევ ორი პოლიციელით გაკავებული, და ცდილობდა როგორმე ფეხი მიეწვდინა, როგორმე ჯიტლაყი ამოერტყა ბოქაულისთვის, რომელიც ზურგშექცეული იდგა და ტელეფონით ელაპარაკებოდა ვიღაცას: გისმენთ, თქვენო აღმატებულებავ. გისმენთ თქვენო აღმატებულებავ. „თქვენს აღმატებულებას მოახსენე, თავს ნუ იგდებს, თორემ ნაცარტუტად ვაქცევ აქაურობასო“ — ყვიროდა ეს და ცდილობდა, როგორმე მისწვდენოდა ფეხით ბოქაულის უკანალს, როგორმე გაენთავისუფლებინა ხელები, მაგრამ პოლიციელები ზედ ეკიდნენ, სახეწამოჭარხლებული, ლოყებდაბერილნი, თვალებგადმოკარკლულნი, თითქოს ქვეყნის დამაქცევარი აეაზაკი შეუპყრიათო. „თქვენი დედა... თქვენი აღმატებულების დედა... ლაქიებო... მოსენები“ — ბობოქრობდა ეს, ვიდრე სამორიგეოს კარი გაიღებოდა და თავად პოლიციმეისტერი შემოვიდოდა, გაღიმებული, სახეგაბრწყინებული, ზრდილი, თავაზიანი და კარგი დახვედრით დიდად ნასიამოვნები სტუმარივით. „როგორ ბედავთ. ფუი, დასწყევლოს ღმერთმა. გაუშვით ახლავეო“ — სიცილით შეუწყო პოლიციელებს. როგორც სტუმარი შეუწყრება ხოლმე თავის ცელქ შვილებს, სათამაშოს ანდა კანფეტის გამო წაკინკლავებულებს, თითქოს შინ ან სათამაშო აკლდეთ, ან კანფეტი. პოლიციელები სარგადაყლაპულებივით გაიჭიმნენ. თან მცინავ სუნთქავდნენ, საბრალელებივით. ხოლო სანამ ეს ნატკენ ხელებს ისრესდა, პოლიციმეისტერი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. ლაპარაკობდა, თითქოს ლაპარაკით უპირებდა გაბრუებას, დაძინებებას, და მართლაც, წესიერად აღარც ახსოვდა ამას, რა უნდოდა აქ, რამ მოიყვანა პოლიციაში. „თქვენ გგრნიათ, ვერ ვხედები. თქვენ გგრნიათ, ვერ ვხედები“ — ლუღლუღებდა, როგორც ტულმორეული ბავშვი აჩემებულ უაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობას, გადავლილი, დავიწყებული სიბრაზისგან, შეურაცხყოფისგან გულაჩუყებული, და ისიც კი სჯეროდა, პოლიციმეისტერი მის გამოსაქმაგებლად, მისი ღირსების დასაცავად რომ მოვარდნილიყო ამ შუაღამისას, საპარადო მუნდირში გამოწყობილი. იმავე დროს შეგინებაც უნდოდა იმისი, მაგრამ სამადლობელი სიტყვები ეწებებოდნენ სასაზე, ამაზრზენად ლორწოვანნი, გულისამრევად მოტკბო, როგორც სადღაც, უგონობის ჟამს ნაგრძნობი, რომელიღაც უსახელო და მახსოვრობის შლამინ ფსკერზე ჩამპალი ყვავილის სუნი. თან იმასაც ხვდებოდა, კიდევ ერთხელ რომ აბითურებდნენ. კიდევ ერთხელ სიმთვრალესა და მსახიობურ თავქარანობაში რომ უთვლიდნენ გაბრძოლებას, რისხვას, სიძულვილს. დაუსჯელობით სჯიდნენ, დაუსჯელობით ასწორებდნენ მიწასთან, რადგან რაც სასჯელს არ იმსახურებს, არც არაფერს წარმოადგენს, ჩვეულებრივი ტაკიმასხარაობაა და არა ამბოხი, ანდა თუნდაც უარყოფა რაღაცისა... ასე რომ, როცა პოლიციმეისტერმა ბრძანა, ახლავე ჩემი ეტლით მიაცილეთ შინ ბატონი თბილისელი მსახიობი, აღარაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო პირიქით, შეებაც იგრძნო, რადგან კიდევ ერთი წუთი რომ დარჩენილიყო აქ, შეიძლება, კიდევ უფრო გაპამპულებულიყო, რთლა დასაცინი და დასაგმობი გამხდარიყო პოლიციმეისტერის თვალში, რადგან ყელში მომდგარ ცრემლს ვეღარ მოერეოდა და სახეში შესტირებდა მისი დამბობისა და დაკნინების მსურველს, შემწყნარებლური, თაყვანისმცემლური ღიმილით რომ შემოსცქეროდა ახლა და კიდევ ერთხელ უზდიდა ბოდიშს, ამ „სამწუხარო გაუგებრობისთვის", „პოლიციელთა უტაქტობისა და სიბრიყვისთვის", რომლებსაც ისიც კი ვერ შეუგნიათ, გიჟი რომ თავისუფალია და კანონით ხელშეუხებელი რომაა გიჟის თავისუფლება. მერე ეტლში იჯდა, კი არ იჯდა, ეგდო, ჩერებით სავსე ტომარასავით, და მოულოდნელად მოახლოებულ ვამოფიზხლებას უძალიანდებოდა, თავზარდამცემად გრძნობდა, მალე ყველაფერი შეიმაძღრუნებელი სიზუსტით რომ აღსდგებოდა მის გონებაში და კიდევ ერთხელ შეაზიზღებდა საკუთარ თავს, საკუთარ ბუნებას, რომლის წყალობითაც ყოველთვის სამარცხვინო, უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, რადგან ნებისმიერი მისი ნაბიჯი, საქციელი, სიტყვა — სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობას იძენდა სხვათა თვალში. მეეტლის გვერდით, კოფოზე დასკუპებული პოლიციელი მოულოდნელად გამოხედავდა ხოლმე, ყურებამდე გაღიმებული. და დიდ, ნაფოტა კბილებს აჩვენებდა, თითქოს ახლაც იმის გასაცინებლად მისვენებულიყო ასე უმწეოდ ეტლის საკარძელზე, თითქოს შესანიშნავად გათამაშებული სიმთვრალისა და სიგიჟისთვის ჩაებრძანებინათ ეტლში, რადგან მართლა მთვრალი და მართლა გიჟი რომ ყოფილიყო, მაშინ ეტლში კი არ ჩაჯბრძანებდნენ, თანაც თავად პოლიციმეისტერის ეტლში, არამედ ცემენტის სარდაფში ჩააყუდებდნენ, თუნდაც დილამდე. „გაჩერე, ახლავე გააჩერეო" — დაუყვირა მეეტლეს და ვიდრე ის ეტლის გაჩერებას შესძლებდა, იქამდე გადმოხტა ეტლიდან. პოლიციელიც გადმოჰყვა და გამოედევნა: სა მიდიხარ, ვერ გაგიშვებ, ნაბრძანები ძაქვს, შინამდე მიგაცილო. მაგრამ ეს რომ მოუბრუნდა და მშვიდად უთხრა: შენზე ნუ ამომაყრევინებ ჯავრს, რადგან შენ არაფერ შუაში ხარ, ხოლო შენი გალახვისთვის შენივე უფროსი კიდევ მადლობას მეტყვის აქეთო — პოლიციელი ცივად გატრიალდა. ის კი მიდიოდა და მოახლოებულ სიფხიზლეს უძალიანდებოდა. სიკვდილი ერჩია ახლა თავის ნაქირავებ ოთახში დაბრუნებას. ვერც დაეტეოდა იქ, მოულოდნელი ბედნიერებით გალ ხული, ნაორეკ-ნაგვემი. ახლა, როგორც ჯაფისაგან ქანცგაწყვეტილ პირუტყვს, ადამიანის ხმა

ოთარ ჭილაძე
რკინის თეატრი

და ხელი სჭირდებოდა მხოლოდ, თუნდაც დამცინავი, დამტუქსავი, მაგრამ თანაგრძნობით დამცინავი და თანაგრძნობით დამტუქსავი ხმა და ხელი ადამიანისა, რომელსაც არც შენი უბედურება უკვირს და არც შენი ბედნიერებისა შურს, რადგან ერთიცა და მეორეც თავისი ყოფნის, რადგან ადამიანია, ადამიანი, და გონებით ზომავს ერთსაც და მეორესაც, იმდენს ჭამს, რამდენსაც მოერევა. მაგრამ ადამიანს იმაზე მეტი თუ არ მიეცი, რამდენიც არსებობისთვის ჭირდება, მაშინ ხომ ისიც გაპირტყვდება? მართალია ეს ვითომ? განა ზედმეტიც არ აპირტყვეს ადამიანს? მაგრამ ახლა, არც თავი ჰქონდა და არც ეცალა ამის გასარკვევად, მეორე ადამიანი ჭირდებოდა, მარტო რომ არ დარჩენილიყო, უარესად რომ არ გაჰგებოდა ფეხქვეშ მოულოდნელი ბედნიერების ქარიშხალს. აი, თურმე როგორი დამანგრეველი, როგორი დაუნდობელი ყოფილა ბედნიერება, როგორი გაგიეცა სცოდნია კაცისა. ახლა შინ რომ მისულიყო, ცოლის ხელშეწავლებ ნივთებს კი არ დაკოცნიდა, დაჰკუცმაცებდა, დაფშვნენიდა, დანაყავდა. როგორც კბილის ტკივილით გაცოფებული ბავშვი, ბოლოს და ბოლოს, ამოღებულ კბილს. ამიტომაც იყო, ბევრი რომ აღარ უფოყმანია და მართლაც ბავშვური სულწასულობით, მოუთმენლობით შეაღო მწვანედ შეღებილი ჭიშკარი.

დიმიტრიმ და დარიამ რომ შეიტყვეს, თბილისელ მსახიობს ეაკიშვილი შესძენიაო, აღარ იცოდნენ, როგორ გამოეთქვათ, როგორ გამოეხატათ თავიანთი სიხარული. დიმიტრის ხომ უზარმაზარი ლოდი მოეხსნა გულიდან, ყველაფერს რომ თავი გავანებეთ, ღმერთმობით აღარავინ წამოაგდებდა ლოგინიდან, მაგრამ, რა თქმა უნდა, ის უფრო უხაროდა, ასე კარგად რომ დამთავრებულიყო მისი დროებითი მეზობლის უთავბოლო ყიალი. დღეიდან ისიც დამშვიდდებოდა, დალაგდებოდა და დაუტკბებოდა ცხოვრებას, რადგან, სხვა თუ არაფერი, უბრალოდ ვეღარც მოიცლიდა სისულელეებისათვის ცოლ-შვილი მაინც თავისას მოსთხოვდა, ხოლო, თავისგან იმდენს მისცემდა, აღარც ლანდარი დგომა მოუნდებოდა და აღარც „ბალიკაბანს“ ყურყუტი. გარდა ამისა, ამ ერთი წლის განმავლობაში, მიუხედავად განუწყვეტელი დაძაბულობისა, სიბრაზისა და უსიამოვნებისა, მისთვისაც შეუმჩნეველ, ისე შესჩეოდა, ისე შეჰყვარებოდა თბილისელი მსახიობი, ცოტა არ იყოს, გულიც კი წუდებოდა უკვე, რაკი ხვალდან ასე იოლად ვეღარ შეხვდებოდა იმას, მაგრამ საკუთარი, თავკერძული გულისტკივილი რა მოსატანი, რა გამოსაჩენი იყო იმ ბედნიერებასთან, რითაც ღმერთს მისი „დაუპატიჟებელი სტუმარი“, თუ გნებავთ, მისი „მტანჯველი“, მისი ძილის დამაფრთხობელი და მისი სიმშვიდის დამწიოკებელი დაეჯილდოვებინა. მელას თავისი მახრჩობელა უყვარსო — და დიმიტრისაც უყვარდა თბილისელი მსახიობი, უსაშველოდ უყვარდა, ისე უყვარდა, იმისი ბედნიერება საკუთარ ბედნიერებად მიაჩნდა. დარიაც ციბრუტივით ტრიალებდა. ისეთი სუფრა გაშალა, დედამთილიც ვერ დაუწუნებდა, ერთი წუთით თავი რომ წამოეწია საფლავიდან. სხვათაშორის, დარიაც დღედღეზე მოსალოგნებელი იყო, მუცელი ნათხოვარივით დაჰქონდა, მაგრამ თავი ვიღას ახსოვდა, ისეთი ძნიმე ტვირთი მოეშორებინათ გულიდან, ცოტაც და, სიხარულისგან მართლა აფრინდებოდნენ ცაში. დღეს მათი საერთო ბედნიერების დღე იყო, თუნდაც იმიტომ, დღეს თბილისელი მსახიობის ცოლის ხსენებაც რომ შეეძლოთ, რასაც ადრე ვერ ბედავდნენ, თუმცა სამივენი მტკივნეულად განიცდიდნენ უიმისობას, თითქოს სამივეს აკლდა, თითქოს სამივეს გაჰქცეოდა იგი. ახლა კი, მოულოდნელ ბედნიერებას, რს მეთხეც უკან დაებრუნებინა და ოთხიენი ერთად იყვნენ ისევ, როგორც მათი გაცნობის პირველ დღეს. მას მერე კი (ღმერთო, როგორ გარბის დრო!) მთელი წელი გასულიყო უკვე, თუმცა, რა არის ეერთი წელი ბედნიერების მოლოდინში? არა-

ფერი. ერთი წელი საკირეში გაძღებს კაცი. თბილისელ მსახობს, როგორც საერთოდ ახალგაზრდა მამებს სჩვეულიათ ხოლმე, თავი ისე ეჭირა, თითქოს ბედნიერი კი არ იყო, ბედნიერებას მისტიროდა, თავს იკატუნებდა და წარამარა გაიძახოდა: დამედგა რკინის უღელი. „რატომ ამბობთ? ნუ ამბობთ. ქვრივი ქალები ამბობენ ასე ჩვენში, თქვენ კი... თქვენ კი...“ — სიტყვას ვერ ამთავრებდა აღელვებული დარია. „ამას იმიტომ ვამბობ, ჩემი ყანაც რომ მოიმკა, ჩემს შეთქმულებასაც რომ გამოუჩნდა თავისი იასე. ია. ია, ია, მთის ფერდზე შობილო. არა და, იამ დაღუპა ქვეყანა“ — იკინოდა თბილისელი მსახობი. „მოდით, დღეს მხოლოდ კარგზე ვილაპარაკოთ. სიცოცლეზე. ბედნიერებაზე. ბოლოს და ბოლოს, იშვა კაცი სოფელსა შინა“. — აწყვეტინებდა დიმიტრი. „შშვიდობით სპანნო, ჯიღოსანნო, დიდნო ბრძოლანო“ — თავისას არ იშლიდა თბილისელი მსახობი. „როდის აპირებთ გამგზავრებას? ალბათ მალე, არა?“ — ეკითხებოდა თეალცრემლიანი დარია. „რა დიდი ამბავი უნდა ჩემს გამგზავრებას, დარია, კარგო დარია. ოთხი წიგნი და ერთი ფარდაგი“. და ისევ გუგუნებდა პიანინო. წკრიალებდა ჭურჭელი. პიანინოს შანდლებში სანთლებს ტკაცა-ტკაცი გაუდიოდათ. სამნი იყვნენ, მაგრამ ისეთი ერიამული იდგა სახლში, კაცს ძველი დრო გაახსენებდა. ჩარჩოების ბინადრებიც ცოცხლებს გავდნენ, თითქოს მართლა დაბრუნებულა ძველი დროო, ფერსა და გამმეტყველებას იცვლიდნენ, ისინიც განიცდიდნენ და იზიარებდნენ მათთვის სრულიად უცხო კაცის ბედნიერებას. მაგრამ თავად იმ „უცხო კაცისთვის“ არაფერი შეცვლილიყო თითქოს; ახლაც ის აღელვებდა და აღშფოთებდა, ის აღარდებდა და ახარებდა, რაც აღრე, ნებისმიერი მოულოდნელი გამოცხადებისას. ისევ გამოუსწორებელ მეოცნებედ, გამოუსწორებელ მეამბოხედ დარჩენილიყო. ისე თავისი თეატრის ამბებს ყვებოდა; ისევ — ხან აგინებდა და ხან აღმერთებდა მსახიობებს. ... მოკლეთ ემუქრებოდა მოსაფეთ-დამსმენელს, რომელსაც თუმც წინასწარ გაუგებინებია სინოდისთვის სცენაზე წმიდანის გამოყვანას აპირებენო; და ისევ ტრაბახობდა, ისევ აღტაცებული იყო საკუთარი მოხერხებულობით; სინოდიც გავაცურე, ცენზურაც და პოლიციაც, პიესას სახელი შევუცვალე მხოლოდ და იმასაც ვერ მიხვდნენ, „ალექსანდრე ბატონიშვილი“ იგივე „ქეთევან დედოფალი“ რომ იყოო. „ეშინიათ, ეშინიათ ყაზბეგისა. იმიტომ რომ, ყაზბეგმა სიმართლე იცოდა. სიმართლის მცოდნენი კი, სახიფათონი არიან იმპერიისთვის. ჩვენთვისაც, ჩვეულებრივი მოკვდავებისთვის, რადგან ძილს გვიფრთხობენ, ლუკმას გვიმწარებენ და არ გვაცლიან, შშვიდად განვლიოთ სიცოცხლის დღენი, სამადლოდ რომ მოუდგია ღმერთს ჩვენთვის. ქართველთა ომერი დავარქვით, მაგრამ საქმე ისე გავუხადეთ, საგიეთში ამოყო თავი. ომერი კი არა, ჰომეროსი, ჰომე-რო-სი. ქართული ჰაე უნდა თავში, ბატონო პოეტებო, უკაცრავად, ბატონო გენერლებო. ხოლო იმ დღეს, როცა ქართველთა ომერმა შეშლილთა შორის სული განუტევა, მთელი თბილისი მუშტაიდისკენ მიისწრაფოდა, ირნახული, გაუგონარი სასწაულის სანახავად. იმ დღეს, ჰაეროსტატით ვირი უნდა აეყვანათ ცაში, და აბა, რა გასაკვირია, თავიანთი მწერალი რომ დავიწყებოდათ, მცოდნე სიმართლისა, სიღრმის მხილველი და ამიტომაც უცხო, მიუღებელი, გაუგებარი თავისი თანამედროვეებისთვის. მაგრამ ბოლოს მაინც თავად მოტყუვდნენ. თავად დარჩნენ პირში ჩალაგამოვლებულნი, რადგან იმ დღეს, ვირი კი არ აფრინდა ცაში, არამედ ყაზბეგის სული მიეახლა უფალს. ხოლო ვირი მიწაზე დარჩა, ჩვენთან, ჩვენ შო-

---

ოთარ ჭილაძე
ჩკვნის თეატრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის. ვირსა ვართ ახლა ყველანი მიჩერებულნი, ვირის ჭკუაზე დავდივართ და ახია ჩვენთვის. ვინც თავისი ფასი არ იცის, არც არაფერს იმსახურებს კარგს. დასახი დიმიტრი, ერთიც დავლოთ. ვექილის პარიკსა და მსახიობის ნიღაბს გაუმარჯოს, ერთი და იგივეა, რომ იცოდე. უნიღბოდ და უპარიკოდ ჩვენც არავის არ ვჭირდებით. ნიღაბი და პარიკი გვაჭმევს პურს". — ბორგავდა, შფოთავდა, ხორხოცობდა თბილისელი მსახიობი და ისევ გრიალებდა პიანინო, ისევ წკრიალებდა ჭურჭელი, ისევ ტკაცუნობდნენ სანთლები.

მოვა ჩემი საყვარელი,
მე დავხვდები თავშეკავებული,
ლა, ლა, ლა, ლა...

რამდენიმე დღის შემდეგ თბილისელი მსახიობი სამუდამოდ გამოეთხოვა ბათუმს, თუმცა, გამოსათხოვარ ბანკეტზე — რა თქმა უნდა, რესტორან „ფრანციაში" — მტკიცე პირობა მისცა გულმოკლულსა და დაობლებულ დასს, უკანვე რომ დაბრუნდებოდა მალე, ახლა უკვე ნამდვილად სამუდამოდ, და მთელ თავის ხიჯს, შესაძლებლობასა და სიცოცხლესაც კი — რკინის თეატრს შესწირავდა.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაურ გოლეკვაძე

●

ცეცხლს უკიდებს როცა მტერი,
როცა ერის იწვის სახლი,
ცეცხლი იგი ქრება ბევრი
ერისკაცის სისხლის დაღვრით!

●

მე ჩემს მოკვლას გაპატიებთ, —
მამა მნახავს, დედა მნახავს!..
მოკვლით მომკლავთ, ჩემო მტრებო,
დამარხვით კი ვერ დამმარხავთ!

●

მაინც ვიტყვი, თუნდ ჩამთვალონ
ამის გამო სულელად:
გაუმარჯოს საქართველოს
მიწის დაორსულებას!

●

აუნთია თბილისს
საყვარელი ქუჩებით —
მილიონი ტვინის
მილიარდი უჯრედი!

იოსეგ ონნეშვილს

ყვავილებში ჩამარხულ
შენს თბილ საფლავს სძინავს!..
გულს ჩაგიკრა დიდუბემ —
სამუდამო ბინამ!..

უცაბედად მოგიტყდა
წუთისოფლის ტოტი!..
შენ პოეტად იცოცხლე
და პოეტად მოკვდი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამოგვჭერი გულებზე
ულვთო წასვლა შენი!..
დაგვიტოვე ჭრილობა —
მარად მოურჩენი!..

გვეფერები, გვამხნევებ,
გვეხმარები დღესაც!..
და ზოგიერთ ცოცხალზე
მეტ სიკეთეს თესავ!..

●

უკვე აღარ მაქვს სიკვდილის შიში —
მე ჩამხრჩვალი ვარ ჩემსავე სისხლში!

დატირებული ჩემივე ცრემლით —
მე ვარ ცოცხალი ცხედარი ჩემი! —

ჩემივე ძვლების კუბოში ვწევარ,
ვასაფლავივარ ჩემსავე ხორცში!..

მე ამნაირი სიცოცხლის მცნე ვარ
და ამნაირი სიცოცხლით ვცოცხლობ!

●

არ გვანებივრებს ბედი გულცივი! —
ასე ინება მამაუფალმა!..
რა ნაღვლიანად ამბობს პუშკინი:
„ჩვენ, პოეტები, მკვდრები
ვუყვარვართ!“

●

ვერ მოგისწარი
ცოცხალს და კვნესით
დაგასაფლავე
ჩემს გამშრალ ცრემლში!..

●

წვიმს, — პოეტურად რომ ვთქვათ, —
ცა ტირის. ცვივა ცრემლები!..
ვცემ აივანზე ბოლოთას,
ვხედავ: მკვდარს მიასვენებენ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა ტირის. ცვივა ცრემლები
და ამღვრეული რბის მტკვარი!..
ვხედავ: მკვდარს მიასვენებენ
და მე ვარ, მე ვარ ის მკვდარი!..

ჩემი აფხაზეთი

მოხოხობებული მიწა!..
მოარწივებული ზეცა!..
ზეცასმინდენილი რიწა!..
მიწა — მიწვდენილი მზესა!..

გვაქვს ოდითგან ერთი ბედი,
ჭირი — ერთი, ლხინი — ერთი!
მრავალ მომხდურს ერთად ვძლევდით
და ვედექით ერთურთს გვერდში!

ვერ ჩაგვიქრობს ვერვინ ნათელს, —
რომ მოგვფინა ძმობის დრომა!
დღეს ყველაზე მეტად გვმართებს
ერთმანეთის გვერდში დგომა!

მოხოხობებული მიწა!..
მოარწივებული ზეცა!..
ზეცასმინდენილი რიწა!..
მიწა — მიწვდენილი მზესა!..

ქვეყანაა სულის ლხენის! —
სხვა სახელი არცა ჰქვია!
აფხაზისთვის ასი წელი
სიჭაბუკის ასაკია!..

როგორც წინათ, — ახლაც ერთად
წინ ვიაროთ! ვთქვათ! დავწეროთ! —
საქართველო — აფხაზეთად!
აფხაზეთი — საქართველოდ!

●

მე მკვდარსაც მიმასიკვდილებს —
„მამიკო“! — შენ რომ იკივლებ!

●

ჩემს სურვილს გეტყვით მოკლედ, —
არ დამაყაროთ სიცილი! —
არ მინდა, ისე მოვკვდე,
რომ ვერ დავთრგუნო სიკვდილი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენს დას ნორას

როცა პატარა,
უდარდელი ბიჭი ვიყავი
და ჩვენს ჭალებში
ფეხშიშველი დავნავარდობდი, —
ხმელი ეკლები
მესობოდნენ ფეხისგულებში, —
მომვარდებოდი
და კბილებით მაძრობდი ეკლებს!..

დღეს შხამიანი
მესობიან ეკლები გულში
და შხამიანი
ეკლებით მაქვს ეგ გული სავსე!..
დედისა მჯობო
ჩემო დიდო დაო, მითხარი:
ვინ ამომაძრობს
მე გულიდან შხამიან ეკლებს?!

●

მიწა მისი ხორცია,
წყალი — სისხლი,
ქვა — ძვალი!..
ერთი სიტყვით, კაცია
ეს პლანეტა საწყალი!..

●

ღმერთო,
საკუთარ სიკვდილს მომასწრე! —
უარს
ნუ მეტყვი ამ დიდ თხოვნაზე!

●

ვერ დავაღწიე თავი წვრილმანებს,
ვეღარ დავწერე ნამდვილი ლექსი!..
ვარ დაბნეული გაუმჭვირვალე
ურთიერთობის ლაბირინთებში!..

კოსმონავტი მთვარეზე

მზე ჩავიდა, მზე დაიწვა
ვარსკვლავების ქარავანთან!..
ამოვიდა დედამიწა
და სამყარო გაანათა!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ინანიშვილი

საამაგიდო რვეულიდან

ქალი ბაქანზე

— ორმოცდასამის ცივი, ქარიანი ზამთრის ღამე იყო, — როდის აღარ იყო ცივი და ქარიანი ღამე მაშინ! წინა დღეს პოოველად შევისწორე ღინღლი საულვაშეზზე. ქარხნიდან გამოსული, ფარღალალა ჩარდახის კედელს გარედან მოფარებული, — შიგნით სხვები იყვნენ ამბუზულნი. — მუშათა მატარებელს ველოდი ჩვენს ბაქანზე. ანთებდა ცივივე ბადრი მთვარე. მოვიდა ერთი თეთრი შალით თავმობურული მაღალი ქალი, ისიც ზურგით მიეყუდა ფიცრის კედელს და თავმოუბრუნებლად თქვა: — წამოდი ჩემთან, მე კარგი ვარ, მხოლოდ მარტოობით ვკვდები. მე თითქოს ჭიანჭველების ბუდეში ჩავვარდი, მერე გვერდზე გავიწიე. — რატომ შეშინდი? შენ უკვე დიდი ხარ, შენ უკვე უნდა იცოდე, რას ნიშნავს მარტოობა ქალისთვის. მე სულ მოვცილდი იმ ფიცრის კედელს, მუხლებში თრთოლვაშემდგარი გავედი მოოიავებულზე. ცოტაზე ქალიც გამომყვა. მივხედე და მთვარის შუქზე გავარჩიე, რომ ელიმებოდა, ელიმებოდა და ძალიან ლამაზი იყო. ვიღაცა კაცმა ხელი დაადო მკლავზე. იმ კაცს იდაყვი გაჰკრა. მატარებელი მოვიდა. მე ჩავჯექი და წამოვედი. ქალი ბაქანზე დარჩა სევდიანად გაღიმებული.

საყვარელი

ჩაიცვამს ჩემი მეორე ნახევარი ყოველ დილას, ჩვენ რომ ვიცით, იმ შეკერილ კოსტუმს, გაიჭერს ჰალსტუხს, გაისწორებს საყელოს და მერე გვერდულად შებრუნდება სარკისკენ, მუცელს ისინჯავს ხელის გადასმ-გადმოსმით, ერთი სული აქვს, როდის წამოეზრდება ისე, სოლიდური მამაკაცი ერქვას. შენ რატომ შეგიყვარე, ხომ იცი — ვრიალით რომ ადი-ჩამოდიხარ კიბეებზე და ეზოში იტენი ხალათის კალთებს შარვალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპა

მოდის ჯიხზე ორი ხელით ჩამობღაუქებული პატარა მოკუზული ბებერი. ყურები ისე გასთხელებია, სინათლე გადის.

— როგორა ხარ, იოსება პაპა, როგორ?! — გადმოსძახის გზისპირა დუქნიდან ხელდანიანი ყასაბი.

— ისე უნდა ჩავბარდე სიკვდილს, გამოსაწერწერნიც კი ოარაფერი დარჩეს ჩემ ძვლებზე. — თავაუღებლივ, გვერდზე გაუხედავად იტყვის პაპა და, როგორც შეუძლია, აიჩქარებს ნაბიჯს.

— ას შვიდისაა! — სიამაყით მეუბნება ყასაბი მე, სრულიად უცხოს.

თოჯინები

სიონის ავტობუსს მივყვებოდი, ადგილი არ მქონდა და ფეხზე ვიდექი.

იჯდა ერთი თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ქალწულებრივად შვესებული ქერა გოგონა, ყისნაღოთ ქსოვდა პაწაწინა ლურჯ ჯემპრს და უმშვენიერესი მშვიდი ღიმილით ელაპარაკებოდა გვერდზე მჯდომს — სტუდენტური ასაკის თმაჯაგარა ბიჭს, ჩანდა ნათესავს:

— სიონი მაღალზეა და ცივა. თბილი რამეები თუ არ მოვუქსოვე და არ ჩაეცვი, გამიცივდებიან. ხელათ იცინან გაცივება, დაიწყებინებთ ხველასა და ცხიკინს. მერე ნაბანებელზე. წუხელ ორივენი ვაბანავე, დავღვრიქე. თმებიც შეეუღებე. შეხედე! ახლა დედას და ამათ ერთი ფერის თმები აქვთ. ხომ ჰგვანან კიდეც დედას? ვინ იტყვის, **რომ** მისი შვილშვილები არ არიან?!

კალთაში ეწვა ორი უცხოდ ლამაზი თოჯინა, ორივეს თვალები დახუჭული ჰქონდა, ზემოდან ეფარათ სათუთად ნაკერი ატლასის პატარა საბანი.

ბიჭმა წამოიღო გამხდარი ხელი და ერთ თოჯინას თმაზე მოეფერა, ცალი ცისფერი თვალი გაახელინა, გოგონამ ბიჭს ხელზე ხელი დაჰკრა.

— გაუშვი, არ გამიღვიძო, ძლივს ჩაეძინათ.

იქით, სკამების მეორე [illegible] ნას დედა იჯდა — ჯ[illegible] რდა, მოკლედთმაშეჭრილი, ელეგანტურად თავდაჭერილი ქალი. ეღიმებოდა, ეცინებოდა.

გოგონამ გახედა და ალერსიანი საყვედურით უთხრა:

— ნუ იცინი, ბებო, შენ მანდ!

გახსნა ძაფებითა და სხვადასხვა ფერის ნაკუწებით სავსე ხელჩანთა. შიგ წიგნიც იდო. თვალს არ დავუჯერე, წავიწიე წინ.

Марсель Пруст. В полсках утраченного времени

— წაგიკითხავს? — აჩვენა ბიჭს წიგნი.

ბიჭმა თავი გადააქნია.

— უნდა წაიკითხო. ქლიბად ხომ არ უნდა დარჩე შენი წუთისოფელი.

მჭრქალი ცისფერი ძაფი ამოარჩია, გამოუშალა წვერი, დაასამკეცა, დაადო თავის ნაქსოვ პაწაწინა ჯემპრს.

— ხომ მოუხდება ამფერი ზოლი?

— ჰკითხა ბიჭს.

ბიჭმა მხრები აიჩეჩა.

— შენ არასოდეს არაფერი იცი.

მოეწყო მოხერხებულად და მშვიდი მიბეჯითებით, ღიმილით განაგრძო ქსოვა.

ნუცა ძალოს ნაამბობი

— სოსიამ რომ დამნიშნა, იმ საცოდავმა, გაზაფხული იყო. სულ მახსოვს — ჩვენი ნუში პატარა იყო და ყვავოდა, ყვავოდა, სულ თეთრად იყო გადაპენტილი.

ჩავიდოდა შაბათის მზე, მილურჯდებოდა წალმიანის გორა და გამოჩნდებოდა თავჩაღუნული. ხან თეთრ ცხენზე იჯდა, ხან შავზე, ხანაც ლურჯაზე. ხან თეთრი ჩოხა ეცვა, ხან შვინდისფერი და ხანაც ყომრალი. მიხაროდა, მიხაროდა, ეს რა მდიდარი დანიშნული მყავს, რა ცხენები ჰყოლია, რა ჩოხა-ახალუხები ჰქონია-მეთქი! მე რომ მივეფერებოდი, ისა, საცოდავი, სულ მორცხვად ღუნავდა თავსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ყვეგოდა რ... ქალეგში

— დათო რომ პატარა მყავდა, ისევ ჩემს სოფელში ვიყავით. თან მასწავლებლად ვმუშაობდი, თან რამდენი საქმეა ოჯახში! ამოვაყენებდი აკვნიდან და ჩავსვამდი ლახანაკაში. იჯდა, იქ, დედა ენაკვალოს, და უყურებდა ბუზებს. სათამაშოები არა ჰქონდა. გადავუდებდი ლახანკაზე ფიცარს, დავუმერი ერთ ბუზს, მივუბამდი ფიცარზე და ერთობოდა მთელ დღეს იმ ბუზით. პირველი სიტყვაც „ბუზი“ თქვა. გაიშვერდა პატარა თითს და დაიძახებდა — ბუზი, ბუზი!

გლეხკაცის ცოლი

— ჭალიდან ებრუნდებოდი. შებინდებული იყო. სარწყავ არხს მივუყვებოდი ნაპირ-ნაპირ. რაღაც ჩყაპუნი შემომესმა. გავიხედე და დავინახე: არხზე გადმოხრილ ფშატების ქვეშ, მთლად ჩაბნელებულ ადგილას, ამოიწია წყლიდან შიშველმა თეთრმა, ძალიან თეთრმა ქალმა, მიისვამოისვა ხელები ძუძუებზე და ისევ ჩაეშვა შიგ, წალიველივდა. სხვა გზა არ მქონდა და ჩავახველე. ქალი შეკრთა, ჩაიწია ღრმად, უკან-უკან მიიყუნჭა ფშატების ძირში, მარტოთავიღა უჩანდა წყლიდან: დამიძახა: — გაიარე! მე ხმით ვიცანი, ვინც იყო. გავიარე, წავედი, ვერა და ვერ დამეჯერებინა იმ ხმის პატრონი ასეთი თეთრი თუ იქნებოდა, ასეთი თეთრი და ჩამოსხმული. გლეხკაცის ცოლი იყო, პატარა, გამხდარი, უსახურ ტანსაცმელსა და მოსახვევში ჩაკარგული, სულ თავდაღუნული მშრომელი. ამ დღის შემდეგ, როცა მხვდებოდა, აშკარად იმორცხვებდა, პირი გვერდზე მიჰქონდა, ბაგრამ თან ისიც მეჩვენებოდა, რომ რაღაც სიამაყითაც სწვევდა მაღლა თავს.

რევაზ ინანიშვილი
სამაგიდო რვეულიდან

დედაბერი

— მარტო ჩემი მზითვის თეთრეული რომ დაწყვეს, ამათი სტოლი, ამ საცოდავებისა, წაიქცა,

ჰ—თ ვასილას ნაამბობი

მწვანე ჯეილობაში ძაან ფინთი ვიყავი, მოჩხუბარი, გოგოების დამწიოკებელი. ჩემი ჩხუბი კისრული იყო, მიეწვდებოდი, წამოვიღებდი კისრულლზე, ვინც არ უნდა ყოფილიყო, და მერე თუნდა გავქცეულიყავი, აღარ მენაღვლებოდა. გადაეკიდა ვანო მოვდელი მამაჩემს, — მოვიდეს, აღსარება თქვასო. წამომიარა მამაჩემმა იფნის სახრით და ეგრე მიმაგდო ეკლესიაში. დამინახა ვანო მოვდელმა, ესიამოვნა, მომეფერა, — მოდი, შვილო, შენ უკვე დიდი ხარ, ეგრე გარე-გარე სიარული აღარ შეგშვენის, ადამიანები ცოდვილები ვართ. თუ მოინანიე ყველაფერი შეგენდობა, მითხარი, მოსანანიებელი რა გაქვსო. ფიქრიე უკან, ვდგავარ გაქირზე, სიტყვას არ ვამბობ. ისევ დამიყვავა მოვდელმა, თან ისიც მაგრძნობინა რბილად, მე სხვა საქმეებიც მაქვს, შვილო, და მაშინ ავდექი და ვუთხარი: — შენ გოგოსა ვყვარობ, მამაო-მეთქი. — შესცოდეთო? — ბოლომდე არა, მაგრამ ვჯმუჯნობთ ხოლმე-მეთქი. წამოდგა ვანო მოვდელი, დიდი იყო, ღონიერი, დამაწყო მხრებზე ხელები თითქოს მოფერებით, მომეფერა უცბად, მიმაბრუნა კარისკენ, — მე ძალუაშენსა ვყვარობ, ჩემი გოგო არ გეკუთვნისო, — და ისეთი ჭიტლაყი მიჭირა, გარეთ, ეზოში ამათხრევინა მიწა ცხვირით.

ესაც ჰ—თ ვასილას ნაამბობი

გაზაფხულია, ეინეღლიანი დღეჯეილები ვართ, სახარაზოსთან ვდგავართ. მე ვარ, ბალნიანია, მანეთიანი კოლა არი, კიდევა — ღაღოძეა და ღვინის დალეგა გვინდა. ... ...

მექანიზატორები

— კაცო, რეზო, რატო არა გვკადრულობ, რატო არ ამოსდიხართ ჩვენთან, გავიდეთ ერთი სადმე და, ბევრით თუ ეერაფერით გეცემთ პატივს, ტელეგრეიკის არაყი ხომ გვექნება!

— რა ტელეგრეიკისა, ხალხო!

— რა და, ჩვენა, მექანიზატორებს, ტრაქტორისტებსა და ემაგისთანა ანგელოზებს, სასმელი რომ შემოგვაკლდება, ჩავაგდებთ სალიარკით ვაპოხილ ტელეგრეიკას ქვაბში და იმის არაყსა ვხდით. ჯაჭვი იცის, როგორც მარგალიტის მძივი. არა გჯერა?

— თქვენსას რას არ დავიჯერებ, კაცო!

— ჰო და ამოდი, ძმაკაცებიც წამოიყვანე, რამდენიც გინდა, ჩვენ სულ იქა ვსხდავართ ადგილის ტურებივით ყურებდაცქვეტილები.

დ... ს ნაამბობი

— გოლშვეიკები რომ მოდიოდნენ, რომელიც კი ცოტა შეძლებული ოჯახი იყო, ტყეში გაიხიზნა. ვინც დარჩა, ისიც დიდ-პატარიანად შინ იყო შებუდული. ახალგარზდა ბოგოებს ბებრულად ჩააცვეს და დამურეს, ცუდი არავინ არაფერი აუტეხოსო. მარტო მთლად ღარიბები. არაფრის მქონენი დადიოდნენ თამამად. შესულიყო თაფლო, შლაგუნა მეღორის ცოლი, მეგარმონეს სახლში, გამოეტანა გარმონი, დაატლაპუნებდა შიშველი ფეხებით იმ თებერვლის ტალახში, აჭყეტინებდა გარმონს და თანაც ვითომ რუსულად ბუქნაობდა:

— დავაი, დავაი, დავაი!

ცუდი ცხოვრება

— ეე, თქვენ ცუდი ცხოვრებისა რა იცით! მე რომ ბაყაის ვედექი მოჯამაგრად. თორმეტი წლისა ვიყავი. მაგ ბაყიანთან. — ხო იყო დაკრუნჩხული მაგისი მამა, ბაყია უარეს დღეში უწდა ჩავარდეს, — დიდძალი საქონელი ვყავდათ, ზაფხულობით იალნაზე ვიყავ-კეკოდით და ეგა, ბაყია, რომ გაიღვიძებდა, მეტყოდა, — გაიქე, ბალღო. აგე იმ ბუჩქიდან მწყრები ამორეკეო. წავიდოდი მე და იმ ბუჩქს ერთი ხუთჯერ შემოურბენდი, მაღალ ბალახს, — ხო იცით, როგორი მაღალი ბალახიც იცის დიდ ველებში, — ნამს გავაყრევინებდი და მერე წავიდოდა ბაყია და ჩაკუნტდებოდა იმ ბუჩქის უკან თავისი პატრონისათვის. მე კიდევ სელი ვიყაავი მუხლზემოთამდის, მაბაბანებდა სიცივით და შიშით ვუყურებდი იქიდან სიამოვნების ღიმილით მომავალ ბაყიას.

აპარეკა

— მე ხევსურ აპარეკას ვედექი. იმ აპარეკამ ძაან მაგარი ლაპარაკი იცოდა. ჩაიდებდა ერთ გუნჯალა წეკოს და ღეჭავდა, კი ლუკმა რომ ვედოს, ეგრე ჭმონდა ყბა გამობერილი, მიაბრუნებდა თავს, გაიწატებდა ეიქ, აი, მობრუნდებოდა და ისეთსას გეტყოდა, მეტი რომ აღარ შეიძლებოდა.

ერთხელ მითხრა, სიცივეში, თოვლში, — თოვლს კაცი არ დაუდვნია. კაცი კი თოვლს სუყოველთვის ადნობსო. მომუჭა თოვლი, მოუჭირა ხელი, გაადნო და მერე სიცილით გამომიშვირა, — სადღაა თოვლი, გაქრა, ემაგან როგორ უნდა შეგაშინოსო! მივბრუნდი და წავედი თივების ჩამოსათრევად.

მეოჯახე

— კახელი ვირი, ჩემი ქმარი, რომ შემოვიდოდა შინ, მიიხედ-მოიხედავდა, მივიდოდა სერვანტთან ან დივანთან, აკოცებდა, მოფერებით დაუსვამდა ხელს და მერე იმ ხელს ჩემზე შეიწმენდდა, ქალო, ჩემს კაბაზე...

რევაზ ინანიშვილი
სამაგიდო რვეულიდან

იაგორა

იუმ ერთი ბებერი იაგორა კიროვის ბაღში — დაპატარავებული, დალუული თბილისელი. იმ იაგორამ თქვა:

— სანდრო კანდელაკი და შაშო ვერელი ჩამოდიოდნენ ხოლმე ჩემთან, ჩემ დუქანში, და შაურიანი თხლაშოის დალევა ერიდებოდათ, სამკაპიკიანსა სვამდნენ. ეხლა ფეხებდაბრეცილი გალოსტიკა შევა ზაკუსოჩნაიაში და დვესტი დამისხიო, ას გრამს არა კადრულობს. რაღა ჭკუა უნდა ჰქონდეს ჩვენ ხალხს, ან ჭკუა, ან თავდაჭერა. გინახავთლა კაცურად გავლილი კაცი? სუ ყანყალ-ყანყალითი დადიან. აფსუს, წინათ რომ შეგხვდებოდა და თავს მოგიხრიდა ნაცნობი!

მიიდო მკერდზე ხელი, მოკრძალებით, ცერემონიალურად დახარა თავი და მერე წავიდა, ვითომდა წელგამართული.

მშვიდები

თელავის აეროდრომზე ესხედვართ და კაკაკსიონს გავყურებთ — ველოდებით, როდის გადაიყრის ღრუბლებს, რომ თუშეთში გავფრინდეთ. ჩვენთანვე არიან აეროდრომის მუშაკები — კახელი მშვიდი კლეხკაცები. მე ვეკითხები:

— მაინც რამდენ ხანს იცის ხოლმე გაგრძელება ესე?

— რამა?

— ღრუბლიანობამ. ფრენა რომ არ ცრის.

— ხან ორიოდე დღე, ხან ცოტა მეტი.

— მაინც, მაინც?

— ამ სამი წლის წინათ, ბალი ყვავოდა, თუშები რომ მოვიდნენ და დასხდნენ. დამწიფდა ის ბალი, ჭამეს თუშებმა და მერე გაფრინდნენ.

მაწონი

ერთი მძღოლი ყვებოდა: ერთი დედაკაცი წამოვიყვანე ბადიაურიდან პატარძეულში, რომ ჩავიდა, მითხრა, ფული არა მაქვს, შვილო, ერთი ბოთლი, მაწონს გამოგიხმენინებ — ... ბენინა. მოვიწაფე და იქვე დავლიე — ცივი, ცივი, კარგი. ისიც კმაყოფილი დარჩა, მეცა. ისიც იცინოდა, მეცა.

ფულიანი

...ბუჭნას ამთავრებს, მედოლესთან მიდის, ოცდახუთმანეთიანს შეუცურებს ქუდქვეშ, ძმაკაცებს უბრუნდება და, სანამ დაჯდებოდეს, სახეზე ოფლის წმენდით ამბობს:

— ისეთ კაცს რა ვუთხრა, ერთი თონის გახურება ფული რომ არ ექნება ჩვენ დროში!

შემოქმედის ბედი

ორჯერ ხმამაღლა მიტირია ჩემი შემოქმედების არასწორი შეფასების გამო. პირველად — მამა რომ წაიყვანეს და სახლს გვიჩხრეკდნენ. მაშინ ათი წლისა ვიყავი. ვიღაც მსხვილი, კეფაგაპარსული, ფშვინვით მსუნთქავი კაცი, ჩაჩოქილი ბებიას მზითვის კამოდთან, გაბრაზებული არჩევდა წიგნებს, რაღაც ფურცლებს, ფოტოსურათებს, — იატაკზე ეყარა ის წიგნები, ფოტოსურათები, ფურცლები; ოთახი აევსო იმ კაცისა და კიდევ ორი კაცის საწყობიდან ახალგამოტანილი ჩექმებისა და ქამრების სუნს, — ხელში მოხვდა ჩემი დახატული პენსნეიანი კაცის პორტრეტი, რომელსაც კეფასთან დაფენილი ჰქონდა საკუთარი ჩრდილი, და ეს ჩრდილი გულდაგულ მქონდა დამუშავებული შავი ფანქრით.

— ვისი დახატულია ეს? — მკაცრად იკითხა კამოდთან ჩაჩოქილმა კაცმა.

— ბავშვის. — ძლივს მიუგო გაფითრებულმა დედამ.

— რა არის ამოდენა თმა, ასე ამახინჯებინებთ, არა, ჩვენი წინამძღოლების სურათებს?!

— ეგ თმა არ არის, ეგ ჩრდილია, — მიუგო მე.

— ვიცი, რა ჩრდილიც არის.

— ჩრდილია, დედას გეფიცებით, ვისაც გინდათ, ჰკითხეთ.

მიმოვიხედე. ვისთვის უნდა ეკითხა? სხვა ორი კაციც მძიმედ სუნთქავდა და მკაცრად იყურებოდა. ქვითინი ამიტყდა და გარეთ გავვარდი.

მეორედ ვიტირე უკვე თბილისში, საკუთარ ბუდედანგრეული ფრინველებივით. რომ ვიყავი შეხიზნული სხვის პატარა, კლდის ნამსხვრევებით და თიხით აშენებულ ქოხში. იქაც, ფანჯრის რაფასთან მიმჯდარი, განვაგრძობდი ხატვას.

მოვიდა მეძველმანე კაცი, შემოიტანა მტვრისა და ნესტის სუნი. თან დედაჩემის მიერ შეთავაზებულ ძველ ტანსაცმელს არჩევდა, თან კედელზე ჩიკარტით მიკრულ ჩემს დახატულ სამხედრო კაცის პორტრეტს უყურებდა. იმ სამხედროს საყელოს აქეთ-იქიდან დიდი ვარსკვლავები ჰქონდა.

— ვისი დახატულია ეგა? — თითის მიშვერით იკითხა მეძველმანემ.

— ბაბუშემა დახატა, აი, ამან. — — სიამაყით თქვა დედამ.

— ემგზავსთვის ყველას დაგიჭერენ თქვენა.

— რისთვის? — შიშმა აიტანა დედა.

— შავი ვარსკვლავებისთვის, შავი პეტლიცებისთვის და შავი ვარსკვლავებისთვის.

— ეგ ხომ ფანქარია! — წამოვიძახე მე.

— წითელი ფანქარი არ არის? ციც! — დამიქნია მეძველმანემ თითი.

თითქოს ის უფრო იყო შეშინებული, ვიდრე დედა, თავი მიანება ჩვენს ძველმანებს და ფაცხაფუცხით წავიდა.

დედამ პორტრეტი კედლიდან ჩამოგლიჯა და წვრილ-წვრილად, მთლად წვრილ-წვრილად დახია.

მე ტირილი დავიწყე.

პირველი ტირილი ჩაგუდული იყო, თავშეკავებული, ეს მეორ — თავისუფალი, გაგრძელებული.

გულში ტირილს, რა თქმა უნდა, არ ვთვლი, იმის დათვლა, ალბათ, თუნდაც დაითვალო, არავინ [illegible] ასეთი თვლა.

ვაშლი

ერთი ყინულა ვაშლი გვედგა ზეითვენახის გვერდაში, დიდი იყო, ძალიან ჯანსაღი, მაგრამ არ ისხამდა. ბებიაჩემი მეუბნებოდა ხოლმე, — კაცი ხარ, ახალწელიწადს უმძრახი უნდა გახვიდე, ცული მოუღერო, მოჭრით დაეშეკრო და დაისხამსო. მე, რა თქმა უნდა, სიცილად არ მყოფნიდა ეს ამბავი და არც ვასრულებდი. ბოლოს ერთხელ, ერთ ახალწელიწად დღეს, ავიღე დილადრიანად ცული, ჩავედი იმ ვაშლთან, მოვუღერე და სამჯერ ვეუბარი:

— დაისხი, თორემ მოგჭრი-მეთქი.

იმ წელიწადს დაისხა, სულ ტოტები ემტვრეოდა. მერეც ისხამდა, ცულის მოღერება აღარ სჭირდებოდა. დღესაც მეცინება ამ ამბავზე.

ძველებური ნადიროგა

პირველი კარგი თოვლი მოვიდა. მამაჩემი ფანჯარასთან იდგა, ცხელ ჩაის სვამდა (ვგონებ ყელი სტკიოდა) და გარეთ იყურებოდა, შემოაღო კარი ომორ ილუამ, განთქმულმა მონადირემ, — შინა ხარ, კოტეო? მერე ბებიაჩემს მიუბრუნდა, ხახვი და ქონი მოამზადე, ალო, ეხლავე კურდღელს მოვიტანო. გავიდა. ხუთმეტი წუთიც არ გასულა, თოფი გავარდა, კიდევ ორიოდე, წუთიც და ისევ შემოაღო ჩვენი კარი ილუამ — ვეება მოწაბლისფერო კურდღელი ეჭირა ყურებით მაღლა აწეული. ყველა გაბრწყინდა, — სად იყოო. თქვენი ვენახის ბოლოში, მე მელოდებოდაო. კურდღელი ბებიაჩემს გადასცა, თოფი

რევაზ ინანიშვილი
სამაგიდო რვეულიდან

კუთხეში მიაყუდა, გამარჯვებული დაჯდა სკამზე და ღუმელს მიეფიცხა.

ქუთათურები

ᲕᲘᲣᲯᲐᲕᲘ ქუთაისში. იყო 1957 წელი. ჩემი მასპინძელი და მე გავედით ბაზართან, წყალტუბოში უნდა წავსულიყავით. ჩამოიარა ერთმა „პოპედამ". ჩემმა მასპინძელმა ხელი აუწია. „პობედა" გაჩერდა. ასეა და ასეა საქმე, წყალტუბოში გვინდა წასვლაო. ოცი თუმანი დაგიჯდებაო, გეხაცვალეთო. მაშინ იაფობა იყო. ათ თუმანზე მეტის თხოვნას არ მოველოდი. ჩემმა მასპინძელმა რაღაც ჩათქმულად გამიღიმა. მანქანის კარი გამოაღო, მიმიპატიჟა. ჩავსხედით, წავედით.

წითელ ხიდს რომ გავცდით, იქითა ყურეში გავჩერდით. მძღოლი გადავიდა, — თქვენც კადმობრძანდით, აქ კარგი მწვადი იცის და თითო მწვადი შეგჭამოთ ზეზეურადო. გადავედით. შევედით სამწვადეში. საამო სუნი იდგა, ხალხით იყო სავსე. — თქვენ აქ გაჩერდითო, — მძღოლმა. მე უბრრხულობა ვიგრძენი. ჩემმა მასპინძელმა დამაწყნარა, — დაგვასწროო. წუთში, მოიტანა სამი კარგი მწვადი და სამი ბოთლი ღვინო მძღოლმა. დავლიეთ — ჩვენი შეხვედრისა, გაცნობისა, ოჯახებისა, დედამამის შვილებისა. მძღოლმაც დალია. გამოვედით. ჩავსხედით „პობედაში", წავედით.

წყალტუბოში ბაზართან მიგვიყვანა. ნოემბერი იყო, უმშვენიერესი საბაზრო დღე. აქო კარგი მაჯარი ექნებათო. იქეე, დახლზე ჩამოდგეს, მძღოლმა ჩამოდგა, სამ ლიტრიანით მაჭარი, ჭყინტი ყველი, პური, ნიგოზი და მჟავე. დავლიეთ. მთლად დავუშაქრდით ერთმანეთს. ის სამლიტრიანი რომ დაიცალა, მძღოლმა ბოდიში მოიხადა, გასვლებაზე ვარ წასასვლელი, მეტი გზა არაა, უნდა დაგტოვოთ, ანგარიში გავასწოროთო. ამოიღო ჩემმა მასპინძელმა და ორი ათთუმნიანი მისცა. — შენ სხვანაირად კაპიკს ვერ დაგასარჯინებს კაცო. — მძღოლმა ჩაიცინა თოლი ჯიბეში, მოუჯდა ბორბალს, ... კარი გამომიგზავნა, ჩემს მასპინძელს — მუშტით მუქარა. სულ ოდნავ ჩაღიმა და „პობედა" ადგილიდან მოწყვიტა, ზივილ-ზივილით მოაფარა კუთხეს.

დოქი

ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ სახელგანთქმული შროშული დოქი წამოვიღე, — დიდი, ოცლიტრიანი. ჩავედი ავტობუსით ჩვენთან. ჩვენებურები სახარაზოს კედელთან დგანან ჩამწკრივებულები.

— რა არის, კაცო, რეზო, ეგა!

— იმერული დოქია! — სიამაყით ავწიე მაღლა.

გამომართვეს, აწონ-დაწონეს, შემოუტყაპუნეს ხელი, ჩახედეს, მზესაც მიუშვირეს ძირი.

— გაუა! — თქვა ერთმა.

— გაუა! — დაუდასტურა მეორემ.

— რაკი თქვენ ოტყვით, — მეწყინა მე, — შროშულია, ის კი არ არის.

— გაუა კია და...

— გაუა ნაღდად, — დაუდასტურეს სხვებმაც.

მივედ წყაროსთან, შევუდგი დოქი, გავავსე, ამოვწიე და გასდის ფშხრიალით.

იცინოდნენ ჩვენებურები. ერთმანეთს ეუდებოდნენ სიცილით.

— მა იმერლები კარგს გამაატანდნენ რამეს?!

— აბა, კაცო!

უფრო ტკბილად ჩაკუჭკუჭდნენ, უფრო დიდი ნეტარების ნათელმა გადაუარათ სახეზე.

ᲧᲘᲜᲕᲐ

ᲘᲪᲘ, როგორ გაყინული თოვლი? წინა კვირას, ანტონე რომ მოკვდა და ამის შეშაზე წავედით, ჩემი ძაღლიც წამომყვა. ჩვენ რომ შეშას ვუდებ-

დით, იმან ერთი დიდი კურდღელი წამოაგდო. კურდღელი მირბის, თოვლი არ უტყდება, ჩემ ძაღლს კიდევ, რამდენიც გადახტება. ფხაწ — ჩაემტვრევა და ჩავარდება. რომ დაბრუნდა ბოლოს, ფეხები სულ დასისხლიანებული ჰქონდა, ისე დასჭრიდა, თითქოს შუშის ნამტვრევებში ურბენიაო.

ტ—თ ფირუზას ნაამბობი

ჩვენი სანდრუა რო უნდა დაგვინაშნა ახალსოფელში, არავინ გვენდო, წყალი ჩექმა არავინ გვათხოვა და ერთი სხვისგან ვითხოვეთ, მერე სხვისგან. ერთი შავი, მეორე—წითელი.—ნუ გეშინიანთ, შვილოო, — დეიდაჩემმა, გამოიღო დიდი სპილენძის ქვაბი და იმის მურით ის წითელი ჩექმაც გაიშავა, — გაირეცხება და ვითომც არაფერიო.

ჩავაცვით ის ჩექმები სანდრუას, ჩოხაც ნათხოვარი აცვია, ცხენიც ნათხოვარი ვგეყავს და წავედით ეგრე, — მე, ბიძაჩემი. ჩემი ჯუტალა ძალუა და... თვითონ სანდრუა, კაცო! გადავედით ამ წალმიანზე და დაბინდდა კიდეც. ახალსოფელში ლამფები ანთებულია. შეგვიყვანეს სამოყვროებმა. შევდიეთ შინა: სუ წინ ბიძაჩემი მიდის, მერე — სანდრუა, მერე ძალუა, სუ ბოლოს მე და რასა ვხედავ, კაცო! სანდრუას ერთი შავი ჩექმა აცვია, მეორე — წითელი. იმ შებინდებულზე ვერ დაგვინახნია. — გაუგდია ცვარი მიწას და, რო ამოვდიოდით ფეხით წალმიანზე, ცხენებს ვურთხილდებოდით, ის წითელი ჩექმა მთლიანად გარეცხილა. ვეცი მე სანდრუას, — აი, რა გიყო შენმა სიმთვარალემ, ერთი სხვა ჩექმა ჩავაცვია, მეორე — სხვა-მეთქი. წადი, გაბრუნდი ეხლავე და გამოიცალე, თორემ, არ ვიცი. რას ვიზამ-მეთქი. მოუვიდათ ელეთმელეთი ბიძაჩემსა და ძალუას. სანდრუა ხომ, დაწვრილდა, გასაცოდავდა, რამის არი, გაქრეს. შემოგვიხვიენენ სამოყვროები, — არაო, რას ამბობთ, ხალხო. რა აღარა ხდება ქვეყანაზეო, ეხლა რაღა დრეოს გაბრუნებაოო, თქვენ ჩემ ... ჩვენი თავი, მაგრ რა მნიშვნელობა აქვს, კაცს ფეხთ რა ეცმევაო, და ადარ გამოგვიშვეს. დავნიშნეთ იმ ღამეს ნინა. კიდევ კარგი, კაცო! რა სანაშენე გამოგვადგა, ხომ იცით, დააყარა კახელ მედოლესავითა, სუ ბიჭები, ექვსი. ომმა მოუსწრო, თორემ ათამდე მაინც ავიდოდა.

ცოდვა

ჩემი მეუღლის მამიდა, შინდელაანთ მარიამი, დაბადებული 1877 წელს, მომიყვა.

მოუყვანია ერთ უჯარმელს (მარიამი ჯერ ისევ პატარა ყოფილა) ქალაქელი ქალი. იმაზე ლამაზი არც ადრე მინახავს ვინმე და არც მერეო. ის რომ მოდიოდა, თითქოს სულ სიკეთისა და სინათლის ზანზალაკებს მოაწკრიალებდაო. იყვნენ თავისთვის კოტტადო, ცოლიც და ქმარიც. მაგრამ მალე მამასახლისი შეუჩნდაო, ხმაც გამოვიდაო, ქალაქელი ქალი მამასახლისსა ჰყვარობსო. მამასახლისსაც თავი ისე სჭერია, ყველაფერი განაღდებული მაქვსო. სიმთვრალეში ეთქვა, — რამ გამაჯელი და ქალაქელ ქალთან წოლამი. გამოუყვანიათ ქმარსა და ქმრის ნათესავებს ქალი, უკუღმა შეუსვამთ ვირზე, ჩამოუტარებიათ სოფელ-სოფელ, გაუყვანიათ სოფლის გარეთ და იქ ჩაუქვავებიათ. მიწას რომ აყრიდნენ ჯერ ისევ სული ედგაო, — ამბობდა მარიამი, — საფლავიდანაც სუ კვნესა ამოდიოდაო.

მამასახლისს სიბერეში გასჭირვებია, მატლი დაჰხვევია და ძაღლივით ყმუოდა თურმე. მაშინ უთქვამს, — იმ ქალთან ვერაფერს გავხდი და ტყეილი მოვუგონეო. აი, ის უნდა ჩაექვავებინათ, ჩაექვავებინათ კი არა, ცხენის კუდზე უნდა გამოებათ, ის სულძაღ-

---

ეკატერინა ინანიშვილი
სამაგიდო ჩვეულებანი

ლებული, აძაღლდა კიდეც. მაგრამ უკვე ახალი დრო იყო და ხალხს ძველი ძალა წართმეული ჰქონდაო, — მარიამმა.

ᲫᲣᲩᲐ

— შენ ჩემი წვრილი მკლავები ნუ გაფიქრებს, ნურც წვრილი მკლავები, ნურც წვრილი წელი. მთავარი ენერგიაა, გამოხატული სისწრაფეში. პატარა ავტომობილს ასი ცხენის ძალა აქვს, მეტიც, სისწრაფის ხარჯზე. შეხედე! — გოგონამ სამი ოცკაპიკიანი გაიმწკრივა მარჯვენა ხელისზურგზე და მაჯაზე. აიქნია ხელი, აყარა მაღლა ფულები და სათითაოდ დაიჭირა ჰაერში, ხელამოუბრუნებლად, — ერთი! ორი! სამი! მერე ფულები ბიჭს გაუწოდა, — აბა, შენ! ბიჭმა ფულები ჯიბეში ჩაიყარა,—გამომდგება, ერთი „კოსმოსიაო“. გოგო ორი ნაბიჯით ჩამორჩა, გამწყრალი უყურებდა. — სახზდარო! მერე კვლავ გვერდით გაჰყვა ღიმილით.

ᲡᲐᲒᲔᲓᲐᲡ ᲜᲐᲢᲘᲠᲐᲚᲘ ᲤᲔᲤᲔᲚᲐᲮᲖᲔ

— ᲒᲐᲕᲘᲓᲝᲛᲓᲘᲗ და დავსხდებოდით ღობის ძირას, თუთასთან. ეს საწყალიც მარტო, მეც მარტო. ჩემებიც ხომ აღარ მოდიან ქალაქიდან, ამისებიც. ბიჭი თუ შემოუვლიდა ათასში ერთხელ. ვისხედით გზის ჭოტებივითა და ვლაპარაკობდით. ხანდახან ცეტებივით ავუწევდით ხმასა, — ვენაცვალე! ვენაცვალ! შვილიშილებს ვეფერებოდით. გადავიდოდა გვიანი ვახშმობა, შეგვცივდებოდა, აგვიტანდა კანკალი და მაშინ ავდგებოდით და შევეხვეწებოდით ერთმანეთს, — ჩემთან წამოდი, გოგო, ჩემთან დაიძინე-მეთქი, — მე ვეხვეწებოდი. ეს საცოდავი კიდევ თავისთან მეპატიჟებოდა, ჩემთან დარჩიო. ვერ დავრჩები, გოგო ცოტა ვერა ვარ გუნებაზე და რაღა სხვის სახლში მოვკვდე-მეთქი. მე უფრო ცუდადა ვარ, მეც მაგისი მეშინია, სხვის ჭერქვეშ არ ამომივიდეს [illegible] მე დავითანხმებდი, ვერ [illegible] მებდა და წავიდ-წამოვიდოდით ჩვენ-ჩვენ სახლებში. ავანთებდით სინათლეს, ვისხედით ბაზმებივით და ვყარაულობდით ჩვენ ჭერებსა და სულებს. ამას აუსრულდა ნატვრა, თავის ჭერქვეშ ამოუვიდა სული, თანაც რა უცბად. მე რა მიწერია, რა ვიცი!

ცოტაზე გადახადა სუდარა ფეფელოს და თითქოს ყურში ჩასძახა:

— ბედნიერო! ბედნიერო! ნეტა მეც შენსავით მომკლა, გოგო! რა კოხტა სწევხარ, რა ნათელი! რა კოხტად მოგავარე ყველაფერი.

ᲙᲐᲮᲣᲠᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲐᲛᲔᲣ

ᲐᲮᲚᲐ კი ნამდვილი კახურით გაგიმასპინძლდებით, საშუაღამეო კახურით, როცა უკვე აშლილნი არიან ქალბალღნი, დარჩენილთ ჩამოწყვეტილი აქვთ საკინძის ღილები და აღარავინ ინდობს აღარავის. ცოტა მწკლარტეა ეს კახური, ძნელი დასალევი, — ჩვენ ბოდიში, ბატონო, ჩვენ დიდი ბოდიში, —სახეზე არ შემოგვეხედება სმის დროს, მაგრამ თრობა კარგი აქვს, ტკბილად გიქმაყენი და თუ გნებავთ, რომ დაწვრილებით გაგვიცნოთ, ბოლომდე უნდა მოგვყვეთ. თქვენც მოხალვათდით, თქვენც გაიხსენით საყელო. ცოტა მეტად გავატოკოთ ენაც, თორემ დაგვიკანგდა პირში. დღეგრძელი იყოს ჩვენი ქართული! ამ ქართულისთვის ახლა, თუკი გარჯილობა შეიძლება დაერქვას ჩვენს საქციელს — ხან ვითმ რომ ვბრძნობთ, ხან ვითომ რომ ვსულელობთ, და სხვების დასანახავად მაინც გემრიელად მივღეკავთ ამ წუთისოფლის უგემურ ლუკმას.

ᲮᲗᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲐᲡ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ

— მე მეწისქვილე ვარ, ღამხმარედ ერთი ჭინტანელი ბიჭი მყავს, საწყალი, საწყალი, რომ ბუზს ერიდება ზედ და-

ჯდომა. ჭინტაანი სად არი? სადაც არი, იქა. სამი თვალი გვიბრუნავს, ჯერ ომი არ დაწყებულა. მაისია. ფშატის ყვავილობა. იცით თქვენში ფშატის ყვავილობა. იმერელო? არ იციან. ეს ის არის, რომ, სხვა დროს რომ გოგო ძალიან იკატუნებს თავს, მოვა მაისი, აყვავდებიან ფშატები, დადგება იმათი ყვავილის დამბნედავი სუნი და ის გოგო თვითონ ჩამოგეკიდება კისერზე. ხომ კარგია? დარგეთ თქვენც ფშატები. იმერელო!

მაისია. მაგრამ საფქვავი ბლომადა გვაქვს. ზოგი კოლექტივისაა, სამთოდ. წყვიმესებისათვის. ზოგსაც გამართული გლეხობა ფქვავს. მკისთვის, დიდი თოხნებისთვის. ღამეებია. ახალი ხავერდიკით. ეს ფშატების სუნი ხომ დგას, ლონივრად მოფშვნიავს წყალი, ერთ ამბავში არიან ბულბულები და სუ რაღაცას კრუტუნებს სისხლი, რაღაცა სიტკბო მიაქვს და მოაქვს. გავსხდებით მე და ის ჭინტაანელი ბიჭი დერეფანში, ვუყურებთ მთვარესა და ვარსკვლავებს, ხეებს შავ კენწეროებს ცაზე და ვართ.

ჩამოდის ერთ საღამოს ჩვენთან, ჩემ ძველ სახლში, ერთი მთისსოფლელი ქალი, ცოტა ისეთი, თავის გუნებით მაკხოვრებელი. ქმრის მომნელებელი, ყველასთან შეალერსებული, შეცელქებული. ჩემი და ჩემი გნოლას ნადობი ვით. ჩამოაქვს ორი კაი ნაკრაულა საფქვავი. ყოჩაღად ჩამოხტება ცხენიდან, — ხო კარგათა მყავხართო, ჭირი მოგჭამეთო, თქვენ დამტირეთო. გაჩაღდა — დრასტი და პროშტნი. წვრილი ქალია. ხმელი, მაგრამ ხმელმა წვრილმა რკინალამ იცის ყველაზე მაგარი ცეცხლი! უცაბად კავკეილდით ჩემი ცოლიცა, მეცა. ისიცა. იმან თაფლ ჭოგაართვა ქალით. ჩვენ ქათამი დავუკალით. ქვევრსაც მოვუხადეთ, გავშალეთ ტკბილი, შემკობილი სუფრა. ვეფერეთ, გვეფერა. დავალევინეთ, დალია. შავუცაცუნე საეშმაკოდ თვალი. იმახ უფრო ყოჩაღად — მიკუქუნა, მიფოფინა. წელგამართული ზის და მიღიმის, მელაციცება იმ თვალებით. მერე მე ჩემ საქმეზე წავედ-[illegible] ში, წავიყვანე იმისი ცხენი. [illegible] ფქვავი. — შენ კეგმრელად მოისვენე, გათენდება და დაფქვლის მოგართმევ-მეთვი, წმინდად, წმინდად. გავიყვანე ჩემი გნოლა გვერდზე, ჭკვიანურად ვეუბნები: ამ ჩვენს სტეფარს გარეთ გაუშალე, ბალკონში, მთის ქალია, არ დაგვისიცხოს-მეთქი. — შენი თქმა მინდაო?! — გნოლამ. ავუკარი ცხენს აღვირი, წავედი — ლადი, კაძლიერებული, ისეთი მომაქვს მუხლები, როგორც ოცდაათი წლის წინათ.

ჩავედი ღიღინ-ღიღინით წისქვილში. წისქვილშიც დავუმატე, წინწკალასა ჭკონდა ჩამოტანილი, საწყობში მეშაობდა ძაშინ, სამი ჩარექა, სამი ჩარექა და თანაც კარგი მწნილი. რის ძალი. რა წითელმა! გავალ გარეთ, შეეხედავ ცას. ეუკეკეკენენ ვარსკვლავები, გალობენ. ერთ ამბავში არიან ბულბულები, ისინი უფრო მიმღერეენ სისხლა. გავიდა შუალამე. — წავალ, ჩემი სტეფარის ცხენს მივხედავ-მეთქი, — ვეუბნები საცოდავ ჭინტაანელს. ვენახის თავში მება. წამოვედი, ამოვედი შინ. ქურდივით შევიპარე ეზოში. მუხლები ვეღარ მიქერს. გადავიხედე ბალკონში — იქა სძინავს იმ ქალს. — ღმერთო! — გადავიწერე პირკვარი. ეგეთი ბაკიბუგი გაუდის ტულსა, მეშინიან. იმის ხმამ არ გამოაღვიძოს გნოლა შიგნით. შევაღე უხმოდ ბალკონის კარი, ვდგევარ. არ გინდა გაბედვა? გავბედე და დავადე თავზე ხელი, მოვეფერე. მერე ჩავუცურე საბნის ქვეშაც. ამაკ! ჩუჩუნს არ შერება. მარტო მკლავები აიფარა სახეზე სიმორცხვით, ჩაჭრა, ჩაიკარგა ლოგინში ერთი სიტყვით — მოხდა სათქმელიც და არსათქმელიც. გადავუხადე დიდი მადლობა, მეევე გავუსწორე საბანი და წამოვედი. მოვდივარა სუფ ყაჭის აბრეშუმივითა ეარ მორბილებული ფეხიდან თავამდის.

რევაზ ინანიშვილი
სამაგიდო რვეულიდან

ის ჭინტაანელი საწყალი გარეთა ზის. ცხრამეტი წლისაა, შემოდგომაზე ჯარში უნდა წაიყვანონ. ჩამოჰკიდებია თავი გულზე და ეგრე ყვინთავს. შემეცოდა. მოდი, მადლს მოვისხამ, ამისთვის ხომ სამოთხეში მოხვედრა იქნებამეთქი ესა. ჩავუჯექი, ჩაეინურჩიული, — ესეა და ესე, ხმას არ ამოიღებს, წადი გაიხარე! წავიდა. გიჟივით ყურებოდა უკან. წავიდა და კარკადაც შეაგვიანდა. რომ ჩამოვიდა, ფეხებარეული იყო. ბაკოცა. მიეგდო საცალოებზე და ეგრევე ამოსძვრა სული.

მზე რომ უნდა ამოსულიყო, მაშინ გავაღვიძე. ავკიდე სტუმრის ცხენს დაფქვილი ნაკრაულები. ამოვიდე იღლაში ღორის ბალახი და ავედი შინ სტეფნა-სტეფნით, სახეგანათებული, გაბედნიერებული.

გნოლა ეზოსა ჰგვის. ის ქალი ბალკონზე დგას და თმას ივარცხნის. დამინახა, დაიმორცხეა და შინ შევიდა. გახედა ეზოლამ და მომიბრუნდა მე, ჩუმი ღიმილით, ჩუმ-ჩუმი ალერსიანი საყვედურით:

— მიწადსაყრელო! მიწადსაყრელო!

გამიშეშდა ის ღორის ბალახი ხელებში.

— რა იყო-მეთქი, ქალო!

— ისე თვეში ერთხელ არ გახსენდები და ხომ ამოგარბენინე წუხელ ორჯერ, ხომ ამოგარბენინე წუხელ ორჯერ!

თავი უნდა მომეკლა, მაგრამ მერე გადავიფიქრე. გნოლას გულისთვის თავის მოკვლა არ ღირდა.

ყროლები

— შენ ამ ჩვენს სოფელს ნამეტანი მოწყალე თვალით ნუ უყურებ! ისეთი ყროლები მომრავლდნენ, თათარი მოგნატრება მაგათ მაყურებელს. ლაფანას ხო იცნობ, დოდაშვილს, რომ დადის, ისე დაიბღვიტება, კაცი გეგონება კაცსა. რა ბაკეთა მაგან. იცი? მამა რომ მოუკვდა, — მამას რა უმირდა, იმანაც იცოდა უადგილო ადგილი ... ხების შეკვრა, მაგრამ ... მეზობლისა და ნათესავის მცნობი, — ის რომ მოკვდა, ის საწყალი, მაგ ლაფანამ ქელეხი რომ დადაუხადა, მეორე დღესვე მივიდა კუზიანთან, — ეგ კუზიანიც ხო იცი, მეზარულე, საწყალი, ავადმყოფი, გაუბედურებული, — მივიდა მეორე დღესვე ლაფანა მაგ კუზიანთან და აი, ესე დაადგა, აი, — შენაო, შენი ესე და ისეო, იმ ქელეხში რომ დასჯექი და გადაიწყე ხაშლამის ლურთები, ხომ არა გგონია, ის ხორცი მუქთათ მომცა ვინმემ. ფული რატომ არ დამდეო. შეწუხდა კუზიანი, ტირილი დაიწყო თურმე, წასულა, ფქვილიანისთვის გამოურთმევია თუმანი, მიუტანია და მიუცია ლაფანასთვის. იმასაც დაუკეცია ის თუმნიანი, ჩაუდვია ჯიბეში და წამოსულა. მისულა ახლა სვიმანასთან, ბრეკთან, იმასთანაც ეგრე, — ი სუფრის თავს რომ წამომეჯიმე, ფული არ უნდა დაგედოო?! ბრეკი მაგრა დასდგომია. მეო, წადი და, ვისაც გინდა, ჰკითხეო, ხორცი მე არ მიუმია და თეეზია, უკან ამომდის ეგეთი ყველაფერიო, ლობიო გადაიღე ცოტა, წიწმატი და პურის ფრჩხილი პატარა. ღვინოს კიდევა, შენც იცი, ღვინოს, რა ხანია, პირს არ ვაკარებ. დიდ-დიდი ათი შაურისა შეეჭამე ის ლობიო, წიწმატი და პურიო, კიდევაო, ჰო, ნახეკანი ბოთლი ბორჯომიო, აჰა, მანეთი, მანეთი იყოს, მანეთი დამიდვიაო. ზოგსა ჰგონია, არ აიღო ის მანეთიანი ლაფანამ, ბრეკი უგონებს, მე კი ვიცი, რომ აიღო, კოხტადაც გადაკეცა, გასწორა და ისე ჩაიდო ჯიბეში. ისეთი ძალის ქონით აქვს გასქელებული კისერი ლაფანას, იმისკენ გაწვდილ მანეთიანს ვინმეს ხელში დაუტოვებს?! ვერა გცნობებიათ კარგად.

ატაცებულმა? ეგეც კაცად დადის ქვეყანაზე, საათი მიართვა ძმისწულის ცოლს ... ქორწილში. რა ღირს ეხლა საათი, ისიც რკინისა თხუთმეტი წე-

ლიწადი რომ გავიდა, ის ძმისწული მკვდარი იყო უკვე. კუჭის ოპერაციას გადაჰყვა. ატაცებული რძალს მიუვარდა. ჩემი შვილიშვილი რომ ჯარში მიდიოდა. რატომ არ მოხვედი, ფული რატომ არ დასდე, მაიტათ ჩემი მორთმეული საათი უკანო.

ბოძაძე, მიწის თხუნელა, ბელლის თაგვი, ათი წელიწადი მარტო რუსთაველის ბუფეტში იდგა, დედას არა მარხავდა. ფული მქონდა მიბარებული, დამიმალა, ვეღარა ვპოულობო, გავარდა ტყეში და სამი დღე იქ იყო, სანამ ის ფული დამ არ იპოვნა, ქვრივმა, ცალხელწართმეულმა ქალმა, და ტყეში არ შეატყობინეს, ვიპოვნეთო. ჩამოეთრა ბოძაძე, დაჯდა, ჯერ ფული დათვალა და მერე დადგა ჭირისუფლად.

ბაზარნიკს. ერთი ჯალსტოლა ქუდი რომ ჰხურავს, ცოლი არ უწვება, ოცდახუთმანეთიანი თუ არ ამოუღო თავქვეშ. ბულულაშვილებმა სიძეს შარვალი დაუმალეს, ჩვენი ბუფეტ-მანი რო გმართებს, რატომ

...ეიო. ეს ხო ძალიან არი მოდებული ყველგან, მკვდრის მოპარვა, ჩვენთან სულ ცირკი და წარმოდგენა გაიმართა. ნატეხაანთ ბებერი რომ მოკვდა, საცოდავი ოლა, ჯერ პატარა ძმამ მოჰპარა დიდსა, შესაწევარი მე დამრჩებაო, მერე დიდმა მოჰპარა პატარასა.

მე ცოტას ვამბობ კიდევა, ბადი, გაიკითხ-გამოიკითხე, გამოათქმევინე ხალხს თავისი სათქმელი და იმისთანა რამეებს გეტყვიან, თმები ზღარბივით დაგადგება თავზე. ხომ არა გგონია, უტირთ და იმიტომ იქცევიან ესე! სისხლი წამოვიდა ყროლი, სისხლი და ხასიათი. მარტო ლაფანას სახლი ნახე, ლაფანასიც, ატაცებულიაც, ბაზარნიკისაც, ნატეხაანთიც, ვისიც გინდა, — ნახე და მერე მელაპარაკე ტკბილად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსი—ჭრილობა

გადამფენია სხივთა ტილო და
მოგონებათა ტევრში ვეშვები...
ყოველი ლექსი — თითო ჭრილობა
დრო რომ შიგ მაყრის მარილს
პეშვებით.
მზე წარსულს მძიმე ჩრდილებს
მიათოვს
და ხშირად მწყურვალს მტოვებს
წყაროსთან...
აღარც საჩთელი სადმე კიანთობს,
ჩემთვის გუშინ რომ კელაპტარობდა.
და როცა ნათელს მიქრობს ორპირი,
როცა გამრიყავს ტალღა ტრიალით,
ზედ მკერდზე მაზის ლექსი ორბივით,
გულს მიფლეთავს და ხარობს ტიალი.

შინმოუსვლელის სახლთან

გულს დარდით ნაყავს დროის
როდინი,
აქ არვინ ელის იმედით ხვალეს...
ეზოში ზოგჯერ მუშტისოდენი
დედაბერი თუ გაიხანხალებს.
და წითლად, წითლად ამომწვარ უპით
მიაცივდება ჭიშკარს წაფერდილს,
და საკერებელდადებულ უბეს
ეცემა ცრემლი სულ ერთადერთი.
ფოთლების აბგით ჩაუვლის მერე
ქარი, მაცქერალს გზისკენ ჯიუტად
და მოკანკალე, გამოწვდილ ხელებს
ყვითლად გაცრეცილ ფოთლებს
მიუტანს.

●

მართლა დაიძინე, პაპაჩემო?!
მუხლებმა ამ ლოდთან თუ
გიმტყუნეს...
აღარც თავჩობანი გეხვეწება,
აღარც ბრიგადირი გიბურტყუნებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაპა, სულ ემაგას უჩიოდი —
არვინ მომყვებაო დოლზე ნებით,
ცხვარი ყიზლარისკენ გაემგზავრა,
შენ ძლივს არა გნახე მოსვენებით.
აღარც ნაბდისძველა მოგიხურავს,
აღარც ის ფაფახი გფხატებია...
შენს სულს ვენაცვალე, პაპაჩემო;
ქვაზეც კომბალი რო გხატებია.

●

მე რა...
რა, უნდა შემოგთავაზო,
შენდარ ფირუზებს სადღა ვიშოვნი...
შენ კი იყავი უღვთოდ ლამაზი
და მაშინებდი შენი სიშორით.
როგორ ვფიქრობდი
მკერდდადაღული,
ამიყვავებდი ლოდებს სიცილით...
შენ ჩემი ცრემლის ლურჯი ფარღული
ფრთიდან ნამივით ჩამოიცილე.
ნახვედი მერე ქარის ამალით,
იმ დღეებს სადღა დავედევნები...
მე კი გეძახდი, როგორც ტრამალი,
გადათქერილი შენი მერნებით.
დრო ძველ ჭრილობებს ძაღლივით
ლოკავს,
მაგრამ ვერ შველის ყველა იარებს...
ერთხელ მაკოცე და მერე მომკალ,
მერე თუ გინდა, ნურც მაზიარებ.

●

ვის ბანზეც ია დავთესე,
თქვეს თუ...
ეკალმა უხარა...
საჩემოდ ნათქომ-ნაფიქრი
დრომ სულ სხვათ გადაუყარა.
გულსუწადინოდ გამშორდი,
ცა ცრემლად გაიმდულარა...
შენ მამკალ,
ჯავრი შენი მჭირს,
სხვისად მიმეტებ ნულარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუსტვინე ჩიტო

თეთრი ჩიტი შემჭკნარ იასამნზე
შეფრინდა და
ჩემს სადარდელს უსტვენს...

ქარის ფრთებზე გამიჭერით სამარე,
ია-ია დამაფინეთ გულზე.

დღესაც მე ვარ
თუკი რამეს ვითხოვ,
დღესაც შენ ხარ
თუკი რამეს მპირდები...

დაუსტვინე,
დაუსტვინე, ჩიტო!
ნეტავ უფრო ბევრი იყოთ ჩიტები.

ნესტორ გაბუას სურათთან

ყოველთვის, როცა ღამეა ბნელი,
როდესაც მომსვლელს არავის ველი—

უცებ კედლიდან, ნაწვიმარ ყანად
გაკრთება შენი თვალები სველი...

ო, როგორ ვგავართ,
ო, როგორ გვანან
ერთმანეთს ჩვენი ჯავრი და ცრემლი.

მიხედვა მცხეთისაკენ

თუმცა შენ უკვე წარსული გქვია, —
მაინც გაზომებ ლამაზ სახელებს...

მერე რა მოხდა, ქარები ქრიან
და სადროშეზე სუროს არხევენ...

რა მოხდა მერე, —
მარჯვენას მჭრიან,
ცრემლიან თვალებს
ვხუჭავ და
ვახელ...

და ისევ მოჩანს კარები ღია
და კარებიდან—ღვთისმშობლის სახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა

ახლა ცეცხლის პირს ვზივარ და
ვფიქრობ;
ერთხელ რომ მქნა ის, — რაც მინდა
ვიყო —

შენ გიშველიდი პირველად ჩემო
ვაზო და ვაზის დამჭკნარო ჩხეპო...

შრიალებს ჩავლილ დღეების წყება, —
ნათდება სული წარსულის
ფურცვლით...

არ გედავები,
ყოფილა წყევლა,
მაგრამ ხომ არის ლოცვაც... და
ვუცდი.

მე არაფერში არ დამემდურო

სანამდის გერქვა შენ სამწყსო ჩემი,
სანამდის შენი პატრონი მერქვა, —

არ დამიზოგავს სისხლი და ცრემლი,
რომ შენს წისქვილებს
ებრუნათ,
ეფქვათ.

არ დამიზოგავს სისხლი და ცრემლი,

. . . . . .

მეტი რა მექნა, ჩემო ბედკრულო,

შენმა ნათებამ ჰქმნა ყველაფერი,
მე არაფერში არ დამემდურო.

●

. . . . . .

რა იქნა სიყრმის წყალობა, —
სურვილი ცაში ეროლვის...

შეყვარებული ვარო და
შაშვი,
კაკაბი,
გნოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკაკანებდნენ წყაროსთან
თეთრი ვარდების გროვას,
...
არც მე ვჩქარობდი წამოსვლას, —
მოწყურდება და მოვა.

ფრთები

პატარა გოგო ბაძავდა დიდებს, —
საღამო იყო,
ყანასა მკიდნენ.

მისი სიმღერა ისმოდა ვიდრე
ცის მიტოვება უჭირდათ ჩიტებს.
...
ნეტავ ის ხმა,
ნეტავ ის დრო მწველი,
მერე როგორ შევერიეთ ბინდებს...

რა პატარა გოგო იყო ლელი,
რა ლამაზი ფრთები ჰქონდათ ჩიტებს.

●

როდესაც ამბობ:—აქ რომ მზე ენთო.
აქ რომ — სანთლები და საფიცარი...

როდესაც ამბობ: სხვა იყო ერთდროს
ეს მთებიც — ახლა ძლივს რომ
ვიცანი...

იცოდნენ: რომ ჩემს სათქმელსაც
ამბობ.
იცოდნენ ვისკენ მიმაქვს დაფნები...

იცოდნენ,
განა რაიმეს გამო?
რომ მარტო არ ხარ,
სხვა არაფერი.

სიმღერა

სოფლის თავს სამი წყაროა,
სამი სარკეა, ლელი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთში შენ ჩანხარ,
ერთში — მე,
ერთში — პეპელა ჭრელი.

უყვარხარ —
რა უბრალოა,
გიყვარს და —
რარიგ ძნელი.
...
რას ტირის ჩემი ღიმილი,
რას მღერის შენი ცრემლი.

გახსენება

რახანია ის წისქვილი, ის ჭრაქი და
შუკა
ჩამქრალია, —
ხსოვნის ზარი მაინც მისას უკრავს...

მიირწევა სამი გოგო, — სამი ფერის
ნანა.
უცქერის და უმარგლელი რჩება
სამ ბიჭს ყანა.

თავს უშველეთ გოგონებო,
თავს უშველეთ თორემ

წაგართმევენ მაგ სახელებს,
დაგარქმევენ ცოლებს...

— ცირა, წყალი!
— ცირა, ღვინო!
— ცირა, ცხელი თონე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხერთვისი

შენ საქართველოს უღმერთოდ
ჰყვარობ
ჩემო ხერთვისო. ბებერო ხარო.
შენც ოცნებობდი რაღაც მეტისთვის.
ცასთან შერთვისთვის, ღმერთთან
შერთვისთვის.

ჯარი გაგინყდა ციხესთან ვაჟკაცს
და შემოაკვდი საკუთარ დარდებს.
ადექი, თორემ ეს გულიც გასკდა,
ქუდზე კაცს მოგგვრი,
ოღონდაც ადექ...

ლურჯი ბინდი

დიდმარხვის თვეში ამ ტყეებში არ კრთოდა ქარიც.
გამხმარ ბალახებს ხრიდა მხოლოდ ნახირის ჩლიქი,
საკუთარ დარდთან ყოველღამე თვრებოდა ქმარი
და ყურს უგდებდა მგლების ყმუილს ჭალების იქით.

ამ ჭალებს შვენით მწუხრისაგან განძარცვა რიდით
და ახლა მშვიდი აკაციის ტყეების გასწვრივ
ნელა გაარწევს ივლისის დღე ცას ლურჯი ბინდით
და მოდის ჩუმად ჩემს ბილიკზე უცნობი კაცი.

დუმილის ტკივილი

რამდენი ღამის ოქრო და ვერცხლი,
მდინარის პირი. ფოთლებით სავსე,
და საღამოთა ჩამქრალი ცეცხლი
მე ამ მიწაზე ტკივილი მავსებს.
თოვლგარეული წვიმების ელვა,
ცისფერ ბორანზე სიკვდილი
მათთვის,
ვინც ზედაზნიდან დაღვარა ცრემლად
სიზმრის მდინარე ველებზე ქართლის
საღამოს ბინდი იშლებ ქარში,
ტყეების სუნი გადმომდის ტკბილად,
მე ვზივარ ბინდის უფერულ
თავშლით
და ჩემი ქვეყნის ტკივილი მტკივა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაისის ცხელი მნათობი მოღვრის ნიაღვარს ნათლის და შურით მოღლილ,
ბნელიდან ბნელში გადასულ ზრახვას, წუხილის წუთებს მოგიძღვნის
ოხვრით...

ლურჯი სიზმრების დადგა ბურანი. ნატვრით აივსო შენი გულანი,
ვის ეძულები, ან ხვადი ვით ძუს. ვინ გსდევს სიკვდილის სდევნით გულადით,
ცისფერ კაბიდან ნაქროლ ნიავით. ვით გადუარე მწირ დღეს საცოდავს,
ან სიყვარულთან სალოლიავოდ ცრემლის თასი ვინ გადმოგაწოდა.
ცაში იყავ თუ ზღვაში გეძინა, შენ საქართველო გვერდით გეწვინა,
სიყვარულისგან გძულდა ყოველი და უბედური იყავ მეტწილად.
დაღლილი მტრედი კოლხეთს დაფრინდა, მერე სულები აყვავდნენ მარტში.
ნარსულის მტვრიდან. ცივი ნაცრიდან ადექ და ისევ მოხვედი ქართლში
და იხსენებდი, ვით, სიზმარს ქალი, კოლხას და ეგრისს, სასპერისს, იბერს,
მოსინიკის და თუბალის რვალით უბედურ დღეთა ილბლიან მთიბველს.
და იხსენებდი ათასჯერ სიკვდილს, ათას ტრფობას და ცდუნებას ათასს.
იებს სერებზე და შროშნებს მინდვრის, წუხილის სძლობას და უფლის
ნატვრას.
ეახსენებაზე უფრო წყლულიანს შენ გრძნობდი აწმყოს წყენას და ვარამს,
ალბა მაისიც, გაზაფხულია, და სიყვარულიც გათრთოლებს მარად!...

●

მოწყალებებით დამთვრალი ქალი
მიჰყავდათ ფოთლის ბილიკით
პრინცებს,
თქვენ შორს იყავით და სველი
თვალით
ვზომავდი ჩემთვის საყვარელ
სივრცეს
მერე თავდახრით ვუსმენდი ღილვას
ჩემი სულისას და დღეთა ქილიკს
და უპატრონო საყდრისკენ ნელა
ჭიანჭველები ასდევდნენ ბილიკს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოდერძი ჩოხელი

ზ ა ნ გ ი

ჩემი სოფლელები მემდურიან: მოთხრობებს სულ სიკვდილზე სწერ და სიყვარულზე კი ჯერ არაფერი დაგიწერიაო.

მე ვერ დავარწმუნე ისინი, რომ თვითონ სიკვდილია უდიდესი სიყვარული.

არაო: ჩვენ სიყვარულზე გვინდა მოთხრობებიო, არ იშლიან თავისას.

კარგი, რახან ასე სწამთ, მე შევასრულებ მოთხოვნას და ამ პატარა მოთხრობას სიყვარულს ვუძღვნი.

ზოგიერთები ისე ბერდებიან და მიწაში ისე ჩადიან, გუდამაყარს არ გასცილებიან, მარტო ოცნებაში უმოგზაურიათ ამ ცამდის აწვდილი მთების მიღმა. იმათ, გადმოცემით იციან, რომ საქართველოს გარდა, დედამიწის ზურგზე უამრავი სხვა ქვეყნებია კიდევ და უამრავი ხალხი ცხოვრობს ამ ცის ქვეშეთში. ყურმოკრული აქვთ, რომ არსებობს ქვეყანა, სადაც შავი ადამიანები ცხოვრობენ. რატომღაც სჯერათ, რომ ლილიპუტების ქვეყანაც არსებობს.

თუმცა, რატომ დავიწყე ასე. მე ხომ სიყვარულზე ვწერ.

ათნოხელ დავითას ისეთი ლამაზი ქალიშვილი წამოეზარდა, რომ დღე არ გავა მთხოვნელები არ მიუვიდნენ კარზე. ქალიშვილს მარიკა ჰქვია. ვინღა არ მოდის მის სათხოვნელად.

ჩოხში ძალიან გამდიდრდნენ შუღლიანნი. შუღლას ორიათასამდე სული ცხვარი დაუდის საძოვრებზე. მწყემსები ჰყავს დაქირავებული. თვითონაც დღედაღამე ცხვარშია, ამ ბოლო ხანებში ბიჭი წამოესწრო. ბიჭს დათიკო ჰქვია.

ახლობა დღეს დათიკოსა და მარიკას ერთურთის სიყვარული ჩაუვარდათ გულში, მაგრამ შუღლიი დადგა უარზე. ათნოხელი დავითაი ღარიბი უქონელი კაცია და შუღლაი მდიდარ მოკეთეს ეძებს.

დათიკომ მარიკა მოიტაცა და შუღლაიც შეურიგდა ბედს. აქამდის რძალი ნანახი არა ჰყავდა და ეხლა რომ დაინახა მარიკას სილამაზე, გული დასწყდა, რატომ ვიდექი უარზეო.

მთელი ზაფხული ერთად გაატარეს დათიკომ და მარიკამ. ბიჭი ერთი წუთითაც ვერ სცილდებოდა ცოლს. ისე შეებოჭა მარიკას სილამაზეს, ნაბიჯს კეღარა სდგამდა ამ სილამაზის გადაღმა.

შემოდგომის მიწურულს, მარიკას ბავშვი უნდა ჰყოლოდა. ასეთ დროს ჩოხელი დედაკაცები ჩოხიდან სხვა სოფელში მიდიან. სოფელ ჩოხში აკრძალულია ქალის მშობიარობა. მარიკა მამის სახლში წავიდა.

ერთი კვირის თავზე ათნოხში თოფების სროლა ატყდა. მარიკას ბიჭი ეყოლა. დათიკომ სირბილით აიარა ათნოხის აღმართი. იმის ცოლეურთ კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებზე აუარება ხალხს მოეყარა თავი და რაღაცას ჩურჩულებდნენ ერთიმეორეში. დათიკოს დანახვაზე შეკრთნენ, რატომღაც შორს დადგნენ და დაეჭვებული მზერა გააყოლეს. დათიკოს არ ესიამოვნა ეს. გულში გაიფიქრა, მარიას ხომ არაფერი გაუჭირდაო და სიდედრიც რომ შეშფოთებული დაინახა დაიკივრა:

— რა მოხდა!

— ბიჭი გეყოლა, — უთხრა სიდედრმა.

— მარიკა როგორ არის?

— კარგად.

— მაშ რა ჩამოგტირით ცხვირპირი?

გახარებული დათიკო სიმამრთან გაიქცა. დავითა სახლის ბანზე იჯდა მარტო და მიწას ჩაჰყურებდა.

„რა დაემართა ამ ხალხს!“ გაბრაზდა დათიკო.

— რა მოხდა, აღარ იტყვით? — ჰკითხა დავითას.

— ბიჭი გეყოლა. — თქვა დავითამ.

— მერე რას დარდობთ?!

— ზანგი დაიბადა.

— რაა?!

— შავია, როგორც ნახშირი. ნახშირზე უფრო შავი. კბილები თეთრი აქვს სუფთა ზანგია.

დათიკო სამშობიარო ბოსლისაკენ გაიქცა და თითქმის ძალად შეამტვრია კარები. დედაკაცები არ უშვებდნენ მარიასთან.

— მოჰკლავს! მოჰკლავს! — მოესმა მათი შეშფოთებული ჩურჩული დათიკოს, მარიასთან რომ შედიოდა.

ქმრის დანახვაზე წამოიწია მწოლიარე მარიამ და გაიღიმა. დათიკო ერთ ადგილზე გაჩერა ამ ღიმილმა.

— სად არის? — ამის თქმაღა მოახერხა.

მარიამ ბიჭს გადახედა. ახალდაბადებულს ნახშირიერთ შავი პირისახე გამოუჩნდა. მარიამ დახედა მას და ისევ გაიღიმა. ახლა კი გადარია ამ ღიმილმა დათიკო და ცოლისაკენ გაიწია....

— შემარცხვინე არა! — გამამასხილო ხომ! მოგვლაც მე შენ.

მარიას მეზობლებმა ძალიან კარგად ეს გადარეული დათიკო, იმან გარეთ კარგა ხანს იბობოქრა. ზანგზე გამცაცლეო — აყვედრიდა მარიას. თუმცა თვითონაც არა სჯეროდა თავისი ნათქვამი. სად უნდა ენახა ზანგი მარიას, ის ხომ გუდამყარს არ გასცილებია და აქ კიდევ ზანგი არასოდეს მოსულა. თან ეჭვი თავისას სჩადიოდა

— მაშ საიდან და როგორ ეყოლა ზანგი. ყვირილით რომ გული იჯერა მარიას მშობლებს გამოუცხადა: თქვენი კახპა ქალი თქვენვე გაეგდეთ, მე მაგის წამყვანი აღარა ვარო და წავიდა.

ამ ამბავმა ელვასავით დაიარა გუდამყარის ხეობაში და უცებ გაუტყდა მარიას სახელი. მარიას აღრიხდელი მთხოვნელები უფრო მეტს შერცხვენენ, ათას ჭორებს უგონებდნენ მარიას.

მარიამ ორივე ხელში ანთებული სანთლები დაიჭირა. მუხლისკვერი მიიყარა და ასე ჩოქით გავიდა ქმრის სოფელში. ხელში ანთებული სანთლებით ტატის წინ გაჩერდა და დაიფიცა:

— ღმერთო ძლიერო, სამართლის გამჩენო, შენ ხომ მოწმე ხარ რომ მე ზანგი თვალთაც არ მინახავს და დათიკოს გარდა არავისთან ეყოფილვარ.

მთელი სოფელი შორიდან უყურებდა მუხლებზედაცემულ მარიას. ამ დროს საიდანღაც შუღლი გამოჩნდა და კეტი დაარტყა დაჩოქილ რძალს. მარიას უცებ გასცივდა სანთლები და თავგატეხილი ბალახებში ჩაემხო პირქვე.

ხალხი გონს მოვიდა და შუღლი გაათიოს იქით, მარიკა ასწიეს და ისევ ათხოსში წაიყვანეს.

ერთ თვემდე ლოგინში იწვა მარიკა და გვერდიდან არ იშორებდა შვილს, ეშინოდა მომიკლავენო.

დათიკო აღარასოდეს მობრუნებუ-

ბოდბერაძე ჩოხელი
ზანგი

ლა მის წასაყვანად. გუდამაყრელებს გამოცანად დარჩათ ეს ამბავი. თვითონ მარიასაც აოცებდა ზანგი რომ ეყოლა. ზოგიერთებმა დაიჯერეს, კიდეც რომ კანონიერი მამა დათიკო იყო, მაგრამ მაინც ექვის ჭია დადიოდა მთელ ხეობაში.

მარიას მშობლები ლოგინად ჩაცვივდნენ და მთელი ჯაფა მას დაეწვა. კაკივით თიბავდა, ზამთრისათვის შეშას აშზადებდა ტყეში და თან შვილს არ იცილებდა გვერდიდან, რატომღაც ეშინოდა, თუმცა თვითონ ბადრი დაარქვა ბიჭს სახელად, მაგრამ ხალხში ყველა „ზანგს“ ეძახოდა.

პატარა ზანგმა პირველად ხუთი წლისა რომ გახდა, მაშინ დაინახა თავი სარკეში და გაუკვირდა თავისი სიშავე.

მოიწყინა პატარა ზანგმა. მალვით იბანდა ხოლმე პირს საპნით, იქნებ გათეთრდეო. მერე თანდათან აიბეჭეს ბალღებმა. — ზანგო, ზანგო, ზანგის შვილო-ო. არ უსვენებდნენ.

— დედი, რატომ ვარ ზანგი? — ეკითხებოდა მარიკას.

— იმიტომ რომ საყვარელი ხარ, — ეტყოდა მარიკა და გულში ჩაიკრავდა აცრემლებული. მერე სკოლაში მიიყვანა და იქ მთლად დააკარგვინეს ბიჭს მოსვენება ბალღებმა. აღარ შეეძლო ეტი. ღილით წავიდოდა სკოლაში, გზიდან ტყეში გადაუხვევდა და ელოდებოდა, როდის ამოივლიდნენ სკოლიდან ბალღები რომ სახლში გაპყოლოდა. ყველა გაურბოდა, არავინ არ ამხანაგობდა მასთან და გულჩათხრობილი გახდა.

რომ წამოიზარდა დედას ამოუდგა მხარში და შრომა შეუმსუბუქა. მარტო მარიკას ესმოდა მისი კეთილი გულისა.

ტანი აიყარა, დავაჟკაცდა. მაინც ყველა გაურბოდა.

ერთ დღეს სიყვარული ესტუმრა და იმ დღის მერე აღარ მოასვენა.

სკოლის მასწავლებლის გოგო შეუყვარდა. მასწავლებელს ქმარი ციხეში ჰყავდა და რომ გამოვიდა, იმის შიშით ეგოგოს ახლომარეთ ვერაკენ ეკარებოდა. ქალიშვილს მზია ერქვა. ოქროსფერ ნაწნავებზე თეთრ ბანდებს ეკეთებდა და ყველაზე მეტად ენ ეამებოდა ზანგს.

იტანჯებოდა, იცოდა ამაო იყო მისი სიყვარული და მეტი აღარ შეეძლო. საათობით იწვა გულალმა და საკუთარ არსებობაში ამღერებულ სევდას ისმენდა. დარდობდა. აღარ შეეძლო მეტი. ბოლო დროს გულში დაუწყო სიყვარულმა ჩიტივით ფრთხიალი, გამუდმებით გულზე იდებდა ხელს. მარიკას ეშინოდა, ამდენს დარდობს და ალბათ გული ასტკივდეო.

რაღაც უცნაურად აუფართხალდა იმ დღეს გული მზიაზე ფიქრში. ერთი კვირა ასეთ ყოფაში იყო. მერე ოდნავ გადაეხსნა ძკერდი და გულთან ვარდის ბუჩქი გამოეზარდა.

შეშინდა. პირველად დედასაც დაუმალა ეს ამბავი.

ვარდი თანდათან გაიზარდა და გაიშალა — იმხელა გახდა რომ ტანისამოსი აღარ უფარავდა და ბაუმეღვანა დედას.

მარიკა თან შეშფოთდა, თან რაღაც სიხარული იგრძნო მისმა გულმა.

ბიჭს უფრო და უფრო უყვარდებოდა მზია და ვარდიც იფურჩქნებოდა. როცა მოიწყენდა, რაღაცაზე ბევრს რომ იდარდებდა, ჭკნობას იწყებდა ვარდიც. ერთ დღეს იმდენი იდარდა თავის უიღბლო სიყვარულზე, თითქმის მთლიანად ჩაჭკნა ვარდი. ახლა ესაც დაედარდა. ვარდის დამჭკნარი ფურცლები მკერდზე ეყრებოდა.

უცებ საიდანღაც ბულბული მოფრინდა, ვარდის ბუჩქზე დაჯდა და ისეთი სიმღერა წამოიწყო, ბიჭს უცებ გაულაღდა გული. გამხიარულდა. თანდათან გაიშალა ვარდიც. ბულბული მღეროდა სიყვარულზე. ოდნავ ნაღვლიანი ხმა ჰქონდა.

იმ დღის მერე მასთან დარჩა ბულბული. და როგორც კი ბიჭი თავის უიღბლო სიყვარულზე იდარდებდა გულში, ვარდი ჭკნობას იწყებდა, ბულბული მაშინვე წამოიწყებდა სიყვარუ-

ლის საგალობელს და ბიჭს გული ულაღდებოდა.

ერთ დღეს, ვეღარ მოითმინა და გზაზე დაუხვდა მზიას. ქალიწვილი მარტო მოდიოდა.

— მზია! — აუკანკალდა ბიჭს ხმა.

— რა გინდა? — აგდებულად უპასუხა ქალიშვილმა.

— გინდა ბულბულის სიმღერა მოგასმენინო?

— არაფერიც არ მინდა შენი. — იწყინა გოგომ.

— მე შენ მიყვარხარ! — წამოსცდა ბიჭს.

გოგო გაკაპასდა, ეს რა მკადრეო და ტირილით გაიქცა სახლში.

ბიჭი ადგილზე იდგა გაოგნებული.

მისკენ მომავალ მზიას მამას მოჰკრა თვალი. კაცს თოფი ეჭირა და მისკენ მორბოდა.

— ესღა მაკლია, ახლა გზაში დაუხვედე ჩემ გოგოს შე ნაბიჭვარო! — წაისისინა მზიას მამამ და ამისმერე დაიგრიალა თოფმა.

ბიჭი გზაზე ჩაიხვია.

მარიკას ძროხებში მიედინა თოფის ხმა და სოფელში გამოიქცა. სახლში რომ მოვიდა დერეფანში ეშველა ხალხს შორის თავის ბიჭს. მოაკოცა საკაცეზე დასვენებულს თვალი და გული წაუვიდა.

ხალხმა ტანსაცმელი გაუხსნა ბიჭს და ვარდის დანახვაზე დაიბნენ. ბიჭი აღარ სუნთქავდა. მკერდზე ნატყვიარი აჩნდა ვარდს ქვემოთ. ვარდის ტოტზე ბულბული იჯდა და ისე ნაღვლიანად რაღაცას მღეროდა, იქ მყოფთ ყველას ცრემლი მოერია.

სოფლის საფლავებთან, ოდნავ განაპირას, შემაღლებულ გორაზე დაასაფლავეს ზანგი, ბულბული აღარ ჩაუღლეს, ცოცხალია, მიწაში როგორ ჩავატანოთო და იქვე ნათხარ მიწაზე შემოსვეს. ვარდი კი თან ჩაჰყვა.

მოიწყინა მარტოდ დარჩენილმა ბულბულმა. აღარ მღეროდა, აღარც მიფრინავდა.

გაიარა რამდენიმე კვირამ და მიწის ზემოთ ამოიზარდა ის ვარდი. გაიშალა, გაიფურჩქნა. გაკარებული შემოდგა ზედ ბულბული და შემოსჭექა საგალობელი მარადიული სიყვარულისა. საგალობელი, რომელიც ზესკნელს და ქვესკნელს აერთიანებს.

ჩემი სოფლელები მაპატიებენ, აჭ რომ ვერ დავწერე სიყვარულის ის საგალობელი, რომელსაც ზანგის საფლავზე მღერის ბულბული.

ამ მოთხრობის დაწერასაც მაპატიებენ — ეს ამბავი ხომ ნამდვილად მოხდა მათ შორის.

და, ალბათ, იმასაც მაპატიებენ, გვერდი რომ არ ავუარე სიკვდილს. მე მაინც მჯერა, რომ თვითონ სიკვდილი უდიდესი სიყვარულია, რადგან სიცოცხლესა და მას შორის მარადიული სიყვარულის ვარდი ყვავილობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეძებ ქალაქს

ქალაქს — თავი რომ შემაყვარა, რომ გამახვია
ნეტარი სიზმრის ბურბუშელაში
და მიმატოვა, მიმატოვა სამარადჟამოდ,
ქალაქს — ჩემს სიზმრებს რომ ხატავდა — იმ ქალაქს
ვეძებ,
ვეძებ, ვეძებ. დიდი ხანია,
ცათამბჯენების ფერხთით, მდინარის
დაბეტონებულ ნაპირებზე, რეკლამების თვალთა ხამხამში...
ვეძებ კედლების ხეივნებში, ჩამოღვარული
და ნაღვლიანი გორაკების ბნელ იღლიებში,..
და იმ ქალის კაბის კალთაზე,
ვინც ჩემს უდაბურ, დაღლილ მზერას ღიმილს აგებებს
და მეუბნება: „მოდი, შენი ვარ“...

ქალაქს — ჩემს სიზმრებს რომ ხატავდა,
სინანულის ცეცხლთან რომ დამსვა
და მიმატოვა. მიმატოვა სამარადჟამოდ —
ვეძებ. ვეძებ დიდი ხანია...

შემომკარი შენი მახვილი

ციხე — კოშკები, ძველისძველი მეტაფორებივით
ჩახლართულები ისტორიის ყვავილწნულებში,
სტრიქონების ღორღის გროვაში...

მეციხოვნე ვარ...
შუბის ტარზე ჩამომეძინა
და სიზმარში თვალჩაყოფილი
ნანგრევების ცქერით ვერთობი.

შემომკარი შენი მახვილი,
რომ ამ ქვა-ღორღში ავილუფხო და ვლოკო, ვლოკო
ძვლების ნაცარი.
უხსოვრობის ცრემლის მარილი.

შემომკარი შენი მახვილი,
რომ გავიღვიძო იმათ სიკვდილში,
ვინც ამ კედლებზე დაუხვდა ღამეს,
ვინც ჩაიხლართა ისტორიის ყვავილწნულებში,
სტრიქონების ღორღის გროვაში...

შემომკარი შენი მახვილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეეედრები მწუხარე ხმას, იქნებ წავიდეს, დამტოვოს...

ჩემს გზაზე დადის. ნისლად მეხვევა
ხმა გამყინველი. მოთქმა ველური —
თითქოს სიმძიმით მიმტვრევს
ხერხემალს
ცოდვილის ტვირთი ბედისწერული.

ის ღამის ხმაა. ბნელი ფურცლების
შრიალში დნება. ღამის სულია.
და შეჭვითინებს ზეცას
უცრემლოდ—
იქ ყველა კარი ჩარაზული აქვს.

მშვიდობით, დაო! — თუმცა არ
ესმის,
ნაღველს მაწვეთებს, თითქოს
ჯეჯილი
გადახმა ჩემი ხსოვნის მხარეში
და შიგ ისა დგას თმაგაჩეჩილი.

დამტოვე. წადი! — მაგრამ არ
იშლის.—
წადი, ჩემი გზა აღარ გეხილოს
წამების ღვარში, სულის არილში —
ღამის ფრინველო,
ფრთამოტეხილო!

●

ვერ დამინახე, ჩამიარე აჩქარებულმა,
თან წაიღე და დამაშორე
სამარადჟამოდ
ნაყოფით სავსე უბე და კალთა...

გაუჩინარდი იმ კედლის იქით,
სად ჩემი თვალი ვერასოდეს
გადმოიხედავს.

იქ გახსნი უბეს,
კალთას გაშლი,
ნწიფე ნაყოფს ჩამოარიგებ...

ასეთები დაგვბადა.
ასეთები გაგვაჩინა —
უხვად გვიბოძა სიბრმავის ნიჭი.

რომ ვერა ვნახოთ მომლოდინე და
ერთადერთი
ის. ვინც მოგველის
და გზაზე დგას მთელი სიცოცხლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

როგორც მებრძოლი, გამავალი მკერდამდე წყალში,
თოფს ზეაღმართულს ატარებს მუდამ —
ცხოვრების მღვრიე მდინარებას შეჭიდებული
მე მაღლა ვიწვდი რწმენას ჩემსას
და ჩემს სინიდისს!!

გატიგუტის გამყიდველი

და კვლავ იგივე ჟრიამული, —
„დედაა...
მიყიდეე...“
იგივ დუეტი დედაშვილთა
ჰარმონიით და დისონანსებით

და, გადმოსული ფიროსმანის ნახატებიდან,
შენ ჩვენ ჭიშკარში შემოდიხარ ოცი წელია.
მოხუცი კაცი ეზოს უცებ აფორიაქებ,

შენს დანახვაზე სულში თბილი სევდა მეღვრება
და მე უხმოდ გიხდი მადლობას.

მარტი

ანარქისტივით შემოვიდა ქუჩაში მარტი.
არივ-დარია, გადარია ირგვლივ ბუნება:
თოვლი, მზე, ქარი.., შერჩენილი მსუბუქი დარდი
და იმედების კვლავდაბრუნება.
უკვირტო ხეზე გაფოფრილი ჩიტები სხედან,
სადღაც, ყინულის ლოლუებზე, მზე სხივებს იტეხს,
უკვირტო ხეზე გაფოფრილი ჩიტები სხედან
და მაინც, როგორ აღარ გვანან დეკემბრის ჩიტებს!

●

პაწაწინა ჩემო ლექსო,
მთის ნიავად გინატრე,
ცრემლისაგან სითბო გქონდეს,
მზის სხივისგან სინათლე.

ამ გულიდან ბალახის ერთ
ღეროდ ამოიღერე
და იმღერე როცა გული
უკვე ვეღარ იმღერებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

სასწაულია (ჩვენ საუკუნეში)
არა მთვარისკენ კოსმოსური
ხომალდის სრბოლა,
არამედ
გულს რომ გაახარებს პეპელას
ფრენა
და ეტკინება სიკვდილი მისი.

●

ჩინგიზ-ხანიც კი, ულმობელი,
ყოვლისმპყრობელი,
როს ძლევის ტახტზე ფეხმორთხმით
იჯდა,
თავის უსუსურ სიყმაწვილეს
ნატრობდა თურმე....
შენ კი...
ხანდახან უმიზეზოდ მოწყენილს
მხედავ
და მკითხავ. რატომ?

●

გუშინ საღამოს ჩემი თათია
ჩემი ბავშვობის ალბომს
ფურცლავდა.
მერე უეცრად დაანება სურათებს
თავი,
აუტყდა „ბებას".
აპოვნინა პატარა სკივრი,
გაიძრო თავის ლამაზი კაბა
და გაცრეცილი შარვალ-ხალათით —
ის ჩემს ბავშვობას ხელჩაკიდებულს
მთელი საღამო მოუწყენლად
დაატარებდა.

●

სიცოცხლევ ჩემო, მე „სალამი" სიმღერით გითხარ
და მომეც ძალა — სიმღერითვე გითხრა „მშვიდობით!"

ფოტოსურათი

და გადაგვირჩა შენი თბილი ღიმილი მხოლოდ
ხსოვნის ლაბირინთს სევდიანი მზით რომ ანათებს,
ვიღიმებით და ვაგლახ თურმე ის მწარე „ბოლო"
რა ულმობელი სისასტიკით გვიყრის კამათელს;
და თუ ეს გული ტალღასავით ასკდება ნაპირს
და სიცოცხლისგან გადამთვრალი ვერ იშლის სიცილს —
მადლობა შენდა შემოქმედო, რომ ჩვენი ძაფიც
როდის გაწყდება არავინ ვიცით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლეგ გველესიანი

მელაპარაკე

მელაპარაკე.
სიყვარულზე მელაპარაკე,
ამ ნათელი დღის
ოცნებაზე მელაპარაკე, —
აღტკინებაზე,
სიმღერაზე.
რომანტიკაზე,
ერთგულებაზე მელაპარაკე!

როგორ ავმაღლდით
პოეზიით, სულით, მამულით.
შენს მიწა-წყალზე
ხე რომ ხარობს
შენი დარგული,
მითხარ რას ნიშნავს
შენთვის ახლა
ეს სიხარული.
ამ სიხარულზე
მელაპარაკე!

რა იქნებოდა ყოფა ჩვენი.
ჩვენი სიცოცხლე,
ულაღეს ქვეყნის
ულაჟვარდეს მიზნის გარეშე, —
რახან ამაღლდი,
აღარ დაეშვე.
ახალ მწვერვალზე
მელაპარაკე!

არა, არ მითხრა,
სიჭაბუკის გზა რომ მოკლდება,
სისხლის ყივილი,
მღელვარება რომ დაოკდება.
„ეს ყველაფერი სიზმარია!“ —
არა, არ მითხრა!..
მზეზე.
მთვარეზე,
ყვავილებზე მელაპარაკე!

●

თუ რამეს ვწერ და
თუ რამეს ვწერდი,
შენს სიყვარულში. მამულო ჩემო,
და ჩემი ფიქრის ფრთამალი მტრედი
ფარფატებს შენი მთების გარშემო.
გზას მიცისკროვნებს ყველგან შენი მზე,
ოქროს სხივები გულზე მემტვრევა, —
წამიღოს შუქმა შენს დიდ ზეიმზე,
წამლეკოს შენმა თავგამეტებამ...
თუ რამეს ვწერ და
თუ რამეს ვწერდი,
შენს სიყვარულში, მამულო ჩემო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაუძმებული ბაძანი

თეთრ ფიქრში წარსულს გაიმეორებს.
როცა ოცნებას ააბალახებს...
ის მოიგონებს თბილ განშორებებს
და შეხვედრების ცისფერ ზამბახებს.
მოენატრება ხალხი და სითბო,
ვეღარ აიტანს დღეებს ქარიანს,
მას სადგურების ბედი შურს
თითქოს,
რომლებიც ხალხით სავსე არიან.
...და გვიან, როცა ღამის მთვეელი,
მთის კენწეროზე მთვარე ჩაღდება,
იკივლებს სადღაც მატარებელი
და ბაქანს გული აუჩუყდება.

ციკლიდან „ფიქრები“

1

ცას ნაცრისფერი შემოეპარა...
ამოდის მთვარე,
გადაეფარა ზვინის აჩრდილი
მოცელილ ბალახს...
აპეურებში გაბმულ ხარებს
მიაქვთ ურემი...
ბრუნავს ბორბალი...
შიშველ ფეხებში
ისრისება სილა ხორშაკი,
ამოდის მთვარე
და ცივი ქარი
ჩალის ღეროებს მოასისინებს.
. . .
ერთხელ ეს ნატვრა — გახსენება,
გვიან საღამოს
ამ ჩვენს ქალაქში ამეკვიატა.

•

მატარებლები სადღაც მიჰქრიან,
მზე ცისკარს, როგორც სემაფორს აღებს,
ღამე თითქოს და ფიქრის ფიფქია,
ფიფქივით დნება რელსებზე ღამე.

დრო მატარებლად მიდის და ერთვის
ნისლს, როგორც ძველი ამბავი აეპარავს...
ჩამორჩენილი მგზავრების ბედი
მხოლოდ სადგურებს აწუხებთ ალბათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულიკო დვალი

●

ეს ძველის-ძველი ოქროს მონეტა
ზუშის ნატეხში ვინ გადასცვალა,
ვიყავი შენი ნეკნი ოდესღაც
და უშენობის სევდამ დამცალა,
ვინ მიმატოვა უცხო ნაპირზე,
ვინ დამიკარგა ეს სალოცავი,
უშენოდ ლექსი ცრემლად ავკინძე,
ლექსი უთქმელი და საოცარი...
უდაბნოს წითელ და ცხელ სილაზე
ვიწექი, მკლავდა ქართა თარეში
ეს ერთგულება და ეს სინაზე
როგორ ტიროდა უცხო მხარეში...
ოდესღაც შენი ნეკნი ვიყავი,
განუყოფელი გვქონდა სიზმარი,
ჩვენ უარვყავით ყველა ნიღაბი
ამიტომ ახლა მყისვე გიცანი...
უშენოდ ისე ვარ შეჩვეული
ხაღველს, როგორც ჩემს საკუთარ
თმის ფერს,
გელოდებოდი სულით, სხეულით,
რამდენს გეძებდი უდაბნოს ცისქვეშ...
ვერ შემაშინა იმ გზამ ნარ-ეკლით,
ცხელი წვიმებით, ქვიშით და ქარით,
მოვედი, მაგრამ თურმე სხვა ნეკნი
ისე შეგზრდია ვით საკუთარი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ხორგუაშვილი

1. უკვდავების ნაკრძალი

მოდი და, ჩვენც წარმოვიდგინოთ ერთ დროს პატარა, მაგრამ ახლა საკმაოდ გაზრდილი სოფელი, რომელსაც თუნდაც ლუარსაბიანთკარს შევარქმევთ, წარმოვიდგინოთ და ვესტუმროთ, ვინც მისი დამსახლებლის მერე არა ბრძანებულხართ, თავად ლუარსაბ თათქარიძისა და მისი კნეინა დარეჯანის სულს გეფიცებით, ველარ იცნობთ ამ სოფელსა. მტყუანი კაცივით გაპარულა ძველი ლუარსაბიანთკარი თავისი უკარგისი ბარგი-ბარხანით უკეთური კაცებითა და ადამიანებით. ახალ ცხოვრებას, ღიმილით რომ მობრძანებულა ამ სოფელში, დავით აღმაშენებლივით ბრძნულად დაუხედავს იქაურობისათვის, ჩვეული სიდარბაისლით აღუმართავს ხელი და მტკიცედ უთქვამს: „იყავენ ახალი სოფელი!“ და აღმოცენებულა ახალი სოფელი თავისი მხრებგანიერი და თვალნათელი სახლებით, საბჭოსოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობებით, კულტურის სასახლით, საავადმყოფო-ამბულატორიით, კარგა მოზრდილი უნივერმაღით, მწვანიანში დამშვენებული რესტორნით, აქა-იქა გაბნეული სახინკლე-სალუდეებით, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატით, კიდევ ბევრი სხვა სიკეთით, და რაც უმთავრესია, გულგადახალისებული და სულგანახლებული ადამიანებით.

დიახ, ყველაფერი ახალია, მაგრამ ძველი უბნის შუაგულში, უწინ რომ გათელილი ადგილი ყოფილა, ისევ ისე მედიდურად დგას ძველისძველი ქვითკირის სახლი თავისი ნაირნაირი სათავსებით, რომლებსაც ქვეყნიერება იცნობს დიდი აღმომჩენის წყალობით.

ყველაფერი ხელუხლებელი დაუტოვებიათ, თავისი ეშხი და ლაზათი შეუნარჩუნებიათ.

ამ სახელგაგარდნილი სახლ-კარის გარშემო, დღევანდელი სოფლის თავკაცების აეენებიათ, შემოუვლიათ მაღალი მესერი, მთავარ შესასვლელთან დაუტანებიათ რკინის ჭიშკარი. ლამაზად მოპირკეთებული და მოარშიებული, რომლის ქიმებზე დაუსკუპებიათ ლუღუნა მტრედები, მის გვერდით კი მიუჭედიათ ოთხკუთხა აბრა, რომელსაც ადგილობრივი თვითნასწავლი მხატვრის ხელით აწერია:

„თავად ლუარსაბ თათქარიძის კარ-მიდამო, დაცულია სოფლის სიძველეთა დაცვის საზოგადოების მიერ. დამზიანებელები სასტიკად დაისჯებიან!“

სოფლის თავკაცებს წინასწარ ტრაბახი არ უყვართ, სრულიად საიდუმლოდ შეუნახავთ კეთილი ჩანაფიქრი, მაგრამ მაინც გამოუღწევია სასიამოვნო ხმას, ლუარსაბ თათქარიძის სახლ-მუზეუმის გახსნას აპირებენიო. შედეგიანი მოლაპარაკებაც გაუმართავთ, სადაც ჯერ არს, და დღემდე ელოდებიან ნებართვასო.

ამ საშვილიშვილო საქმის თაოსნობის მიზანი-ამოცანა ყველასათვის ნათელი უნდა იყოს. მაგრამ ზოგ-ზოგი ენაწინამასწარები აქა-იქა ჩურჩულებენ, თითქოს სოფლის თავკაცებს სულ სხვა მუცლის გვემა ჰქონდეთ, ვითომ ლუარსაბისეულ სახლ-კარს ახალი ყოფაცხოვრების ძველთან დაპირისპირების საშუალებად გამოიყენებენ, ხალხს თვალშიც ამაღლდებიან და ზემოდანაც მადლიერებით გადმოხედავენო.

ვინც რა უნდა ბრძანოს, რახან ითქვა, ადრე თუ გვიან სიტყვა საქმედ იქცევა და მეც ასე მგონია, ერთი სახარბიელო სანახაკი კიდევ შეემატება ახალ ლუარსაბიანთკარსა, მხოლოდ თვალს კი არ გაახარებს იგი, ადამიანს დაადიქრებს კიდეც: რანი იყვნენ ლუარსაბიანთკარელები უწინ და რანი არიან ახლა.

ჩვენი ფიქრით, არც უნდა გაჭირდეს ამ სანახაობის მოწყობა. [illegible] აგორც ზემოთ მოგახსენეთ, [illegible] სეული სახლ-კარი ისევ ისე ნარუცევლები დგას და ღვთისა და განგების წყალობით, ნახმარი ავეკეულობა და ნივთებიც უცლებლივ შემორჩენილია. ლუარსაბისა და დარეჯანის ყველა ნახელავი და ნათვალავი მოგვეპოვება. მე შენ გეტყვი, შვილები და შვილიშვილები დაუზიანებდნენ. ერთი სიტყვით, მემორიალობა ყოველ მხრივ არის დაცული და, თუ ეს კეთილი განაზრახი შუა გზაში არ მიატოვეს, ისეთი სახლ-მუზეუმი მოეწყობა, რომლის მსგავსს, სანთელითაც რომ ეძებოთ, ვერსად ნახავთ დედამიწის ზურგზე.

ეგ კია, თვით ლუარსაბ თათქარიძე და კნეინა დარეჯანი აღარ ამშვენებენ ისედაც მშვენიერ კარ-მიდამოს.

თუმცა მათი სულები ხომ აქა ტრიალებენ. და თუ გულით ისურვებთ ნახვას, ცოცხლად გამოგეცხადებათ უწყინარი ცოლ-ქმარი. ოღონდაც ეგრე იოლად არა, დიდხანს უნდა იტიროლოთ ნაკრძალის გარშემო, თანაც ისე, რომ მოხერხებულად მიიმალოთ, თორემ, თუ თვალი მოგკრეს, სამუდამოდ გაიურჩდებიან. ადამიანებს უფრთხიან. იმედი არა გქონდეთ, რომ დღისითმზისით იხილოთ. მხოლოდ ღამღამობით იჩენენ თავს, მთვარის ნაკრთობ შუქზე უფრო ვახილვადდებიან ხოლმე.

დღე ღამედ ქცეულა მათთვის და ღამე — დღედ.

კარგა რომ დაღამდება, სოფელი მიწყნარდება და ძილს მიეცემა, გვარიანად გამოძინებული ცოლ-ქმარი თვალს გაახელს, ერთურთს მიეღამემშვიდობებიან. რის ვაი-ვაგლახით წამოიწევიან, აივანში გამოიზლაზნებიან და ნავახშმევს მთვარის ამოსვლას მიეგებებიან.

დიდად პატიეცემული ლუარსაბი და მისი კნეინა დაისს აისად მიიჩნეკენ და პირიქით. დასხდებიან და საუბრობენ თავიანთ საყვარელ თემაზე. გაბადრულ მთვარეს ლაპლაპა ნაზუქს შეადარებენ, ხელმადლიანი ხაბაზის გამოცხვარსა. თხელ-თხელ ღრუბლებს დიდ

ქვაბზე ავარდნილ ოხშივარსა, ნასუქი უშობელის მსხვილ-მსხვილ ნაჭრებს რომ ასდით. ერთმანეთს შეეჯიბრებიან შედარებაში. ნერწყვი მოეძალებათ, მუცლები აუღურღუნდებათ და მოურავს გასძახებენ, რომ სუფრის გაწყობა დაიჩქარონ.

— ცოცხლები ხართ? — მოულოდნელად ჩაჭიჭება ადამიანის ხმა მათ ტკბილ საუბარში.

— ცოცხლები ვართ, მაშა! ისეთი კაცის ნათლულები ვართ, რომა, ვიდრე იმის სახელი გაისმის ქვეყნიერებაზე. ჩვენ სიკვდილი არ გვიწერია. — ამაყად იტყვის ლუარსაბი, — იმის სახელი კი, აკი ბრძანეს, ისეთი უკვდავია, როგორც საქართველო.

— რა გინდა, ბედი თქვენ უნდა დაიკვეხნოთ. მართლა უკვდავი ხართ, სახლ-მუზეუმსაც ხომ გიწყობენ. სხვას რომელს თქვენისთანას რგებია ასეთი ბედნიერება წილად! — მუნათით იტყვის ის არამკითხე ხმა.

— არ დაგემისახურებია, თუ ღირსი არა ვართ? — საყვედურით მიუგებს დარეჯანი, — რაღა ჩვენი გშურთ ყველაფერი, მიიხედ-მოიხედეთ, რა ხდება ქვეყანაზე, აღარ იციან, როგორი პატივი სცენ ჩვენნაირ ადამიანებსა. ღმერთკაცების კალმით რომ არიან დაბადებულნი და ნაკურთხნი. ჩემზე კარგად მოგეხსენებათ: ბრინჯაოს ძეგლი აუგიათ იმ გაგიეებული ჰამლეტისათვისა, ერთთავად რომ მკვდრები ელანდება და ნიადაგ სიკვდილზე ფიქრობს. იმ გამოჩენრეტებულ დონ კიხოტისთვის ძეგლი არ უკმარებიათ და მისი სახელობის ორდენი დაუწესებიათ, უმაღლეს ჯილდოდ რომ ითვლება ესპანეთში. მასზე დაწერილ ლექსებს, სიმღერებსა და კინოფილმებს ხომ ნუღარ იტყვი. ჩემს ალალ-მართალ კაცს რითი სჯობია ის ქარაფშუტა რაინდი, სინამდვილე და სიზმარი რომ ვერ გაურჩევია ერთმანეთისაგან, ქარის წისქვილებსა და ცხვრის ფარებს რომ ეომება. ან იმ გაბღინძულ დულცინეაზე წაკლები რითი ვარ, სოდომივით რომ იჯდა შინა... რა ეგენი, რა ათასი მაგალითები!.. სად არის სამარეული ჰამლეტ პატრონი არა გვყავს, თორემ... — ... რავს ნაწიწმატევი დარეჯანი.

— გულთან ნუ მიგაქვს, ჩემო დარეჯან, ყველაფერი რიგზე გაეწყობა, სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს! იმედებს ლუარსაბი, — წავიდეთ თავს მივხედოთო, პატარა შეეჭამოთ რამე, თორემ ლამის მუხლები მომეკვეთოს კაცსა!

დროებით გაუჩინარდებიან უკვდავების ნაკრძალში.

2. ტკბილ-ტკბილი ბაგეები

ლუარსაბის გულს დარდი არ ეკარება. მაშინ უფრო გაუმზიანდება გუნება, როცა იმ დიდად პატივცემულ მუცელს მოიმადლიერებს. მერე უფრო მოუვლის ხოლმე განცხრომის ეინი. „ჰოპლა, დარეჯან!“ — ამოიძახებს გახარებული და განცხრომით გადაგორდება თავის საყვარელ ტახტზე და ვითომდა სასხვათაშორისოდ მიმართავს ხელსაქმით გართულ ცნეინას:

— რომ დავფიქრდები ხოლმე. მე თვითონ მიკვირს ჩემი კაცობისა და ადამიანობისა!

— მაგას რაზე ბრძანებ, ლუარსაბ?!

— ეხლა რომ თავი მოაქვთ ჩვენსოფელელებსა, საუცხოოდა ვცხოვრობთო, რითი არიან ჩვენზე მეტნი? მით უმეტეს მთელი მთავრობა მაგათზეა გადამდგარი, ჩვენზე კი კაცის შვილს არ შესტკივიდა გული. თუ არასა გვმტერობდნენ, ს

ჩვენს დალოცვილ წინაპრებსა, არაფერი დამკლებია, მარანს იტყვი, თუ თავლას, სათოფესა თუ საბძელსა, ჩალურსა თუ კალოსა, ჯინსა თუ ბეღელსა, რა ვუყოთ, რომ რიგიანად ვერ ვუვლიდი, ბევრი მქონდა და ვერ აუდიოდი მარტოხელა კაცი, ეხლა კი ვიღა დაგიდევს მაგეებსა, ლამის მთი სახლებიც კი გადავიწყონ შვილებსა და შვილიშვილებსა. თონეებიც კი აქა-იქა ხურდება, ხამუშ-ხამუშოა ცხვება თასმასავით პური. ძახობლიანი პურის სურნელება დაიკარგა. ხომ არა ვტყუი, დედაკაცო?

— ვინა თქვა შენი სიმტყუენი, ჩემო ლუარსაბ!

— მე თუნდა ორმოცი ურემი შემებმეოდა ერთ დღესა. ეხლა კი მთელი ქართლ-კახეთი რომ დაიარონ, ხუთ ურემს ვერც კი მოაგროვებენ.

— მააშ, მააშ!

— ეხლა კი ი რაღაც მანქანები გამოუგონიათ, გუგუნ-გრიალით ღრღნის კაცის ტვინსა, ჰაერსაცა სწამლავს და ადამიანის გულსაც, „ურმული“ იმას ვერ გაეწყობა და „ოროველა“.

— ღმერთის წინ რომ დაიწყებენ ხტუნაობას, რატო უარესი არ ემართებათ!

— მაგაზე უარესი რაღა უნდა დაემართოთ, კაცაშვილი აღარ არის ჭკუაზე, სულ იმის ნატვრაში არიან, როდის ეღირსებათ „ვოლგა“ თუ „ეიგული“ სულ ნერვიულობა და ჩხუბი. სულ ფული და მანქანა უტრიალებთ თავში. ხომ მართალს ვამბობ?

— ცამდე მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, ცამდე!

— მაგათ ჩხუბზე და მოურიგებლობაზე მეც მენერვიულება. რაც მეტი აქვს კაცსა, მით უფრო უბედურია! — გაბარაზებით იტყვის და ტახტიდან წამოდგომას შეეცდება. შეეცდება, მაგრამ ვერ წამოიწევა.

— დაწყნარდი, ჩემო ლუარსაბ, ნერვებს ნუ იშლი! ეს უსამართლო წუთისოფელი ერთ გაბარაზებადაც არა ღირს.

— ჰო, მართალი ხარ, ჩემო ლუარს ტარხუნავ და გულს ტყემალო! — მიუგებს ლუარსაბი და ისევ მგბერად გადაგორდება.

დარეკანი მივა და მიეფერება. თავზე თონთლო ხელისგულს გადაუსმევს და სურნელოვანი ხმით დააყოლებს:

— შენ ჩემი შემწვარი გოჯი ხარ, კოლექტივის ფერმაში მოპარული!

ლუარსაბიც ხალისით წამოიღებს ქონით გატენილ თითებს, კანკალით მოუთათუნებს ფაფუკ ღაბაბზე და ალერსითვე მიუგებს:

— შენ ჩემი ირმის მწვადი ხარ, დიდი კაცისთვის ნანადირევი.

— შენ ჩემი ბურწა ხარ, ოჩხში მოჩხრეკილი და ინსპექტორის თვალს არიდებული.

— შენ ჩემი ზუთხის ზურგიელი ხარ, საწყობიდან გამოპარებული!

— შენ ჩემი ხიზილალა ხარ, ავლაბრელ მეთევზეებში ნამოვნილ!

ასე სანდომიანად გაუყვებიან, ყველა საუკეთესო საჭმელს მიადარებენ ერთურთს, რაც კი მათ უგემიათ. ლუარსაბი შეყოვნდება, შესადარებელი გამოელევა, ჭერს მიაშტერდება, რაკი ვერა და ვერ გაიხსენებს მადისმომგვრელ საჭმელსა, ხმადაბლავე ეტყვის:

— შენ ჩემი დარეკანი ხარ და ესეც მეყოფა!

— შენ კი ჩემი ლუარსაბი ხარ და ამის მეტი სხვა რაღა უნდა ვინატრო! — და საკოცნელად გადაეტოტება საყვარელ მეუღლეს.

3. სასწაული

ხშირად მოუტკბებიან ხოლმე ერთურთს უკვდავების ნაკრძალში მოქცეული ლუარსაბ თათქარიძე და ცნეინა დარეჯანი. თუ რაღაცა დიდი ამბავი არ არის, ფეხს არ გამოაკარებენ თავიანთი ტყრუშელი ღობის მიღმა.

ერთხელ კი ორივე ეაკუნცრუკებინა „დიდი სიცილის“ ცდუნებას.

ლუარსაბიანთკარელებს მარჯანიშვი-

ლის თეატრის დასი უნდა სტუმრობდა საგასტროლოდ.

— ლუარსაბ!

— რა იყო, დარეჯან!

— ლამაზისეულმა მოიტანა ამბავი, ქალაქელი მასხარები ჩამოდიან და სულ კაი-კაი რამეებზე უნდა იპამპულონონ.

— ვინ დაუშლის.

— ჰოდა, წავიდეთ, ჩვენც ეიცინოთ. სოლომონ ბრძენს უთქვამს, თურმე, სიცილი დიდი მარგებელი რამ არის ადამიანისათვისაო. სიცოცხლეს უხანგრძლივებს და უმშვენიერებსო, გულსაც რგებს და მუცელსაცაო. მონელებისათვისაც უებარი წამალი ყოფილა. ხომ გახსოვს მელიასი და მწყერჩიტას ამბავი, გადამაძღარი მელია რომ მწყერჩიტას პამპულობაზე კვდებოდა სიცილითა. ჩვენც არ გვაწყენს გულიანი სიცილი.

დილიდანვე შეუდგნენ ჩაცმის თადარიგს. ამაგი დაუფასდათ, ლაზათიანად გამოეწყვნენ. ლუარსაბმა ტანი დაიმშვენა ჩეხური მოყავისფერო ფეხსაცმლით, იუგოსლაუური შავი კოსტიუმით, ინდური ზოლებიანი პერანგით, იტალიური უჯრიანი ყელსახვევით, იაპონური რუხი შლაპითა და ხელკავი გამოსდო ასევე ეს ყელი იმპორტული სამოსით დამშვენებულ დარეჯანს, რომელსაც ლუარსაბისათვის მეტისმეტად სანდომიან ქალად ეჩქია ბრტყელცხვირა და სქელქუსლა იხგლისურ ტუფლსა, გერმანულ უნაკერო წინდებსა, ფრანგულ გულამოღებულ სათეატრო კაბასა, დაღაბებულ ყელზე ჩამოკოსწიალებინა ოქროსძეწკვიანი გულქანდა, რომლიდანაც იმზირებოდა — ტახტზე წამოწოლილი ლუარსაბ თათქარიძე. თმაც მოდურად შეეკეერცხა. ზედ ბარაქიანად მოესხა ფრანგული სუნამო, სარკამარტოდ რომ მიერთმია ყურადღებიან მეუღლესა.

ასე ლაზათიანად გამოწყობილებმა უჩინმაჩინის ქუდები დაიხურეს და ეკლატორის სასახლისაკენ გასწიეს ტაბლი, საკოლქმარო ჭუკჭუკითა. წინასწარ დაჯავშნილი ბილეთები დალესეს და სათავეთაო ქანდარაზე ჩანდნენ.

აქაც თადარიგი დაიჭირეს, ბლომად დალაგეს ჩეხური კანფეტები, მსუქანი ლოყები გამოიბურცეს და გულმოდგინედ იწუწნებოდნენ.

ქანდარის ხარიხას გადეყუდნენ და რაღაცა გამოუცნობი ღიმილით გადასცქეროდნენ თმებდალილავებულ ვაჟებსა და თავწაქორრიანებულ ქალიშვილებს, რომლებსაც კიდევ უფრო მაღლა აეწიათ ისედაც მოკლე კაბის ბოლო და მოურიდებლად ეკისკისებოდნენ თანატოლ ულეაშოსნებს.

— რა წუწკი თვალებით დაშტერებიხარ, ლუარსაბ! — შეუმჩნეველი არ დარჩა დარეჯანს.

— არა, ჩემო მოხრაკულო სატაკურო, ერთმანეთში მერეკა გოგოსა და ბიჭის თავები!

— ციც, ლუარსაბ! — თითი დაუქნია.

ლუარსაბი მიუბრუნდა დარეჯანს და რომ არ ეეტკიანა, ერთხელად აღარ გადუხედია დაბლა.

აჰა, გაიხსნა კიდეც ფარდა, ტაშმა იგრიალა.

დარეჯანმა ჭოგრიტი მოიმარჯვა, ლუარსაბმაც მიბაძა ზრდილობის გულისათვის, მაგრამ ეჩოთირა „ეშმაკის თვალები“ და დარეჯანის ჩუმად მოიცილა, ახლა კი კარგად გაარჩია სცენაზე მიმქმედნი. დაკვირვებით მიმოაბრუნა ის ძროხის თვალები და თავის ენერინას მეუღლეგუნი წაარტყა:

— დარეჯან, თუ გიყვარდე, აის სახლი ჩვენსას არა ჰგავს.

— ჰგავს და როგორ! — ყველაფერი ჩვენია, ტახტი გინდა, ფარდაგი გინდა, ფანჯარა გინდა, აივანი გინდა!

— დედაკაცო, ხო კარგად დაკეტე კარი?

— დაკეტვითაც ხომ კარგად დავკე-

ტე და მოურავი და ლამაზისეულიც ხომ იქ არიან?

— რა ვიცი, ხომ არ მოგვპარეს-მეთქი.

— არა მგონია!

— მაშ, რა ვთქვა, დედაკაცო!

— ალბათ, მოსწონთ, ჩვენი სახლ-ეული და გადაიღეს.

— მერე უჩვენოდ როგორ გადაიღებდნენ?

— ხალხი მთვარეზე მიფრინავს და ეგ გაუჭირდებოდათ!

ისევ უჩუმრად მიაჩერდნენ სცენას.

— დედაკაცო! — შეფიქრიანებით ჩასჩურჩულა ლუარსაბმა, — ის კაცი მე არა მგავს?

— პირწავარდნილი ლუარსაბ თათქარიძეა.

— ეს რა ხდება ქვეყანაზე! — უფრო განცვიფრდა ლუარსაბი.

— დამაცადე, მეც არ ვიცი, რა ხდება! იმ ქალსაც ხომ კარგად უკვირდები!

ლუარსაბმა თვალები გაიფართოვა.

— ხედავ, როგორ გვამსგავსებენ?!

— დიდება შენდა, ღმერთო.

— დახე, დახე, როგორ წამოგორებულხარ, ბუზებს როგორა თვლი?

— ჰო, მაშ, შენც რომ გვერდით მოგწოლიხარ და ჭერს მიშტერებიხარ?!

დარეჯანმა გაიცინა.

— რა გაცინებს, დედაკაცო! ჩვენა ვართ, ნამდვილად ჩვენა ვართ!

წარმოდგენა გრძელდებოდა, ლუარსაბი და დარეჯანი ხარბად მისჩერებოდნენ, ხან მაყურებელთა ხარხარს აჰყვებოდნენ, ხან გოცებითა და შიშით შეჰყურებდნენ და შესჩურჩულებდნენ ერთმანეთსა.

— მიკვირს და გამკვირვებია!

— ამ ხნის ქალი მოვიყარე და ასეთი რამის მომსწრე არა ვარ!

— დარეჯან, თუ გიყვარდე, ხელი მომისვი ტანზე, ხომ ცოცხალი ვარ!

ენინამ კისერზე მოუთათუნა ხელი.

— ცოცხალი ხარ, მა რა ხარ! აბა, მეც კარგად მომსინჯე.

ლუარსაბმა კანკალით აუსვა-დაუტა ეოტიტა თითები ჩაკომბეულ ბეჭვებზე.

— შენც ისევ დარეჯანი ხარ!

— დიდება შენდა, ღმერთო! — კვლავ გადაიწერა პირჯვარი.

— ადე, ადამიანო, წავიდეთ!

— მოიცა, ღმერთმა არ გვიწყინოს!

— გვიწყინა და ეგ არის.

პირჯვარის წერას მოუწშირეს.

შიშითა და ცახცახით დაუთმავრდათ წარმოდგენა. მეტადრე ლუარსაბს ეშინჯრებოდა ტანი.

როცა მსახიობები უროლებოდ გამოვიდნენ სცენაზე, ის ხელოვნურად გაბერილი მუცლები მოიშალეს და დარბაზს თავის ქნევით ემადლიერებოდნენ, ლუარსაბმა და დარეჯანმა შვებით ამოისუნთქეს.

უჩუმრის პირითა და უჩინმაჩინის ქუდებით გაიძურწნენ შინისაკენ, გული დაიმშვიდეს და თავიანთ საყვარელ ტახტზე წამოგორდნენ.

— ეს რა საკვირველება ვნახე, კაცო?! — ხელი ხელს შემოსცხო ლუარსაბმა.

— მაგას წარმოდგენას ეძახის ეხლადელი ხალხი.

— წარმოდგენა რაღა ჯანდაბაა!

— აი, მე და შენ რომ ვიღაცები დაგვემსგავსებიან, იმას ჩაიცმევენ, რაც ჩვენ ვგაცვია, იმას იტყვიან, რაც ჩვენ გვითქვამს, ისე გაივლ-გამოივლიან, როგორც ჩვენა, ისეთ სახლში იცხოვრებენ, როგორც ჩვენია, ერთი სიტყვით, ისე წარმოუდგენენ ჩვენს თავსა, როგორც ჩვენმა დიდმა ნათლიამ აღწერა. ამნაირ რაღაცას ჰქვია წარმოდგენა.

— ალბათ, მოვწონებივართ და იმიტომ გვბაძავენ.

— ეჰ, რა ვიცი, ჩემო ლუარსაბ, რას გაიგებ ეხლანდელი ხალხისაა. ისე ხარხარებდნენ, მგონი, დაგვცინოდნენ! — შუბლი შეიკრა დარეჯანმა.

ლუარსაბმა ირწმუნა ენინას სიტყვები და ფიქრის ღრუბლები მოებურა.

4. ლუარსაბის მონოლოგი

მას მერე, რაც ეჭვისა ჭია შეუღვრა, რომ მასაც და დარეჯანსაც თურმე დასცინოდნენ, დარდი და უძილობა დასჩემდა ლუარსაბ თათქარიძეს, შავი ფიქრები მოეძალებოდა. განმარტოდებოდა, ოხრავდა და ვიშვიშებდა.

ერთ, ერთ კამკამა ღამეს ფრთხილად წამოდგა, ტკბილ ძილში გალაღებულ დარეჯანს გამოეპარა, ფრთამოტეხილი საბძლის გვერდით ჩამოწვა, მოკამკამაზე მთვარეს მიაშტერა ძროხის თვალები და ხმასეევდიანად ამოთქვა:

„ყოფნა?... არყოფნა?.. საკითხავი აი ეს არის...“

სულდიდ ქმნილებას რა შეჰფერის?..“

— ვაა?, პრიეტტ, ლუარსაბ მამათქვენოვიჩ, სულდიდი ქმნილება ბრძანდებით?! — უბოდიშოდ ჩაეჭრება ადამიანის ხმა.

— სულდიდი ქმნილება ვარ, თუ დიდი ქმნილების სული, შენ არავინ გკითხავს, ვიღაც არამკითხე ჩანხარ მანდა!

— შენ იცი, მიდი, მიდი!

„დიდ ქმნილების სულს რა შეჰფერის?... ის, რომ ოტანჯოს და აიტანოს მჩაგრავ ბედის ნეშტრითა გმინვა...“

— სად ისწავლე, ლუარსაბ მამათქვენოვიჩ, „ჰამლეტი?“ — კვლავ აუმღვრევს ისედაც ლექიან-ჭუჭყიან გუნებასა არამკითხეს ხმა

— ჭვეყანამ იცის და რაღა ჩემი გაგიკვირდა, უცნობო მეტიჩარავ!

— რომ გეპასუხა, მოგეშვებოდი.

— სად ვისწავლე და, კულტსახლის გვერდითა ვცხოვრობ, ეს სამი თვეა სულ ეგ სიტყვები მესმის. ვიღაცა სწავლობს ხმამაღლა და მოგონი, იმან ჯერაც ვერ დაიზეპირა, მე კი აჰა, ჩემდა უნებურად დამამახსოვრდა, ჭკუაში დამიჯდა და ვეღარც გამოვიბერტყე თავდან და თუ მე მკითხავთ, არც არის ხელიდან გასაშვები. აუ?, რა ჭკვიანი კაცი ყოფილა ის სახელგასახარელი ჰამლეტი, როგორი ბრძნული სიტყვები ამოსდის პირიდან, რარიგად მიგესადაგა ჩემს გულსა და მალამოდ მოიტანო. პირდაპირ გაოცებასა ვარ, სადღა იპოვა ასეთი ბაჯაღლო სიტყვები, ასე მგონია ჩემს მაგიერ ლაპარაკობს-მეთქი, ეტყობა ჩემსავით ულმერთოდ დაჩაგრული ბედისაგან, ერთი ცეცხლი გადაგვდის თავზე, გაუთავებლად ვიტანჯებით. ჩემი საწუხი ჰამლეტისაზე მსუბუქი არ გეგონოთ, მე მგონია, უფრო მძიმეცაა. ჰამლეტს ერთი ბედნიერება მაინც აქვს, გულში ნადებს მაინც ლაპარაკობს. ჭირთა თქმა დიდი ლხენააო, უბრძანებია ბრძენნსა. მე კი კრიჭა მაქვს აკრული და გულში ვიტრიალებ მორეკვივით ბოღმას. ხან კი ისე დამცინის ბედი, რომ ჩემი დამცინავით ვიცინი. ვიცინი, მაგრამ ვაი იმ სიცილ. „ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია, რომ სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარეაო“, ჩემს გულში ნადები ამოუმდერებიათ. დიახ, მე უფრო ღრმად ჩამძირვია გული სევდის მორეკვში, ითასი ნაკვერჩხალი მიდაგავს სულსა, უფრო კი იმის დარდი მკლავს, რომ ქვეყანა დამცინის, თურმე. რა მაქვს დასაცინი?! ერთი უწყინარი და უბოროტო სული ვარ, კაცი მქვიან და თავზე ყალმუხის ქუდი მახურავს, აბა შემომხედეთ, რამხელა ულვაშები მასხია, რამდენი ღერი მომეთვლება. და არ დაგავიწყდეთ, ნამუსის საგირაოდ მიქცევია ყოველი ბეწვი. კაცი თვალებითა და სიტყვით გამოიცნობა. ჩამხედეთ ძროხასავით თვალებში, თუ ღალატი ამოიკითხოთ, ამიწონეთ თუ ფნეგაეთ აუწონავი სიტყვაც კი, თუ ორპირობის ნატამალი მიპოვოთ. სიტყვა მითქვამს და არ გამიტეხია ზოგზოგ დღეანდელი სიტყვის უსტაბაშეები. ეს უსამართლო წუთისოფელი ისე მომიჭამია, ეეზორციელისაც ის არ გამომირტყია სარმა, კაცის ცოდო არ გამომიყლეფია ამ გრძელ ქვეყნაში, მოწყალე გული მქონია, ჭიანჭველაც კი

გიორგი ხოროგუაშვილი
ცოცხალი სულები

შემბრალებია გასასრესადა. სიკვდილი მძულებია საკერაგოდ გაცინებული კაცივითა, მხოლოდ ჩემს ხელდ მიწაა და სამარეს დავჯერებულვარ, სხვისი წილი მზისთვისაც არ შემიხედია, ჩემს იქით არ გამიხედია, თუნდა ქვეყანა დაქცეულიყო, ჩემი და ჩემს კნენასს მეტი არაკენ და არაფერი მწამებია. ასეთი ღვთის კრავი ეყოფილვარ და მაინც ქვეყანა დამხითხითებს, თურმე. იმაზეც ფხუკუნებენ, ლუარსაბ თათქარიძეს ჭამა უყვარსო, ერთი მიბრძანეთ, ქრისტიანებო, რომელ სოლდომელს ეკარებია ჭამა-ყლაპვა, მაგისთვის არა ღერინა სისხლსა და ოფლსა? მაგისთვის არა ხოცავენ ერთმანეთს? ბევრი ნასწავლი კაცი ვერ გასცილებია მაგ ცხოველურ წესსა და ჩემნაირი უსწავლელი გაიმტყუნება?! ჰმ, თუ არა და, ერთ ბრძენ კაცს ხომ უთქვამს: ჭამა რომ არ გამოეგონებინა ღმერთსა, კაცს კაცი არ ერქმეოდაო. ნადირისაგან ვერ გამოირჩეოდაო. თუ რამე სიკეთეს ვუმადლით ქვეყნიერებას, მუცელს უნდა ვუმადლოდეთ. ჩემი მუცელი ვის მუცელზე ნაკლებია, რომ არ დავემადლიერითო... ჰმ! ბევრსა ჭამსო, რა კბილსა მჭრით, თქვე დედამამაგანათლებულებო, მადა მაქვს და ვჭამ. ჩვენი სოფლის სამუსიკო სკოლის დირექტორივით ხომ არ მოვიქცევი, დღეში რომ ხელისგულისტოლა პური არ უთავდება ამ თმაგამინდვრებულ კაცსა. თუ არა და, ვინ მოსთვლის მუცლის ჩემპიონებს. ჩემზე დიდი სტომაქი ჰკიდიათ. მარტო ჩვენს სოფელში რატო ექვსი დუქანი არ მოითვლება, ჭამაში ,რომ ტოლს არ დამიდებენ. ჩვენი კოლექტივის საწყობის გამგეს ერთი ქვაბი ხაშლამა არა ჰყოფნის ჯერზე, დახლიდარი ფეშქაშა იმ დღესაც დაუნიძლავდა ასაცალ ხინკალზე ერთ ნასტუმრეკ კაცსა და ას ოცი ცალი ქაფქაფა ხინკალი ეგრე ჩაკუნტვა იმ ტომარასავით ბარაქიან მუცელში, როგორც ას ოცი ცალი მზესუმზირას გული. მეპურე დიანოზასი არ იყოს, ეგეც მაგნაირი სანაძლეობითა ცხოვრობს, ჭამაზე რომ გაურიგდება ხოლმე უცნობ სარიფსა. ანდა ფერმის გამგეს დაკვლა ხელი, რომ მაკე ძროხასავით ... და ფეხსაცმლის შესაკერავადაც ვერ დაკუზულა, ოცი წელიწადია, თურმე საკუთარი ფეხისგულისთვის არ დაუკრავს თვალი... რა ეგენი, რა სხვები. მუქთა ბიჭებს რომ ეძახიან და სოფელში დარდიმანდობენ. დიდებს რო შეეგუშათ (ან რად უნდა შეეგუშათ), იმათზე უარესად ზოგი დედაკაცი და, ღმერთო, რა ნახეს ჩემმა თვალებმა. ბალღიც კი მეცლიანობს. იმდენს ერთი უცნობ ქალი ენახე, ისეთი ზონზოროსა, რომ ჩემს დარეჯანს მუცელში ჩაისვამდა. გუშინწინ არ იყო, ერთი ყმაწვილი რომ ამოატარეს „ვოლგითა“? გადმოვიდა მანქანიდან და ოსურ ტომარასავით გადმოათრია მუცელი. ვიღაც დიდი კაცის შვილი გამოდგა. ერთ ჯერზე ერთი ხბო არა ჰყოფნისო. ჰო, ბევრზე ბევრნი წამოდგებიან მუცლოსნები. აბა, უტეუარად გაზომეთ მაგათი მუცლებიც და ჩემიც და მერე დამცინეთ. მე ჩემს მამულში მოყვანილს მაინც ვუმადი და ესენი ვის ნაოფლარს მიაძღებიან ხოლმე, რატომ ამას არა კითხულობთ? ჩამოიქეცი, ცაო, ჩემი ცოდვითა და ამდენი უსამართლობითა, სასაცილონი ვინ არიან და ვის დასცინიან, ჰაი ჩემზე ათი თაბახით მეტნო ღორმუცელანო, რატო ჩემნაირი ნათლია არა გყავთ, რომ მთელი ქვეყანა ახარხაროს თქვენი გაპამპულავებითა. ვინ იცის რამდენი თაობის მადლს მოიისხამდა.

უსწავლელობაზე მჭრიან კბილსა. განა ეს საძრახისია, რა ჩემი ბრალია, დრომ არ მაღირსა სწავლა-განათლება, დრომ, ეგ ბედნიერება არა მქონია, ეხლახან ბავშვებს რომ ღირსებათო. კარწინ სკოლა უდგათ, წიგნები თავზე საყრელი, მასწავლებლებს ვერ დაითვლიან, მშობლები ეხვეწებიან და ეჩხუბებიან, გინდა თუ არა, ისწავლეთო. იმდღეს ჩემი მეზობელი ქალი შვინდის ხელეტეთი დასდევდა, რატო „ფრიადი“ არ მიიღეო, ყველა მშობელს ეგრე ეწვის გული, ჩემი დედ-მამა კი...

ყველამ იცის, ობლად გავიზარდე, საწყენედ ვინ მომაცალა, ანდა სხვა ვინა სწავლობდა, რომ მე მჭონდა თავში მოგროვების სიხარბე? უსწავლელი დავრჩი, მაგრამ ვის რა ვაენე ჩემი თავკარიელობითა, პირიქით, თუ რამე სიკეთე მჭირდა, უცოდინარობას ვუმადლი. ცხოვრებას რომ ჩავბღვერივარ, ერთი ანბი დამფარფატებს: ცოდნა ყოფილა დიდი სიკეთეც და დიდი უბედურებაც. თუ კეთილ კაცში მოექცა, ქვეყანას ააშენებს, თუ ბოროტში დაისადგურა, ქვეყანას დაანცევს. და განა ცოტა აეზნე ადამიანში 'ბინადრობს იგი! რაც უფრო ნასწავლია უკეთესი კაცი, მით უფრო ავის მქნელია. იმან უკეთ იცის, როგორ აისრულოს ბილწი ზრახვები. ცოდნა დიდი ძალაა და ამ სიღონიერეთი ადვილად ისრულებს შავ გულისწადილს, ძირს უკეთესად უთხრის სხვას და თუნდა მთელ ქვეყანასაც. ამდენი ნასწავლებელი გაიხსნა, საშუალო სკოლას იტყვი თუ უმაღლესსა, და იმიტომ მომრავლდნენ ავისმქნელები. შორს ნუ წავალთ, ჩვენი არტელის მთავარი ეკონომისტი ავიღოთ. ძაან ნასწავლი კაცია, ძალიან, მაგრამ რა გამოვიდა. საინტრიგანოდ ხმარობს ამ ცოდნას. სულ ჩვენიში და დავიდარაბაშია, თავმჯდომარემ მთელი კოლექტივი დაგვიქცია, მოგვეხეთეთ, გვიშველეთ რამეო. ეგ გააჩუმეს, ახლა სხვამ წაავლო საწერსა ხელი, იმასაც მოუქონეს თავი და კიდევ სხვა გამოჩნდა სოფლის გულშემატკივარი. ვიღას აღარ გაურბის ხელი შარიანი კალმისაკენ. ჩვენში დარჩეს და ბეერი ჭამს პურსა ჩიველითა და ბეზღობითა, სადღა აღარა ჩიეიან, რიღათი აღარ უთხრიან სამარესა ერთმანეთსა. მე კი ვისთვის დამიწერია საჩივარი? რომ ეშმაკს წაეცდინე კიდეცა, მაინც ვერ მოვახერხებდი. ასე გამაკეთილშობილა უსწავლელობამ და რად უნდა მჭრიდეთ კბილსა ანბაზე? ეჰ, მე ვიცი ვისაც აქვს მოსაჭრელი კბილიც და თავიცა, მაგრამ სად ვიჩივლო, ისიც არ ვიცი!

ჩემზე ეცინებათ ხოლმე, ყმების დაწოოკება უყვარდაო, მერე რა არის, ვტუქსავდი, რომ ყურები გამოგებეტეტ-ყათ და რიგზე მოაკიდებოდნენ. ეს ამბავი მაშ, როგორ უნდა მომეცალა ბინდ-ბელ-დედულისათვისა. ხანდახან ვუცაცხანებდი ხოლმე, მაგრამ გული კეთილი მქონდა. ეხლანდელები კი, თუ ვინმემ რამე დაუშავა, ლანძღვა-გინებას არ აკმარებენ და ცხელ გულზევე აფრენენ ხოლმე შტამბიან-ბეჭდიან ქაღალდსა. როგორც წაუჩურჩულებენ, ისეთ განაჩენს გამოატანინებენ ბედისმწერლებსა. ღმერთმა უწყის, რატომ უჯერებენ ან გამომძიებელნი, ან მოსამართლენი. ღმერთმა კი არა, მეც კარგად ვიცი, მაგრამ რაკი სხვები უთქმელობასა რჩიობენ, არც მე გავიღებ ხმასა. ეჰ, მე ვიცი, ვინც არიან დაცინვისა და უფრო მეტის ღირსნიც, მაგრამა...

იმასაც მიეიერნენენ, ვითომდა ძმის მოძღელე და მოშურნე ვიყავი, ერთი შეხედვით, თითქოს მართალი არიან ჩემი მოკიეინენი. დიახ, გულში არ მიჯდა ჩემი ძმა დათიკო, მაგრამ ეს ხომ თავისი ბრალი იყო და არა ჩემი. არ ვარგოდა და რა მექნა? დიდი ვირეშმაკა და თავკერძა ვინმე იყო, ჯერ კიდევ საქორწილო გამყიდა თხასავითა, მაგრამ იმდენად მოწყალე გული მქონდა, სამაგიეროს გადახდა არც კი მიცდია, უბრალოდ მძულდა, მეტი ხომ არა. დარეჯანის გარდა ვის გავაგებინე? ქვეყანაზე ხომ არ გამიდაღდაღონებია, ზოგზოგებს რომ სჩივვავთ ეხლანდელ დროში. სოფელში ხომ არ მომიჭრია თავი. ჩიველითა და ბეზღობით არ ამიტალახებია დიდ-დიდ კაცთა კაბინეტსი კარები. ამბა, გადასინჯეთ საჩივართა ნუსხები, როგორ დამძიმებულან ღვიძლ ძმათა და სისხლის ნათესავთა სამტრო განცხადებებითა. მე ხომ ეგეთები არ მიკადრებია არც ჩემი ძმისათვის და არც ჩემიანებისათვის. და რად ფიქრობდეთ ირიბი თვალითა? მაშ არ გავსცდე გულზე? მე ასე დამცინიან, და

გიორგი ხორგუაშვილი
ცოცხალი სულები

ეხლანდელ მომშურნესა და მაბეზღარას კი ვარდუკაილებით უფენენ გზასა.

ანდა რასაა ჰგავს ესა, კაცი კაცს ემეგობრება და ეძმობა მხოლოდ იმისათვის, რომ ცხოვრებაში ფონს გასასვლელად სჭირდება. ერთურთის ქებაში, მოჩვენებით პატივისცემაში და ერთგულების ფიცილში ამოსდით სული. თუ ვეღარ გამოადგებათ, უბოდიშოდ შეაქცევენ ზურგსა, ხოლო თუ საჭიროებამ მოითხოვა, უცებ გამოჰკრავენ სარმასა და სამარეში ჩასაშვებადაც ადარ დაენანებათ აქამდე ნაერთგულები და ამადნაფიცი მეგობარი. მე მართალია, ამაშიც უიღბლო ვიყავი, მეგობარი და ძმაკაცი არა მყოლია, მაგრამ ერთი წუთითაც არ ვიყადრებდი მაგნაირ ავკაცობასა. სულ ეხლახან მოიტანეს ამბავი, რომ რაიკავშირის თავმჯდომარე და ხე-ტყის ბაზის გამგე დიდი ძმაკაცები ყოფილან, უერთმანეთოდ ლუმა არ გაუღეჭიათ, ჭირსა სჭამდნენ, თურმე, ერთურთსა, მაგრამ დიდ სიყვარულს დიდი სიძულვილი მოჰყოლია. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართავთ და რისთვის?! სულ უბრალო რამისთვის. ხე-ტყის ბაზის გამგისათვის რაიკოპკავშირის თავმჯდომარის სკამი შეუთავაზებიათ, იმასაც უფრო სარფიან ადგილად მიუჩნევია, ჭკუაში დასჯდომია, დაჰკაბულება, მაგრამ რაიკოპკავშირის თავმჯდომარეს რომ გაუგია, დატრიალებულა, დიდი კაცი დაუხმარებია და თავისი სკამი გაუმაგრებია, შურისძიების გრონობა გაღვივებია. მამასისხლად გადაჰკიდებიან ერთმანეთსა, ადარ და ადარ მოუსვენიათ, საბოლოოდ ის შედეგი მიუღია, რომ ერთისთვისაც უგინებიათ დედა და მეორესთვისაც. ამნაირი მაგალითები იმდენი მესმის, სად დავტოო, ადარ ვიცი. ეგეთი პაწაწინა კაცები, რა გავამტყუნო, დიდები სჭამენ ერთმანეთსა — დიდები, ერთ დროს რომ ძმებივით ჰყვარებიათ ერთმანეთი და მერე დარეკეთ.

მე რომ მაგის მსგავსი რამ ჩამენინა. საქვეყნოდ გამამასხარავებდა ჩემი გაჭრენი, მათ კი ხახვივით შერჩათ და დიდი პატივით აცილებენ ცხოვრებას სცენიდან.

ანა, თუ იტყვით, ვისთვის ეს ფიქრია, ან ვინ გადამტარებია კისერზე ეგეთი მზაკვრობითა.

ეხლა კი ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე გუნებასა აგიმღვერეს ქურდობა, მოტყუება და მამაძაღლობა. სასადილოში ვერ შესულხარ, ოთხში ამოგიღებენ და ისე გამოგიშვებენ, მაღაზიაში შედიხარ და ზომაშიც გატყუებენ, წონაშიც, ხარისხშიც. სამკერავლოში შეხვალ და ფულით გიზომავენ შესაკერა, ტაქსში ჩაჯდები და ვალშიც ჩაგსვამენ. სახლის აშენებას განიზრახავ და სამუდამო სამყოფელზე დაგაწყვებინებენ ფიქრსა, მეტისმეტად მაგარი თავი არა გაქვს, საავადმყოფოს კარს მიგაყენებს სატკივარი და ბეწვის ხიდზე შეგაყენებენ, თუ ფული გაქვს, გაიელი, თუ არა და ჩაგიწყდება, უმაღლესის კარს წაეტანები და შიგ შუბლში დაგეჯახება, თუ მეტისმეტად მაგარი თავი არა გაქვს შუაზე გაგიჩეხავს. ყველაფერი ასეა და ჩემზე კი განუკითხავად ხითხითებენ. მოდი და, დამშვიდებით უცქირე ამ უსამართლობასა!

მე ჩემი მამულის ყადრი მცოდნია. ერთი მტკაცელი არავისთვის დამითმია, ჩვენი სოფლის მიწა-წყლის პატრონები კი ჩუმ-ჩუმად ჰყიდიან სანთავითაო მწის ნაჭრებსა, ჰყიდიან სასახლეარეებად თუ საგარაკოებად, ჰყიდიან ყველაზე და ყველაფერზე, შინაურზე და გარეულზე, ნაღდზე და ნისიაზე, ჰყიდნენ შეფარულად, ისეთ ოქმებს გაამანშალებენ, ისე დააკანონებენ უკანონობასა, რომ ვერავითარი ძალა ვეღარ შეცვლის, ასე მოხერხებულად ჰყიდიან სოფლის სახელითა; ხალხის სახელითა, მთელი საზოგადოების დასტურითა. ჰყიდიან თავისი მისახედ-მოსახედითა, წინაპრების სოფლავებიანად, ყველა ღირსებითა და ულირსობითა, მამული კი არა, ზოგ-ზოგმა ძალ-ფულოვანმა ლამის ჩვენი წილი მზეც გაგვიყიდონ, ვულიც გაგვიყიდონ და სულიც. მე ის მაკვირვებს, რომ ხმის ამმღები არა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინ არის. პირიქით, პირსაც უკოცნიან ამ ბედოვლათებსა, ჩემზე კი ასე ხარ-ხარობენ. მოდი და, ნუ აგიფეთქდება გული!

მემკვიდრისათვის ვგრეხდებოდი, რა-ლა არ მოლონია, სახელგანთქმული მკი-თხავებისათვის არა დამიზოგია-რა. ყველა რჩევა ყურად მიღია, ყველა ხე-რხი და ღონე მიხმარია, თელეთის ხატ-ში წასვლა არ დამზარებია, შესაწირი ჯორატი არ დამნანებია, სანთლებზე მი-ლოცია, ნემსის ყუნწში გავმძვრალვარ, რომ ერთი ნაშიერი მეცა მყოლოდა და თათქარიძეების გვარი გამემრავლები-ნა. ამდენი მივიოვგლახია მემკვიდრის გულისთვის.

ეხლა კი მუცელშივე ხოცავენ ნაშიე-რებსა, რომელი წელიწადი მობრუნდე-ბა, რომ ასამდე აბორტი არ გაკეთდეს ჩვენს სოფელში, ალრიცხულზე მოგახ-სენებთ, ჩუმ-ჩუმად მომორებულნი არ ჩამიგდია სათვალავში. ასეთ აქქართვე-ლობას სჩადიან, იმათი ხმისგამცემი კა-ცეშვილი არ არის, მე კი მომდგა ის ჩემი აშშენებელი ილია და საქვეყნოდ მომჩრა თავი.

ოჯახისა და ცოლის ერთგული ვყო-ფილვარ. ერთი ფუთითაც არ მიღალა-ტნია ჩემი კნეინა დარეჯანისათვის. სხვა ეჩემო ერთ წელიწადსაც არ შეინახა-ვდა ურწანა დედაკაცსა, სხვაგან დაი-წყებდა ბედის ძიებასა. მე კი ჩემი ლაზათიანი და ჭამა-სმიანი ცხოვრება პატიოსნებაში გამილევია, ჩემს მკლავ-ზე მწოლარე დარეჯანის მეტისთვის თითი არავისთვის დამიკარებია. სახლ-ში მეც ხომ მყავდა სხვა ჯილაგის ქა-ლი, ლამაზისეული, მშვენიერი გოგო-ნა, ტანით ვერ დაიწონებდა კაცი და სახითა, სხვა სხვა ეჩემო ხელუხ-ლებელს არ გაუშვებდა, მე კი, უბიწო და მარადქალწული წმინდა მარიამის წინაშე დავიფიცებ, ერთი თვალიც არ წამგორებია ნიფოზივით გოგო-ლამაზი-სეულზე. ერთხელაც არ გამოვლია გულში ავი გაწბრახვა. ეს განა ხმოლოდ დარეჯანის სიყვარულით და თუნდაც შიშით მომდიოდა, ამას ჩემი [illegible] ნამუსი არ მიშვებდა.

აბა, ზოგ-ზოგგები აიღე, რაებს აღა-რა სჩადიან. რაღა შორს წაიდეთ, ჩვენს ბუფალტერს თავისი თხუთმეტი წლის მოსამსახურე დაუფეხმძიმებია, მარტო ის რომ იყოს წითელი კოჭი, ვინ მამაძაღლი ამოიღებდა ხმასა, რაებ-აღარ მესმის, ნამუსიანი კაცის ყურში აღარ ჩაიშვება, ეხლანდელი მამაკაცები ერთ ღალატს არა სჯერდებიან, ნაირ-ნაირ საყვარლებს იკვლიან, აგერ ღვი-ნის ქარხნის დირექტორს თავისივე ლა-ბორანტი დაუსვია ხასად, ეგ მეთოთხ-მეტე ყოფილა რიგითა. მუსიკის მასწა-ვლებელს თავისივე კოლეგა მოუყვანია მეოთხე ცოლად, მაღაზიის გამგე-გამ-ყიდველი ისე დაიპარება ზოგ-ზოგ ნები-ერა ქალთან, როგორც წუწკი მელა. მეტს ნუღარ მთქმევინებთ. ფული აგი-ქებთ, ფული! ესე იცის მოყირჭებულმა ცხოვრებამ.

მე კი გაურყვნელი გული მდებია მკერდში, უცოდველი თვალებით მიც-ქერია დალოცვილი მზისთვის.

ეგრე ნამუსიანად მიტარებია გაუქუ-ჭყიანებული სახელი. ეგრეთი კაცურ-ადამიანური სიცოცხლით მიცხოვრია და მაინც ასე უწყალოდ დამცინიან.

დალოცვილო ილიავ, შენმა ზეკაცურ-მა მოწოდებამ, შენი ქეყნის სიყვარულ-მა და გულსტკივილმა შმორიან ჭაობში შემოგატოპინა. არავის შეუშინდი და არავის მოერიდე, მკლავები დაიკა-რწახე და წუმპეში დამიწყე ხელაობა, მიუგნებელში მომაგენ, ყურით ამო-მათრიე, ქვეყანას დაანახვე ჩემი თავი და აკინ-ახარხარე. აბა, მიიხედ-მოიხე-დე, ეხლანდელ ცხოვრებასაც ჩაუღრ-მავდები, რამდენი თავლაფდასხმული მოგედება ფეხებში, წასწვდი იმთაც ყურში, ბნის შუქზე გაათრიე, შენებურ-რად გაამასხარავე და აპამპულავე. რა-ღა! მარტო მე რა დაგიშავე, ქვეყნიე-რების ღირსო კაცო! ალბათ, ჩამაჩუმებ, ეხლა რაღა საჭიროა შენნაირ უმსგავ-სობის გამოყვანა სამზეოზე, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცური კაცები ვეღარ დაითვლება ჩვენს დაოლკულ მიწაზეო, დღევანდელი ამირანებისა და არსენების ჩრდილში აღარც კი ჩანან შენნაირი ჭაობისმოყვარულნო, მაგრამ ვინც არიან, ღმერთკაცო, ეგენიც შესცდებენ ცხოვრების ამღვრეულს და ამყრალებას, თანაც: რაღა ჩემი შეხსენება გინდა, დღესაც ბევრნი შეჰფარებიან კაცური კაცის სახელსა და მართლა არიან კაცები და ადამიანები?! არა. ისინი თამაშობენ მართალი, პატიოსანი ადამიანების როლსა, თამაშობენ ისე, რომ ერთი წუთითაც არ შეგეპარებათ ეჭვი, თუ ღრმად არ ჩაიხედეთ მათი სულის ჯურღმულებში. სწორედ მათ უნდა ჩამოგლიჯოთ ნიღაბი, თორემ ჩემნაირ პირღნოშებს ისედაც ადვილად ჩამოსწვდება კაცის მზერა.

როგორ უნდა ავიტანო უსამართლობა! „რომელ მხარეს კაოვო სამართალი, სად ვიჩივლო, რუსთაველ მკვდარია!“ — მეც თვალცრემლიანი . ვმღერივარ ამას.

რამდენს დამკინიან, როგორ უნდა ვიცოცხლო თავი. გასკდი, დედამიწავ, და თან ჩამიტანე! გაიფხრიწე, ცაო, და გადამყლაპე ბარემა! ნეტავი მაგდენი ცოდნა და მოხერხებულობა მაინც მომცა, რომ ჩამსვან რაკეტაში და სამუდამოდ მომწყვიტონ ამ ცოდვილიან ქვეყანასა. იქნებ, მთვარეზე მეპოვა სულის სიმშვიდე, მაგრამ საკმელ-სასმელი იქნება კია იქა?! აი ეს არის საკითხავი და თავსატეხი!“

ლუარსაბს ფიქრი შეუყოვნდა. კვლავ მიაპყრო გადმოგუდული თვალები ზეცას და თავისებური მტირალი ხმით დაიწყო:

„ყოფნა?... არყოფნა? საკითხავი აი ეს არის“...

— ლუარსაბ! — შეაწყვეტინა დარეჯანის მოალერსე ხმამ.

ლუარსაბმა იტკრინა.

დარეჯანმა უფრო გატყლარჭვით დაუძახა:

— აქა ვარ, აქა! — სევდიანი ხმით გაეპასუხა.

— რას აკეთებ, ჩემო ბაგრატ ალიბავ, მანდა?

— ჩემთვის ვარ და ვდარდობ...

— დარდი რომ არ იცოდი?

— ყველაფერს გასწავლის ეს უცნაური ცხოვრება.

— რამ გაგაბრძენკაცა, ჩემო ლუარსაბ?

— შენ არხეინად ხარ და მე კი ბოღმა მახრჩობს.

— რისი, ჩემო სულის ხიზილალავ. ლუარსაბი გაუტყდა.

— ეგ რა სადარდებელია, შენ იმაზე აამუშავე ეგ შენი სახელგანძმული ჭკუა-გონება, თუ ამაღამ ვახშმად რა გვექნება, ხვალაც რომელი აჯობებს ხბოს ჩაქაფული თუ ციცნის მწვადი.

— ჩემი ჭკუით, ბატკნის კანჭიცა თავისი ახალი ტყემლითა.

— ჰოდა, ეგრე, რაღა!

დარეჯანმა ასეთები შეიყოლია და მიზანსაც მიაღწია, ჩაღრუბლული გუნება გაუმზიანა, მაგრამ შავი ფიქრი ხანდახან მაინც დასცემდა გულზე ჩრდილსა. სწორედ ამ გულისდაბნელების დროს წამოიძახა:

— ერთი საწუხი კიდევ გამიჩნდა, დარეჯან!

— რისი, ადამიანო?!

— ხომ გესმის ახალ-ახალი ამბები.

— ბევრი რამ, შენ რომელი გაფიქრებს?

— ისა, რომ მაგრად დააცხუნეს.

— ეჰ, ჩემო ლუარსაბ, ბალღი ყოფილხარ, სოლომონ ბრძენი დამემოწმება, ბევრჯერ დაუცხუნებიათ ეგრე, მაგრამ ბევრი არაფერი შეცვლილა ამ ქვეყანაზე. ცხოვრება ისევ ისე მიმდინარეობს თავისი უხილავი კანონებითა, მდინარის ნაპირები ფერს იცვლის, თვითონ მდინარე კი არა. — ახლა დარეჯანი გაფილოსოფდა.

— საიდან იცი მაგდენი, დარეჯან?

— იმ ღამეს არ ლაპარაკობდა ჩვენს ტყრუშულ ღობესთან მომდგარი ორი ჯიელი, ყურებში რომ შუქი გასდიოდათ?

— ეგ აღარ მახსოვს, მაგრამ იმას კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიმეორებ, ეხლა ძაან გააცხუნეს, ძაანა.

— მერე შენ რა გადარდებს?

— ისა, რომა ჭაობი აღარ იქნება და მისი ბინადარნი გადაშენდებიან.

— ნუ ნაღვლობ, ჩემო ლუარსაბ. საბამ დედამიწა იარსებებს, არც ჭაობი დაილუკა და არც მისი ბინადარნი, ერთგან თუ დაშრება, მეორეგან გაჩნდება. დავუშვათ, რომ შენი ავი გუმანი გამართლდა, შენ რა გავიშვიშებს?!

— როგორ თუ რა. განა ჩვენ სიკეთე დაგვეყრება?!

— სხვამ იკითხოს, თორემ ჩვენ ისეთ ეარსკვლავზე ვართ დაბადებულნი, არასოდეს მოვკვდებით. ცას გაგვაყრ ღმერთკაცმა ილიამ, ცასა!

— არა, მაინც რა ვიცი... ეარა შუბლი ლუარსაბმა.

— ნეტა ერთი შენცა, მოგცლია! შენ ის მითხარი, ოჩხში დაჭერილ მურწაზე როგორა ხარ, ზომიერად შეზავებულ შაბში და მარილში რომ არის მოხარშული, აი, რო ჩალურჯდება და ჩაიტუკნება ხოლმე?

— მაგაზე ვაცივითა ეარ, მაგრამ კბილქვეშ მოსაქცევად უბარაქოა.

— ბარაქიან დეკეულის ფეშხოსაც ვერ მოვაყოლებთ, ჩვენი ნება არ არის?!

ლუარსაბმა ღიმილით ახედა ზეცას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზია ხეთაგური

ტრადიციად დამკვიდრდა „მაიაკოვსკის დღეების“ ჩატარება, რომელსაც საქართველოს მწერალთა კავშირი, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტი და პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი აწყობენ ხოლმე ქუთაისსა და მაიაკოვსკში.

1980 წლის ზეიმმა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ახალგაზრდა პოეტებს მოუყარა თავი.

შეხვედრამ ძალზე საინტერესოდ ჩაიარა.

აღსანიშნავია, რომ პირველად დაწესდა „მაიაკოვსკის დღეების“ სამი პრემია, სპეციალური ჟიურის გადაწყვეტილებით, რომელსაც უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე პოეტი ვიტალი კოროტიჩი ხელმძღვანელობდა — „მაიაკოვსკის დღეების“ პირველ ლაურეატები გახდნენ: მოსკოველი იური პოლიაკოვი, უკრაინელი ღუბონ გოლოტა და თბილისელი მზია ხეთაგური...

მკითხველებს ვთავაზობთ მზია ხეთაგურის ახალ ლექსებს.

იძნებ როგორმე...

როგორ არ მიყვარს გამოცდები!
მარტივ შეკითხვებზეც კი
ხშირად პასუხის გაცემა გიჭირს,
განა იმიტომ, რომ არ იცი...
ზოგჯერ, სურვილი არცა მქონია,
მაგრამ ისე, ჩემს უნებურად,
თუკი ვინმე გამომიცდია, —
რატომღაც თავად გაგწითლებულვარ.
სხვის მაგივრად შემრცხვება ხოლმე,
თითქოს რაიმე მომეპაროს,
ან მას კი არა, — ჩემს სულს
ემრუშოს.
მახსოვს, სკოლაში, ვინც ფრიადებს
ღებულობდა გამოცდებში —
იმავე დღეს, სულ უბრალო და
მთავარ საგანში —
მეგობრობაში — ორიანზე
უპასუხია...
რაში გვჭირდება ერთმანეთის ჩუმი
გამოცდა,
სულის კუნჭულებში ჩასაფრება,
ფხიზელი გონებით სიცრუის
ჩავლების
მძაფრი სურვილი,
რათა მერე უნდობლობამ და
გაცრუებამ იზეიმოს...

მე გამოცდებს არ მოგიწყობ,
თვალს ავარიდებ თვალთმაქცობას
თუკი შენში ჰყვავის და ხარობს...
აბა რად მინდა...,
განა არა სჯობს, შემოგცქეროდე
ნდობით თვალებში,
თვალებში, სადაც სიყვარული
ჩასახლებულა,
სადაც სითბოა, და გაღვივდება
მარცვალი
სიყალბისაც და გულწრფელობისაც?...
ჩემთან ნუ შიშობ,
მშვიდად გიყვარდეს და მშვიდად
გძულდეს,
ტყუილსაც მიეც გასაქანი და
სიმართლესაც;
მე არ ვაპირებ გამოვიძიო შენი
საუნჯე —
სიღატაკე ან ღირსება შენი...
და თუ მეძებარი ძალლივით
ყნოსვა ძლიერ განმივითარდა —
ვეცდები სურდო შევიყარო...
თუ შენი მხრიდან აღმოსავლდა მზე
; და სურნელი —
სახეს თამამად შემოვაბრუნებ...
ჩემი ნურასდროს შეგეშინდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე თავად ვშიშობ, თავად ვცახცახებ
რომ უნებლიე ჩემს გამოცდაზე
შენც უნებლიედ არ ჩაიჭრა...
მე ყველაფერს მოვიმოქმედებ.
რომ აგაცილო ეს გამოცდები;
იქნებ როგორმე დრო გავიდეს,
იქნებ როგორმე გადავურჩეთ
უნებურ კითხვებს,
იქნებ როგორმე მივაღწიოთ თეთრ
ფინიშამდე
და უგამოცდოდ გადავიდეთ
ჩვენი სიცოცხლის ნათელი წრიდან
იმ ქვეყნის ჩრდილში...
იქნებ როგორმე
იქნებ როგორმე...

ხმა

საზღვარი სახლს ჰყოფს,
ხალხს ჰყოფს, ოჯახსაც.
ჰყოფს ბაღებს, მინდვრებს,
ვაშლსაც კი გაჭრის ზოგჯერ შუაზე;
უსაფრდებიან მოსაზღვრეები
ერთმანეთის ჭირს და ქორწილებს
და ეკრძალებათ ფეხის დადგმა გაღმა
მიწაზე.
ისჯება მკაცრად კატაც და თაგვიც
— საზღვრის დამრღვევი,
თუ გაიპარა მაინც ვინმე — ეძებენ,
რათა
თავხედობისთვის გაასამართლონ
და თავის წილ ცას დაუბრუნონ.
ო, როგორ დასჯი ან დააბრუნებ
ჩემს ხმას, რომელმაც გადმოლახა
შენი საზღვარი...

●

ხომ შეიძლება, რომ სიკეთე
ჩემს თვალთა მიღმა გამოვლენილი
არც შემემჩნია
და სიტყვა „გმადლობ“
არც დასცდენოდა, რაღა თქმა უნდა,
ჩემს გულს და ბაგეს.
მაგრამ ხომ ხდება პირიქითაც,
როცა ჩემს თვალწინ, ხმამაღლა, აქვე,
ვით ყურისძირში ალიყურის
გალაწუნება
მომეჯახება ხოლმე ღვარძლი,
სიკვდილზე მძიმე...
ასეთ წუთებში მე ვიხსენებ
ჩემთვის უხილავ იმ კეთილ ღიმილს,
რაიც ბრწყინავდა ალბათ იმ კაცში,
რომელიც ჩემს ტვირთს ეწეოდა,
ანდა ეწევა;
მიადვილებდა და მიადვილებს
ნაღველს და ტკივილს
და შეხვედრისას, თითქოსდა მხოლოდ
ზრდილობის გამო,
სხვებივით მკითხავს: როგორ ხარ,
სად ხარ...
მეც სხვათაშორის ვპასუხობ:
გმადლობთ, არა მიშავს რა...
მაგრამ იმ წუთში იქნებ ძლიერ,
ძლიერ მიჭირდეს
ის ამას ამჩნევს თურმე, და იმ
ღვარძლს,
რაც მომხვედრია, ან რაც
მომეცალის, —
ფრთხილად მაშორებს.
ოღონდ არ ვიცი, ვინ არის იგი
მრავალრიცხოვან ნაცნობთა შორის,
მაგრამ ის არის!
და მის სიყვარულს
უჩინმაჩინის ახურავს ქუდი...
მე კი მას ახლა უმისამართოდ
უკიდეგანო მადლობას ვუხდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მეფისაშვილი

ოცნებათა სანაპირო

ფერად ნიღბებში ღიმილი ბავშვის...
და ოცნებათა სანაპიროს
ლამპიონებთან
ზღვაში დალუპულ გემის ლოდინი...
საშინელია...
ნუთუ გავგიჟდი
და სნეული გონება ჩემი
ჰქმნის ამ მირაჟებს
და მაცხოვრებს მე მათ წიალში?!.
თუმცა, ეს ბავშვი.
ეს მომღიმარი და სუსტი ბავშვი
მეცნობა, მაგრამ
არასოდეს, არსად მინახავს...
ის კი დგას მარტო,
ნიღბებში მარტო
და მოიმედე, დიდრონ თვალებით
მზისკენ მიმავალ ხომალდს აცილებს.

ბოდლერს

„მე დამაფასებს პოეტის ცრემლი"

ღამის სარკეში ჩრდილების დევნას
ვინ აუარა მითხარით გვერდი.
მოჩვენებითი ცხოვრების სევდა
იყო ოდიდან პოეტის ხვედრი.

იგი უსმენდა ნოტრ-დამის თაღზე
გაქვავებული ქიმერის ქვითინს
და ტავერნებში ათრთობდა ლანდებს
დამხრჩვალ ქალწულის ღიმილზე
ფიქრით.

ო, ეს ქალწული ვინ იყო ნეტავ?
რად უღიმოდა სიკვდილზე სენას?!
და აქეზებდნენ ლანდები ერთხმად
თავი მოეკლა და დაესვენა.

უცებ ლოთების სიცილში, კვამლში
წამოიძახეს „— ლექსები, ბოდლერს!.."
ერთიც არ იყო გამგები მათში
და მაინც, მაინც წაკითხვას
სთხოვდნენ...

და იგი დიდხანს აკმევდა ლექსებს
მოჯადოებულ ტავერნის გულში...
ვამპირზე, ქარზე, ქალწულის ბედზე,
რომელიც სენამ გარიყა გუშინ...

შემოღამებულ პარიზის ცის ქვეშ
მეძავთან ერთად ტიროდა მღვდელი...
და „ბოროტების ყვავილთა" წიგნზე
დღემდე ეცემა პოეტის ცრემლი.

●

И на грани пред вечной разлукою
В. Брюсов.

ვინ წარიტაცა ოცნება შენი,
ანდა ვის გაჰყვა ფიქრი — ეული?!.
არარაიდან ლანდების მფენი
რეკდა საღამოს ბინდი გრძნეული...
არარაიდან გეძახდა ვიღაც...
გზა — უდაბური... ცა — შორეული...
ლოდინი... ბარზე შემხმარი თიხა...
შენი ფერმკრთალი, ჩუმი სხეული.

● ● ●

ᲯᲐᲜᲘᲜᲣᲚ ᲓᲕᲘᲜᲯᲘᲚᲘᲐ

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲜᲐᲩᲥᲐᲠᲔᲕ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲖᲔ

ᲡᲝᲡᲝ ᲡᲘᲒᲣᲗᲐᲡ წერილი „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ“ გვიმეღვნებს ახალგაზრდა კრიტიკოსის რამდენიმე საგულისხმო დაკვირვებას. წერილის საერთო შინაარსმა, ავტორის დამოკიდებულებამ ამა თუ იმ კონკრეტული საგნისადმი არ შეიძლება კრიტიკულად არ განგვაწყოს სოსო სიგუას მიმართ და, ამდენად, მოსალოდნელია, ის რამდენიმე საგულისხმო დაკვირვება, რაც წერილში სხვადასხვა ადგილას გამოითქვა, შეუმჩნეველი დარჩეს. ეს არ იქნებოდა სწორი. ანგარიშგასაწევია სოსო სიგუას ზოგიერთი შენიშვნა ამა თუ იმ ავტორის შემოქმედების მიმართაც, მაგრამ კრიტიკიულ საკითხებზე გამოთქმული მოსაზრებების უყურეაქციამ, შესაძლოა, ნაღდი შენიშვნებიც გადარეცხოს. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ის რამდენიმე დაკვირვება შევახსენო მკითხველს. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ბევრმა არ გაიზიაროს ისინი. ჩემი აზრით კი ახალგაზრდა კრიტიკოსი გონებამახვილურ შენიშვნას გამოთქვამს, როცა წერს:

„ჩვენ მეტიმეტად დიდ ყურადღებას ვაქცევთ ორიგინალობას. ეს ცნება რაღაც უნივერსალური, ყოვლისმომცველი აზრით დავტვირთეთ. მაგრამ იმას კი ვივიწყებთ, რომ ორიგინალობას თუ პოეტური ენერგია არ მოსდევს, თუ შენს დამოუკიდებლობას და თავისთავადობას ძალა არ განამტკიცებს, ყოველი ცდა განწირულად უნდა ჩაითვალოს. აბა გადაეხედოთ, ჩვენს დღევანდელ პოეზიას. რამდენი ორიგინალური, მართლაც საყურადღებო ბმის პოეტი გვყავს. თითქოს არავინ არავის ბაძავს. ყოველ შემთხვევაში — მიბაძვა საძრახის საქმედ მიგვაჩნია. მაგრამ რა! ჩვენ ცოტა გვყავს კარგი, საინტერესო, შესანიშნავი პოეტები, მაგრამ გაცილებით ბევრი ორიგინალური, ისეთი, რომელიც სხვაში არ შეგვეშლება“.

მე ვერ ვიტყვი, რომ დღეს ცოტა გვყავდეს საინტერესო პოეტი. მაგრამ რაც შეეხება ორიგინალობის, როგორც ერთგვარი სენის, შესახებ განვითარებულ მსჯელობას, ამ შემთხვევაში სოსო სიგუას დაკვირვება ზუსტი მგონია. ორიგინალურობისაკენ ჩვენში ხშირად მართლაც ძალების შეუმოწმებლად ისწრაფვიან ხოლმე. საბოლოოდ ხელი გვრჩება ორიგინალურობის მიბაძვა და არა, თვითნებადი თავისთავადობა. ამ ავადმყოფობამ (მე ასე მოგნათლავდი მას) მოიცვა ბევრი ავტორი და ორიგინალურობის არსზე საგანგებო წერილის მიძღვნა ზედმეტი არ იქნებოდა, ალბათ, რაოდენ „პუბლიცისტტური“ არ უნდა გვეჩვენებოდეს მსგავსი თემები.

საგულისხმოა ერთი ასეთი დაკვირვებაც:

„საერთოდ პოემის ჟანრი ძალიან არაპოპულარულია ბოლო ათწლეულში, თვით ისინიც, რომლებიც განუზრახელად ესწრაფვიან ლირიკული პოემის დამკვიდრებას, მიხი ორიგინალური მოდიფიკაციების წარმოდგენას, თითქოს განზე გადგნენ, დაცხრნენ და თავიანთი უნარი სხვა კუთხით წარმართოს. ახალ თაობას არ მოუცია პოემის განსხვავებული მოდელი, არც დიდი ენერგია დაუხარჯავს ამ ჟანრის სფეროში. თითო-ოროლა, თუნდაც გახმაურებული ნაწარმოები, ისევ ლირიკის გავრცობაა, მისგან არის დავალებული (მაგ. ბ. ხარანაულის „ხეიბარი თოჭინა“.).

მთავარი ამ დასკვნაში ის არის, რომ პოემის შექმნაში მართლაც არ დაუხარჯავთ დიდი ენე-

რგია ქართველ პოეტებს ბოლო ათწლეულში. რაც შეეხება განსხვავებული პოეტის მოდელის შექმნაზე ჩამოყალიბებულ სიტყვაზე, მინდა სოსო სიგუას შევნიშნო, რომ პოეტის განსხვავებული მოდელის შექმნა ასე მარტივად, ასე მალიმალ არ ხდება და ამის მოლოდინი არც უნდა გვქონდეს „ახალი თაობისაგან“.

სოსო სიგუას არ უცდია და მისი წერილის საგანი არც ითხოვდა იმ მიზეზების კვლევას, რის გამოც შენელდა პოეტის შექმნის პროცესი ქართულ პოეზიაში. მაგრამ საგულისხმო და დამაფიქრებელია თავისთავად ფაქტზე მინიშნებაც.

წერილში სხვადასხვა ადგილას გაბნეულია ზუსტი მინიშნებანი და დასკვნები, მათი ტენდენციური ალქმა, ალქმა განაწყენებული კაცის პოზიციიდან არ იქნებოდა ლიტერატურული დამოკიდებულების მაუწყებელი. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, თვით სოსო სიგუას მისამართით უნდა ითქვას, რომ ამა თუ იმ ფაქტისადმი ლიტერატურული დამოკიდებულება ყველას მოეთხოვება, იგი კი საკამათო წერილში სწორედ ამგვარ დამოკიდებულებას ღალატობს, როცა ნაჩქარე დასკვნებს გვთავაზობს.

მე მომეწონა სოსო სიგუას მიერ არჩეული მეთოდი. იგი „ზეკარის“ ავტორების მიმართ შენიშვნისა და ქების სიტყვებსაც თამამად, დაუფარავად ამბობს. ვერ დავეთანხმები ვერავის, ვინც ამ მეთოდს შეეწინააღმდეგება. კარგის გვერდით ნაკლის აღნიშვნა კრიტიკის უნალდესი იარაღია და როცა მას კარგავს, კრიტიკოსი ფაქტიურად განიარაღებული რჩება. არსებობი ნაკლზე და არსებით ღირსებაზე მითითება მაქვს მხედველობაში. აქამდე გამოქვეყნებული წერილებში სოსო სიგუა ნაკლებ მიმართავდა ამ მეთოდს. ახალგაზრდა კრიტიკოსი თავს არიდებდა მწვავე შენიშვნების გამოთქმას. კარგის გვერდით ნაკლზე მითითების მეთოდი სოსო სიგუამ მხოლოდ „ზეკარის“ ავტორების მისამართით გამოიყენა. მაგრამ ერთია სწორი მეთოდის არჩევა (თუნდაც დაგვიანებით), მეორეა, ამ სწორი მეთოდის ზუსტად გამოყენება.

სოსო სიგუას წერილის ნაკლი დასკვნების ნაჩქარეგ გამოტანაში მდგომარეობს. მან ნაჩქარეგი დასკვნები გამოიტანა სახელდობრ კრებულ „ზეკარის“ შეფასებისას, „ზეკარში“ შეტანილი ავტორების საერთო ღირსებისა და ნაკლის გაანაზღვრისას, და კონკრეტულად - ამა თუ იმ მწერლის დახასიათებისას. ეს შეცდომები (ცხადია სოსო სიგუა მათ შეცდომებად არ თვლის) პრინციპული ხასიათისაა და ამდენად პასუხი უსათუოდ უნდა გაეცეს. არ დავმალავ და აქვე ვიტყვი, რომ პრინციპულად მიუღებლად მომაჩნია სოსო სიგუას შენიშვნები ჩემს წერილის მიმართვით. თუმცა, შენიშვნები ერთი შეხედვით შესაძლოა არც მწვავე მოგეჩვენოს, არც საგანგაშო.

სოსო სიგუა ცდილობს „ორივე ფაფაში ერთ ერთერთოულად. შეიფასოს კრებული „ზეკარი“, მასში წარმოდგენილი ავტორების ნაწარმოებები და ამავე დროს კრებულში შეტანილი პოეტების, პროზაიკოსების, მთარგმნელების და კრიტიკოსების მთელი შემოქმედება; შეიფასოს ისინი, როგორც ერთი თაობა თავისი ნაკლოთა და ღირსებითი. იმედი მაქვს, სოსო სიგუა დამეთანხმება, რომ ეს ამოცანა ფრიად საპატიოც არის და საძნელეოც. კრიტიკოსი გაგებულად შეეკიდა მას და ნუ ეკიჭნეთო უსამართლონი, ნუ მოვითხოვეთ ამოდენა საქმისათვის შეუმცდარად თავის გარეშეეგს. სოსო სიგუამ ანგარიში ვერ გაუწია იმ გარემოებას, რომ ძნელი თემის შთაბეჭდილებებით ამოწურვა შეუძლებელია და რომ ნაჩქარეგი დასკვნები მოეძალებოდა. ვერ გაითვალისწინა, რომ „ზეკარზე“ შეტანილი ყველა ავტორის მიღმა ხუთი, ექვსი, შვიდი წიგნი დგას. ვერ გაითვალისწინა, რომ ზღვა მასალის შთაბეჭდილებით გაზომვა და მერე დასკვნების სიზუსტის პრეტენზიით მოწოდება შეუთავსებელნი არიან.

სოსო სიგუა წერილის დასაწყისში „შემდგენელთა ჩანაფიქრს“ ახსენებს. უნდა შევუწყოთო: შემდგენელთა და ავტორთა (და არა მარტოოდენ შემდგენელთა) ჩანაფიქრით განხორციელდა „ზეკარის“ გამოცემა. რატომ, რა მიზნით, ამაზე თვითონ წერს სოსო სიგუა პირველსავე აბზაცში და, სხვათა შორის, ამდენი ხაზგასმა ავტორთა ეთილშობილურ გადაწყვეტილებაზე საკმარი არ არის. „ზეკარი“ გამოვიდა ქართული მწერლობის სახელით, გამოვიდა როგორც ქართული მწერლობა. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ „ზეკარში“ ძირითადად (ძირითადად და არა მთლიანად) ერთი თაობის ძალები გაერთიანდა, ამაში მოულოდნელი და საგანგებო არაფერია. იდეა „ზეკარის“ გამოცემისა, იდეა ჰონორარის ძიებათა დაცვის მთავარი სამმართველოსათვის გადარიცხვისა დაიბადა სწორედ ამ ახალი თაობის დისკუსიაზე გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ რამდენიმე წლის წინათ და, ბუნებრივია, რომ იდეას ისევ დისკუსიაში მონაწილეთ თაობამ შეასხა ფრთები. ამიტომ სავსებით ბუნებრივად მოხდა, რომ „„ზეკარში“ არსებითად ერთი თაობის ნაწარმოებები გაერთიანდა, თაობისა, რომელსაც გურამ კასითაანმა სამოცდაათიანელი უწოდა, ხოლო სოსო სიგუა ახალ თაობას უწოდებს. ასევე ისახებოდა ტრადიციულად ყოველი კარგი საქმის იდეა ერთი თაობის მწერალთა შორის და ძირითადად მეთივე ხელით ესხმებოდა ხორცი.

სასიამოვნოა, რომ უნებურად მეორე საქმეც გაკეთდა. კრებულში მოიყარეს თავი ერთი თაობის მწერლებმა და დღეს საშოალება გვეძ-

ლევა, მათი შემოქმედების ნაკლსა და ღირსებებზე ვილაპარაკოთ. რა თქმა უნდა, კრებული მხოლოდ ამ მიზნით რომ გამოცემულიყო, ერთი სიტყვით, მისი უპირველესი მიზანი თითბის სახის წარმოჩენა რომ ყოფილიყო, მაშინ ავტორები უფრო ორგანიზებულად წარსდგებოდნენ მკითხველის წინაშე. უფრო სრულად წარმოაჩენდნენ თავიანთ შესაძლებლობებს. თავიანთი ნაწარმოებებიდან მართლაც მხოლოდ საუკეთესოს შეიტანდნენ კრებულში, მაგრამ არც იმის თქმა იქნებოდა ზღარი, თითქოს ავტორებმა „კრებულში შეიტანეს ადრე დაუბეჭდავი და არა საუკეთესო ქმნილებანი" (სოსო სიგუა). კრებული „ზეკარი" ახალი თაობის ნაწარმოებთა ანთოლოგია რიდია, რომ მხოლოდ საუკეთესო ქმნილებანი ვეძებთო მის ფურცლებზე, მაგრამ მასში არამც და არამც არ მოგვიოთავსებია ადრე დაუბეჭდავი, ავტორთაგან მოძღებული ნაწარმოებები. ასე რომ კრებული „ზეკარი" იქნებ სრულად არ გამოხატავდეს ავტორების მთელ შესაძლებლობებს, მაგრამ ისიც გარკვევით უნდა ითქვას, რომ „ზეკარი" შეტანილია ბევრი უალრესად საინტერესო ნაწარმოებები. მოთხრობები, თარგმანები, წერილები. ერთი სიტყვით, თუ კვეხნად არ ჩამოგრთმევა (კრებულში, ჩემს გარდა, ოცდაბუთი ავტორია წარმოდგენილი) „ზეკარი" არის საინტერესო წიგნი თემატურადაც, მხატვრული დონითაც, შინაარსითაც. სოსო სიგუას თქმისა არ იყოს, „ამ წიგნში არაერთი კარგი და საინტერესო ლექსი არის დაბეჭდილი. ყველას მოლიანად ვერ შევეხები, ცალკე ვერ გამოვყოფ"... მართლაც ასეა.

სოსო სიგუა ერთმანეთთან აერავებს პრესის ფურცლებზე ავტორის გამოჩენას და ლიტერატურაში მწერლის მოსვლას. დიახაც, 60-იან წლებში გამოსცეს კიბელი წიგნები ლ. სტურუამ, თ. ალუფალიძემ, გრ. ჯოლუბიძემ, ბ. ხარანაულმა, მ. ჯაფუტიამ, ტ. მეტბერაშვილმა, მ. ნოდელიძემ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი მწერლობაში 60-იან წლებში მოვიდნენ. ისინი გამოჩნდნენ 60-იან წლებში, უფრო სწორედ 60-იანი წლების ბოლოს. ლიტერატურული თაობების მოსვლაზე მსჯელობის ტრადიციას პროფესიონალებმა კრიტიკოსებმა პატივი უნდა ეცეთ. ეს პირობითი განსაზღვრანია, მაგრამ ამგვარი პირობითობის გარეშე ლიტერატურული ცრეტიკა ნაბიჯს ვერ წადგამს წინ. განა ითარ ჭილაძე, ტარიელ ჯანტარია, ზაურ ბოლქვაძე, მორის ფოცხიშვილი, გივი გეგეკორი, ემზარ კვიტაიშელი და სხვები არ ისტაბლებოდნენ 50-იან წლებში. მაშინ „პირველი სხივი" გადავშალთ, 1954 წელს გამოცემული. ან „ცისკრის" დაარსება რას მოსხენებს 1957 წელს? ისინი ხომ სისტემატურად ისტამბებოდნენ „ცისკრის" ფურცლებზე! მაგრამ ეს იყო გამოჩენა. რაც შეეხება ლიტერატურაში მოსვლას — საკუთარი სტილით, მსოფლგანცდით, ტემპერამენტით, თემატიკით დამკვიდრებას, ეს ერთბაშად არ ხდება. ეს მოხდა მეოცე საუკუნის ამიტომ ეწოდა მათ „ხამოციანელნი" ასევე პირობითად. ეგ სულ ერთია, მოკვნენის თუ არა ჩვენ ეს სახელი — „ხამოციანელნი", „ხამოცდაათიანელნი", ფაქტია, პოეტები და პროზაიკოსები, რომლებიც 1954 წლიდან ისტამბებოდნენ ჯერ „პირველი სხივისა", ხოლო შემდეგ „ცისკრის" ფურცლებზე, ქართულ ლიტერატურაში სინამდვილეში მაინც 60-იან წლებში მოვიდნენ.

ასევე უნდა განვასხვავოთ პრესის ფურცლებზე ლ. სტურუას, თ. ალუფალიძის, გრ. ჯოლუბიძის, ბ. ხარანაულის, მ. ჯაფუტიოსის, ტ. მეტბერაშვილის, მ. წოლელიძის და მათი თანამოლგბის გამოჩენა ლიტერატურაში მათი მოსვლისაგან. აჯ ჩამოთვლილმა მწერლებმა ი. ორჯონიკიძემ, რ. ამაშუკელმა, გ. ალბაზნიშვილის, თ. ბეკნაშვილის, გ. პეტრიაშვილის, ჯ. ფხოველის, ხ. პაიკაძის, გ. ბაჭანიის, ჯ. ქარჩხაძისა და სხვათა გვერდით ნაწარმოებები 60-იან წლებში გამოაქვეყნეს. მაგრამ ისინი მწერლობაში მოვიდნენ უფრო გვიან. როდესაც შეიძლეს (ცხადი. მეტ-ნაკლებად) საკუთარი სტილი, მსოფლგანცდა, თემატიკა, ტემპერამენტი. უფრო სერიოზულ მდინარებად ექციან. ამიტომ მეჩვენება მე სოსო სიგუას დასკვნა ნაჩქარეი, როდესაც წერს: „ინტაციანი ნათქვამია, რომ „ზეკარი" ხამოცდაათიან წლებში არეკნაზე გამოსული მწერლების კრებულია. რა თქმა უნდა. ეს არ არის სწორი. 26 ავტორიდან 70-იან წლებზე 3-4 თუ არის გამოსული." სოსო სიგუა ამ შემთხვევაში უარყოფს რა. ჯორიკ გურამ ასათიანის, ასევე კოპა იმედაშვილისა და ჩემს მოსაზრებას „ხამოცდაათიან წლებში" მოსული თაობის შესახებ. რად გვინდა ან ეს ან ამრიგნი ისეთი ლიტერატურა, სადაც ახალი თაობები არ მოდიან. საინტერესოა, მაინც რატომ გვაშინებს ახალი თაობის მოსვლის ფაქტი. რატომ გვსურს უარყოფთ ეს მოვლენა. მაშინ, როდესაც იგი მოხდა უკვე. უნებურად წამოტივტივდა კვლავ ამასწინანდ გამართული დისკუსიის საკითხები. ამ დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილე მეცა ვარ გურამ ასათიანთან ან კოპა იმედაშვილთან ერთად. როგორც ჩანს, ის საუბარი უალრესად დროული და საჭირო ყოფილა, რაკი აზრთა სხვადასხვაობა ასე გამოიტეხს ხოლმე. სოსო სიგუას წერილი იმის საბუთია, რომ ახალი თაობის ცნობიერა და აღიარების საკითხი ბოლომდე განათვიერა არ არის. ლიტერატურული ცხოვრებაზე კი კარგად არ იმეტყველებს ამ მოვლენებისადმი წაკრუნება. თუ რა ოდენ მნიშვნელოვანი სერიოზულია ხამოცდა-

ჯანსულ ღვინჯილია
კასეული ნაჩქარევ დასკვნებზე

თანაში წლების ლიტერატურაში მოსული პოეტების (სულ ერთია, „ვერლიბრისტები“ იქნებიან ისინი თუ „კონვენციური“ ლექსის ავტორები), პროზაიკოსების, მთარგმნელების, კრიტიკოსების შემოქმედება, ამის შესახებ ხუთბარი იყო გურამ ფხათაძის წერილში „პოეზია და სხვა“ („ცისკარი“), კობა იმედაშვილის პასუხში „ბუნდოვანი პროფილი“ („ლიტერატურული საქართველო“) და ჩემს წერილებში „თამბა“, „ბუნდოვანი პროფილის გამო“ (ორივე „კრიტიკა“). ამდენად, ეს სიტყვას ალარ გავაგრძელებ. თუმცა, ნებით თუ უნებლიეთ, მაინც ამაკეთ თამბის შესახებ მოგაწოდეს ლაპარაკი. ერთ რამეში აქვე უნდა შევთანხმდეთ: არდანახვა დიდი უმადურობაა და დიდი უსამართლობაც ერთსა და იმავე დროს. თამბების გათიშულობას ის კი არ ნიშნავს, რომ ახალი თამბის მოსვლა ვაღიაროთ. მის მიერ მოტანილი სიახლე შევიფასოთ და ადგილი მივუჩინოთ საერთო ლიტერატურულ პროცესში; თამბათა გათიშვა იქიდან იწყება, როდესაც ახალი თამბის დამსახურებას არ დავინახავთ და მისგან მოტანილ სიახლეს არ ვაღიარებთ. აი, ეს უგულისხმოობა მოახსენებს თამბათა გათიშულობას და წარმოშობს დაპირისპირების ტენდენციასაც. ჩემს წერილში („კრიტიკა“ № 2, 1980 წ.) ვოქვი და აქაც გავიმეორებ, რომ სამოცდაათიან წლებში მოსულმა თამბამ ვერლიბრთან ერთად იმდენი სიახლე შეიტანა პოეზიასა და პროზაში, რომ ამის არდანახვა წმინდა წყლის უსამართლოობაა. მაშასადამე, არავითარ ნაკადზე, რომელიც თითქოს საერთო პროცესს შეუერთდება, ლაპარაკი არ უნდა იყოს. ბაბედიერად, თავისი სახე აქვს სამოციან წლებში და სამოცდაათიან წლებში მოსულ თამბებსაც და ისინი, უფროსი თამბების მწერლებთან ერთად ადარეოებენ ეროვნული მწერლობის კალაპოტს. მე სრული იმედი მაქვს, მომდევნო თამბაც რაღაც ახალს, საინტერესოს, ჯერ სახელდაუდარმეველს გვინმაგებს, როცა ეს სიახლე გამოიკვეთება, მისი დანახვაცა და აღიარებაც არ უნდა დავიგვიწყოთ.

ახლ რომ, მე ვერ დავეთანხმები სოსო სიგუას შემდეგ მოსაზრებას: „ამდენად ნაკლებ საინტერესოა, ვინ არის „სამოცდაათიანელი“ და ვინ კიდევ „სამოცდაათიანელი“. დღეკვანდელი ლიტერატურა მომავალს გადაეცემა არა თაობათა კავშირით და ერთობით, არამედ ინდივიდის ძალითა და ღირსებებით. პოეზიისათვის კოლეტივიზმი ბევრს არაფერს ნიშნავს“.

მე ისეთი ხედვის კრიტიკოსისაგან, როგორადაც წარმოშობდენია სოსო სიგუა, მიუზეადავად ნაჩქარევი დასკვნებისა, ამგვარ განცხადებას არ ველოდი. და, სხვათა შორის, არც ახლა მჯერა, რომ იგი ამ სიტყვებს გულწრფელად წერდეს. თაობების გათიშულობისა და დაპირისპირების მომხრე რომ არავითარ შემთხვევაში არ შემიძლია ვიყო, ამის შესახებ ვფიქრობ, გარკვევით ვთქვი ბევრჯერ ამ საკითხზე და კობა იმედაშვილთან კამათში. მაგრამ მე ვერც იმის მომხრე ვიქნები, სინამდვილეს არ ვხედავდეთ, არ ვხედავდეთ ამას, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ (პირობითად ათწლეულზე უწოდეს ამ პერიოდს მკვლევარებმა!) მწერლობაში მოდის განსხვავებული მსოფლმხედველობის, სტილის, ტემპერამენტის თაობა და მოაქვს გარკვეული სიახლე. მე პირადად, პროფესიონალ კრიტიკოსს თაობების პირობითობაზე საუბარს არ ვაკადრებდი. ისედაც ცხადი უნდა იყოს, რომ ერთი დროის მწერლებს შორის საერთო ბევრია და იმ საერთოს გამო ხდება საკირო და აუცილებელი მსჯელობა ტიპოლოგიურ დაჯგუფებასა და ტენდენციებზე, მსჯელობა ინდივიდუალურ თვისებებზე. ამ საერთო ნიშნებზე საუბარი რომ საჭირო და აუცილებელია, ამის დასამტკიცებლად მე სოსო სიგუას თავისივე წერილიდან მოვუტან რამდენიმე მაგალითს.

თუ არა ერთი, თაობის საერთო ნიშან-თვისებებზე საუბარს, სხვას რას უნდა ნიშნავდეს სოსო სიგუას სიტყვები:

„პირველ რიგში მე მინდა შევჩერდე ავანგარდისტ პოეტებზე, რომლებიც თავიანთი მსოფლგანცდით, სტილით, პოეტური ტემპერამენტით გაბატონებულ გემოვნებას ეურჩებიან და ახალი გზისკენ გვიხმობენ, ახალ ორიენტირს კვლისაბვენ მიზნად. არ ირჩევენ საშუალო ხაზს ტრადიციულსა და ავანგარდისტულს შორის“.

თუ არა ერთი თაობის საერთო ნიშან-თვისებებზე საუბარს, სხვას რას უნდა ნიშნავდეს სოსო სიგუას სიტყვები:

„უნდა ითქვას, რომ ახალი თაობის პოეტური ევოლუციის ბაზა ზევით მიდის და მათი ყველა ახალი წიგნი მეტი ემოციურობით, კოფფესიონალიზმით და ეზოთერიკა დატვირთვით გამოირჩევა. სრული იმედი უნდა გვქონდეს, რომ ისინი ხვალ და ზეგ კიდევ უკეთეს ლექსებს დაგვიწერენ“.

თუ არა ერთი თაობის საერთო ნიშან-თვისებებზე საუბარს, სხვას რას უნდა ნიშნავდეს სოსო სიგუას სიტყვები:

„ახალი თაობის პოეტების მეტი ნაწილი კონკრეტული საგნებიდან გადმოდის, ფსიქიკა, ფსიქიოლოგიური საგნებიდან გადმოდის, ფსიქიკა, საგანი, სიტყვა — ამ სამ მარადიულ ტრიადაში მათთვის მთავარია პირველის მტკიცე შეუღლება მეორესთან“.

თუ არა ერთი თაობის საერთო ნიშან-თვი-

სებებზე საუბარს, სხვას რას უნდა ნიშნავდეს სოსო სიგუას სიტყვები:

„ახალი თაობის სპეციფიკური თვისება არის ის, რომ იგი არ ცდილობს კანონიკური ფორმების ერთგულებას, ეარრების საზღვრების დაცვას და უფრო ქართული მრავალგვარობის, მიღწევის ლამობს, როდესაც იშლება ლირიკის, ლექსის, პოემის, პროზაული ეტიუდის სახეები".

უფრო ქვემოთ:

„ახალთაობის პოეტების ნაკლია თემატური შეზღუდულობა, ერთნაირი მასალით ვარიობა, ყველასთვის საერთო ბავშვობის შთაბეჭდილებათა ასახვა და ინ (კუთხის ქება, საიდანაც გამოვიდნენ".

თუ არა ერთი თაობის საერთო ნიშან-თვისებებზე საუბარს, სხვას რას უნდა ნიშნავდეს სოსო სიგუას სიტყვები:

„ახალთაობის პოეტებმა თითქმის უარყვეს ოდგროსა სატრფიალო, ისე მოქალაქეობრივი მოტივები. მათ რაღაც შუალედური, ხაზის მოძებნა არრიეს ამ ორ განსხვავებულ გრძნობას შორის".

ვფიქრობ, სოსო სიგუა დამეთანხმება, რომ აქ მოტანილი, მისი სიტყვები რადიკალურად ეწინააღმდეგება მისსავე უარყოფით მოსაზრებას თაობათა „კავშირზე".

მაგრამ იქნებ გვეჩვენება, თაობათა საერთო ნიშნებზე საუბარი ინდივიდუალურ თავისთავადობას, ტალანტს ორგანულურობას ემუქრება? არამც და არამც! ტალანტის ორიგინალობას სწორედ საერთო პროცესიდან მისი ხელოვნურად მოწყვეტა და გამოყოფა ემუქრება. ტალანტის როლი და სიდიადე განისაზღვრება იმით, რამდენად სხვებზე უკეთ და სრულად, რამდენად მაღალმხატვრულად გამოხატა მან თავისი ეპოქის საოქმელი, ეპოქის სული და არა იმით, გაეთიშა თუ არა იგი საერთო ლიტერატურულ პროცესს და უარი თქვა თუ არა თავისი დროის, თავისი თაობის საერთო საათქმელზე, საერთო სატკივარზე, საერთო ფორმებსა და სულისკვეთებაზე. მე მეჩვენება, რომ ლიტერატურული პროცესის, როგორც საერთო მოვლენის არსებობაზე ეაბმით უარს, როდესაც გვინდა გამოკვეთილი ტენდენციების არსებობა უარვყოთ.

მშვენივრად გრძნობს ამ საფრთხეს სოსო სიგუა და აცხადებს კიდეც: „რასაკვირველია, „ახალთაობა" პირობითი ცნებაა და ის სრულებითაც არ ნიშნავს, რომ დღეს მოსული პოეტების ჯგუფი რაღაც ერთიან სისტემას ამკვრდებენ, რაღაც საერთო ორდენს ქმნიან. მას მნიშვნელობას აძლევს დროის მდინარება, და ოგივე დრო უსაგნო ტერმინად აქცევს ხოლმე". დავუშვათ, ეს სრული ეეშმარიტებაა, მაგრამ ხანდ რო უსაგნო ტერმინად აქცევს „ახალთაობას". მანამ კრიტიკული აზროვნება ვალდებულია თუ არა ახლად მოსული თაობის საერთო თვისებებზე და ინდივიდუალური შესაძ ებლობებზე ილაპარაკოს? მაგ (((

აღიარებს ახალი თაობის ბევრ საერთო ნიშნსა და ტენდენციებს? სხვათა შორის, სოსო ხიგუა თვითვე უარყოფს თავის მეორე შეხედულებასაც იმის შესახებ, თითქოს „ზეკარის“ ავტორები ხამოდდათთან წლებში კი არა, 60-იან წლებში მოვიდნენ ლიტერატურაში.

სოსო სიგუა წერს: „ბესიკ ხარანაულმა 70-იან წლებში იგივე ფუნქცია შეასრულა თავისი თაობისათვის, რაც ოთარ ჭილაძემ 60-იან წლებში“. თუკი ბესიკ ხარანაული და მისი თანატოლები, 60-იან წლებში მოვიდნენ და ხამოდდათთანებელთან კი შეიძლება იწოდებოდნენ, მაშინ როგორ მოხდა, რომ კრიტიკოსის სიტყვებით იგი თავის ფუნქციას 70-იან წლებში ასრულებს? ე. ი. სოსო სიგუა სწორად გრძნობს ლიტერატურული პროცესის უმნიშვნელოვანეს ფაქტებს და ბუნებრივად მიუვეს ზოგ შემთხვევაში მსჯელობა ამ ფაქტებზე. მაგრამ რატომღაც მიზნად აქვს დასახული ახალთაობის არსებობის უარყოფა და სხვებისაგან დამკვიდრებული ტერმინების — ხამოციანელებისა და ხამოცდაათიანელების უკუგდება. ამიტომ ამ საკითხზე მსჯელობა ხელოვნური, ნაძალადევი და ალეგიური გამოუდის.

ბუნდოვანი, მეჩვენება კონკრეტულ პოეტებად ბ. ხარანაულის, თ. ბეკნაშვილის, ი. ორჯონიკიძის, მ. ჯგუბერიას, მ. წიკლაურის... და სხვათა გამოცხადება. რაკი არსებობს კონკრეტული პოეზია, ტერმინი კონკრეტისტის ფრთხილი ხმარება გვმართებს. ცხადია, სოსო სიგუა კონკრეტული პოეზიის წარმომადგენლად არ შეიძლება თვლიდეს და არც თვლის ამ ჩამოთვლილ პოეტებს, სხვა რამ აქვს მხედველობაში, მაგრამ კომენტარების გარეშე კონკრეტისტებად ზემოთ დასახელებული პოეტების გამოცხადება მკითხველს უთუოდ დაანეგვს ამასთან, ასეთი დაუზუსტებელი ტერმინი აკნინებს ბ. ხარანაულის, თ. ბეკნაშვილის, ი. ორჯონიკიძის, მ. ჯგუბერიას, მ. წიკლაურის და სხვათა საინტერესო შემოქმედებას.

ერთ ადგილს სოსო სიგუა ვერლიბრის მიმდევარი პოეტებისაკენ მოითხოვს, რომ მათ უსათუოდ გაიარონ კლასიკური ლექსი როგორც ოსტატობის სკოლა. ამ მოსაზრების უასუხოდ დატოვება ყოველად შეუწყნარებელია. ჩემი აზრით, სოსო სიგუა სულ სხვას გულისხმობდა და სულ სხვა კი გამოუვიდა ნათქვამი. არ ვიცი, რიხი თქმა სურდა მას, მაგრამ ფაქტიურად თქმულია: კლასიკური ლექსი, როგორც ოსტატობის სკოლა ვერლიბრის მიმდევრობამ აკეთრმა უსათუოდ უნდა გაიაროსო. ისეთი შთაბეჭდილებაც გვექმნება, თითქოს სოსო სიგუას მსჯელობის მიხედვით კლასიკური ლექსი მხოლოდ ოსტატობის სკოლაა, ეს ფაზა ვერლიბრისტმა იმის დასამტკიცებლად უნდა გაიაროს, რომ ლექსის წერა შეუძლია და შემდეგ გადავიდეს „უფრო რთულ ფორმაზე“. რა თქმა უნდა, ერთი წუთითაც არ უნდა შევიტანოთ ექვი იმაში, თითქოს ახალგაზრდა ავტორებს ლექსიკური ლექსის ხილვიადნ, ნაღდად, ... ხილვიმისა და ყოველსმომცველობის არ სწამდეს. სწორედ ამიტომ მეტყველებს წერილში გამოთქმული მოსაზრებებიის ნაჩქარეობაზე აღნიშნული მაგალითიც სხვა მაგალითებთან ერთად.

სოსო სიგუა მიგვანიშნებს საფრთხეზე, თითქოს თავისუფალი ლექსის ბეგემონია იყოს მოსალოდნელი. არა მგონია ასე იყოს. კლასიკურ, კონვენციურ ლექსს იმდენი უალრესად ნიჭიერი პოეტი ერთგულებს, რომ რომელიმე ფორმის ჰეგემონიაზე ლაპარაკი ამაო შეშფოთებად მიმაჩნია. არგუმენტის სიმტკიცეში დაბარწმუნებლად გავიხსენით ისინი: ანა კალანდაძე, ირაკლი ababაძე, რევაზ მარგიანი, გრიგოლ ababაძე, კოლაუ ნადირაძე, შოთა ნიშნიანიძე, მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჭილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ტარიელ ჭინტურია, ნაზი კილასონია, მედეა კახიძე, გივი გეგეჭკორი, ემზარ კვიტაიშვილი, მორის ფოცხიშვილი, ზაურ ბოლქვაძე, იზა ორკრონიკიძე, მუხრამან ჯგუბერია, რეზო ababუაელი და სხვები. ერთგულებენ ახალგაზრდა პოეტები.

რაც შეეხება ვერლიბრის მოდად აღქმას და მოდით გაგაცევინან ზოგიერთი ავტორის შემოქმედებაში, ამ მოკლესახს სოსო სიგუა სხვა კრიტიკოსებთან ერთად უნდა ეგრძოლოს და ახალ ფორმას ხელი შეუწყოს თავისი ბუნებრივობის შენარჩუნებასა და თავისი ადგილის დამკვიდრებაში. რადგან ვერლიბრი ქართული პოეზიის ახალი დინებაა, ახალი დინება კი ამრავალფეროვნებს ისედაც მრავალფეროვან ქართულ პოეზიას.

როდესაც ახალი თაობის შესახებ მსჯელობს, სოსო სიგუა, ერთი პრინციპული მნიშვნელობის შენიშვნას აკეთებს: „ახალთაობის სპეციფიკური თვისება არის ის, რომ იგი არ ცდილობს კანონიკური ფორმების ერთგულებას, ეანრების ხაზოვრების დაცვას და უფრო ქოსსური მრავალგვარობის მიღწევას ლამობს, რომელშიც იშლება ლირიკის, ლექსის, პოემის, პროზაული ეტიუდის სახეები. ალბათ, ამ ქოსსიდან მომავალში აღსდგება ზენრეგი. დღეს კი პოეტები ნაკლებად არიან ლირიკოსები, მგონსები. მათი ხმა თუ ანრი არ არის პროფეტიულად დიფერენციირებული. ეანრობრივი დიფუზია, ქოსური ფორმა ინახავს სინთეზურ, მთელად, დაუნაწევრებელ შედეგს და უბილავი წვდომის ექსტაზს“.

სოსო სიგუა, ჩემი აზრით, ზედაპირულ შთაბეჭდილებებს გვაწვდის დასკვნის სახით. ბესიკ ხარანაულის, მამუკა წიკლაურის, ჯარჯი ფბოველის, ლია სტურუას, თედო ბეკნაშვილის, გუნაშ პეტრიაშვილის, გიკი ababაზშვილის თუ სხვათა შემოქმედებაში ქოსსური არაფერია.

არც ეანირობრივი დიფუზია ეიმჩნევეა. პირიქით, გაცნობიერებული დამოკიდებულება იგრძნობა ყოველი ფორმისადმი, ყოველი ეანრისადმი. იქნება კანონიკური ლექსის ვერდით ვერლიბრზე დაკვირვება გვიქმნის მსგავს შთაბეჭდილებას. თავისთავად კი აკ ჩამოთვლილი ნიშნები პოეტების ვერლიბრი არ იმსაზურებს ჯოხოს ფორმად გამოცხადებას, ხოლო თუ ისინი არა გვეკვს მხედველობაში, მაშინ ამის ბაზგასმით ალნიშვნა ჯჭირო.

ერთომ გაღარიბებული წარმოდგენა აქვს სოსო სიგუას კრიტიკული აზროვნების დანიშნულებაზე: „რახკვირველია ლიტერატურის ხაზეს განსაზღვრავს პოეზია და პროზა. ლიტერატორი, კრიტიკოსი მის მდინარეობას ტოს ვერ მოსცემს. ის იმდენად სჭირდება მხატვრული აზროვნების განვითარებას, რამდენადაც ენას, ხალხის მეტყველებას — გრამატიკოსი, მაინც კრიტიკოსი ლიტერატურაში საჭირო კაცია. ეოუნდაც იმიტომ, რომ ზოგს აქეზებს, ზოგსაც გულს უკლავს. თუმცა ზოგჯერ მოსეიდულ მსაჯსაც ჰგავს".

„კრიტიკა", რომელიც ლიტერატურის მდინარეობას ტოს ვერ მოსცემს, რომელიც მხოლოდ „ზოგს აქეზებს და ზოგსაც გულს უკლავს", რომელიც „ზშირად მოსყიდულ მსაჯსა ჰგავს", საერთოდ არ განეკუთვნება კრიტიკულ აზროვნებას და უცნაურობად მეჩვენება, რომ სოსო სიგუა ამ უსმგაგსოფას კრიტიკას უწოდებს. და ავიწყდება თუ ივიწყებს (ძნელია ამის გარკვევა), რომ კრიტიკული აზროვნება არა მარტო ტოს აძლევს ლიტერატურულ კოოკცესს, არამედ დიახაც განსაზღვრავს მის მიმართულებას, აწესრიგებს და ამალლებს მხატვრული აზროვნების სისტემას.. და კიდეე: აკ რამდენი ადგილიც ეა, რამდენი დროც არ უნდა გკვონდეს, მე მადა რამდენი დროც არ უნდა გკვონდეს, ეს ბაუკუნის 80-იან წლებში ვინმეს ვუმტკიცო და ვუსაბუთო კრიტიკული აზროვნების დიდი ფუნქცია. მისი როლი და ადგილი. საინტერესოა, თუკი ახე დაკნინებული იყო კრიტიკოსის დანიშნულება სოსო სიგუას თვალში, მაშინ როგორ ემსახურებოდა იგი პროფესიას, რომელიც ვალიე ეოფილა „ზოგის ჩაქეზება, ზოგისთვისაც გულის მოკვლა", ან „მოსყიდული მსაჯის" როლში. გამოსცლა? როგორ ემსახურებოდა აკამდე ასეთ ეველაფრისგარეთ მდგომ სფეროს დროზე არ მიაშურა ახვა ეარის?

„ლიტერატურისმცოდნეობისა და კრიტიკის ახალი სკოლები", რის შესახებაც მსჯელობს სოსო სიგუა უფრო ეკეამოთ, „ზოგის წასაკეზებლად და ზოგისთვის გულის მოსაკლავად" არ წარმოშობილა. ასეთი დაკნინებული მისია სკოლებს ვერ წარმოშობს.

ეს ზემოთ მოტანილი სიტყვები ნაჩქარეობას არ დავაბრალეთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ სოსო სიგუაშ ძალიან ცუდად იცის კრიტიკული აზროვნების დანიშნულება, მისი როლი და ადგილი, ცუდად იცის ალსაიარი და [illegible] ეს კრიტიკული აზროვნების სკოლებ[illegible] [illegible]ოლებანი. მე არ მინდა ასეთი რამ დავეშვა მას (თუმცა თავად იოლად მიაწერს ხოლმე სხვას შეურაცხმყოფელ ნაკლს). უფრო ნაჩქარეობას უნდა მივაწეროთ კრიტიკაზე ეს გალარიბებული წარმოდგენენი.

სოსო სიგუას წერილის მიხედვით გაურკვეველია რა მოსწონს ავტორს: ავანგარდისტული მისწრაფება „ახალი თაობის" პოეტებისა თუ ეარის თქმა ამ ავანგარდისტულ მისწრაფებაზე. ეს ეკვი დაბადა გაორებულმა დამოკიდებულებამ: ერთის მხრივ სოსო სიგუა თითქოს აქებს ბესიკ ხარანაულის, მამუკა წიკლაურის, ჯარჯი ფხოველის, ლია სტურუას და სხვების ავანგარდისტულ გზას პოეზიაში. „პირველ რიგში მე მინდა შეეჭიდოდ ავანგარდისტ პოეტებზე, რომლებიც თავიანთი მსოფლგანცდით, სტილით, პოეტური ტემპერამენტით გადგამენებულ გემოვნებას ეურრებიან და ახალი გზებისაკენ გვიხმობენ, ახალ ორიენტირს გვესახავენ მიზნად, არ ირჩევენ საშუალო ბაზს ტრადიციულს და ავანგარდისტულს შორის". მეორეს მხრივ, იგი „ავანგარდისტულ ეიეიანს, ფორმალისტურ ცთუნებებს" ეხსნის თავს და გარკვევით არ ამბობს, ყველა ავანგარდისტის ნაალია ეს გატაცება თუ ფეხისსმის აყოლილი ბელმოკაცური აგტორობა, უნებურად იგი სწორედ ბესიკ ხარანაულის, მამუკა წიკლაურის, ლია სტურუას, ჯარჯი ფხოველის და სხვათა „ავანგარდიზმის" უარმყოფელად გვეელინება.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სოსო სიგუას მწერლური პრეტენეიისათვის აშკარად შეუფერებელია კოლეგაზე ასეთი უსაფუძვლო ლი წერა: „მას (გურამ პეტრიაშვილს — ჯ. ლ.) უეკარს პროფესიონალიზმზე ლაპარაკი სხვათა მისამართით, მაგრამ ის კი ავიწყდება, რომ არ შეიძლება იყო პოეტი, პროზაიკოსი, აკადემიკოსი, ეეფიცარი, ეეფიცარი და თანაც პროფესიონალიზმის პრეტენზია გაგაჩნდეს. ასეთი მრავალმხრივი გატაცება, ხაკმაოდ გვიან გამხელილი, მას დილეტანტად წარმოგვიდგენს და ხელს უშლის, რომ თავისი ნიჭიერება სრულად გამოავლინოს. ასევე ხელს უშლის ლიტერატურულ-ესთეტიკური ერუდიციის ნაკლებობა, რომელის შესეხებასაც უცნაური შეხედულებებით ლამობს".

მე ვერცერთ შენიშვნაში ვერ დავეთანხმები სოსო სიგუას. ვერ დავეთანხმები, უპირველეს ყოვლისა, კოლეგის ხმა გამომეტებაში. გამანაგ-

---

დგურებელი ეპითეტების მიწერა ჩვენში კრიტიკული აზროვნების სიმძაფრედ საღდება ხოლმე. მაგრამ, საბედნიეროდ, ცდა ცდად რჩება. გაგვიქვეს კრიტიკის სიმძაფრედ ვერასდროს ვერ იქცევა. რატომღაც სოსო სიგუაშ მისთვის უწესეული და შეუფერებელ ხერხს მიმართა ამ შემოხვევაში. რაც მთავარია, იგი ივიწყებს, რომ მეოცე საუკუნის ცივილიზებულ ქვეყნებს არ უყვართ ერთი და იმავე ადამიანის პოეტობა და პროზაიკოობა, კრიტიკოობა და ჟტკერობა, სცენარისტობა და რეჟისორობა. ამ მრავალფეროვნებისათვის დილეტანტად არავინ მოუნათლავთ. მთავარია, როგორ აკეთებს თავის საქმეს კაცი. გურამ პატრიაშვილთან კრებაში კამათი ჰქონდათ ცნობილ მწერლებს ტარიელ ჯიბლაურიას და თამაზ ჩხენკელს. ორივე მხარემ გამოთქვა პრინციპული შენიშვნები, მაგრამ პროფესიონალიზმის ნაკლებობას გურამ პეტრიაშვილს ვერავინ დასწამებს. იგი არის სანინტერესო ლექსების, ზღაპრების, წერილების ავტორი. ზოგს მოსწონს, ზოგსაც — არა, მაგრამ ფაქტია, რომ იგი არც ლექსის, არც მოთხრობის და არც წერილებისათვის არ იმსახურებს ასეთ შეურაცხმყოფელ ეპითეტს — დილეტანტს. არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ მის ჟტკერობაში თუ რეჟისორულ შესაძლებლობებში, რასაც „შემოწმებაში" საშუალება, ლამაზ, ხვალ მოგვეცემა. კიდეც რომ ვერ შეიძლოს, მან ჟტკერობა და რეჟისორობა სასურველ დონეზე. ამით მაინც მისი დილეტანტობა არ შეკალდება. გურამ პეტრიაშვილს, შესაძლოა, ლექსზეც ეკამათო, მოთხრობაზეც და წერილებზეც, მაგრამ დილეტანტური მათში არაფერია. ლექსიც საინტერესო აქვს, მოთხრობაც და წერილიც. იგი პროფესიონალი მწერალია, სუფთა და გულით ჟტკერი მონაწილე ლიტერატურული პროცესისა, კაცი, რომელიც გუდგრილად ვერ უყურებს თავის საქმეს და ლიტერატურულ ფაქტებს. ამდენად, მე სოსო სიგუას შენიშვნებში უფრო არაჯანსაღი დამოკიდებულების კვალს ვხედავ, ვიდრე — ობიექტური შეფასების ნაკოფს.

ვერ დავეთანხმები სოსო სიგუას ვერც იმ მოსაზრებას, თითქოს ახალი თაობის წარმომადგენლებს თემატური შეზღუდულობა ახასიათებდეთ. უფრო ახლოს მისვლა, საგულდაგულო შესწავლა დაგვანახებს, რომ კირიქითაა. თემატური მრავალფეროვნება და ინტერესთა სფერის გაფართოება მათი შემოქმედების დადასტურებული სინამდვილეა. სხვათა შორის უნდა ითქვას, რომ ამ კუთხით ახალი თაობის შემოქმედების შესწავლა არც გვიადია.

როდესაც კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებისადმი მიძღვნილი სოსო სიგუას გამოკვლევა წავიკითხე, მე მომეწონა ახალგაზრდა ავტორის საქმეში ჩახედულობა, საფუძვლიანი ცოდნა საკვლევი საგნისა. ზოგი მოულოდნელი მოსაზრების მოუფიქრებელ. ნიგბენ, ავტორი ეჭვ ლენს საკვლევი საგნისადმი [illegible] ... [illegible] დამოკიდებულებას.

„ზეკარის" ავტორების დახასიათებისას კი იგი საგრძნობლად იოლად, ერთი თვალის გადვლებით მსჯელობს და ამან გამოიწვია საკამათო დასკვნებიც. კრიტიკული აზროვნებისათვის კი დიდი და მცირე საგანი არ არსებობს. დაკვირვებულ მსჯელობას ითხოვს ერთიც და მეორეც, მთლიანებაც, მთელი თაობის დახასიათება ითხოვს ხანგრძლივ, გულდაგულ დაკვირვებას. წამიერი გადაჭრილებით საზოგადოს მიღწევა შეუძლებელია.

მაგალითად, აუსნელია ხაზგასმა თეიმურაზ ამუღაძის „ერთობ პატიოსნებასა და მოკრძალებულობაზე". როდესაც ასე საგანგებოდ აღვნიშნავთ თ. ამუღაძის პატიოსნებასა და მოკრძალებულობას, სხვა პოეტებში ზნეობრივი სიწმინდე ხომ არ დგება ეჭვის ქვეშ.

სოსო სიგუაშ „ზეკარის" ავტორების საერთო ლიტერატურული პროფილი მოხაზა. მოერმან ჯგუბერია კი რატომღაც მხოლოდ ამ კრებულში გამოქვეყნებული ლექსით „თმიერი" დაახასიათა. ამიტომ, ერთობ გაფერმკრთალდა მერმან ჯგუბერიას საინტერესო პოეტური შესაძლებლობები სხვა პოეტების ფონზე.

მინდა შევნიშნო სოსო სიგუას, რომ გრიგოლ ჯულუხიძის პირველი ნაბიჯები ლექსის მოყვანილთათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა, არც საკუთარი თავისათვის უყოფნია მას ბოლო ლექსებში. უბრალოდ ხდება სწორედ ის, რის შესახებაც წერს სოსო სიგუა თავის წერილში: „ახალი თაობის პოეტური ევოლუციის ხაზი ზევით მიდის და მათი ყოველი ახალი წიგნი მეტი ემოციურობით, პროფესიონალიზმით და აზრობრივი დატვირთვით გამოირჩევა". ეს მოვლენა შეიმჩნევა გრიგოლ ჯულუხიძის ლექსებშიც.

სწორია სოსო სიგუას აზრი ახალი თაობის წარმომადგენელთა უმეტესად პოეზიით გატაცებაზე. პროზას მართლაც „ზვიათად მიმართავენ. მაგრამ სანაცვლოდ სხვა ღირსებები ჩანს ამ თაობის პროზაიკოსთა შემოქმედებაში. ჭემალ ჭარჩხაძე, სოსო ალიკაძე, გიორგი ბაკანიძე, ნუგზარ შატაიძე და სხვები უალრესად დახვეწილ პროზას გვთავაზობენ. რაც შეეხება ჭემალ ჭარიას რომანის ბიოგრაფიას, უნდა ითქვას, რომ ან არის სასურველი, ესოდენ დიდი პარალელების გავლება მარტინ იდენთან და ამით ჭემალ ჭარიას, როგორც მწერლის, უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება. ჭემალ ჭარიას პირველი რომანი „ეხსარი" მიუხედავად რიგი ღირსებებისა, არ არის იმ დონის ნაწარმოება, რომ მისი გამოქვეყნების დაგვიანება საგანგაშო მოვლენად გამოვაცხადოთ და

მარტინ იდენის ჰარდილი შეევაწუხოთ. მითუმეტეს, თუ სოსო სიგუა თავადვე ალიარებს, რომ „ნაწარმოების, რომლის დაბეჭდვა გაკვიანურდა, გამოკვეთვების შემდეგ სენსაცია არ მოჰყოლია". არც შეიძლებოდა მოჰყოლოდა! სასურველია, ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოებების დროულად გამოცემის მეტი საშუალებები გვქონდეს, ეს ხელს შეუწყობდა მათ შემოქმედებით ზრდას. ჩემმა კირიან პირველ რომანში კი ჩანს ავტორი, ვინც უფრო მომავალში გვპირდება ღირებულს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი ახალი რომანი „მარადი მხედარი", რომელიც „ცისკარში" გამოქვეყნდა.

ვერ დავეთანხმები სოსო სიგუას, თითქოს ნ. შატაძის „სტელი, თემატეა, განწყობილება უცვლელად გადადიოდეს ეტიუდიდან ეტიუდში". ამ შემთხვევაშიც დაუსაბუთებელი შენიშვნებია გამოთქმული. ნ. შატაძის ყოველ ეტიუდს თავისი სიუჟეტი აქვს, თავისი თემა, თავისი განწყობილება.

მეჩვენება, რომ სოსო სიგუა საფუძვლიანად არ იცნობს თ. დოიაშვილის წერილებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაინახავდა, რომ თეორიული წერილების გვერდით თ. დოიაშვილს საკმაოდ აქვს წერილები, რომლებშიც კონკრეტული ანალიზია მოცემული. უფრო სწორად სახუთველ დონეზე არის შერწყმული თეორიული და კონკრეტული მხარე. ეგზემპლიბრად წერილებს ვახტანგ ჭავახიანს, გივი გეგეჭკორის, ჭარჯი ფხოველის, მამუკა წოლაურისა და შოთა ქავთარაძის პოეზიაზე.

უსარგებლეს ყოვლისა, არ მინდა ზერელე შეხედულებები ჰქედნენე დამკვიდრდეს ჩემს ნაშრომებზე. სოსო სიგუას სრული უფლება აქვს გაიზიაროს ან არ გაიზიაროს ჩემი ესა თუ ის მოსაზრება და მედალის მათზე, მაგრამ ზოგიერთი მისი სახელდახელო შეფასება მიუღებლად მიმაჩნია. სოსო სიგუას აზრით მე თურმე „უბდლიცისტური მიმართულების ლიტერატურა ვარ". სახიათოვნია, თუ ეს სასე. მაგრამ მეჩვენება, რომ ჩვენში ნაადრევად გამოაქვთ ხოლმე დასკვნები ამა თუ იმ მწერლის მოწოდებაზე და თავის აუტკივებლად განსაზღვრავენ მის პროფილს. პუბლიცისტური წერილები მე იქნებ საკმაოდ მაქვს გამოქვეყნებული და ამ მძაფრი ყანრის ერთგულ სამსახურს მომავალშიც ვაპირებ, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ის სიმძაფრე და სიმკვეთრე, რაც პუბლიცისტურ წერილებს ახასიათებს ხოლმე საერთოდ, ჩვენს თვალში ფარავს მწერლის სხვა თვისებებს. ამ შემთხვევაში სოსო სიგუამ საერთოდ დაივიწყა ლიტერატურული კრიტიკა, რასაც მე გაცილებით მეტი დრო და ენერგია დავუთმე. მოსწონს თუ არ მოსწონს სოსო სიგუას ჩემი კრიტიკული წერილები, ისინი არსებობენ და „ბანკი" ცალებით მეტი ხვედრითი წონა აქვთ. ... დრე პუბლიცისტიკას, მე პუბლიცისტურ წერილებზე უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება ისინი. ყოველ შემთხვევაში, პუბლიცისტური მიმართულების ლიტერატურად ჩემი მონათვალი ზუსტი არ არის და ამდენად გულგრილიც ვერ ვიქნები არასწორი დახასიათების მიმართ.

უფრო მეტი მაქვს საკამათო „ზეკარში" გამოქვეყნებულ ჩემს წერილთან დაკავშირებით. სოსო სიგუა წერს: „მაგრამ, ვფიქრობ, ამ წერილში იგი მეტისმეტად დანდობია ალლოს, თვითდაკვირვებას და არ გაუთვალისწინებია ის კონკეფციები, რომლებიც გვაკნაზ, ნაციონალური ფსიქიკის ტემპერამენტსა და ხასიათს, როგორც გამოვლენის ფორმებს, ისე ჩამოყალიბების არაცნობიერ გზებსა და თავისებურებას"

სოსო სიგუა, ჩემი დაკვირვებით, ძალიან დიდ გავლენას განიცდის ქართულ ფილოლოგიაში ფეხმოკიდებული ერთი ტენდენციისა: განსწავლულობის, ერუდიციის გამოფენის ტენდენცია მაქვს მხედველობაში. მე თვითონ არაერთხელ გამიკრიტიკეს ეს ტენდენცია. გამიკრიტიკეს, რადგან ნაკოთხობის გამომზეურებაზე ზრუნვა ქართული ფილოლოგიის ბევრ წარმომადგენელს „პროვინციული ინტელექტუალიზმის" ჭაობისაკენ ეზიდება. ცოდნა, ღრმა ვაკანალება, კონკეფციები და მოსაზრებანი, ყველაფერი ეს ულრმეს ზრეებში, უნდა იმარხებოდეს და ზედაპირზე ამოდიოდეს იმ ცოდნით გამოყენებული საკუთარი ფიქრი. არც ერთი ფრაზა ჩემს წერილში არ გაჩენილა იმ კონკეფციების გათვალისწინების გარეშე, რის მოხმობასაც მოითხოვს ჩემგან სოსო სიგუა. მე არა მკლავს მაცდუნებელი წუთრაგი ვინმეს თვალში „ეკეშვარიტი ერუდიტის" სახით წარვდგე. ჩემი წერილი ფრაგმენტია დიდ, თემის. ამ ნაწილში საკითხის კვლევის ისტორიის შეხსენება ჩემი მიზანი არ ყოფილა. ამდენად ხელოვნურად, ცოდნის გამდაგვნების სულსწრაფი მიზნის კარნახით წერილს ვერ გადავტვირთავდი ცნობილი კონცეფციებიც მოხმობით. მე გაუთალებლობად და უკუტლტარობად მიმაჩნია წარმამარა, ყოველი სტრიქონის შემდეგ, საჭირო და აუცილებელია, ეს თუ არა, ავტორიტეტს რომ ამოწმებენ და უცხო სიტყვების კორიანტელით ინტელექტუალობის ილუზიას უქმნიან მკითხველს. ვეეჰოს, მკითხველი ტუტუდებოდეს. გერონტე ქიქოძეს აქვს ასეთი წერილები „ლიტერატურა და ეროვნული ენერგია", „ენა და ეროვნული ენერგია". არსად ამ წერილებში ცნობილი კონცეფციები არ არის მოხმობილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ჭირდებოდა, იგი ამ შემთხვევაში ავტორს. სოსო სიგუას შეეძლო ემტკიცებინა, რომ მე „ხასიათში" გაუცნობიერებელი მოსაზრებები მაქვს გამოთქმული. მაშინ მე მომეცემოდა საშუალება, მეთქვა მისთვის, ასეა თუ არა სინამდვილეში. წერილებისა და წიგნების ჩამოთვლა, რაც ამ საკითხის შინაარსში იგულისხმება, დიდ ადგილს დაიკერდა!

ამდენად მიუღებელ შენიშვნებს მე ვერ მივიღებ.

ლევან ბრეგაძის ეტიუდის დანიშნულება იყო არა მხოლოდ დასკვნების გამოტანა ლიტერატურულ პარალელებზე, არამედ ამასთან პარალელების არსებობაზე მითითება. წერილის საგანს ავტორი ამომწურავად პასუხობს. ამდენად უმართებულოდ მიმაჩნია სოსო სიგუას მოთხოვნა.

ესმა ონიანის ლექსებიდან ამოგლეჯილი სტროფონები ვერ შეუქმნის მკითხველს სწორ წარმოდგენას სოსო სიგუას შენიშვნების მიზანზე. ერთი-ორი მაგალითით პოეტის ნაკლის, და ღირსების განსაზღვრა შეუძლებელია. ასეთ დროს ვერც მკითხველი ერკვევა ლიტერატურულ ფაქტში, ვერც ავტორს ვაჯერებთ...

სოსო სიგუას წერილში, როგორც დასაწყისშივე აღვნიშნე, ყველაფერი სადაო და მიუღებელი როდია. ბევრი საგულისხმო დაკვირვებაა მოწვდილი. მაგრამ სტატიის საერთო განწყობილებამ, ნაჩქარეობამ უფრო საკამათოდ განგვაწყო და რაამდენადაც კრიტიკოსის შენიშვნები პრინციპიული ხასიათისა იყო, პასუხის აუცილებლობაც მან განაპირობა.

ამირან რობაძიძე,
მურმან მურადაშვილი

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა“...

გამომცემლობა „განათლებამ“ 1979 წელს მეოთხველს მიაწოდა იზოლდა ბერაძის წიგნი „ანტონ ფურცელაძე“. აღნიშნული წიგნი წარმოადგენს ნაშრომს, სადაც ავტორი ცდილობს ა. ფურცელაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის, კერძოდ, მისი მხატვრული პროზის შესწავლასა და განაზოგადებას. როგორც ამ წიგნის ანოტაციიდან ვგებულობთ, მას საკმაოდ დიდი მხია ჰქონია დაკისრებული, რადგან მიჩნეულია, რომ „იგი დაბმარებას გაუწევს უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს და ქართული ლიტერატურის მასწავლებლებს“. ანოტაციის შემდეგნელის ეს წინასწარმეტყველური ჩანაფიქრი, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდება იმ ხარვეზების გამო, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

მართალია, ანტონ ფურცელაძე არ არის დიდი მასშტაბის მწერალი, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჯეროვან დონეზე არ იქნეს შესწავლილი ის მხატვრული მასალა, რომელმაც მის ავტორს მწერლის რეპუტაცია მოუპოვა. ა. ფურცელაძის შემოქმედებაზე არსებული გამოკვლევებით თუ ვიმსჯელებთ, დავინახავთ, რომ მწერალი როდი ყოფილა მივიწყებული მკვლევართა მიერ, თუმცაღა, როგორც აღნიშნავენ, საკვლევი და საძიებელი ჯერ კიდევ ბევრია, რადგან „რაც ამ მიმართულებით დღემდე გაკეთებულა, მაინც ზღვაში წვეთია“.[1]

თუ ამ ტექსტებს ერთმანეთს შევუდარებთ, გაირკვევა, რომ 67 და 68 სტროფებს საერთო აქვთ მხოლოდ ᲛᲠᲘ სარითმო სიტყვა (წინანი, რკინანი), მაშინ როდესაც 50 და 67 სტროფებს საერთო აქვთ ფაქტობრივ ᲝᲗᲮᲘᲡᲘ სარითმო სიტყვა (რკინანი, მდინანი, წინანი, ინანი (ვინანი). მაშასადამე, რითმების გამეორება სრულიად არ ეუცხოება „წამების“ ავტორს. „ინსპირაციის“ მოტივი აქ მოსაკანი არაა. ის „სკრუპულოზური ანალიზი“, რომლის თაობაზედაც მკვლევარი მსჯელობს (გვ. 139), მის მიერ ყოველთვის ჩატარებული არ ყოფილა.

ჩვენი კრიტიკული შენიშვნები იმას როდი ნიშნავენ, რომ „ქეთევანის წამების“ საკითხში უყველაფერი თავის რიგზეა და საკვლევაძიებო ალარაფერი გვრჩება. „წამების“ ტექსტში უთუოდ იგრძნობა ზოგი აზრობრივი და შინაარსობრივი შეუსაბამობა. ერთი მხრივ, საქმე ისეა წარმოდგენილი თითქო ავტორი წამების მხანაგელია („მუნ ვინმე ჯვარია მოსავი... ვნახე“). მეორე მხრივ ავტორისავე განაცხადებით იგი წამების დროს ქეთევანის მხლებელთა შორის არ ფიგურირებს (67,3-4):

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ავაზაკი, შემეოდ, ახლოს არ ვიყავ,
ვინანი,
მარჯვენით ჯვარსა არ ვეცავ, ამად ვარ
ცრემლთა მდინანი.

ეს წინააღმდეგობა მოიხსნება, თუ 56-ე სტროფის სიტყვებს („მუნ ვინმე ჯვარის მოსავი“) მიკუნგრეთ ქეთევანს და არა ავტორს. საქმე ისაა, რომ 53-ე სტროფიდან იწყება ქეთევანის მონოლოგი. იგი გრძელდება მომდევნო 54-59-ე სტროფებშიც. თამამად შეიძლება მონოლოგის ტექსტში მოთავსდეს 56-ე სტროფიც. 67-ე სტროფი („მე ავაზაკი, შემეოდე“) შინაარსობრივ-აზრობრივად სავსებით შეეფერება თეიმურაზის სულიერ განწყობილებას, სულიერ კენჭნას. ბოლოსა და ბოლოს ქეთევანი უფლისწულებიოთრი მან გაგზავნა შაჰაბასის მძევლებად (თუმცა ეს მოხდა კახეთის დიდებულთა დაკვნებითი მოთხოვნის შედეგად). დიდოფალ-დედის ტანჯვაში ერთგვარი მორალური პასუხისმგებლობა თეიმურაზსაც ეკისრება. თეიმურაზის ავტორობის სასარგებლოდ მეტყველებს ქეთევანის ლოცვა (46):

რადგან მომკლა უწყალომან, დრო იპოვა
ჩემსა ზედა,
სასწაული მოაკლინე კრისტიანეთ ტყვეთა
ზედა;
შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც
მტერთა ზედა,
ღვაწლთა ჩემთა აღმწერელი ედგმა დასვი
ტახტსა ზედა.

სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, რომ ნიკეფორეს ნენ ქეთევანს ელოცა თავისი შვილის მტრებზე გამარჯვებისათვის და „მისთა ღვაწლთა აღმწერელისათვის ენაცარა საიქო სასუფეველი. შაირია მეოთხე ტაეში მესაბის ორგანეული გაგრძელებაა და ერთგვარად მიგვანიშნებს, რომ სწორედ იგია მისთა ღვაწლთა აღმწერელი, ვისი დღეგრძელობისათვის (მტრებზე გამარჯვებისათვის) მსწრაფლედ ლოცულობს.

ნამდვილად დიდად დამაფიქრებელია 79-ე სტროფი:

ვით ითქმის ქება მეფისა, ღვთივ დაცულ-
დაფარულისა,
აწ დაუმკვიდრდა დოვლათი ეტლითგან არ
ფარულისა,
მას მიენიჭა უფლება ამ საწყეთოსა
სრულისა,
მოშორებულ აქეს ᲒᲔᲗᲐᲨᲘᲡ ᲔᲠᲣᲗᲔᲚᲗᲐ
მოარულისა.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ, ᲛᲔᲠᲘ ᲒᲣᲯᲣᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲬᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მეოთხე ტაეპის ვეშაპი მართლაც უნდა იყოს შაჰპახანი, როგორც ფიქრობდა ზ. ავალიშვილი. პირველი ტაეპის მეფედ უნდა ვიგულოთ თეიმურაზი, რომელსაც დაუმკვიდრდა ტახტი (პოეტური გადაკაბმებისა, თითქო „მას მიენიჭა ამ საწუთროსა სრულისა"). ამ შაირის თეიმურაზისადმი მიკუთვნება ძალზე გაჭირდებოდა („ვით ითქმის ქება მეფისა", თავის თავზე ვერ იტყოდა, თუმცა თეიმურაზს საერთოდ არ ეუცხოებოდა თავის ქება). საერთოდ, „წამებაში" რომ ხსენების ხელი ურევია, ეს კარგად არის ცნობილი. ავტორს თვითონ გაუღია კარი ინტერპოლატორებისათვის — „ვინცა ლექსი მოუმატოს, მე არა ვარ მომდურავიო" (86,4). შედარებით მოგვიანებით ინტერპოლატორობა !ეკისრია თვითონ ხელსაწ-ხაბა ორბელიანსაც. ზოგჯერ გადამწერლებმაც კარგად იცოდნენ, რომ „წამების" ტექსტში ჩანართები იყო შეტანილი. S 403 ხელნაწერის გადამწერი (ჩვენი აზრით ონანა კობულაშვილი) 96-ე შაირის ბოლო ბეითში ამ ფიქრებს ასახავს: „ეს ბოლოს ლექსი ამ წიგნისა არ არის, ნუხსაში ეწერა და შეცდომით დავსწერეო" ამ გარემოებას ეურჩდება პირველად ეკვთიმე თაყაიშვილმა მიაქცია (ალწერილობანი, II, გვ. 274-275). მსგავს ვითარებაში სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ „ქება მეფისა" რომელიმე უცნობ ინტერპოლატორს ეკუთვნოდეს, (ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 48). „ქებათევანის წამების" ტექსტის დადგენაზე მუშაობა კვლავაც უნდა გაგრძელდეს. ეერძოდ, მოსაწონია ამ მხრივ რ. ბურკულაძის ცდა, რამდენადაც საცილობელი არ უნდა იყოს პოემია მიხეული რეკონსტრუქციის ფორმა.

ჩვენ არც იმას ვივიწყებთ, რომ სეპტიკური შეჭედულების საფუძველს იძლევა აჩრილის დუმილი (ამას ადრე ეურჩდება მიაქცია ზ. ინანაშვ). მოსალოდნელი იყო, რომ აჩრილი რამეს იტყოდა ქებათევანის წამების თაობაზე, თუმცა ის არაფერს ამბობს თეიმურაზის ისეთ ხაინტერესო ლექსებზე, როგორიცაა „გრემის ნანადგურზე" და „თამარის ხახე დავთ გარეკან". უფრო საკვირველი ისაა, რომ აჩრილი ეგალობებოდა ქებათევანის წამების ამბავ. ტექსტის ერთ ფრაზას ის უეჭველად დახსხებია. „ვა, მე, იმ დღისა მხსენესა", ამბობს ქებათევანი „წამებაზე" მიხედვით (67,1). ამ სიტყვებს ამეორებინებს თეიმურაზს აჩრილი' „ვაი იმ დღისა მხსენესა" (აჩრილიანი, II, 446,1).

რ. ბურკულაძე არ ივიწყებს, რომ კათოლიკე მისიონერები „ერთ-ერთ წერილში ბაზგასმით აღნიშნავენ თეიმურაზის მიერ ბიბლიური სიუჟეტის გალეკსვას (გულისხმობენ იოსებ-ზილიხანიანსო)" (გვ. 138), ხოლო არაფერს ამბობენ ქებათევანის წამების აღწერის შესახებო. ამ შენიშვნას ადვილად მოევლება. მისიონერების მიზანი იყო თეიმურაზის ავტორიტეტის განდიდება ვატიკანის თვალში. ამისათვის, რა თქმა უნდა, ბიბლიური თემის დამუშავების ავტორობა იქნებოდა უფრო დამარწმუნებელი: იოსების ბიბლიური ამბავი მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის იყო ცნობილი, ბიბლიურ თემას შეეძლო თეიმურაზი გაეყვანა მსოფლიო პოეზიის სარბიელზე, ეს გაზრდიდა მის წონას რომის პაპის წინაშე. ბიბლიურ თემასთან შედარებით ქებათევანის წამების თემას მხოლოდ ადგილობრივი, ლოკალური ხასიათი ჰქონდა (თუმცა შემდეგ მძაფრი დრამატულობის გამო ქებათევანის წამების თემამ გაიკვლია გზა დასავლეთ-ევროპის მხატვრულ წმერლობაში.

ამით ვამთავრებთ ჩვენს კრიტიკულ შენიშვნებს ადამიკუსიოდ გამოტანილი საკითხის შესახებ, ჩვენ კვლავ ბაზგასმით ვამბობთ, რომ რ. ბურკულაძის ნარკვევი უეჭველად ხაინტერესო, მრავალი ფიქრის აღმძვრელი და ანგარიშგასაწევი ნარკვევია, რომელიც ბიძგს აძლევს საცილობლად ქცეული პრობლემის კიდევ უფრო გაღრმავებულ კვლევას.

გივი ალხაზიშვილი

საუბარი მკითხველთან

რა არის პოეზია? ერთი შეხედვით მარტივი კითხვა ნებისმიერ პოეტს დაამნეკს, რადგანაც ამომწურავ პასუხს ვერ მოუძებნის. პოეზიის არსის მთლიანობის შეგრძნება მუდამ აღემატება იმ მოსაზრებას, რითაც მის გამოხატვას შეეცდებით. თითქოს ყოველი სიტყვა კარგავს ძალას პოეზიის რაობის ახსნისას, რადგან ყოველი პასუხი პოეზიის მხოლოდ ზოგიერთ ნიუანსს აკონკრეტებს. პოეზიის იდუმალობის „ბრალია", რომ უხსოვარი დროიდან დღემდე არ შეუწყვეტიათ პოეტებს (არა მარტო პოეტებს) პოეზიის ამოუცნობი სივრცეების კვლევა (ყველა მთგანის სიცოცხლე ამ კითხვაზე პასუხის გაცემის თავიხებური ცდაა).

ვინ იყო პირველი, ვინც პოეტური ენით იწყო მეტყველება, ვინც პოეტური ენა ჩვეულებრივი, სახაფრო ენისაგან გამოარჩია?! პოეტურ სივრცეთა სამანი კი არ მოჩანს, იგი ხამყაროსავით ვრცელია და უნაპირო, რაც უფრო ღრმად შეეცურავთ, მით უფრო ნათლად ვგრძნობთ მის ამოუწურაობას, უკიდეგანობას.

პოეზიის უძლიერესი ფესვი სიყვარულია. სიყვარული იმ **პირველი სიტყვისა**, რომელმაც უხსოვარი დროიდან ჩვენამდე მოაღწია. თვალი რომ დავხუჭოთ და წარმოვიდგინოთ — რამდენს წარმოუთქვამს ესა თუ ის სიტყვა ჩვენამდე, სიტყვა, რომელსაც ახლაც ვიმეორებთ და ზვალეს ჩვენსას ვასწავლით, — ალბათ ვერც ჩვენი წარმოსახვა და ვერც უურთსამენა დაახლოებითაც ვერ აღიქვამს, უძლური იქნება, საუკუნეთა მდინარებით შექმნილი, ცვალებადი ხურათი წამით მაინც გაიცოცხლოს. მაგრამ თვით სიტყვა — ჴზრიხა და მუსიკის მთლიანობა, თავის წიაღში ინახავს იმ განუმეორებლობას, რომელსაც სხვა სიტყვასთან მეზობლობისას ამეღვნებს, ახალ პოეტურ ფრაზაში — ნაკლებ ან მეტად მგრძნობიარეა.

პოეზიის უძლიერესი ფესვი სიყვარულია — ამ სიტყვის ფართო გაგებით, სიყვარული — პური ადამიანთა სულიერი არსებობისა: სიყვარული ცისა და მიწისა, მოყვასისა და მშობლისა, ერისა და ქვეყნისა, ქალისა და სხვათა და სხვათა. რადგან არსებობს სიკეთისა და სიყვარულის სპარიხპირო მცნებანი — **ბორობება და სიძულვილი** და დასაბამიდან დღემდე გრძელდება ბრძოლა მათ შორის, ე. ი. **არსებობს პოეზიის საფინალაღდგომო, უარმოფული ძალაც.**

. . . . .

არა თუ კონკრეტულად, მიახლოებითაც შეუძლებელია თქვას, როგორ იწერება, როგორ „იწყება" ლექსი. ალბედ, ბგერებისა და სიტყვების ხახით გაბნეული უსისტემო რამ ხასწაულებრივად იყრის თავს, სიტყვა სიტყვას გამოიხმობს, რომელიმე სიტყვაში არსებული ბგერათა ეღერადობა აცოცხლებს ფერს, მოულოდნელ განწყობილებას და თითქოს დაუსაბამო სიცარიელიდან იქმნება რაღაც მთელი, აქამდე ქაოსურად არსებული — ლექსი, რომელსაც ექვს დასაწყისი და დასასრული. ლექსის დასაწყისი უფრო ზორს არის მიმალული, ვიდრე მისი პირველი სტრიქონი ვგულისხმობს. დასაწყისი იმ წაშლილ სტრიქონებია, რომელთაც პოეტი გონებაში და მერე ქაღალდზე გადასახავს ან გადაკეთებს. მიუხედავად იმისა, რომ პირველი სტრიქონი ლექსის დასაწყისია, იგი მაინც თავისებური გაგრძელებაა იმ პოეტური ძიებისა, რომელიც მკითხველისთვის იდუმალებითაა მოცული. სწორედ ამიტომ, თუ პირველი სტრიქონი ნაწილობრივ მაინც ინარჩუნებს ის იდუმალი წყის ნაპერწკალს, რომელიც ლექსის

დაწერამდე არსებობდა, მაშინ ამგვარი პოეტური ბუნებრივობა გამარჯვების საწინდარია. ყოველივე: გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი, ჩვენში თუ ჩვენს მიღმა არსებული, პოეტურ ქმნილებაში მხატვრული აზროვნების თავისებურ ლოგიკას ემორჩილება. რადგან პოეტური ლოგიკა ცალკე, განკუნებულად არ არსებობს, შეუძლებელია მისი გაგება სიტყვასთან, აზრთან ერთად აღქმული მუსიკის, ინტონაციის, კვეტაქტის, მხატვრული მთლიანობის გაუთავლისწინებლად.

არის მკითხველი, რომელსაც არ აინტერესებს, არ შეუძლია ჩასწვდეს პოეტურ სიღრმეებს, იგი ზემოთქმულნაწილ მთლიანობას ალღოს წყალობით გრძნობს და ამითაც კმაყოფილდება. პროფესიონალ მკითხველში ორი სახის მკითხველი შენიფთებულა, ერთი ისეთი — ალღოს წყალობით რომ შეიცნობს პოეტურ ქმნილებას, მეორე კი ყოველგვარ დეტალს ჩაპარკოტებს და სხვა სიმაღლიდან, სხვა სიღრმიდან უტრიალებს ყოველ პოეტურ სიახლეს (თუ ამის სახიან იძლევა პოეტური ნაწარმოები). მკითხველია უმრავლესობა ავტორიტეტთა აზრს, ან საკუთარ — პოეზიის მკითხველის გამოცდილებას ეყრდნობა მეკანიკურად.

არსებობს პოეზიის ასეთები მკითხველიც, ოვნათად ან სულ არ კითხულობს ლექსებს. მკითხველი, რომელმაც სკოლის „ხაზებიროვნებს" მერე „შიჯვარა პოეზია". ასეთი მკითხველი, ზმარად შემინიშნავს, პოეტურ საღამოებზე შემთხვევით რომ მოხვდება, უცნაური, ირონიანარევი ღიმილით შესცქერის პოეტს, რომელიც „ცოროთოლვარე" ან „ფეკერა" ხმით წარმოთქმული სტროფებს გაგონებს, რომ სახეზე „ღიმილი" გაფერეს (თუ მარილაა ამდაუბდას არ კითხულობს ავტორი) და მეტი დაფიქრება გამოხატოს.

პოეზიის ასეთური მკითხველი პოეზიის აქტიურ მსმენელთას უფრო ახერხებს. ბუნებრივია: პოეტის ხმა, გამომტკბეველები, ადვილად ზემოკმეფლის მსმენელზე, რადგან ლექსის კითხვისას პოეტი თავის ლექსს, „მსაზიობობითაც ეხმარება". ლექსის კითხვას გადაჭრეულ „მკითხველს", ამგვარი პოეტური წარმოდგენის ცქერა ურჩევნია, თავისთვის, ჩუმად ლექსის კითხვას, რადგანაც იგი დამოუკიდებლად, „თეატრალური ჩარევის" გარეშე, ვერ ახერხებს კარგი და ცუდი ლექსის გარჩევას.

მკითხველი მრავალგვარია, მათი უმრავლესობა პოეზიაში იმას ეძებს, რაც ოდესმე განუცდია, გულთან ახლოს მიუტანია, ლექსის კითხვისას თავიდან აღმოაჩენია. პოეტი მუდამ არჩევანის წინაშეა, რაგვარი მკითხველის გემოვნებას გაჰყვეს, რომელი ორიენტაციი ამჯობინოს. შეუძლებელია პოეტმა მკითხველთა აუდიტორია რამდენადმე კონკრეტულად წარმოიდგინოს. მკითხველზე ფიქრი ლექსის წერისას განზე რჩება, თუმცა მანამდე არსებული ასეთია პოეტისა საგრძნობ ასახვას საუფლოს ბის ზემოქმედებაში.

ყოველი დიდი პოეტის ეროვნული ბრძოლა, მისი ხალხის, მისი დროის სულიერი ბიოგრაფიის ამსახველია. ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკა, ერთგვარად განუკნებული თემატიკის მიუხედავად, საოცრად ზუსტად გამოხატავს მაშინდელი საქართველოს ინტელექტუალური და სულიერ დონეს, მისწრაფებას, მსოფლმხედველობას. ახე ხდება, დიდი შემოქმედი, თავის თავთან მარტოდ დარჩენილი, აქტიური თუ პასიური მკითხველის, უფრო სწორად ხალხის გულისთქმის გამომხატველია.

ნამდვილ პოეზიას ყოველთვის ჰყავს მკითხველი, ყოველ თაობაში, ყოველ დროს. ხალექსო ფორმათა „სიძველე" ხელს არ უშლის „ძველ" პოეზიას სრულთად ახლებურად აფღერდეს ნებისმიერ დროში. კლასიკოსების ძიერ აღმოჩენილი პოეტური სიახლენი, ერთის შეხედვით, თითქოს ძველდება, მაგრამ თუ დაკუკვირდებით — სიძველის შეგრძნება მოჩვენებითად გვიჩნდება. ნებისმიერი კლასიკური ლექსის კითხვისას (საერთოდ ლექსის კითხვისას), ჩვენ ცალკე ფორმას კი არ აღვიქვამთ, არამედ, უმარეელესად პოეტური სულის, აზრის განუმეორებელ მოძრაობას, გარდასახვას, რომელიც არასოდეს არ ბერდება, მარადიულია. ახე რომ არ იყოს უნდა უარვყეფო მსოფლიო პოეზიის უძველესი შედევრები, მარადიულ სიახლეს რომ გვაგრძნობინებენ. ჩვენ უკვე მივადეკით ერთ საკვანძო საკითხს, რომელსაც პოეტური ფორმის სიბერე კი არა, პოეტური ფორმისა და აზროვნების დაშტამპვის საშიშროება ჰქვია. ყველა დიდ პოეტს მრავალი ეპიგონი ჰყავდა ყოველ დროში; მაგალითებს არ ჩამოვთვლი. მიმბაძველობა ზოგჯერ ისეთ მასშტაბურ სახეს ღებულობს, რომ ძნელდება გარჩევა ავსა და კარგს შორის. მიმბაძველობა, რომელიც რამდენინე ათეულ აკტორსა და მახათან ერთად, რამდენიმე ათეულ წელს ითვლის, ახალ თაობას უბიძგებს ახლის ძიებისაკენ და ეს სიახლის ძიება ძველის უარყოფას კი არ ნიშნავს, არამედ იმ მაკულატურიდან განდგომას, რომელიც დიდხანს გროვდებოდა. ახლის ძიებას მუდამ თან ახლავს დადებითი და უარყოფითი მხარეები. უარყოფითი — გამიზნულ განსხვავებულობაში მედავნდება, რომლის დაძლევა მხოლოდ ნიჭიერ შემოქმედს შეუძლია.

ხალეუნენების მანძილზე ვითარდებოდა, იხვეწებოდა ქართული ხალექსო ფორმები. ცხადია, ხალექსო ფორმების განვითარება არასოდეს ხდებოდა ჩვენს ქვეყანასთან ისტორიულად ახლო კონტაქტში მყოფი ქვეყნების, ხალხთა პოეტური მიღწევების გაუთავლისწინებლად. მსგავს ლიტერატურულ ურთიერთობას, უმეტესწილად, განსაზღვრავდა ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკური სიძლიერე, რადგან პო-

ლიტიკურად დაწინაურებული ჭეშეულების კულტურულ მიღწევებს ფართო გახაჭანა ჩანდა. თუ მეთვრამეტე საუკუნის მიწურულამდე ზოგი ქართველი პოეტი, აღმოსავლური, ყირმიდან ნაბრსული პოეზიის საგრძნობა ზეგავლენას განიცდიდა (რაც არა მხოლოდ თემატიკით, არამედ ერთგვარად „დამტკბარი“ სტილით და ბაბიტბო ლირიკისთვის დამახასიათებელი კარბი ბაძავილებით, თემატიკით გამოიხატებოდა), მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში შეინიშნება ევროპული პოეზიის ერთგვარი შემოჭრა.

ქართულ ლექს არცერთი ხალეკსო ფორმა მზამზარეული სახით არ მიუღია — გადახარშა, გადაასხვაფერა, გაკეპოთელა. ლასხიური პოეზიიდან განსხვავებით, ხალხური პოეზია თავის, შედარებით დამოუკიდებელი გზით ვითარდებოდა და მსგავსი ზეგავლენები ასე მძაფრად არ განუცდია, რადგან ხალხისთვის, ადვილად ხელმისაწვდომი არ იყო სხვათა პოეტური მიღწევები.

ასპარეზი პოეტისთვის ყოველ დროს ახვადასხვაგვარი იყო, უმალლესი მიზანი ერთადერთი, რომელიც სხვადასხვაგვარად, განსხვავებული გზებით, განსხვავებული პოეტური ხაშალებებით მიიღწეოდა. თანამედროვე ქართული პოეზია ერთგულად აგრძელებს უმთავრეს ტრადიციას: რომ „ჩემს შემდგომად მომავსა ჩემსა, სიძნელე გზისა გაუადვილდეს“. ვის როგორ გამოუდის ამ ტრადიციის გაგრძელება. მომავალი გაარკვევს...

ხშირად ეკითხებიან პოეტს, მეთხველს: როგელი პოეტი გიყვართ ყველაზე მეტად? ყველა თავისებურად ასუხობს. მე რომ მკითხონ, როგელი პოეტი გიყვარს ყველაზე მეტადო, — ვერ ვუპასუხებ. თუ ვუპასუხებ პოეტების ნია უფრო გრძელი ჩამოვნავ, ვიდრე დღესა მიღებული. დავიწყებ ხალხური პოეზიით, რუსთაველით, მოვალ მეოცე საუკუნემდე, თანამედროვეებსაც დავასახელებ, როგორც მიხედით, ჩემს ნიაში არ შეეა მხოლოდ გენიოსთა თანაკარკვლავეები, ცხადია არც უსაშველოდ გაგრძელდება.

პოეტური გემოვნების ჩამოყალიბება, განვითარება. საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. პოეზიის სიყვარული, რომელიმე ერთი პოეტის (თუნდაც გენიოსის) დამხახურება არაა. ვიდრე ჩვენ იმ გონებრივ დონეს თუ ახაკობრივ ზღვარს მივაღწევთ, როცა შეგნებულად, თამამად შეგვეძლება დავასახელოთ ან განვსაზღვროთ, რომელმა პოეტმა რა წვლილი შეიტანა ეროვნული პოეზიის განვითარების საქმეში, „ძალაუნებურად, მეკანიკურად ვიმეორებთ ავტორიტეტთა აზრს, მათ შემოთავაზებულ სიას: ხუთეულს, შვიდეულს, ათეულს; მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით, დიდი სიბრძნე არ არის საკვირო, რომ მივხვდეთ: მთელი ქართული პოეზია მხოლოდ ხუთ ან ათ კლასიკოსს არ შეუქმნია. მათ გვერდით საუკუნიდან საუკუნეში მოდვაწეობდნენ ჭეშმარიტი პოეტები, რომელთა შემოქმედებამ, მართალია თითო-ოროლა ლექსით მოიღწია, მაგრამ ამ „ცალიერ-ფიცარ“ ნეგავლენა მოახდინა ჩვენს ეროვნულ ფასეულობებზე; და რაც მთავარია პოეტური მდგომარეობის შემდგომ წინსვლაზე. როცა ვამბობ: ზოგი პოეტის შემოქმედებამ თითო-ოროლა ლექსით მოიღწია ჩვენამდე, მე ეგზულისხმობ იმ თითო-ოროლა ლექსს, რომელიც ხალხმა მათივე (ცნობილ პოეტთა) სხვა ნაწარმოებებიდან გამოარჩია, და იმ თითო-ო�ლა ლექსსაც, რომელიც სასწაულით გადარჩა ან უამრავ ხელნაწერთაგან, რომელთა უმრავლესობა ომებისა და რბევის ხანძარმა შთანთქა. განა შეიძლება დღეს წამით მაინც წარმოვიდგინოთ რა განადგურდა, რა იქცა ფერფლად და რა შეეწალა მშობლიურ მიწას?! განადგურების ბედი ეწია ხელნაწერებს, რომელთა პოპულარიზაცია იმ დროში შეუძლებელი იყო. დაკარგული ხელნაწერების დონე ბუნდოვნად მაინც შეიძლება წარმოვიდგინოთ თუ ზეპირსიტყვიერებისა და კლასიკის უძველეს ნიმუშებს გავიხსენებთ. ხომ შეუძლებელია, უმალესი პოეტური ფოლკლორის პატრონერს არ ჰკონდა შესაბამისი კლასიკური პოეზია რუსთაველამდე, მიმნოგრაფიულ პოეზიამდე. უფრო ადრეც?! წინაადმდეგ შემთხვევაში ვერ აღმოაცენებდნა ვერც „ვალმანი სინაწულისანი“, ვერც „ვეფხისტყაოსანი“.

ქართული კლასიკური პოეზია ხალხური პოეზიის უძველესი წყალიდან იღებს სათავეს. მაგრამ ვის შეუძლია დაეჭიბნიოთ ამტკიცოს ამა თუ იმ ხალხური შედევრის ზუსტი თარიღი, მიუზედავად მათი ხაზგასმული არქაულობისა?! ხალხური ლექსი ხომ საუკუნეების მანძილზე მარადიულ ცვლილებას განიცდიდა. ზოგი მათგანი უფრო დაიხვეწა, დაკრისტალდა და სრულქმნილი მარგალიტის სახით მოაღწია ჩვენამდე, ზოგმა, ალბათ პირველადი ელვარება დაკარგა, მაგრამ მაინც აშკარად იგრძნობა, რომ ერთ ლექსში ზოგი სტრიქონი ერთი საუკუნის წიაღიდან მოღწეული სხივივით ციმციმებს, ზოგი სიტკვის ან სტროფის სათავე უფრო შორსაა დანთქმული და ჩვენს თვალთახედვას არ შეუძლია უსხოვარი დროის უფსკრულამდე მიაწვდინოს მზერა. წარმოიდგინეთ არეულოფიური გაოხრების შემდეგ აღმოჩენილი მიწაში დაძირული ჭაღარა ან და ჭალაქის ქვეშ სხვა ქალაქი, რა თქმა უნდა უფრო ძველი, და ამდენად, უფრო მნიშვნელოვანიც, ანდა უძველესი ტაძრის კედელზე ფრესკები და რეტაფარტარია მიერ შემთხვევით მიკვლეული ძველი ფრესკები, უფრო ახალ ფრესკათა ქვეშ. ასეთივე ხერთის აწყდებიან ხალხური პოეზიის მკვლევარნი, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხალხურ პოეზიაში არსებული სიტკვიერი შრეების

ბ ი ბ ი ო ა ლ ა ზ ი ბ ვ ი ლ ი
ს ა ე ბ ა ბ ი ი ბ ი ი ბ ვ ლ ი ბ ა ნ ა

გამოცალკევება, განსაზღვრა და აღდგენა შეუძლებელია, რადგან ხალხური ლექსი იმ დიდი მდინარის ტალღაა, რომლის სათავე და შუხრთავი არ მოჩანს, მარად მიედინება და მარად იცვლება.

მზე შინა და მზე გარეთა
მზეკ, შინ შემოდიო.
უყიალია მამაღლაო,
მზეკ, შინ შემოდიო.
გათენდი, თუ გათენდები,
მზეკ, შინ შემოდიო.
მზე დაწვა და მთვარე შობა,
მზეკ, შინ შემოდიო.

ანდა:

მზე დედაა ჩემი,
მთვარე მამა ჩემი,
ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.

არაა სადავო, რომ ამ ლექსთა სათავეები დროის თვალუწვდენელ სიღრმეებშია მიმალული, რომ ამ ლექსთა პირველსახე სხვაგვარი იქნებოდა. ამ ლექსებიდან გამოიოინალი ჯრი გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე ის ენობრივი ქსოვილი, რომლითაც ჩვენამდე მოაღწია.

ისევე, როგორც კლასიკურს, ხალხურ პოეზიასაც განვითარების თავის გზა გააჩნია. ცვალებად პოლიტიკურ გარემოთათან ერთად — კლასიკური პოეზიაც იცვლებოდა შესაბამისად. განსწავლულნი პოეტნი ორავინაფნი კითხულობდნენ, ეცნობოდნენ მეზობელი ქვეყნების ლიტერატურულ მიღწევებს, კულტურის საერთო დონეს. ამგვარ ლიტერატურულ ურთიერთობებს რომ უკვალოდ არ ჩაუვლია, დღეს უკვლახვოის ნათელია. ვიდრე ქართული კლასიკური პოეზია, მხოლოდ ცალკე, ხელნაწერებში არსებობდა, მისი მკითხველნი ზეგავლენის ფერიოდნი ფრიად ვიწრო იყო. ქართველი პოეტი იცნობდა ქართული ზეპირსიტყვიერების ცალკეულ ნიმუშებს, წინამორბედ პოეტთა ნამოდვაწარს (ნაწილობრივ მაინც), სხვათა ქვეყნების პოეტურ მიღწევებსაც, ხოლო ხალხი, ფოლკლორის უსახელო ავტორი, ნაკლებად იცნობდა, ან სულ არ იცნობდა სხვათა ლიტერატურას. ერთ ან რამდენიმე ეგზემპლარად, ხელნაწერების სახით არსებულ ქართულ კლასიკას. აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული ხალხური პოეზია, გარკვეულ პერიოდამდე, უფრო „დამოუკიდებლად" ვითარდებოდა. ვიდრე კლასიკური; სწორედ ამ შედარებითმა „დამოუკიდებლობამ" (მანამდე, ვიდრე გაფართოვდებოდა ხალხური და კლასიკური პოეზიის ურთიერთზეგავლენის მასშტაბი), თითქმის პირველეყოფილი სახით შემოგვინახა ქართველი ხალხის პოეტური სულის პრეისტორიული სიღრმე და სათავეები.

. . . . . .

დღესდღეობით, თეატრებსა და სპორტის სახახლეებში გამართულმა პოეზიურ „ფესტივალებმა, რადგან, ტელევიზიამ, ბეჭდურმა „ორიგინალურ ორიგინალურმა თუ თარგმნილმა ლიტერატურამ — უზარმაზარ აუდიტორიას მოუკარა თავი. ლიტერატურული ინფორმაციის მოზღვავებისას შეუძლებელია დადგენდეს მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში ფოლკლორის, ქართული თუ უცხოური ლიტერატურის ურთიერთზეგავლენის მასშტაბები. ზეპირსიტყვიერების შემქმნელი ხალხისთვის აღვილად ხელმისაწვდომია არამარტო ქართული და უცხოური კლასიკა, არამედ სხვათა ფოლკლორული ნიმუშები. ხალხი, რომელიც წინათ „ვეფხისტყაოსანს" იზეპირებდა, ხოლო რუსთაველამდე საკუთარ პოეტურ ტრადიციებს, უტეუარ ალლოს თვლიდა ერთადერთ, სწორ ორიენტირად, საუკუნეთა განმავლობაში, შეუმჩნევლად, თანდათან მიუახლოდა განვითარების იმ დონეს, როდესაც იგი ანე თუ ისე დაეუფლა, გაითავისა და გადახარშა მსოფლიო ლიტერატურის მრავალი მიღწევა.

შორს დარჩა ის დრო, როცა ზეპირსიტყვიერება ლიტერატურის განვითარების ერთადერთი საშუალება იყო. ამდენად, ჩვენს დროში შექმნილი ზეპირსიტყვიერების ხვედრითი წონა უფრო შემცირდა. ძალიან ბშირად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ხალხური პოეზიის თანამედროვე ნიმუშებს კი ან ამბობენ, არამედ წერენ მათი ავტორები, არსებული ვერსიფიკაციისა და კლასიკური პოეზიის მიღწევათა გარკვეული გათვალისწინებით. სხვათა კლასიკურსა და ხალხურ პოეზიას შორის, ამჟამად, მხოლოდ კუთხური კილოთი, კოლორიტით შემოიფარგლება. თუ „ვეფხისა და მოყმის ბალადა" ყველა დროის ქართული პოეზიის შედევრად ითვლება, დღესდღეობით, მგონი არ შექმნილა ისეთი ახალი ხალხური ლექსი, რომელიც შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ „ბერანს", „სულო ბოროტოს", „ბანთიადს". წინათ ხალხური მელექსე თავის ნაოქვამ ლექსებს რედაქციებში ვერ მიიტანდა, — მისი ლექსებიდან კი ხალხის მეხსიერებაში მხოლოდ ის ნაწარმოები რჩებოდა, რომელიც ხალხს სულსა და გულს ეხებინებოდა. დროის გამოცდას გაუძლებდა. როდესაც საუოველთაო განათლებამ მოიცვა ქვეყანა, როგორც კი გაჩნდა პირველი ლიტერატურული ბეჭდური ორგანოები, პოეტობის მაცდუნებელმა ხურვალმა, გაკვეულნებისა და ხალხის სახელით გამოხვლის ცდუნებამ, ბევრს აუცრუა გული ძირითად საქმეზე და მრავალი წიაეტონი პოეზიის საჯიდაო ქვას. ხალხური პოეტური შედევრების იდუმალი ავტორები პროფესიონალი პოეტები რომ არ იყვნენ, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, სადავო არ უნდა იყოს. ხალხი მელექსეში გულისხმობდა მხედარს, მეომარს, გუთნისდედას, მთიბველს, მწყემს, მევენახეს — გამთლიანებულს. არა თუ ხალხს-

პოეტს, არამედ ჩვენს კლასიკოს მწერლებსაც არ ეცალათ მხოლოდ პოეზიისათვის, მხოლოდ პრაზნოთვის, მხოლოდ წმინდა ლიტერატურული ძიებებისათვის. სალიტერატურო და საერო საქმე მრავალი მიზეზის გამო, მათთვის ერთ მცნებას წარმოადგენდა. ამიტომ შენივთდა, შეზავდა ეს ორი სფერო მათს შემოქმედებასა და მოღვაწეობაში.

დროთა განმავლობაში ხალხს გამოეცო პოეტობაზე პრეტენზიის მქონე დილეტანტი, მან შეუფერებელ საქმედ ჩათვალა თავზე, ბარვა, კალატოზობა, ანუ ის საქმიანობა, რითაც იგი ქვეყანას გამოადგებოდა, ზურგი შეაქცია იმ მოგვარს, რასაც მისი პოეტური სული უნდა ესაზრდოვებინა. რისთვისაც ზურგი არ შეუქცევია ვაჟა-ფშაველასაც კი.

საშუალო ან უმაღლესი განათლება, ვერსიფიკაციის ანბანის სწავლა, ზოგს პოეტობის ილუზიას უქმნის. ამიტომ ჭირს რამდენიმე ასეულ პოეტობამოწადინებულ ავტორთაგან ერთმანეთად ნიჭიერი პოეტის გამორჩევა. ყოველ დ-პეტდილ სტრიქონს — ლიტერატურული ალიარების ფაქიზის ძალა აქვს, ეს კარგად იცის ზოგიერთმა და დაბეჯითებთან მოითხოვს უმწიფარი ნაწარმოებების ბეჭდვას. ვიდრე ლიტერატურულ პრესაში დაკუშვებთ „თითქოს ლექსიას“ ბეჭდვის პრეცედენტს, არც „მოყვარულ“ პოეტების სიჯარბე და პრეტენზიები უნდა გავიკვრეოთ.

სხვადასხვა დონის მკითხველს სხვადასხვა გემოვნება აქვს. ის გარემოება, რომ ჩვენ ყველა ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციებზე გავიზარდეთ, არ ნიშნავს იმას, რომ ერთნაირად გვესმის ესა თუ ის პოეტური ნაწარმოები. ერთ ტელეგადაცემაში, ცნობილ თეატრალურ რეჟისორს ტოვსტოლოგოს ჰკითხეს: როცა ახალ სპექტაკლს დგამთ როგორი მაყურებლის გემოვნებას ითვალისწინებთ, რა დონის მაყურებლისთვის დგამთ? რეჟისორმა მოკლედ უპასუხა — ჩემი დონის, ჩემნაირ მაყურებელს ვითვალისწინებთ! ამ პასუხში იგრძნობა ცნობილი ოსტატის ზრუნვა მაყურებელზე, მაღალმტავრული სპექტაკლით მათი გემოვნების, საშუალო დონის ამაღლების სურვილი.

პასიური მკითხველი განუსაზღვრელად, მექანიურად იზიარებს ლიტერატურული ავტორიტეტის აზრებს. ზოგიერთი ავტორიტეტის [illegible] ზოგჯერ საკამათოა და მიეღებელია მაღალი გემოვნების მკითხველისთვის. ასე რომ შეუძლებელია ნებისმიერმა მკითხველმა თანაბარი წარმატებით იცოდეს „ვეფხისტყაოსანი“, „დავითიანი“, ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკა და სხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იარსებებდა ლიტერატურათმცოდნეობა და ლიტერატურული კრიტიკა; მათ ხომ თავიუფლებელი, დაძაბული შრომა უწევთ ლიტერატურის ისტორიისა და თანამედროვე მწერლობაში მიმდინარე პროცესების შესასწავლად. ათასხუთასწლოვან ქართულ ლიტერატურაში, ყველაზე ახალგაზრდა მაინც ლიტერატურათმცოდნეობაა. ამ მარტივი მიზეზის გამო შეუძლებელი იყო რამდენიმე ათწლეულში, ასე თუ ისე სრული შესწავლა თხუთმეტსაუკუნოვანი მწერლობისა. ერთი ლიტერატურათმცოდნის კვლევის შედეგი რომელიმე ლიტერატურულ ეტაპზე, შეუძლებელია ამომწურავი იყოს, რადგან ლიტერატურული შედეგი იმდენ ახალ აზრს ბადებს, რამდენი განათლებული მკითხველიც მჟავს ყოველ ახალ თაობას.

ქართული პოეზიის თანავარსკვლავედი კი ყველას თავისებურად წარმოუდგენია, ვერც ურჩევ მკითხველს გააფართოოს ან შეამციროს ის ხია, რომელშიც რამდენიმე უდიდესი პოეტის გვარი ოქროს ასოებით ჩაუწერია. მაგრამ მკითხველი არასოდეს დაივიწყებს იმ ბრწყინვალე პოეტებს, რომელთა ლექსებზეც გავიზარდეთ, რომელთა ლექსებს ყველა თაობა კითხულობდა და დღესაც კითხულობს სიყვარულით. სწორედ ამატომ, როცა მეკითხებიან: რომელი პოეტი გიყვარს ყველაზე მეტად? მეხსიერებაში გაიელვებენ ლიტერატურის ისტორიისათვის სხვადასხვა მასშტაბების და სხვადასხვა მნიშვნელობის პოეტთა გვარები, მათი სტრიქონები, სტროფები, ხალხური ლექსები, რომელთაც ისტორიულ ჭარტეხილებს, ნგრევას და გარდასახვას გაუძლეს, რომელსაც ერთიანი, ქართული პოეზიის უკადავი სული ჰქვია.

ალექსანდრ გლოკი

ინტელიგენცია და რევოლუცია

„რუსეთი იღუპება“, „რუსეთი აღარ არსებობს“, „სამარადისო ხსოვნა რუსეთს“ — მესმის ჩემს ირგვლივ.

მაგრამ ჩემს წინ რუსეთია: ის, რომელსაც ჩვენი დიდი მწერლები შესაშინებელ და ფინასწარმეტყველურ სიზზრებში ხედავდნენ; ის პეტერბურგი, რომელსაც დოსტოევსკი ხედავდა: ის რუსეთი, რომელსაც გოგოლმა მჭროლავი ტროიკა უწოდა.

რუსეთი — ქარიშხალია. დემოკრატია „ქარიშხლით წელშემორტყმული მოდის“, ამბობდა კარლეილი.

რუსეთს ხედად უწერია ტანჯვის, დამცირების, გაუოფის გადატანა; მაგრამ იგი გამოვა ამ დამცირებიდან ახალი და ახლებურად დიადი.

აზრთა და წინათგრძნობათა იმ ნიაღვარში, რომელმაც ათი წლის წინ გამოტაცა, იყო რუსეთის შერეული გრძნობა: ნაღველი, შეძრწუნება. მონანიება, იმედი.

ეს ის დრო იყო, როდესაც მეფის ხელისუფლებამ უკანასკნელად მოაწია იმას, რაც უნდოდა: ვიტემ და დურნოვომ გათოკეს რევოლუცია, სტოლიპინმა მაგრად დაიბეგია ეს თოკი თავის ნერვიულ აზნაურულ ხელზე. სტოლიპინის ხელი ხუსტდებოდა. როდესაც ეს უკანასკნელი აზნაური აღარ არსებობდა, ხელისუფლება, ერთი ფრიად წარჩინებული პირის გამოთქმით, „მედიეტურების“ ხელში გადავიდა; მაშინ თოკი დასუსტდა და გაუბერავებლად თავისით გაწყდა.

ეს ყველაფერი რამდენიმე წელს გრძელდებოდა; მაგრამ რამდენიმე წელი ისე დაიწვა მხრებს, როგორც გრძელი, უძალო, მოჩვენებით აღსაგსე ღამე.

რასპუტინი ყველაფერია. რასპუტინი ყველგანაა: მზილეული და არამზილეული აზიფები. დაბოლოს ევროპული სასაკლაოს წლები; წუთით გვეჩვენა, თითქოს იგი ჰაერს გაწმენდდა: ჩვენ გვეჩვენა, ზედმეტად შთამბეჭდავ ადამიანებს; სინამდვილეში კი ის იმ სიცრუის, სიბინძურის და ხაძაგლობის ღირსეული გვირგვინი აღმოჩნდა, რომელშიც ჩვენი სამშობლო ცურავდა.

რა არის ომი?

ჭაობები, ჭაობები, ჭაობები; ბალაბით დაფარულნი ან თოვლით გადაპენტილნი; დასავლეთით უხალისო გერმანული პროფეკტორი ღამიდან ღამემდე ფაფურობს; მზინან დღეს გერმანული ფოკერი გამოჩნდება ხოლმე; ის ჭიუტად ერთიდამავე გზით მოფრინავს; თითქოსდა თვითონ ცაში ბილიკის გაკეკვნა და გაბინძურება შეიძლებოდეს. მის ირგვლივ თხელი ნისლი იფანტება; თეთრი, რუხი, მოწითალო (ეს ჩვენ ვუშენთ ტყვიას, რომელსაც თითქმის ვერას-დროს ვერ ვაბვედრებთ; ისევე როგორც გერმანელები ჩვენ); ფოკერი მორცხვობს, ორეულ-ფრობს, მაგრამ ცდილობს თავისი ბილწი გზის შენარჩუნებას; ზოგჯერ მეთოდურად ჩამოაგდებს ყუმბარას; ე. ი. ადგილი, სადაც ის უმიზნებს რუკაზე, გერმანელი ზტაბის მოსამსახურეთა ათობით ხელითაა ნაგიდღნი; ყუმბარა დაეცემა ხან სასაფლაოზე, ხან პირუტყვის ჯოგზე, ხან ადამიანების ჯოგზე; უფრო ზშირად კი რასაკვირველია, ჭაობში; ესაა ათასობით სახალხო მანეთი ჭაობში.

ადამიანები მისჩერებიან ყველაფერ ამას. გული უწუხთ მოწყენილისგან, იღუპებიან უსაქმურობისაგან; აქეთ უკვე მოუსწრიათ გადაეთრიათ ომამდელი ბინების მთელი სისაძაგლე: ღალატი, ბანქოობა, ლოთობა, კინკლაობა, ჭორი.

ევროპა გადაირია: კაცობრობის საუკეთესო ნაწილი, ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი წლებით ჭაობში ზის, ზის დარწმუნებით (სიმბოლო ხომ არაა?) ვიწერო ათასეულისან ზოლზე, რომელსაც „ფრონტი“ ეწოდება.

ადამიანები პაწაწინები არიან, დედამიწა უზარმაზარია. ეს სისულელეა, რომ მსოფლიო ომი

ასე შესამჩნევია: საკმარისია ერთი მტკაველი მიწა, ტყის პირი, მდელო, რომ შესანიშნავი იქნას ადამიანების ან ცხენთა თასობით გვამის მიწვენა. ხოლო რამდენი მათგანი შეიძლება ჩაადო ორმაში, რომელსაც მალე ბალახი და ფარაგს ან თოვლით მოიფიქებ. აი, ერთ-ერთი ხელშესახები მიზეზი იმისა, რომ „დიდ ეროპაულ ომი“ ასე უსაძრუკია.

ძნელი საკმელია, რა უფრო გულისამრეკია: ის სისხლისღვრა თუ ის უსაკმეობა, ის მოწყენილობა, თუ ის უსამსობა; ორივეს სახელია „დიდი ომი“. „სამამული ომი“, „ომი ჩაგრული ხალხების განთავისუფლებისათვის“ თუ კიდევ როგორ? არა, ამ ნიშნის ქვეშ ვერავინ გაანთავისუფლებს.

აი, ჭუკუნისა და გატიალების სისაძაგლის ულლის ქვეშ, გასაგიეთელი მოწყენილობის და უაზრო უსაქმურობის ტვირთის ქვეშ, ადამიანები რაღაცნაირად დაიბნენ, გაჩუმდნენ და თავის თავში ჩაიკეტნენ :თითქოს ხეფის ქვეშ ისხდნენ, საიდანაც თანდათანობით ჩაერი იტუმბეთი და. აი, მარილაც როდის თავზედდებოდა კაცობრობა, და ერთიდ რუსეთის პატროტება.

წინათგრძნობათა ნაკადი, რომელმაც ორ რევოლუციას შორის ზოგიერთი ჩვენთანავის თავზე გაიბმაური, აგრეთვე დასუსტდა, მიეუჭდა. სადღაც მიწაში ჩაიმარხა. ვფიქრობ, რომ არა მხოლოდ მე განვიცდიდი ავადყოფობისა და ნაღველის გრძნობას 1909-1916 წლებში. ახლა, როდესაც ევროპის მთელი ჩაერი შეიცვლილია რუსეთი რევოლუციით, რომელიც თებერვლის დღეების „ესისხლო ილილითი“ დაიწყო და შეუჩერებლად და მრისხანედ იზრდება, ზოგჯერ ჭვეშეკენა, თითქოს არც კი იყო ის ამასწინან�деში. ახეთი ძველი ღა შორეული წლები; ხოლო ნაკადი, მიწაში ჩახული, სილრმეში და ბნელეთში უმბაურად მომდინარე, აი, ის კვლავ ხმაურობს; და მის ხმაურში ახალი მუსიკაა.

ჩვენ გვიყვარდა ეს დისონანსები, ეს ღრიალი, ეს რეკა, ეს უეცარი გადასვლები... ორკესტრში. მაგრამ, თუ ჩვენ ისინი მარტოოდ გვიყვარდა, და არა მხოლოდ ნერკებს ეიღიტინებდით მოღერ თეატრალურ დარბაზში სადღილის შემდეგ. ჩვენ უნდა ვუსმენდეთ და გვიყვარდეს ოგივე ბანგები ახლა, როდესაც ისინი მსოფლიო ორკესტრიდან გამოვარდვინან; და მოსმენისას გვეცხმოდეს. რომ ეს სულ ერთ და იმავეს შესახებაა.

მუსიკა ბომ სათამაშო არაა; ხოლო ის გაიძვერა, რომელიც თვლიდა, რომ მუსიკა სათამაშოა, ახეც მოიქცეს ახლა, როგორც გაიძვერა იეაბცათის, იმლიქვნელოს, გაუფრთხილდეს თავის ავლადიდებას!

ჩვენ რუსები, განვიცდით ეპოქას, რომელსაც სიდიადით არა ჰყავს ბევრი ტოლფასი. გვახსენდება ტიუტჩევის სიტყვები.

Блажен кто посетил сей мир
В его минуты роковые,
Его признали всеблагие,
Как собеседника на пир,
Он их высоких зрелищ зритель...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვანის ხაკმე არაა თვალუური ადეკნოს იმას, თუ როგორ სრულდება ჩანაფიქრი, იზრუნოს იმაზე, შესრულდება იგი თუ არა. ხელოვანისთვის ყველაფერი ყოფიერი, ცხოვრებისეული, სწრაფად ცვალებადი, გამოხატულებას შეიმდგომში ჰპოვებს, როდესაც ცხოვრებაში გადაიწვება. ისინი ჩვენგან, ვინც გადარჩენილნ, ვისაც არ „გაიელვას დაფრენილი ხმაურიანი გრიგალი“, უთვალავ სულიერ განძთა მფლობელები აღმოჩნდებიან. მათ დაუფლებას შესძენებს, ალბათ, მხოლოდ ახალი ენენა, პუშკინის არიონი; ის, „ტალღით ნაპირზე გამოგდებული“. იმფერნეს „უწინდელ ბიმნეს“ და „თავის ხელ შუსამოსელს“ გაკშობს „ალლიტვეს, ბუზუზუ“.

ხელოვანის ხაკმე, ხელოვნების დამსახურებაა. დაინახოს ის, რაც ჩაფიქრებულია, ისმინოს ის მუსიკა, რომლითაც ვრგვინავს „კრაზი გახლეჩილი ბარი“.

რაა ჩაფიქრებული?

გადაკეთდეს ყველაფერი. მოეწყოს ისე, რომ ყველაფერი განაახლდეს; რომ ჩვენი ცრუ, ჭუკუიანი, მოსაწყენი, მოსაბეზრებელი ცხოვრება გადაიქცეს სამართლიან, წმინდა, მხიარულ და მშვენიერ ცხოვრებად.

როდესაც ასეთი ჩანაფიქრი, ოდითგანვე ადამიანის სულში, ხალხურ სულშია გულჩახვეული, გლეკს მის შემმოკვე ბორკილებს და ეშვება ბობოკარ ნაკადად. ყვბარების მსხვრევით, ნაპირების ზედმეტი ნაკეთებნის ჩამოქცევით, — ამას რევოლუცია ჰქვია. უფრო მოშკერის, უფრო ზომიერს, უფრო მდაბალს ჰქვია ამბო ხება. ბუნება, გადატრიალება. მაგრამ ამას რევოლუცია ეწოდება.

იგი ბუნებას ენათესავება. ვაი მას, ვინც რევოლუციაში მხოლოდ თავის ოცნებათა ასრულების დანახვას ფიქრობს, როგორც კი უნდა მაღალი და კეთილშობილი იკუნენ ისინი. რევოლუციას, როგორც ავდრის გრიგალს, როგორც თოვლიან ქარბუქს, ყოველთვის მოაკვს ხელ და მოუსოდნელი: იგი ბევრს სასტიკად ატყუებს; იგი ადვილად ასაბიჩრებს თავის მორევში ღირსეულს; მას ხშირად უვნებლად გამოჰკვეს ნაპირზე ულირსნი; მაგრამ ეს წესრიალმანია, ეს არ ცვლის არც ნაკადის საერთო მიმართულებას, არც იმ მრისხანე და გამაკრუებელ ჭუჭუნს, რომელსაც ნაკადი გამოსცემს. ეს გუკეთენ, სულერთია, ყოველთვის ლიადის შუახანებაა.

რუსული რევოლუციის გაკანება, რომელსაც უნდა მოიცვას მთელი მსოფლიო (ნაკლებს

ალექსანდრ ბლოკი
ინტელიგენცია და რევოლუცია

ჭეშმარიტი რევოლუციაა ვერ ისურვებს, აღსრულდება თუ არა ეს სურვილი. ჩვენ ამაზე ვერ ვიმსჯელებთ) ასეთია: იგი იმედით სულგმეღლობს — ადებოს მსოფლიო ცილნონი, რომელიც თოვლით დაფარულ ქვეყნებში მოიტანს ობილ ნიავს და ფორთოხლის წარაფების ნაზ სურნელებას; გაანძოფოებს მზით გადაშწვარ სამხრეთის სტეპებს ჩრდილოეთის გრილი წვიმით.

„მშვიდობა და ერთა ძმობა" — აი, ნიშანი, რომელთაც მიმდინარეობს რუსული რევოლუცია. აი, რაზე ფრანგებმა მისი ნაკადი. აი, მუსიკა, რომელიც სმენის მეჩიენ უნდა გაიგონოს.

რუს ხელოვანებს საკმარისი „წინათგრძნობა და მოაზროვნის ნიშანი" ჰქონდათ, იმისათვის, რომ რუსეთისგან სწორედ ასეთ დავალებებს ელოდეგბოდნენ. მათ არასოდეს ეპარებოდათ ეჭვი იმაში, რომ რუსეთი დიდი ხომალდია, რომელსაც დიდი ნაოსნობა უწერია. ისინი, ისევე როგორც მათი მასაზრდოებელი ხალხური სული, არასოდეს არ გამოირჩეოდნენ ანგარიშიანობით. ზომიერებით, აკურატულობით: „ყველაფერში, რაც დაღუტავი გვემუერება" ომალებოდა მათ-თვის „ავსნნელი სიამოვნება" (პუშკინი). არაკეთილდღეობის გრძნობა, არცოდნა ზვალინდელი დღის, ყველგან თან სდევდა მათ. მათ-თვის, იმეცე როგორც ხალხისთვის, მის ყველაზე უფრო ღრმა ოცნებებში არსებობდა ყველაფერი ან არაფერი. მათ იცოდნენ, რომ მხოლოდ მშვენიერის შუხაბეს ღირს ფიქრი, თუმცა „მშვენიერება ძნელია", როგორც პლატონი ასწავლიდა.

დიდი რუსი ხელოვანები — პუშკინი, გოგოლი, დოსტოევსკი, ტოლსტოი წუვდიადში იძირებოდნენ, მაგრამ მათვე ყოფნიდათ ძალა ამ წუვდიადში ყოფნისა და დამლვლისა: რადგან მათ სწამდათ სინათლის. ისინი იცნობდნენ სინათლეს. თითოეული მათგანი, ისევე როგორც მთელი ხალხი, რომელმაც ისინი გულში ატარა. ეგბილებს ალრეალებდა წუვდიადში, სასოწარკვეთაში, ხშირად სიბრაზეში. მაგრამ მათ იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერი, ანუ ბუნებრივ ეჭნება, რადგან ეგბოვება მშვენიერია.

ცხოვრება მშვენიერია. რისთვის იცხოვროს ეს ხალხმა ან ის ადამიანმა, რომელმაც ფარულად ყველაფერზე რწმენა დაკარგა? რომელსაც ცხოვრებაზე გული გაუტეხა და „მოწყალებით" და „სამადლოდ" ცხოვრობს? რომელიც ფიქრობს, რომ ცხოვრობდე „არც ისე ცუდია, მაგრამ არც ისე კარგი", რადგან „ყველაფერი თავის გზით მიდის": ეფოლუციური გზით; ადამიანები კი, საერთოდ, იმედნაგდ ცუდები და არასრულყოფილნი არიან, რომ ოღონდ ღმერთმა მისცეს საშოალება როგორღაც ხვნეშით გაატარონ თავის ნეფინოფელი, შეიკრან ანზოგადობებში და სახელწეფოებში, ვაიმიკნონ ერთმანეთს უფლებებისა და ვალდებულებების ბრალებით, პირობითი კანონებით, პირობითი ერთობებით...

ახე ფიქრი არ ღირს: ხოლო მისთვის ვინც ახე ფიქრობს: ხომ ცხოვრებაც არ ღირს. ადვილია მოკვდე: შეგიძლია მოკვდე უმტკივნეულოდ:

ახლა რუსეთში ,ისე როგორც არასდროს სიკეთილი უმღვდელოდ შეიძლება: მღვდელი წესის ადების ქრთამით არ გაწყვეხნენებს...

ცხოვრება მხოლოდ ისე ღირს, რომ მას უზომო მოთხოვნება წაუყენო: ყველაფერი ან არაფერი; ელოდო მოულოდნელს; გწამდეს არა „იმის რაც ქვეყანაზე არ არის", არამედ, ის რაც ქვეყანაზე უნდა იყოს; რა ვუთხო, რომ ახლა ის არ არის და დიდნანი არ იქნება. მაგრამ ცხოვრება მოგვეცემს მას. რადგანაც ცხოვრება მშვენიერია.

მომავალდნებელი დაღლილობა პირუტყვული მხნეობით იცვლება. ღრმა ძილის შემდეგ ახალ-ახალი, ძალით ნაბანი აზრები მოდის; ღღისინოფმზნისთ ეს აზრები, შეიღლება ბრიყვულად მოგვეჭვენოს. ტუუის მზიანი დღე.

ხომ უნდა იგრძნო, სიიდან მოდიან ასეთი აზრები. საკირაოა ეი, ახლა მიხვდე, რომ ბრიყვი ივანეშეკასავით სულ ახლახანს ლოგინიდან წამომბტარი რუსი ხალხის, თუ არა მტრულ, მაინნ ბრიყვულ აზრებში. დიადი შემოქმედებითი ძალა არსებობს.

რატომ „უჩრედლეკა"? (სხვათა შორის, ეს სრულიად არც ისე საწყენია. გლეუბეს აქვთ ჩვეულებრივი — „პოტრებილეკა".) — იმიტომ რომ, ჩვენ თვითონ ვსკიდით — ვგამგებლობდით „ხაარჩენო ავიტაციებზე", ვსკიდით მოხელეებს ამ ავიტაციებთან დაკავშრებით „ბორტად გამოუყენებებისთვის", იმიტომ, რომ ყველაზე ცივილიზებული ქვეყნები (ამერიკა, საფრანგეთი) ახლა ხაარჩენო თაღლითობაში, ხაარჩენო მეკრთამეობაში იხარობიან.

იმიტომ, რომ (მე ბრიყვულად) მე თვითონ მინდა ყველაფერი „გავაკონტროლო", მე თვითონ მინდა ყველაფერი, არა მხოლო, რომ „წარმადგინონ" (ამაში დიდი ცხოკრებისეული ძალა: ურწმუნო თომას ძალა); კიდევ იმიტომ, რომ ოდესღაც მრავალსვეტიან დარბაზში გაისმება მეტად წარჩინებული პირის საკეთილისებრი ხმა: „კანონსრიალეკი ასეთი და ასეთი ოცდამეცხრამეტე კითხვისაბ უარყოფილია", ამ საკეთილისებრ ხმაში იქნება ისეთი ჩლუნგი, ისეთი საშინელი სიზარი, „ორგანიზებული საზოგადოებრიობის" ისეთი მგრგვინავი მოკნარეკი, ისეთი უსაბელო საშინელება, რომ კვლავ და კვლავ ჩვენგან ყველაზე უფრო მგრძნობიარენი, ყველაზე უფრო მუსიკალურები (რუსები, ფრანგები, გერმანელები — ყველანი ერთნაირად) „ინდივიდუალიზმში". „საზოგადოებრიობისაგან გაკეცვაში", მარტოხელა უკუნეთში

გადაეშვებიან. იმიტომ, ბოლოსდაბოლოს, რომ მარტო ღმერთმა უწყის, როგორ ირჩევდა, ვის ირჩევდა, საითაკენ ირჩევდა დღევანდელი დღის უწყინური რუსეთი; რუსეთი, რომელსაც ვერ შეახებენინა, რომ დამფუძნებელი ერება მეფე არაა.

რატომ „ძირს სახამრთლოები"? — იმიტომ, რომ არსებობს „დებულებების" და „განმარტეების" ტომები, რომ მოსამართლე — ბატონი და „ბატლაკი" და ბატონი ერთმანეთში „დელიკატის" შესახებ ბაასობენ და წარმოებს „ხამსაკვარო ხმდომა", ის ყალთაბანდის უბედურ თავზე წარმოებს. ყალთაბანდი ისედაც ყალთაბანდია; უკვე ჩაიდინა ცოდვა, უკვე დაკარგა სული; დარჩა მხოლოდ ბოდა და მხოლოდ მოანანების ცრემლი: ან გაკვცივა, ან კატორღაზე; ოღონდ აქედან დაიკარგოს. რაღად უნდა, ისედაც გაბერილს, ბასხმაა ადგება?

ლიბერალური „ბატლაკი" დოსტოევსკიმ აღწერა; დოსტოევსკის სიცოცხლეში სდევნიდნენ, ხოლო სიკვდილის შემდეგ კი „დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა მომცერალი" უწოდეს ის, რაზეც მე ვლაპარაკობ, კიდევ ტოლსტოიმ აღწერა; აბა, ვინ ავლებდა გიბოსით ამ ამირეულის საფლავზე? ვინ მოთქვამს ახლა იმაზე, ვაი თუ ეს საფლავი „წაბილწონ"? და რა იცით თქვენ, იქნება გაბარებული იქნებოდეს ლევ ნიკოლაევიჩი მის საფლავზე ერთი-ორკერძ რომ მიეფურთხებინათ და ნამწვები დაეყრათ? მიფურთხება ღვთისგანაა, ხოლო გიბოსი არც ისე.

რატომ ჩვრეტენ ძველთაძველ ტაძარს? — იმიტომ, რომ აქ გთქვირებული მღვდელი ახი წლის განმავლობაში, ხლოინინი, იღებდა ქრთამსა და არყით ვაჭრობდა.

რატომ ბილწავენ ბატონის გულის გასახარებელ კარმიდამოებს? — იმიტომ, რომ იქ „უპატიურებენენ და როზგადენენ მოიალეე გოგოებს: ამ ბატონთან თუ არა, მაშ მეზობლებთან.

რატომ აჭცევენ ახწლოვან პარკებს? — იმიტომ, რომ ასი წლის განმავლობაში მათი ტოტებგაშლილი ცაცხვებისა და ნეკერჩხლების ქვეშ ბატონები თავიანთ ძალაუფლებას ჰაერენდნენ: მათხოვარს ფულის ქისას ატაკებდნენ ცხვირში, ხოლო ბრიყვს თავიანთ განათლებას.

ყველფერი ეს ახეა.

ვიცი რასაც ვამბობ. ცხენი ამას გარს ვერ შეშოუვლის. ამის შესახებ გაჩუმება შეუძლებელია; მაგრამ ყველა ჩუმადაა.

არც არავის პირად კეთილშობილებაში, არც არავის პირად მწუხარებაში ეკვი არ მეპარება: მაგრამ წარსულისთვის ბრმ ჩვენ ვიგებთ პასუხს? ჩვენ ერთი ჯაჭვის რგოლები ვართ. თუ მამების ცოდვები ჩვენს მხრებზე არ წევს? — თუ ამას ვერ გრძნობენ ყველანი, მაშინ უნდა იგრძნონ „საუკეთესოებმა".

ნუ სწუხართ. ნუთუ შეიძლება ქეშმარიტად ძვირფასის ნატამალიც კი გაჩეს? ეს ალბათ გვეკვირებია, რადგან ვშიშობთ იმაზე, ეს ალბ ეკვირდა. „სრულიფაფილი სიკეთური ბანდეების შიშს". ნუ გეშინიათ ერემლების, სასახლეებსა, სურათების, წიგნების ნგრევის. სასახლე, რომელიც ინგრევა სასახლე არაა, ერემლი, რომელიც მიწის პირისგაგან უნდა ალიგავოს არაა ერემლი. მეფე, თვითონ ჩამოვარდნილი ტახტიდან, მეფე არაა. ერემლები ჩვენ გულში გვაქვს, მეფეები კი თავში. მუდმივ ფორომებს, რომლებიც ჩვენს წინ გადაიშალა, წაგვართმევენ მხოლოდ გულთან და თავთან ერთად.

აბა, რა გეგონათ? რომ რევოლუცია იდილიაა? რომ შემოქმედება თავის გზაზე არაფერს არ ანგრევს? რომ ხალხი გამგონე ბიჭია? რომ ასობით არამზადა პროვოკატორი, შურაზმელი, ადამიანები, რომელთაც უუვართ ხელის გაობობა, არ ეცდებიან ხელი ჩაჰაიდონ იმას, რაც ცუდად დევს? დაბოლოს, რომ ახე „უსიხმლოდ" და ახე „უმტკივნეულოდ" გადაწყდება საუკუნო შუალი „ბავხა" და „თეთრ" ძალს შორის, „განათლებულებსა" და „უწიგნურებს" შორის, ინტელიგენციასა და ხალხს შორის?

თქვენ ხომ არ ხართ ახლა გასაღვიძებლები „საუკუნო ძილისგან"? თქვენ ხომ არ უნდა გიკვირონ Noli tangere circulos meos», რადგან თქვენ ნაკლებად გიკვირდათ, თქვენ კი მეტი მოგეკითხებათ, უფრო მეტი, ვიდრე ვინმე სხვას. თქვენში არ იყო ბრალი ეფერა. ეს მუსიკა სიკეთურულსა, თქვენ შეურაცხყოფდით ხელოვანს. ეთქვათ ხელოვანს, მაგრამ მისით თქვენ შეურაცხყოფას აყენებდით თვით ხალხურ სულს. სიკეთურეო სახწაულებს ახდენს. მუსიკა ნადირებს აკაფო

მომრეობაზე". გუშინდელი „ინტერნაციონალისტები" წუწუნებენ „წმინდა რუსეთზე"; დაბადებიდანვე ულმერთოობი მზად არიან სანთლები დანთონ, გარეშე და შიდა მტრის დაძლევაზე ილოცვენ.

არ ვიცი, რა უფრო საშინელია: წითელი მამალი და თვითგასამართლება ერთ ბანაკში თუ ეულზე შემოწოლილი არამუსიკალობა მეორეში?

მე ხომ „ინტელიგენციას" მივმართავ და არა „ბურუაზიას". ამას ხომ „არავითარი მუსიკა, ფორტეპიანოების გარდა, არც დასაზღვრებია იმისთვის ყველაფერი ძალიან უბრალოდაა: „უანლოს მომავალში ჩვენი გაიკანს", იქნება „წესრიგი", და ყველაფერი ძველებურად იქნება; მოკალაკეობრივი ვალი აღლდადების და საკუთარი ტაკვის დაცვაში მდგომარეობს; პროლეტარები „არამზადები არიან"; სიტყვა „ამხანაგი" სალანძღოა; შენი დაიცავი და თუ გინდა დღე-ღამე გადაავგიოგრე; შეიძლება დასცინონ კიდეც ბრიყვებს, მთელი ევროპის ჩოჩქოლება რომ განიზრახეს, ათასობამთ ღიპი, მთა უმეტეს, რომ სადღაც ზედმეტი ლუკმის წაგლეჯა შეძელი.

მათთან დავა ძნელია, რადგან მათი საქმე უდავოა: შუცლის საქმეა. მაგრამ ეხენი ხომ „ნაზევრადგანათლებული" ან სულაც „გაუნათლებელი" ხალხია; გაუგიათ ალბათ მხოლოდ იმის შესახებ, რაც ოჯახში და სკოლაში ულრუტუნეს. როგორც ულრუტუნეს ისეე მოეკოხეთან:

ოჯახი: „დაუჯერე დედას და მამას". „აგროვე ფული სიბერისთვის". „ისწავლე, გოგო, როიალზე დაკვრა, მალე გათხოვდები". „ნუ თამაშობ, შვილო, ეეჭის ბიეებთან, რომ მშობლები არ შეარცხვინო და პალტო არ დაგეგლიჯოს".

დაწყებითი სკოლა: „დაუჯერე დამრგებელებს და ასტავე ეეი დირეკტორს". „ენა მიიტანე ცუდ ბიეებზე". „მიიღე საუკეთესო ნიშნები". „იუავი პირველი მოწაფე". „იუავი ხამსახურის გამზეკი და პირმოთნე". „ყველაფერზე უმთავრესია სალვთო კანონი".

საშუალო სკოლა: „პუშკინი ჩვენი ეროვნული სიამაყეა". „პუშკინი აღმერთებდა მეფეს". „ეიეკვრდეს მეფე და მამული". „თუ ალაარრებას და ზარიებას არ მიიღებთ, გამოიძახებენ მშობლებს და ეოფაკქეევნი ნიშნის დაგიკლებენ". „ოვალუური ადეკნე ამხანაგებს, ვინმე აკრძალულ წიგნებს ხომ არ კითხულობს". „რა კარგი მოსწავლე გოგოა, ჰე".

უმაღლესი სკოლა: „თქვენ ხართ მარილი დედამიწისა". „დმერთის არსებობის დამტკიცება შეუძლებელია". „კაცობრიობა პროგრესის გზით მიდის, პუშკინი კი ქალის ფეხებს უმღერდა". „თქვენთვის ჯერ ადრეა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება". „მეფეს ჯიბიდან მუშები მოუღერეთ". „ოვალუური ადეკნეთ ვინ ილაპარაკა კრებაზე".

„სახელმწიფო სამსახური: „შინაგანი მოტკარის სტუდენტი". „ეგზარეთ ეეეეკაცია". „ეე შენ ეიჩვენეთ მსკეეოლიანი ეეეე

ში, რომ იყვნენ არაპატიანები, „უტიპტოები“: ისმინონ მომავლის ის დიდი მუსიკა, რომლის ბგერებით სავსეა ბერი, და არ ძებნონ ცალკეული მოკვნა და ყალბი ბგერები მსოფლიო ორკესტრის დიდებულ ღრიალში და რეკაში.

რუსულ ინტელიგენციას თითქოს დათმა დაბიჯა უორზე: ?ვრილმანი შიში, ?ვრილმანი სიტყვები. განა სირცხვილი არ არის რომელიმე უმეცარი განცხადების ან წერილის მასხრად ადგება, რომლებიც დაწერილია კეთილი, მაგრამ მოუქნელი ხელით? განა სირცხვილი არ არის „ბრიყვულ“ კითხვებზე ამაოდ წაუყრუო? სირცხვილი არ არის მშვენიერი სიტყვა „ამხანაგი“‘‘ ბრჭყალებში გამოოქვა?

ეს ყოველ მედუქნეს შეუძლია. ამით შეიძლება მხოლოდ დაბოდმო ადამიანი და მასში ნადირი გაალვიძო.

ქვეყარს რასაც ჩასაბუნებ ამასვე ამოგაბუნებსო. თუკი ყველას თალლითებად თვლით, მარტო თალლითებთან დარჩებით. თვალწინ ახლობით თალლითია, თვალსუკან კი მალლიონობით ჯერ კიდევ „გაუთალლებელი“, ჯერ კიდევ „ბნელი“. მაგრამ განთალდებიან ისინი არა თქვენგან.

მათ შორის არიან ისეთები, რომლებიც ჭკუიდან იშლებიან თვითგახამართლებებისაგან, არ შეუძლიათ ანტანონ სისხლი, რომელიც თავის სიბნელის გაშო დაღვარეს; ისეთები, რომლებიც უბედურ თავში მუშტს იშენენ: ჩვენ სულელები ვართ, ჩვენ არ შეგვიძლია გავიგოთ; არიან ისეთებიც, რომლებშიც ჯერ კიდევ სძინავს მემარჯვენე ძალებს; მათ მომავალში [illegible] ვენის თქმა შეუძლიათ, რომლებიც დიდი ხანია არ უთქვამს ჩვენს დალლილ, დამჭკნარ და მწიგნობრულ ლიტერატურას.

ქედმაღლური პოლიტიკანობა უდიდესი ცოდვაა. რაც უფრო დიდხანს იქნება ინტელიგენცია ქედმაღლური და გესლიანი, მით უფრო საშინელი და სიისლიანი შეიძლება გახდეს ყველაფერი ირგვლივ. საზარელი და სახიფათოა ეს ელასტიური, მშრალი, უგემური „ადოგმატიკური დოგმატიკა“, შეკაზმული შემწყნარებლური გულითადობით. გულითადობის უკან სისხლია. გულითადობა სისხლს იზიდავს. საშინელებებთან ბრძოლა შეუძლია მხოლოდ სულს. რა საჯიროა გულითადობით ბნის გადალობვა სულიერისაკენ.

ხოლო სული არის მუსიკა. დემონმა ოდესღაც უბრძანა სოკრატეს — ეური დაუგდოს მუსიკის სულს.

მთელი სხეულით, მთელი გულით, მთელი გონებით უსმინეთ რევოლუციას.

9 იანვარი. 1918

თარგმნა ალექსანდრე გუჯრიძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯუმბერ ჯიშკარიანი

„მიწისქვეშეთის ლოცმანი“

> ....ვერასოდეს ვერავინ შეცვლის დაკარგულ მეგობარს. რა შეიძლება იყოს ამდენ მოგონებათა, ამდენი ერთად გადატანილი მძიმე წუთების, ამდენი უთანხმოებისა და შერიგების, ან ზარი სულიერ სწრაფვათა საგანძურზე უფრო ძვირფასი! ასეთ მეგობრებს ხელახლა ვერ გაიჩენ, როცა რგავ მუხას, ხომ ამაოა იმაზე ოცნება, რომ მალე შეეფარები მის ჩრდილს!“
>
> ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი.

მე ისევ ბალდაში ვარ. აქ ახლა შემოდგომაა. ბარკაჯიანი, ოდიშური შემოდგომა. ოქროსფრად დახუნძლული ბუჩმის ხეები წელში წყდებიან, ლალისფრად დამსდარა ბროწეული. სოფელში შემოდგომის მაძღარი ხურნული ტრიალებს. ველფესაცი წლის ნაამაგარს ამინავებს.

...ირგვლივ ყველფერი ისევ, როგორც მაშინ... თითქოს არაფერი შეცვლილა მას შემდეგ...

...ნელა მივუყვები აღმართს ტობას სათავეებისაკენ. აი, ის პანტაც, გზის გასაყართან რომ დგას. მის ქვეშ ვიხვეწებდით ოთველთვის, როცა ბალდიდან აქეთ მოვდიოდით. მძიმე ზურგჩანთებით დატვირთულები... უბმოდ მივაბიჯებ ბზის ტეკრში. წიფერას გადახასკლელთან ვჩერდები. ირგვლივ ყვავრისხა და ტაბაკელას სანახებია. ქვემოთ, რაჩხისწყლისა და ტობას ხეობები ისახება. წინ კი მუჭერას ქედი გაწოლილა. აქედან უკვე გარკვევით ისმის ტობას ჩანჩქერის ერუ გუგუნი. ჩანჩქერის მარცხნივ თვალშეუდგამ ფრიალო კლდეს ვუყურე და ახე ბგონია — ეს-ესაა შემომესმება არსენის ოსმახანი „ე-ჰეეეი-აქეეთ!“ — მაგრამ ეს მირაჟია მხოლოდ. სინამდვილე კი უფლობილია. თხუთმეტი წლის წინ, ექსპედიციის ბოლო დღეს ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა აქ მისი სიცოცხლე.

...ის იყო შუაშორე; მისი თვალები უკუნეთშიც კარგად ხედავდნენ. ავაზასავით მსუბუქს კლდეზე მცოცავის რკინის ეტნებები ჰქონდა. უფსკრულებისა და მიწისქვეშა ლაბირინთების ჯიქი ადვილად იპერობდა ჯადოსნურ სამყაროს და ქვეყნელს საიდუმლოებებს სტაცებდა. იგი მიწისქვეშეთის ამ ზღაპრული სამყაროსათვის იყო დაბადებული და ოცნებობდა ქორწილიც კი მხოლოდ იქ, სტალაქტიტებით მორთულ მიწისქვეშა სასახლეში გადეხადა...

...მაგონდება 1962 წელი, როცა პირველად ვეწვიე ახლის მასივს არსენთან ერთად. ერთი თვის მანძილზე მოვიხილეთ წაჩხურის, ჩეროსა და ფუნაზურას ხეობები, მოვკლეთ ტაბაკელა და მაიდანი; არსენი მობიბელული იყო აქაური ბუნების სილამაზით, გულკეთილი ოდიშელების მასპინძლობითა და უანგარო დახმარებით. რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდით, დღესაც დიდი მადლიერებით ვიგონებ ჩვენს კეთილ მასპინძლებს, ბეგლავებსა და ხურცილაველებს, ბართიებსა და წულაიებს. უბრალო, მშრომელ ადამიანებს, ვისაც დახმარების ხელი გამოუწვდია; მწყემსებს, მეკოგეებს, ვის კოხ-

შიაც გათოშილებს ღამე გვითევია, ლუკა გაგვიტეხია მიიდაწვა და დიდკარგში, ნუზუანში, სჩრეკანარა თუ თურქუში...

არსენმა საკალთფიკაციო თემად ახლის მასალი აირჩია: საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი, რთული, მაგრამ ფრიად საინტერესო რეგიონი. თავგამოდებით შეუდგა მუშაობას. პირველმა წარმატებებმა ფრთები შეასხა. ზედიზედ გამოაქვეყნა რამდენიმე სამეცნიერო სტატია: მოხსენებით გამოვიდა ინსტიტუტის სამეცნიერო სხენაზე. შემდეგ აკადემიის ახალრანტოა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კონფერენციაზე. კვლავ ახალი ეკსპედიციებისათვის ემზადებოდა...

რა დასამალია — სელეოლოგიური კვლევები საქართველოში იმ ხანად პირველ ნაბიჯებს დგამდა: არც შესაფერისი აღჭურვილობა გაგვრნდა, არც სათანადო გამოცდილება, მღვიმეებისა და უფსკრულების კვლევას რომ სჭირდება. მაგრამ ერთი რამ უდავოდ გვქონდა — ენთუზიაზმი, რომელიც არსენისგან გადმოგვედო. ეს უკანასკნელი კი არსენს იმდენი ჰქონდა — გაგიბარია! ეკსპედიციაში იგი არც ჩვენ გვზოგავდა და არც საკუთარ თავს. დარსა თუ ავდარში, ალიონიდან დაბინდებამდე დავაბიტებდით ალდე-ღრეში. მიუხედავად ამისა, დღესაც სიამოვნებით იგონებენ არსენთან ერთად ახლის ეკსპედიციებში გადახდილ თავგადასავლებს ამჟამად უკვე ცნობილი მკვლევარები: სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები, პროფესორი ზურაბ ტინტილოზოვი და დოცენტი შალვა ყიფიანი. გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი გივი გოგენიშვილი; გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატები დეზურ ტაბიძე, ნანა სულთანიშვილი, ჯიბეიკო ჯანელიძე...

ახლის მასიკი ლანდშაფტური მრავალფეროვნებით და რთული გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური პირობებით დიდი ხანია იპყრობს მკვლევრთა ყურადღებას. ხაკმაო ცნობებიც დაგროვდა მასიკის გეოლოგიურ, გეომორფოლოგიურ, კლიმატურ თუ ჰიდროლოგიურ თავისებურებაზე, მაგრამ სელეოლოგიურად ჯერ კიდევ ხუბადა იყო შესწავლილი მასიკზე სულ რამდენიმე მღვიმე იყო ცნობილი. მიუხედავად ამისა, ახლის მღვიმეების ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, პროფესორი ლევან მარუაშვილი 1963 წელს სწერდა:

„...ჩვენ ეკვპიუტანლად მიგკაჩნია ის დებულება, რომ ახლის მასიკზი უნდა იყოს საქართველოს უგრძესი მღვიმეები, რომელთა შესწავლაც მომავალში არა ერთ სელეოლოგს მიიზიდავს. ეს, გამომდინარეობს ახლის მასიკის სელეოლოგიური, გეომორფოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობებიდან".

არსენთან ერთად მასიკზე ჩატარებულმა ექსპედიციებმა ხავნბით დაადასტურეს ეს წინასწარმეტყველება. დღეს რომ ასსზე რამდენიმე ათეული მღვიმე და ზატია აღმოჩენილი, ეს უმთავრესად მისი დამსახურებაა. მისი მაუწყი მიაპობდა პირველად უკუნეთს: მასი ნიგნიერ-ლი ატკვეა მრავალი მღვიმისა და უფსკრულის უფსკერს. 1963 წელს კი, როცა ჯერ ასსზე ვანი აღმოვაჩინეთ, მის სახელოვან ხაზოვანი არა ჰკონდა. ეს მღვიმეები ბომ ულამაზესი ნაგვენი ფორმებით იყო დამშვენებული. გამოკვლეული მონაკვეთის კამერი სიგრძე კი ორიათას ექვსას მეტრზე მეტია!

...ახლა, გგგეკკორის რაიონის სოფელ ბალდიდან ტობას მღვიმეებისაკენ მიმავალი მოგზაური წიფერას გადასახედზე უთუოდ შენიშნავს რკინის შავ ხვეტებზე გაკრული დფაა, რომელზედაც ამოტვიფრულია:

„1963 წლს 4 ოკტომბერს, ამ მიდამოებში ტოპას მღვიმეების კვლევის დროს ბრაბანეულად დაეღუა საკარათველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პაპუშაის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი არსენ ანდრიას ძე ოკრიჭანაშვილი".

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს ტობა-II-ს მღვიმეს "არსენ ოკრიჭანაშვილის სახელი მიეკუთვნა...

●

ასრენას მღვიმის შესასვლელთან ვდგავარ. დღეს აქ ჩვენთან ერთად ამოვიდნენ ჩელიაბინსკელი სელეოლოგები სიმონ ბარანოვის ხელმძღვანელობით. უკვე ორი წელია, გიერთანაგებულ ექსპედიციებს ვაწყობთ ასსზე. გასულ წელს სიმონი იყო არსენის მღვიმეში. ძალიან მოეწონა. წერილიც დასტამბა გგგეკკორის რაონულ გაზეთში. ახლა უნდა მისი ექსპედიციის დანარჩენმა წევრებმაც იხილონ არსენას მღვიმის დარბაზები და წელით სავსე ტალნები.

— ძალიან მშვენიერი არსენის სახელი. — მიამბობს სიმონი. როგორც კი არსენს ვახსენებ, მაშინვე უფრო ოლიან გვრდებიო ყოველგვარი ორგანიზაციული საკითხები, რომელიც მუდამ თან ახლავს ყოველ ხალხმრავალ ექსპედიციას.

...არსენი აქ მართლაც ყველას ახსოვს. ამდენი წლის შემდეგ. იმათაც კი, ვისაც პირადად არ შეხვედრია... მათ უბრალოდ, იციან, რომ ამ მიდამოებში, ორი ათეული წლის წინ დადოდა ერთი კარგი ინგალო ვაჟკაცი... რადაკან ეძებდა, პოულობდა, უხაროდა; და ერთ აკმენდით დღეს სამუდამოდ აქ დარჩა მისი სული... თვითონ კი სანნგალოში გაინიკენებს... იციან ეს და სათუთად ინახავენ მის ხსოვნას... ნეტავ იცოდნენ იმ ადამიანებმა, რა მადლობელი ვარ მა-

ჯუმბერ ჯიშუაანიანი
„მეზობლისკენ"

თი, იმ ადამიანური სითბოსათვის, გულის ხსოვნისათვის...

...მღვიძის შესასვლელთან, მარკვნივ, ტერასაზე ვგროვდებით. დიდებული სანაბამბა იშლება ჯერ-ჯერობით ნინოურ ან ფიფქურ ოჯროსფად მოჩითულ ონიორებსა და ფიფურას სანაბებს; ჩაბერულ რაჩხისწყლისა და ტობის ხეობებს; დასავლეთით, ჯვარისას მინდორზე ცხენები შეფენია; ხელმარჯვნივ — მიგარის კრეკელი, შორს, მარცხნივ — მიგარის კრეკელი მასივი; უფრო შორს, ცის სილურჯეში სამეგობელოს ქედის დაკბილული წვეტოვანები ისახება. ჩვენს ფერხთით კი, გველშაპივით ბახადაღებული ბიცარიელიდან ნელი დუდუნით გამოედინება მიწისკვეშა მდინარე, და ამბეტრიანი ფლატიდან კისრისტეხით მიექანება ქვეშით, ტობას ხეობისაკენ. მღვიძის შესასვლელთან ჭერიდან მორღვეული, ბავშობიდელი, სახლისტოლა ლოდები ჯრია, ოდესღაც აქ მომხდარი გრანდიოზული ქვათაცვენის მოწმე...

ბიდროოსტატუშებს ვირაგებთ, რეზინის ნაგს ვბერავთ, რომელშიც ფოტოაპარატურას ვალაგებთ და გვირაბის სიღრმეში მივტოპავთ. შესასვლელიდან ამხეოიც მეტრზე ტბაა. ნაგით მეორე ნაირზე გადვდგირთ, ნავი კი თან მიგვაქვს, რადგან ვიცი, წინ კიდევ ოთხი ტბა გვაქვს გადასაცური. ტბის მახლობლად ძირითად გვირაბს მარცხნივ განშტოება გამოეკოფა, ვცდილობთ ფრთხილად ვიართო, რათა კალცოდის კრიტალური ან დავაზიანოთ, ბროლივით რომ ბრწყინავენ ხელოვნურ შუქზე.

დარბაზში შეედინართ. ბიკები სულგანაბული ათვალიერებენ კალციტის ჭერქგადაკრულ კედლებს, ნაოჭა ფარდებს, ჭერიდან ჩამოშვებულ სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების „ტყეს“.

— ეს „ნონას“ დარბაზია“, — ვეუბნები, — ეს სტალაგმიტი კი „ლაზერია“ — ვუთითებ გრანდიოზულ სტალაგმიტზე. დარბაზის მარჯვენა კუთხეში რომ აღმართულა და უზადოდაა მოჩუქურთმებული. ეს სახელებიც მაშინ, 1963 წელს დავანათლეთ, ჩვენი ოდაზელი დედოფლის პატივსაცემად, რომელიც ინ-ის იყო ქადრაკის ოლიმპზე ავიდა...

1961 წელია. ოფახეთის კუროორტ ახალ ათონში ჩამოვიდა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტულ-სპელეოლოგიური ექსპედიცია დოცენტ შალვა ყიფიანის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის წევრები — ანსენ ოჯროკანაშვილი, ზურაბ ტინტილოშვილი, ბორის გერგედავა და გიენ სმირი ფსიქიტეხა-გაანალიკრას წყალგამოფეზე, „უძირო ორმის“ სახელით ცნობილ ჯაში ჩაეშვნენ... მაშინ ჯერუფმა მთლიანად ვერ შეძლო გრანდიოზული მიწისკვეშა სიცარიელის გამოკვლევა. 1963 წელს ინსტიტუტის სპელეოლოგიური ექსპედიცია კვლავ ეწვია ახალ ათონს. მოვიმარაგეთ ულელილვე აუცილებელი, რაც საჭირო ოჯროკანაშვილმა ბანგრძლივი ყოფნისათვის.

16 აგვისტოს, დილის ცხრა საათზე დავწეეთ უფსკრულში ჩაშვება. მიწისკვეშ ჩავიგანეთ თოკის კიბეები, ალპინისტური აღჭურვილობა, საძილე ტომრები, გახაბერი ლეიბები, ტელეფონის აპარატი.. ყველანი ოცდაათმეტრიანი ჭის ფსკერზე მოვგროგდით. ჩვენს ქვეშით უძირო უფსკრულს დაეღო ხაფანგი, რომლის მრეგე კედლების ოდნავ გასარჩევი კონტურები თანდათან წყვდიადში იკარგებოდნენ. უფსკრულში ჩაგდებული ქვა დიდხანს მირბარბეხდა ქვემოთ... კედელზე დავამაგრეთ თოკის კიბეები. ქვეყნელში ჩაეშვნენ — ანსენ ოჯროკანაშვილი, ზურაბ ტინტილოშვილი, ლადო ჭალდანი, გიენ სმირი... ბარგის ჩაგზავნას ვამთავრებ, ვემშვიდობები ზედაპირზე მყოფთ — ეკსპედიციის ხელმძღვანელს შალვა ყიფიანს, ომარ ერკომაიშვილს, ჰამლეტ სალუქაძეს, ბესიკ ყიფიანს და მეც წყვდიადში გაეშინარებულ ჯგუფის წევრებს ვუერთდები. პირველ საფეხურს მეორე მოსდევს, შემდეგ მესამე, მეოთხე და ახე დაუსრულებლად, ვიდრე ზედაპირიდან ას ორმოცი მეტრის სიღრმეს არ მივაღწევთ. უკან დაგვჩრა „ვესტიბიული“. ეხეკი — „ეარიესე“. აქედან სულ რამდენიმე მეტრი გავშორებს გრანდიოზულ მიწისკვეშა სიცარიელეს, რომლის ბადალი ჩვენს ქვეყანაში ჯერ-ჯერობით არსადაა აღმოჩენილი... ოღონდ, ეს რამდენიმე მეტრი ნამდვილი „ჯოჯოხეთია“. შიგ რომ გაძვრე, ქიაყელასავით უნდა დაიკლაკნო, უმცირეს შვერილზე მოეკიდო, თავდაყირა დაეკიდო და ახე გაათრიო ტანი. სამაგიეროდ, თუ ამ ვიწრობს გაცდი — თავს ზღაპარში იგრძნობ. ირგვლივ ყველაფერი წყვდიადშია ჩაფლული, „ეზას“ სახლისტოლა ლოდებს შორის შეიჭაკვლეავ. არსენი ეკვე იყო ამ დარბაზში. ამოტომ დანდობილად მიდის წინ. ბანაკის ადგილიც შერჩეული აქვს. მივამბეჭეთ და ისეთი გრძნობა გვეეფლება, თითქოს ბაკვაეეულ ქალაქში მოვხვედით ელდელ ადეკნებული გიგანტური ლანდები დგევეზეთ შემოგვეურეენენ...

სადამოს რვა საათზე ზედაპირზე მყოფეთ ტელეფონით ვაკავშირებ, რომ შეატყობის სისტემა დაძლეულია და ბანაკის გასამართავად მივდივარ. მორიგი სატელეფონო კავშირი გვეკნება ხვალ, „დილის“ 8 საათზე. ავეკიდეთ ტაკიასავით დამძიმებული ზურგჩანთები და გავუდექით გზას.

— შარშანწინ როცა „ვიწრო ყელიდან“ აქ გამოვძვერი, მეგონა, რომ ბერელმა სადღაც ზედაპირზე გამიყვანა. რადგან მაშიკმა ვერც კედლებამდე მიიღწია. და ვერც ჭერამდე — გვიყვება ანსენი. მართლაც, ამაოდ ეწევთ თავს ზემოთ კარბიდის ნათურები — დარბაზის კონტურები ჩვენგან შორს, წყვდიადში იკარგება

(შემდგომ ამ დარბაზს „ეფსუნეთი" დაენთ-ლება...).

ბანაკი „თეთრი მთის" მიდამოებში გავშალეთ. დასაძინებლად გავემზადეთ. სანთლები ნელ-ნელა ჩაიდეფნენ. ირგვლივ სამრისხებუ-რმა სიჩუმემ და სიბნელემ დაისადგურა. მთლიდან ზოგჯერ ჯერიდან ჩამოვარდნილი წყლის წვეთის ტკაცანი თუ დაარღვევს მდუმარებას. — ყველანი კრავებში ვძვრებით.

— ნეტავ როგორი იქნება იგი. პირველი მღვიმური ღამე?..

სადღაც ჩვენს მახლობლად ჯერიდან ქვა მოწყდა და თიხის ფსკერზე დაენარცხა... „ეი-ლლთ" გვიან გამოვედი კარვიდან. არსენსა და ლადოს ბანაკის ირგვლივ ბლომად სანთლები აენთოთ. ზოგი სანთელი სტალაგმიტზე გიამგრძანებათ, ზოგიც — ყედლის ზვერლებზე, ჩვენგან ახე — ორმოც-ორმოცდაათ მეტრზე. ზოგი სანთელი თითქოს ცაში იყო გამოკიდებული. ათობით სანთლის შუქით გაბრჭყალებული დარბაზი საოცარ სანახობას წარმოადგენდა: თავზე გვეშმო ორი ასეული მეტრის სისქის სწორი „ცის თაღი", რომელზედაც აკ-ის ბრილის ჯალღბივით ელვარებდა სტალაქტიტები. წვიმისგან სხვადასხვა ფერად შეღებილი „ჯერი" მოლიცლიე სინათლის შუქზე ისე ირხეოდა, თითქოს ცაზე ღრუბლების ქარავანი გაწოლილიყო და ზანაგდა მიიზანზნებოდა... (დღეს ეს დარბაზი „ქართველ ხალეოლოგთა დარბაზის" სახელს ატარებს...).

17 აგვისტო მთლიანად მიწისქვეშა ლაბირინთის დათვალიერებას, ფოტოგადაღებასა და ალგამეგას დაეთმო. „ქართველ ხალეოლოგთა დარბაზიდან" ვიწრო ხვრელი „თიხიან დარბაზში" გავედით (იქ ახლა რკინისმოაჯირიანი ბეტონის ბილიკი დგებული); გზა „კანონიხალენ" უზივეს. შემდეგ „ოვერია", „ტაძარი", „სოხეში", და ბოლოს — „თბილისი"! ეს ნამდვილი მიწისქვეშა მუზეუმი! თვალწინ გადავეშალა მიწისქვეშეთის ოცავმიუწვდენელი პეიზაჟი — ტაქვიეებული „ჩანჩქერები", „თეატრალური ფარდები", სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების „ტეე", სიფრიფანა ქვის „ყვავილები", ჰაერში ცაცებგაწყვეილი ჭელექტიტები, ფსკერზე კი — მღვიმური მარგალიტები და მიზოლითები... აი, თურმე რა გველოდა აკ!

თვალის ფახამხამებაში ჭაირნინა საშმა დღეღამემ. შევაფროვეთ საინტერესო ცნობები მღვიმის მორფოლოგიისა და მორფომეტრიაზე, მიკროკლიმატზე. გადავიღეთ ათობით ფირი; შევადგინეთ მღვიმის პირველი ოვალურობერი გეგმა და შეიბეჭდილებით დატვირთნულნი კვლავ მზის საუფლოს დავუბრუნდით....

●

1966 წელია. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოიღო გადწყვეტილება ახალი ათობნის მღვიმის კეთილმოწყობის შესახებ. საბორიო მღვიმის მაღალი კლასის ტოპოგრაფიული ბაგეშვა. კეთილმოწყობის პროექტის შემდგენ ფაბრიკა „საქკალაქმშენის" [illegible] ექტო ინსტიტუტს. კეთილმოწყობის პროექტის მთავარმა ინჟინერმა რაფიელ რიეინაშვილმა ექსპედიციაში მიგვიწვია.

ტოპოგეგმვაზე იმუშავებენ ანატოლი გოფი და იური კაცენინი. მათ უსაფრთხოებაზე და ტრასის დამუშავებაზე ვმუშაობთ ლადო ჯალდანი, ომარ ეროკმაიშვილი, დათო სიმონაშვილი, ჯემალ გრიკუროვი, ალიოშა ბავაშელი და მე. კუს ნაბიჯებით მივიწევთ ქვემოთ, რადგან მუშაობა ძალიან ძნელია. ანატოლი გოფი ათასგვარ „ფოკუსებს" იგონებს, რომ თეოდოლიტზე ანთვალი როგორმე აიღოს, შემდეგ ჭურნალში ითვლის და რიცა წრედი აღარ შეიკვეთება — გამწარებული მუხლზე ხელს იტყაპუნებს და იძახის:

— ეშმაკმა დალახვროს! ლარტყა! ხელახლა ვიწყებთ! წინასწარი ვარაუდით, მიწისქვეშა სამუშაოები შვიდ დღე-ღამეს გასტანს, მაგრამ თუ ახე გაგრძელდა — საეკვოა ოდესმე დასრულდეს...

როგორც იქნა, მივაღწიეთ „თეთრ მთას". ბანაკი ამჯერადაც აკ ეშლება.

— ეჰ, წინა კვეტილიკის დროს მე და არსენს აკ ბვეძინა ბვერი-ბვერენ — ბულდაწყვეტილი ბვეთოთეს ლადო:

მკვდარი დუმილი ჩამოვარდა. მართლაც, რამდენი რამ არის დაკავშირებული არსენის სახელთან ამ მღვიმეში, და განა მარტო აკ...

1961 წლის ექსპედიციის დროს არსენი იყო პირველი ადამიანი, ვინც დაარღვია ამ მღვიმეში საუკუნეებით გამეფებული მდუმარება. ეს მისმა მაშუქმა გაკვეთა პირველად უკუნეთი და მიწისქვეშ ჩამარხული სილამაზე ადამიანთათვის საცნაური გახდა... ალმორჩენის დღიდან ამ მღვიმეში კიდევ ოთხჯერ მოსწრო ექსპედიციებში მონაწილეობა და ყოველი მათგანის სული და გული, სამიდელ ბურჯი იყო. ეკუსგაზეშეა, ის ბრმა შუქეფეკვეა რომ არა — ტობასთან რომ იმსხვერპლა მისი ნიცოსტელი — ჩვენი მგლისმუხლებება არსენა ახლაც ჩვენთან იქნებოდა; იქნებოდა როგორც მიწისქვეშეთის ლოცმანი, უშიშარი და გულადი წინამძღოლი...

აკ, მიწისქვეშეთის ცივ მდუმარებაში, სადაც სამარისებურ სიჩუმესა და უკუნეთ სიბნელეს შორის მხოლოდ სანთლის მოციმციმე შუქი ჩამდგარა, აკ, სადაც ყოველ კუნძულს არსენის ნატერფალი ატკვია — მოგონებები ყველაზე ნათლად, ყველაზე მწვავედ ცოცხლდებიან...

...გადავწყვიტეთ, „თეთრი მთის" მიდამოებს, ყველა მიწისქვეშა ექსპედიციების ტრადიციად ხანაბაკო ადგილს ამირიდან „არსენს ნაბიჯვარი" ეწოდოთ...

ᲯᲣᲑᲔᲠᲘ ᲯᲘᲣᲨᲐᲠᲘᲐᲜᲘ
„ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲔᲗᲘᲡ ᲚᲘᲢᲙᲐᲜᲘ"

„ტაძრის“ პირდაპირ რომ უცნობი განშტოება იყო, ადრეც იცოდნენ, მაგრამ მისი გამოკვლევა მაშინ ვერ მოხერხდა. და აი, ძირითადი მაგისტრალის ბგიგმა რომ დამთავრდა — ლადო ქალდანი, ობარ ერკომაიშვილი, ჯემალ გრიკურიკი, ანატოლი გოფი და მე ამ განშტოების გამოსაკვლევად გავემართეთ. გავიარეთ ორი თხუთმეტრიანი კედელი. ანატოლი გოფი მეორე საფეხურის ძირს დარჩა, გვირაბი მარცხნივ უხვევს. გზად მშვენიერი ნაგლეფნები გვხვდება, წავადექით ზამტს. რომლის სიღრმე ორმოცი მეტრია. მას ქვემოთ სამი დარბაზი ემბის. ფსკერი ალეტიტის გურგბითაა მოფენილი. კედლებთან ნარნარისფერი, სპრიტანა სტალაგმიტები ჩამწკრივებულან. კედლებზე ქაოქათა ტრავერტინია გადაკრული. განშტოების ჯამური სიგრძე სამას მეტრამდეა. ლადოს ქალალდზე გადაკვეს დარბაზის კონტურები.

მთელ ამ განშტოებას, პირველადმომჩენთა უფლებით „არსენას სისტემა“ ვუწოდეთ.

●

1974 წელია. ახალი ათონის მღვიმური კომპლექსის კეთილმოწყობის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება.

დღეს ახალ ათონს ფრანგი და საბჭოთა სტუმრები ეწვივნენ.

მინიატურული ელექტრომატარებელი მარმარილოთი მოპირკეთებულ ბაქანზე გაჩერდა. ვაგონებიდან გადმოვიდნენ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის გაერთიანებული სიმპოზიუმის — „ალპები-კავკასია“ მონაწილეები. მოგზაურობა დამთავრდა. ტაშმა იგრიალა. ეს იყო პირველი საცდელი რეისი ახალი ათონის მღვიმეში. მრავლისმნახველი ფრანგი და საბჭოთა გეოგრაფებიც კი ალტაცებულნი არიან ამ სრულიად ახალი ტურისტული ობიექტის ჭრილიოზულობითა და სილამაზით.

აგვისტოში ახალ ათონს ეწვივნ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსი კოსიგინი, რომელმაც ეს მღვიმე მნიშვნელოვან ტურისტულ ობიექტად მიიჩნია...

●

1975 წლის 4 ივლისი. დადგა ნანატრი დღე ახალი ათონის მღვიმის შესასვლელთან უამრავი ხალხი ირეკა. დღეს აქ ბევრი სტუმარი ჩამოვიდა თბილისიდან, მოსკოვიდან, სოხუმიდან, აფხაზეთის რაიონებიდან. აქ არიან პარტიული და საბჭოთა ორგანიების ხელმძღვანელები, მეცნიერები, დამპროექტებლები, მშენებლები...

ლენტი გაიჭრა. საპატო სტუმრები ბაქანზე მიიწვიეს და ელექტრომატარებელში ჩასხდნენ... მატარებელი დაიძრა და მიწის სიღრმეში „ფეხი ჩინარდა... ახე დაიწყო რეგულარული რეისი ახალი ათონის მღვიმეში... ამიერიდან ფასიანად გაიღო მღვიმის კარები...

...და რაოდენ დასაბანი იყო, რომ ამ დღეს ვეღარ მოეხწრო მღვიმის პირველადმომჩენი, „მიწისქვეშეთის ლოცმანი“, არხენ ოქროჭანაშვილი. ის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე საპატიო სტუმარი იქნებოდა დღევანდელ ზეიმზე...

●

დღეს ახალი ათონის მღვიმე საქართველოს შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული ღირსშესანიშნობაა. მას ყოველდღიურად რამდენიმე ათასი ადამიანი ათვალიერებს. შთაბეჭდილების წიგნში გაჩნდა სანტერესო ჩანაწერები:

„...მადლობა ყველას, ვინც მონაწილეობდა ბუნების მიერ შექმნილი უნიკალური მიწისქვეშა სასახლის აღმოჩენასა და კეთილმოწყობაში.

ᲘᲥᲠᲘ ᲑᲐᲒᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲮᲘ“.

„...კავკასიაში ყოფნისას მრავალი არაჩვეულებრივად ლამაზი ადგილი მოვინახულეთ, მაგრამ ის, რაც ახალი ათონის მღვიმეში ვნახეთ, ყოველივეს აღემატება. ამ ადგილას ბუნებას საოცარი გულუხვობა გამოუჩენია. მსგავსი რამ ჩვენ ჯერ არაფერი გვინახავს.

ᲔᲚᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲚᲘᲜ ᲢᲝᲠᲐᲕᲘ ᲙᲐᲡᲢᲔᲚᲘᲜᲘ (ᲙᲣᲑᲐ)“.

„ძვირფასო მეგობრებო! ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირული დელეგაციის სახელით მადლობას მოგახსენებთ, რომ საშუალება მოგვეცა ვეწვეხა ახალი ათონის მშენიერი მღვიმე. როდესაც სამშობლოში დაბრუნდებით, ჩვენებს მოუთხრობთ შესანიშნავი ქვეყნის — მეგობარი საბჭოთა კავშირის შესახებ.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲩᲔᲮᲝᲗᲘᲡ ᲝᲚᲙᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ“.

მღვიმეში ყოველდღე მიდიან ტურისტული ჯგუფები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. აქ იუნენენ პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, ცნობილი ადამიანები, მეცნიერები, კოსმონავტები, ახვეე სტუმრები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, იუგოსლავიიდან, ვიეტნამიდან, უნგარეთიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან, მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. ისინი მადლობას უძღვნიან ყველას — მღვიმის აღმომჩენთ, მშენებლებს, მომსახურე პერსონალს ამ ჯადოსნური სამყაროს ხილვით მინაებული სიამოვნებისთვის.

...არსენის ოცნებაც ხომ ეგ იყო — რაც შეიძლება მეტ ადამიანს ეხილა ივერიის მთის ქვეშ ჩამარხული ხილამაზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგონდება 1966 წელი. არსენის დაღუპვის წლისთავზე ვეგეტკორში ჩავედი. მაშინვე ტობას მღვიმოვანისაკენ გავსწიე. ტობასაკენ, სადაც ჩემთვის ამირიდან ყველაფერი არსენის სახელთან იყო დაკავშირებული. ტობასაკენ, სადაც იმდენი ხიფათი გადაგვხდენია, მაგრამ აღმოჩენის სიხარულიც რომ ბევრი განგვიცდია... სწორედ იმ ხანად ვეგეტკორის რაიონში ჩამოვიდნენ ეურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციის თანამშრომლები (რედაქცია მასალებს ამზადებდა რაიონის მოწინავე ადამიანებზე). მათზე ძლიერ იმოქმედა ახალგაზრდა ინგილო ვაჟაცის ტრაგიკულმა ბედმა. განსაკუთრებით პოეტი ნაზი ალასანია განიცდიდა. იგი გამუდმებით მეკითხებოდა არსენის შესახებ. თბილისში დაბრუნების შემდეგაც ხშირად უკითხავთ მახზე. და მეც ვუყვებოდი არსენის ვაჟაკაცობაზე, გამბედაობაზე, საქმისადმი მის ფანატიკურ სიყვარულზე, მეგობრობაზე, ერთგულებაზე... ერთ მშვენიერ დღეს კი ეურნალ „საქართველოს ბუნებაში" დაიბეჭდა არსენისადმი მიძღვნილი პოეტის ლექსი, რომელიც ასე მთავრდებოდა:

„...ჩანჩქერს გადახრის ოდიშის მეფური
ნათდება შენი მღვიმის კარიბჭე,
ნათდება შენი დიდი სამეფო,
საფსა ელვარე სტალაქტიტებით.
დაიპყარ, კიდევ უნდა დაგებყარო,
მიწედი და... კიდევ მრავალს მიწედები.
შენი სახელით. შენი ყაკობით.
ოქ, არასოდეს იქნება ბეერ.
ტობაში ბევრი ტალღა დაცურავს,
ყველაზე ლამაზს „არსენა" ჰქვია...
ანთია სული, როგორც სანთელი,
როგორც გმირობა, როგორც გენია,
მამულო! ბევრი გაყოდა არსენა,
არ დაივიწყო, ესეც შენია!"

ბეშმარიტად წინასწარმეტყველური გამოდგა პოეტის სიტყვები! მამულმა არც დაივიწყა მისი ღვაწლი. საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა უნიკალური ახალი ათონის კომპლექსის შემქმნელი კოლექტივის ღვაწლს. მეცნიერთა და მშენებელთა დიდ ჯგუფს, მათ შორის არსენ ოქროჯანაშვილს (სიკვდილის შემდეგ) ქვეყნის უმაღლესი ჯილდო — მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

მორის მიშველაძე

ცოტათი გადაწეული ფარდა

ახლა, როცა ხელთა გვაქვს მთვარიდან ჩამოტანილი მიწა და ვუყურებთ ფერად სატელევიზიო გადაცემებს კოსმოსიდან, როცა ჩავწვდით ატომის ხადუმლოებებს და გავშიფრეთ გენეტიკური კოდი, როდესაც დავამზადეთ ადამიანის ტვინზე ანჯერი და ათასჯერ მეტი სისწრაფეო „მოაზროვნე" კომპიუტერი და ყველაზე ღონიერ კაცზე მრავალზის უფრო ძლიერი მანქანები, როცა რამდენიმე დღეში შეგვიძლია ავადმყოფი ეზარძაზარი ცათამბჯენი და თვალისდასაბამამდეში დავაგნგრიოთ ყველაფერი, რაც აქამდე აშენებულა — მეოცე საუკუნეს სავხებით დამსახურებულად ეეუთვნოდა დარჩენილი ოციოდე წლის მშვიდად გადარჩენა, რადგან ზემორამთითვლილი საქმეებიდან თუნდაც ერთიც კი საკმარისი იქნებოდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საცარი ასწლეულის სახელის მოსაპოვებლად.

მაგრამ გალაკტიონისა და ეინშტეინის ხაუკუნემ კიდევ ერთხელ მოინდომა მრავალსმომსწრე ადამიანის გაკვრიგება.

„ცოსრარ" მკოთხველი უკვე იცნობს ეურნალ „ტეხნიკა-მოლოდოეოს" გახული წლის მესამე ნომერში გამოქვეყნებულ წერილებს ადამიანის ბიოლოგიური ველის შესახებ. აქვე მოსახრობილია რამდენიმე ექსპერსენსის მიერ ამ თვისების სამედიცინო თუ სხვა მიზნებით გამოყენების ცდებზე.

სტატიაში მოყვანილი და სხვა სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილი ცდები ამ მოვლენის რეალურობას დასტურებს.

უნდა აღინიშნოს, რომ წლების განმავლობაში დასაბალუთის პრესა ანალოგიურ მაგალითებს იყენებდა ანტიმეცნიერული, რელიგიური მიზნები სათვის.

ხენსაციის მოყვარულნი ეძებდნენ და „პოულობდნენ" კიდეც ათასგვარი ჯურის შარლატანებსა და თვალთმაქცებს. მერე გაზეთების გაათმაგებული ტირაჟებით და შესაბამისი მოგებით აღფრთოვანებულნი დაუფიქრებლად გაკეკოდნენ რაღაც „ზებუნებრივ ძალებზე". მეცნიერთა მერ ოთქმული უკვე აღმოჩენილ „ადამიანის სულზე"

ზოგი კიდევ უფრო შორს მიდიოდა: უკვე „ენსაკრიმენტულად" დასტურებდა „მატერიალიზმზე იდეალიზმის გამარჯვებას" და ნაადგენავ აკეთებდა შორს გამიზნულ დასკვნებს.

ახლი ცრუმეცნიერული კაკაფონია ადვილად ახზობდა სიმარსლისა და რეალიზმის ხმას.

საბჭოთა საბუნებისმეტყველო მეცნიერების წარმომადგენელნი, ბუნებრივია, გარკვეულ თავშეკავებას იჩენდნენ ამგვარი „აღმოჩენების" მიმართ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ნიადაგზეივთ მოზღვავებულ ინფორმაციაში საკმაოდ ძნელი იყო ზღვარის გავლება რეალურსა და მოკეორიულს შორის. მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ცდა საერთოდ უნიკალური გახლდათ: მისი გამეორება არ ხერხდებოდა.

ალბათ ამიტომ იყო, რომ ზოგ ისეთ მოვლენას, რომელიც დღეკვნდელი პოზიციებიდან სრულიად რეალურად გამოიყურება, თავის დროზე საკმაოდ ხეკპტიკურად შეხვდნენ. ამის დასადასტურებლად კრასნოდარელი მეცნიერების ს. ბ. და ვ. ჭ. კირლიანების გამოგონების (მაღალი სიხშირის ელექტრული განმუხტვისას ფოტოსურათის გადადება ადამიანის ან სხვა ცოცხალი არსების მიერ გამოსხივებული ველისათვის) ბედიც ესაო. წლების განმავლობაში მრავალი დაბრკოლების გადალახვა დასჭირდათ ავტორებს, სანამ ეს ეფექტი სათანადო აღიარებას პოვებდა.

ამჟამად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაშია დაპატენტებული ეს გამოგონება.

ახლა, ჩვენში ფართოდ შლის მხრებს ბიოველის შესწავლის საქმე. უკვე მიღებულია პირველი, საკმაოდ არაკრიტიკული შედეგებიც.

რა შეიძლება ითქვას ამ პრობლემების შესახებ?

ბუნებაში მრავალი სხვადასხვა სახის ველი არსებობს: ელექტრომაგნიტური, გრავიტაციული, ბირთვული, ნეიტრონული და ა. შ.

შეიძლება ითქვას, რომ მთელი სამყარო „ხავსი" ველია.

ველი წარმოადგენს მატერიის სახეს, რომელის საშუალებითაც ხორციელდება ნივთიერების ნაწილაკებს შორის ურთიერთმოქმედება.

თანამედროვე წარმოდგენების მიხედვით მატერია ორსახოვანია. იგი ან ნივთიერების სახით არსებობს ან ველის.

ნივთიერებასა და ველს შორის ღრმა შინაგანი კავშირია: ველი არ არსებობს ნაწილაკის გარეშე, და არც ნაწილაკი — უველოდ.

ველსასათვის ცნობილია, რომ ჩვენს ირგვლივ არსებული ნივთები, თუნდაც ჯარსკვლავები, რომლებსაც ცაზე ვხედავთ, უველნაირი ცოცხალი ან არაცოცხალი სხეულები — ერთი და იგივე სახის ელემენტარული ნაწილაკებისაგან შედგებიან ეს ნაწილაკები ქმნიან ატომებს, მოლეკულებს... სწორედ მოლეკულურ დონეზე მეღალნდება განსხვავება ცოცხალსა და არაცოცხალს შორის.

მაგრამ, სადაც არის ნივთიერება (ნაწილაკი) — აუცილებლად იქნება მის მიერ შექმნილი ველიც. მაშ რა არის გასაკვირი იმაში, რომ ნებისმიერმა ცოცხალმა არსებამ — მცენარე იქნება ეს, ცხოველი თუ ადამიანი, თავის გარშემო ველი შექმნას?

ბაზასადამე, ბიოველი არ ეოფილა მარტო მოაზროვნე არსების — ადამიანის პრივილეგია. იგი უნდა გააჩნდეს უველა ცოცხალ არსებას და, რა თქმა უნდა, მცენარეებსაც.

ამგვარად მრავალი ცდითაა დადასტურებული, რომ მცენარის ირგვლივ არსებობს ბიოველი. ზოგიერთმა მეცნიერმა (ადამენკო-სსრკ, მოსი—აშშ) შეძლო კირლიანის მეთოდის გამოუენებით ცალკეული ფოთლის მიერ შექმნილი ველის ფოტოგრაფირება.

სიტუაციამ მოიტანა, და ამ დროს რამდენიმე „გასაოცარი" ფაქტიც აღმოჩინეს: მათ შორის უნდა აღინიშნოს ბაკსტერის ეფექტი. ამერიკელმა მეცნიერმა აჩვენა, რომ ადამიანის ემოციური მდგომარეობის ცვლილება იწვევს მუტნარის ფოთლის ელექტრული პოტენციალის შესაბამის რხევებს.

დ. მილერმა და ე. სმარტმა ჩაატარეს ცდა ერთ მცენარის მიერ მეორეზე შესაძლო ბიოენერგეტიკული ზემოქმედების შესასწავლად. აიღეს ორი ფოთოლი: ერთი მათგანი უკვე დამკვნარი იყო, რამდენიმე საათის წინათ მოწყვეტილი, მეორე კი — ხელ ახლანან მოცილებული ტოტს, ჯერ კიდევ ცოცხალი, როცა ისინი ერთიმეორის გვერდით დადეს და კირლიანის მეთოდით მათ ბიოველს გადაუღეს სურათი, ნათლად გამოჩნდა ცოცხალი ფოთლის ზემოქმედება: იგი თითქოს ცდილობდა დამკვნარის გაცოცლებას — დამკვნარის ბიოველი თანდათან დაემსგავსა ცოცხალი ფოთლის ველს.

3. ადამენკომ 1966 წელს ასეთი ცდა ჩაატარა: აიღო ფოთოლი, და გადაიღო მისი ბიოველის სურათი. მერე ფოთოლს ჩამოაჭრა გარკვეული ნაწილი და ისევ გადაიღო მისი ბიოველი. კირლიანის მეთოდით გადაღებულ სურათზე ფოთოლი გამოიყურებოდა როგორც მთლიანი: ბიოველის გამოსახვებიან შეინარჩუნა ზუსტად ის ფორმა, რომელიც ჰქონდა ფოთოლს ნაწილის ჩამოკრამდე.

ახეთივე ცდები ჩაატარეს ბრაზილიელმა ბ. ბ. და სხვებმა.

მაინც, რა დარჩა ჩამოჭრილი ნაწილის ადგილას?

რა თქმა უნდა, ხავსებით უნდა გამოვრიცხოთ ისეთი არახანიერზული მსჯელობა, როგორიც დასავლეთის ზოგიერთმა მოფილოსოფოსმა „ბუნებისმეტყველებმა" ჩაატარა: უკვე მივაგენით „ხულის" კვალსო...

აღნიშნული ცდები ადასტურებს, რომ მცენარეებსაც გააჩნიათ ბიოლოგიური ველი და აქვთ ერთმანეთზე ბიოენერგოზემოქმედების უნარი.

ის ფაქტი, რომ მცენარეები ადამიანის ბიოველის ცვლილებაზე რეაგირებენ — ერთხელ კიდევ მიგვითითებს სამყაროს ერთიანობაზე.

ეტაპზა, ბიოველის ძალნერები ახე არიან განლაგებულნი რომ ფოთლის ნაწილის ჩამოკრის შემდეგაც ველი იკავებს ამ „ცარიელ" ადგილს.

შესაძლებელია, რომ ცოცხალ ორგანიზმს გააჩნია გარკვეული „ენერგეტიკული კარკასი" რომელიც გარს ერტყმის მას და უკავია ამ ორგანიზმის ჩვენგან ხილულ ნაწილზე მეტი მოცულობა.

(გაიხსენეთ ზოგიერთ ექსტრასენსის მიერ შემჩნეული ფაქტი რაღაცნაირი დრეკადი ფუსკის არსებობისა ადამიანის ირგვლივ, რომელსაც თურმე ისინი შეიგრძნობენ).

მომავალმა შეიძლება ახვიაგვარი ახსნაც მოგვიწოდოს.

ალბათ არაა საკვირო, ამ ახალი აღმოჩენების მნიშვნელობათა ზედმეტად გაზვიადება, ან მათი მიჩქმალვა.

მიუხედავად იმისა, რომ ველის თეორია ... ნამდვილად ფიზიკის ერთ-ერთ უველაზე უცარო ჩამოყალიბებულ ნაწილს წარმოადგენს, მაინც ბევრია გაურკვეველი თუნდაც ისეთი, „ჩვეულებრივი" ველების შესწავლის დარგში, როგორიცაა ელექტრომაგნიტური და გრავიტაციული ველები.

მაშ რა გასაკვირია, რომ ჯერ კიდევ არ ვიცით ბიოველის უველა თვისება?

დღესდღეობით არც ისაა ბეკრეული, ბიოველი რაიმე განსაკუთრებული სახის ველია თუ ბუნებაში არსებული სხვადასხვა ველების ხუპერპოზიციის (ზედდების) შედეგი?

ან კიდევ: თუ ბიოველი ცოცხალი მატერიის განუყოფელი თვისებაა, მაშ რატომ უველა ჩვენთაგანს არ შეუძლია იმ სამეფოცენო თუ სხვა სახის ზემოქმედების ჩატარება, რასაც ეესტრასენსები ახერხებენ? (ზოგი მაგალითი ხომ ნათლად ხედავს თერმე ადამიანის ირგვლივ არსებულ გამოსახვებს, ეგრეთ წოდებულ „აურას" რომ-

ზორის მიშველაძე
ცოტათი გადაწეული ფარდა

ლის ერთ-ერთი ვარიანტი გამოსახულია ჟურნალ „ტეხნიკა-მოლოდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც, რამდენად შორსა ვართ ადამიანზე ბიოელის სამედიცინო მოკმედების მექანიზმის დადგენისგან?

უკანასკნელ წლებში ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევები მხოლოდ მიახლოებით პასუხს იძლევიან ამ კითხვაზე.

საკმაოდ დიდი ხნის წინათ იაოვეს ადამიანის სხეულზე ის წერტილები, რომლებიც მოქმედებენ ელექტროგამტარობით ხასიათდებიან. ეს წერტილები უმეტესწილად ჩინეთსა და იაპონიაში (უკანასკნელ ხანებში ჩვენთანაც) ნემსით ჩხვლეტის მეთოდით მკურნალობისთვის საჭირო წერტილებს ემთხვევიან (აკუპუნქტურის წერტილებს, ანუ როგორც იაპონიაში უწოდებენ — ცუბის წერტილები). აღმოჩნდა, რომ ეს წერტილები ერთმანეთთან და სხვადასხვა ორგანოებთან არიან დაკავშირებული და ქმნიან ენერგეტიკულ სისტემას, რომელსაც კორეაში 1962 წელს „კენრაკის" სისტემა უწოდეს. ამჟამად ვარაუდობენ, რომ ენერგასენსი მოქმედებს აკუპუნქტურის წერტილებზე და ეს ზემოქმედება გადაეცემა გარკვეულ ორგანოებს, რომლებიც მკურნალობას საჭიროებენ.

თუმცა, ჯერჯერობით მაინც არ არსებობს პასუხი კითხვაზე: რა მოპუკუები ასეთ ზემოქმედებას ამა თუ იმ კონკრეტული დაავადების ჩვეულებაში?

გადამწყვეტი სიტყვა ექსპერიმენტს ეკუთვნის.

...უფროსი ახაკის მკითხველებს მშვენივრად ახსოვთ ის ჭარიშხალი, რომელიც მეცნიერულ სამყაროში ატყდა მაშინ, როცა ატომის ბირთვი გახლიჩეს.

ბიოლოგიური ველის ირგვლივ არსებულ ანეოტაციას ჯერ კიდევ არ მიუღწევია ამ მასშტაბებამდე. შეიძლება ვერც მიაღწიოს, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ გადაამტოს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ჯერ კიდევ შორსა ვართ კულმინაციის მომენტისაგან: ადამიანის გონებამ მხოლოდ ცოტთი გადახეხა ფარდა, რომელიც ამ მოვლენის საიდუმლოებებს ფარავს.

ამერიკელმა მწერალ-ფანტასტმა არტურ კლარკმა ერთხელ თქვა: „ყველაფერი რაც ჩაიფიქრა ადამიანმა, ადრე თუ გვიან განხორციელდება".

გვინდა გვჯეროდეს, რომ ბიოველის საიდუმლოებასაც მეოცე საუკუნე გაგვიხსნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო კოზერიძე

სიმღერა სულისა

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ სიტყვა სიმღერა ასეა ახსნილი: „ლექსთან შეწყობილი მუსიკალურ-ვოკალური ნაწარმოები, რომელსაც ასრულებს მომღერალი და მომღერალთა გუნდი“. მოეხედავად იმისა, რომ ამ სიტყვას, როგორც მუსიკალურ ტერმინს, იქვე აქვს განმარტება, ძირითადის, საწყისის აზრიც მუსიკალური ტერმინის გაგებით მგონია ახსნილი. სიმღერა ადამიანის ყოფია, მდგომარეობის გამოძახილია, ანარეკლია, უფრო სწორად — მისი, ბუნების მოვლენებითა თუ ცხოვრებით გამოწვეული, ცვალებადი გუნება-განწყობის სარკეა. ამიტომაც არის, რომ ყველა, ახსოლუტური სმენა აქვს თუ უკაცრავად არის სმენაათან, მაინც მღერის. სიმღერა მე მაინც გუნება-განწყობის გამოვლინებად მიმაჩნია. ეს, რა თქმა უნდა, ზოგადად, მაგრამ კონკრეტულობაზე თუ მიდგება საქმე ანე პროფესიონალი მომღერლებისკენ გავიხედავთ, მაშინ სულ სხვა ამბავია, სხვა შუქ-ჩრდილი და სხვა პრობლემა.

ერთხელ სიტყვამ მოიტანა და ესტრადის ერთმა ცნობილმა მომღერალმა მითხრა: ვერ წარმოიდგენ, რა ძნელია იმღერო მაშინ, როცა არ გემღერება, არადა იძულებული ვარ მოვიმზიაროლო თავი, ვინაიდან ჩემთვის სიმღერა სამსახურიაო. ამ შემთხვევაში სეზონის მეარ რეპერტუარს გულისხმობდა, რაც ერთი და იგივე სიმღერის, სულ ცოტა, ორმოცდაათჯერ შესრულებას ავალდებულებს. რა აღარ არის მოსაწყენი და, რაც უნდა კარგი სიმღერა იყოს, ადამიანს ისიც ბეზრდება, თანაც საოცრად ულოგიკოდ ეღერს: სიმღერა და ვალდებულებებ!.. ამიტომაც თქვა, ესტრადის შემდეგ ჩემთვის ვღიღინებ, ოღონდ იმ სიმღერებს, რაც ნამდვილად მიყვარსო. სიტყვა ღიღინი კი ასეა ახსნილი: „დაბალი, საამო ხმით მღერა“, ნურავინ იფიქრებს, თითქოს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გაკრიტიკება დამეხახოს მიზნად, თუმცა ესეც სათქმელია: დაბალი, უსიამოვნო ხმით მღერაც გამიგონია და, თუ დამიჯერებთ, ხშირადაც...

უთვალავჯერ ვისმენთ ჩვენს ხალხურ სიმღერებს და არ გვბეზრდება მაინც. ამ გაუნელებელ სიამოვნებას თავისი გამამართლებელი ახსნა აქვს: ამა თუ იმ სიმღერას მრავალი გუნდი ასრულებდა და ასრულებს. სხვადასხვა გუნდის მიერ შესრულებული ერთი და იგივე ხალხური სიმღერა, რაც უნდა იდენტური გვეჩვენოს, მანერაზეც რომ არაფერი ვთქვათ, ნიუანსებითაც ერანსხვავდება ერთმანეთისაგან; ბუნებრივია, ცოდნა-გამოცდილების წყალობით (ვგულისხმობ, მიწიერ, ბუნებრივ ცოდნას სიმღერისას და ცოდნას, ესეიგალურ სასწავლებელში რომ მიუღიათ). და რაც მთავარია, ხალხურმა სიმღერებმა ხაუკუნეები გამოიარა, დაიხვეწა, დადუდა, დაჯდა და დიდ ხელოვნებად იქცა. დიდი ხელოვნების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ისიც არის, რომ მასთან ყოველი შეხვედრისას სულ ახალ და ახალ სიკეთეს აღმოაჩენთ ხოლმე.

ამას წინათ მიკვლეული კახური „შაირები“ მოვიხმენე მისა ჯიღაურის შესრულებით (ჩაწერილია 1929 წელს). ასეთი შაირები ბავშვობისას ხშირად მომისმენია სამკალსა თუ სათოხარში, რთველსა თუ კალოზე... დიდი ხანია ამგვარი სიამოვნება, ალარ განმიცდია, მაგრამ უმერი სევდაც მომაწვა: ჩავლილი, დაუბრუნებელი წლებით გამოწვეული სევდა, და სევდა იმ უზადო მოძღერლის ბედით გამოწვეული, ვინც ამ ქვეყნად აღარ არის. სიმღერა ხომ უფრო წარ-

სულის, მივიწყებულის გახსენებაა: აკი ირაკლი ამბაშიძეც ამბობს:

> ყველა სიმღერა რასმეს გვაკონებს,
> ყველა სიმღერას თავის წლები აქვს:
> ყველა სიმღერა რასმეს გვაკონებს,
> რაც ფიქრს ოდესღაც დავიწყებია.

ის, თითქოს უბრალოება, რაც ამ „ბარიების" შესრულებაშია ჩაქსოვილი, ის, ცხოვრების სიდუხჭირით დაღლილი კაცის ხმა. მთელიანობაში ისეთ ბარმონიას ქმნის, არასოდეს დაგავიწყდება. ამ ბარიების მოსმენის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ოსტატობაზე უარადღების გადაჭარბებით, განგებისი გამახვილება ბუნებრიობას უკარგავს სიმღერას, და არა ბარტო სიმღერას! სულ მალე ფართო საზოგადოებისათვისაც ცნობილი გახდება მიხა ჯიღაურის შესრულებული კახური ბარიები. სხვათა შორის, ეს ბარიები ჩვენს ეტრატაზეც სრულდებოდა, ფირფიტებზეცაა ჩაიწერა; როცა ერთმანეთს შეუდარები, აშკარად მიხვდები, რომ მათ შორის დიდი სხვაობაა. უმთავრესი ის მგონია, რომ მიხა ჯიღაური თავისთვის მღერის, მხოლოდ თავისთვის — არც ტაშზე ფიქრობს, არც ავტოგრაფირების ჩამორიგებაზე. სწორედ ისეა, როგორც ვაჟა ბრძანებს — მემღერება და ვმღერო.

საერთოდ: ხალხური სიმღერები ერის სულიერი ავლა-დიდებაა. სხვაც რომ არაფერი გვქონდა, ჩვენი ხალხური სიმღერების მიხედვითაც დაიწერებოდა „საკრთველოს ისტორია". რას არ შეხვდებით ჩვენს ხალხურ სიმღერაში: ღალატს, გამცემლობას, გაუტანლობას, მამულისათვის თავგანწირვას, შურისძიებას, ეცმო თესლის ჭაბაკრობას, სიყვარულს, სიძულვილს, ნარეკვას, შენებას, აკვნის ჯოიალს... გაწამებული ერის ისტორიაც მეტი აღარაფერია. თუმცა ხალხურ სიმღერებზე რომ ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგავიწყდეს მთავარი: ნამდვილი, ხალხის შექმნილი სიმღერა სხვაა, და სხვაა ლაბაში სიტყვებისათვის სახელდახელოდ მოცოდვილებული სიმღერა: ეცეს მოაცოდვილებებ ხოლმე, „ხალხურს" დაარქმევენ და არც საკუთარი თავისა ერცხვენებათ, არც შთამომავლობის...

საბჭუსაოდ. ჯერ კიდევ საკმაოდ მოიძებნებიან (უფრო ახალგაზრდებში) მოდას აყოლილები, ხალხური სიმღერების ცოდნა-სიყვარული გემოვნების დაბალ დონედ რომ მიიჩნიათ. მათ გასაგონად უნდა ვთქვა: შენი ეროვნული საუნჯის სიყვარული სხვათა ეროვნული საუნჯის სიყვარულს არამც და არამც არ გამორიცხავს, უფლას თავისი სახელი ჰქვია და თავები ადგილი ეკუთვნის. მაგრამ ამ შემთხვევაში ნუგეშის გზაც ჩანს — ჯერჯერობით ახალგაზრდები არიან, გახსენებითაც, არ უმძიმდებათ ფიქრი, არ უკრთებათ ძილი და, როცა სიბერისაკენ დაეშვებიან, სიყვარულიც თავისთავად მოვა და სინანულის ღიმილიც...

ურბანიზაციის მომხრე ერთხელ (ალბათ ფილვარო, თუმცა გადამტკიცებული თვალსაზრისისაც საზიანოდ მომაჩნია. იმდენი შემთხვევა მახსოვს ჩვენი ღიმხების მიფუნჭიჭება-წყაროვნებისა, მართლაც რომ თვლი არა აქვს. საამისოდ ერთ-ერთი ცნობილი მეცნიერის წიგნიდან ისტორიულ ფაქტს მოვიტან, მოვიტან როგორც კურიოზს ნიმუშს: „რეკა მწუხრისა ძელისა, რავდენს აღგვიძავეს ოგი მოგონებანსა". ეს ლექსი, რომელიც გიორგი მთაწმინდელს ბერძნულად დაუწერია. თარგმნა (ინგლისურად — კ. კ.) თომას მერის მიერ, შემდეგ კი გავრცელდა ევროპაში, რუსულად ლექსი კოზლოვმა თარგმნა. ხოლო რუსულიდან კი ისევ ქართულად ითარგმნა".

რაკიდა ჩვენს მუსიკალურ ფოლკლორზე ვლაპარაკობთ, მაინც ერთ საკრძობოროტო პრობლემაზეც შევჩერდები, კერძოდ: ზოგ-ზოგი კომპოზიტორი ნამდვილად უდიერად ექცევა ხალხურ სიმღერებს, ახე ვთქვათ, დაამშვაებს ხოლმე, ფაქტიურად კი უხეირო, უსუფერ ვარიანტს გვთავაზობს, თანაც საკუთრებად ახალებენ, ვითომ იმდენი არ ესმის სხვას, შავი განასხვავოს თეთრისაგან. თუკი სიბაღეს შეიტანენ, ამგვარი დამშვაებები მესმის, არც არავინ კრძალავს და არც არავის გაუფიცია მონოპოლიად. თუმცა დამშვაებაც არის და დამშვაებაც! თუ უკეთესია, ამას რა სჯობია, და თუ უვარგისია. მაშინ? ვინ უნდა აგოს პასუხი ჩემი ბავშვობის ოცნების, ბავშვობის სიყვარულის ხელეოფიხათვის! კაეელი შესარულებს, სიმფონიური ორკესტრი თუ კვარტეტი, ხალხური თუნდ ერკვახ მაინც! გაორკესტრება, რაღაც არ მგონია, ეანარი იყოს, ალბათ, შემოქმედების კატეგორიის კი მიეკუთვნება. ახე იქნება სოლო სიმღერის საგუნდოდ გადაკეთების საქმეც. მოკლედ, არ ვიცი, მუსიკალურ სამყაროში რანაირი ტრადიციაა, მწერლობაში კი ახეა: სხვის მოთხრობას ან ხალხურ ნაწარმოებს, ვთქვათ. პიესად რომ გადაკეთებენ ხოლმე, თავდაპირველი ავტორი არ ავიწყდებათ. ვერ დავმალავ, დავიწყების შემთხვევა ყოფილა და საკადრისიც მიუწდავთ ამგვარი „გულმავიწყობისათვის". ვფიქრობთ, ამ საკითხზე სპეციალისტებმა უნდა თქვან სიტყვა. იმედი გვაქვს, იტყვიან კიდევაც და იმასაც გაითვალისწინებენ, რომ მოყვარულებსაც იმდენივე პრეტენზია გვაქვს ჩვენი ხალხური სიმღერების საკუთრებაზე, რამდენიც — კომპოზიტორებს.

საუნჯეს იმტკიცე ჰქვია საუნჯე, რომ გაფრთხილება უნდა, თვალის ჩინივით გაფრთხილება. ჩვენი დაუდევრობით, უსულგულობით რაც ხელიდან გამოგვეცალა, რაც სამუდამოდ დავკარგეთ, ის თუ მოგვინელებია, დანარჩენს დაკარგვასაც ადვილად ავიტანთ. ერეკლე მეორე თავი-

---

ალარლო ალობერიძე
სიმღერა სულისა

ს დღე და მოსწრება ხულ ომებში ტრიალებდა. ისტორიოსებს. დოკუმენტების ცნობით, ასამდე ომი მოიგო. მტრის სიმრავლეს ჭკუა-გონება. სიმამაცე დაუპირისპირა და განადგურებას გადაგვარჩინა. უნაგირზე თუ არ იჯდა, თავქვეშ მაინც ედო უნაგირი. და აი, ამ გაბასკულ მეფეს სარდალსაც არ დავიწყებია სიმღერა — ერთი ხალხური სიმღერის დაკაბგვაც კი ეპოდება გულზე: „1792 წ. თებერვლის 16 მეფე ირაკლი ბსწერს ამბროსი წოლკენელს: „ქართლ-კახეთში ცისკრის ალილო“ ალარავის ახსოვსო, ჯალაბს ჩამოდი, გვასწავლეო და იშოვნი რასმეო... ჩამოვიდა ამბროსი ტფილისში; იმავე საღამოს დაიბარა ირაკლიმ და ხუთჯერ იგალობა „ალილო“ თვით ირაკლიმ; მერე იქ მეოფმა მგალობელმა — მეთოფიმ მოასწავა — იმერეთში არ იციანო. აქვე იყო მგალობელი გიორგი ხელაშვილი. ამათ — მეთოფიმ და გიორგის უბრძანა ირაკლიმ — მე ვერ მოვიცალო, თქვენ დაისწავლეთო და ათ დღეზე დაისწავლეს“..

ყველაზე მკვეთრად ხალხურ სიმღერებში იგრძნობა ეროვნული ენერგია. რაკი წარსულსაც მოიცავს, აწმყოსაც და მომავალსაც. ეს სამივე დრო ერთ ცნებაში იყრის თავს, რასაც ერის ძალ-ღონეს, შეხალებლობას ეკუთვნი.

უპირველესად ტრადიციის საწყოა ხალხური სიმღერა — საკართველოს ისტორიული კუთხეების მიხედვითაც ასე ჩანს.

ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემმრულებლებით სიღარბეს არასოდეს ვგრძნობდით და არც ახლა გვაკვს საწუწუნოდ საკმე. სხვაც რომ არ იყოს, დიდებული „რუსთაველ“ და დიდებული „გორდელაც“, მისი წევრებიც გვეყოფოდა; სახელიერად, ამ მხრივ თამამი სიტყვა გვეთქმის.

ტრადიციულად ქართლ-კახეთს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავიაც ქართული ხალხური სიმღერების შესრულება-პოპაკაგანდაში. ვინაიდან ამჟამად მხოლოდ ქართლ-კახეთი გვაინტერესებს, ჩვენც მხოლოდ იქაური მომღერლებს გავიხსენებთ: დედას ლევანა (ასაბაშვილი), მიხა ჯიღაური, ვანო მკეფლიშვილი, შაკრო ლომიძე, გიორგი ფეიერაშვილი, გიორგი ამუშაშვილი, მიხა ავკაროშაშვილი, მიხა ირემაშვილი... მიხა ირემაშვილი ტაეისმცველი იყო, შაკრო ლომიძე — დალაქი. დანარჩენები მხვნელ-მთესველები იყვნენ. მათი წლიდან-წლამდე საზრუნავი წლიდან-წლამდე თავის გაკანას. სარჩო-საბადებელის მოძარაგებას არ სცილდებოდა — რას იზამ, დრო ისეა ასეთი.. მათი საათი მზის ამოსვლა და მზის ჩასვლა იყო; თავდაღუნულნი ირჯებოდნენ, არც ჯანს ასვენებდნენ, არც — მიწას და სიმღერისთვისაც იელდნენ. საკმეს რომ მიაბსუსტებენენ, სოფელ-სოფელ დადიოდნენ და კლუბადქცეულ საყდრებში მღეროდნენ. მღეროდნენ ხალხისა და თავიანთი სიამოვნებისათვის. თუმცა მიხა ჯიღაურს სიმღერა ტრაგედიად ექცა — სიკვდილის წინა დღეებში ნაადგილად დადაბლებავებული, აკანკალებული ხელით მოიშორა ჭირის ოფლი და ჩანალაბარაკა: „ეგეიგენ ეარანეს“ დეს მემღერარო.

ჩამოთვლილი მომღერლებიდან ყველასათვის არ მომიხსენია და ვერც მოვიხსენები. ამტკიცი ისეე მათ გემოვნებას უნდა ვენდო, ვინც მართლა იცის სიმღერის ფასი, გემო და ხუთნელი. ამგვარი მცოდნე კი ხალხია. ყველა ყველაა და, ხალხს არაფერი ეშლება, მტრისაც მიხსნალ-მიხსნალ აფასებს და მოუვარესეა. განდიდება-დამცირებაში საკმაო მომგზირნობას, წინდახედულობას, მოთმინებას იჩენს და ჭეშმარიტების დადგენაშიც შეუცვლელი ავტორიტეტია. დედას ლევანა ლეგენდად აქცია, ლეგენდად აქცია მიხა ჯიღაურიც. მომსწრენი ამბობენ, მათი ბადალი ალარ დაიბადებაო. დიეჭერებაო. რაკი ბუნება ტალანტებს ხოცავი სიძუნწით იმეტებს და მათ ღირებულებასაც ამით ზომავს.

ამ ორ დიდებულ ხახელს მეხამეც მიუმატა — ჰამლეტ გონაშვილი! ჭვარი სწერია ოთხთავკუთხივ და ბოდიშსაც ვუხდი, გარდაცვლილებს რომ მივათვალე, მაგრამ სხვა გამოსავალი ალარც მე მაქვს. მომავალი მაინც თავისას იზამს და. არაფერი დაშავდება, რომ აეჩქარდეთ.

ლეგენდას წარსული ბადება, თუმცა ზოგჯერ ჩვენს თვალწინაც იბადება — ბუნებას ასეთი მოულოდნელობაც ეხერხება.

ჰამლეტ გონაშვილის ხმა ბუნების ის ოქროვანთი მადალია, რომლის დაუნახამბა, წაყრუებამფიუენენებაც ერთ მშვენიერ დღეს საკვიდრის, სინანულის მეტს არაფერს მოგვიტანს. ამ სიტყვების გაბედულად თქმას უგემოვნობა კი არ გვიწლის, არამედ ის ჩვეულებრივი დამოკიდებულება — შინაური მღვდლის შეუნდობლობის თეორია — რასაც თანამედროვე ტალანტების მამართ ვიჩენთ, ეხეკ, ალბათ, მოარული სენია. ვითომ დანაშაულად ჩაგვეთვლება, სიცოცხლეშივე რომ ვაღიარო, სიცოცხლეშივე რომ დავუყოთ თავი და ჩამოვეცალოთ — მორიდებით დაუთმოთ გზა.

როგორც ცნობილია, ქართულ ხალხურ სიმღერებს მეორე ხმა ეწყვნის. მეორე ხმა აქვს ჰამლეტ გონაშვილსაც. ამ ხმას ათას ხმაში გამოარჩევ, იცნობ. ეს ბანსა საკუთრებაა, მისი ბუნებაა და ქიზიყელი კაცის ცვალებაზე ხელგაშლილადაც იმეტებს...

არასოდეს დამავიწყდება გასული წლის შემოდგომის ერთი წვიმიანი დილა. სოფელში ვიყავი — კახეთში. გაკალაქებული სოფლელნი ყაიდაზე ადრე არ ამიწვეთა ასადგომად. ტელეფონის ზარმა გამომიყვანა ძილ-ღვიძილიდან: რადიო ჩ:რთე, გონაშვილი მღერისო.

ქალაქში რომ ვუსმენ გონაშვილს, სოფელი მენაკრეა, მიწა მენაკრეა. ბუნებას თუ ღვიძავს და დედაჩემიც მეგულება შინ, ვერაფერი დამაკავებს, სოფელში გავრბივარ. ზამთარია და, ტუე შრიალებს მაინც, დამძიმებული ვაზები ირხევა მზეში, მაკარი ჩუბრუბებს, გადა-

ბრუნებულ ბელტებზე კაბდო მიიროყევა — მიდაწო მოხნული მიწის ბოკბო ხურნელით ოფლინოვა... ბორბლის ხურნელით მახსენდება. ბორბლის ხურნელი. ზმაურიანი წინაკვლის სიმუდროსე და დედაჩემის დამკანარ ხელებში ანაბავებული საცრის ტკაცა-ტკუცი... სვედა მეძალება, მაგრამ ეს ის სვედა... რის გარეშეც სიყვარული არ არსებობს.

მომიხსენია და ვიცი: ადრე ხალხურ სიმღერებს რომ ასრულებდნენ, ერთი შუბდვით ხაბისო მიზანივ რომ არ ჭეროდა, სვედა დაპკრავდა მანც — ჩვენი ისტორიის პატრონს, ბუნებრივია, სხვანაირი სიმღერები არც ეკნება. ახლა, ალ, ახლა, გაგვიმბიარულდა სვედანარევი სიმღერები, ხაზეიმო ფერი დაედო, რადაც მეეკვეში. სანდარო კაკხაძეს სხვაზე ნაკლებ სცოდნდა სიმღერა, ეკრძოდა: „გუშინ ზვიდნი გურჯანელნი". ეს სიმღერა თუ მოგისმენიათ მისი გუნდის შესრულებით და სხვათა შესრულებითაც, ადვილად შეამჩნევთ ამ სხვაობას. ამავე სიმღერას მხოლოდ ჰამლეტ გონაშვილი მღერის ისე, როგორც უნდა იმღერებოდეს, როგორც სიმღერის მოყვარული ბერიკაცებისაგან მომისმენია. მეც მოყვარული ვარ და, თეორიას კი არა, გრძნობას ვუტერ მხარს. იქნებ ვცდებოდე, მაგრამ „გორდელას" შესრულებული „წინწყაროც" არ მომწონს, ვერ ვხვდები, რატომ ჩამოაცილეს ის ტონი, რითაც ასე საგრძნობლად, სასიკეთოდ გამოირჩეოდა!...

ჰამლეტ გონაშვილს ქუდბედი დაპყოლია — ახლა ხმის ჩაწერა ისეა განვითარებული, მის სიმღერას სიკვდილი არ უწერია. ასეა: სიმღერაც ქედება სამწუხაროდ, ამ ამბის მომსწრენი ბევრნი არიან დღესაც. მაგრამ ხალხის მეხსიერება ის განძი და საგანძურია, რომლის ჩამოფასება არაოფიციალურ ხდება. ისევ დაგვრჩენია, ამითაც ვინუგეშოთ თავი, ამითაც მოვიბოდიშოთ ამ კეთილ ადამიანთან, ამ ნათელი. სულების წინაშე, ვისი ხმა მოძველებული ფირფიტებიდანაც ალარ გვეცმის.

მრავალფეროვნება ბუნების მაღლიც არის და ცხოვრებისაც. ასეთი ნათვალიც გამიგონია: მთლად დამშვიდებული ცხოვრება ჩემს ალგად მახსენებელსა ჭკვნეფთ. და თუ სიმღერაც აგვიფორიაკებს ხოლმე, ეხეც სიკეთეა — ცხოვრება არასოდეს ყოფილა ტკბილი ღა, რა გასაკვირია, არც სიმღერა გვეტკბილებოდეს, ბოლობოლო სიმღერა ხომ ცხოვრების ანარეკლია (მხედველობაში მაქვს ნამდვილად ხალხური სიმღერა). თუნდაც უსერბულ, სამინდორველო სიმღერაშიც არის თავისებური სიმძაფრე, ადამიანის ყოფის გარკვეულ მონაკვეთს რომ ეხმაურება, მოიცავს. მოკლედ: ხალხის გემოვნება უტეუარი გამოვლინებაა მისი ყოფა-არსებობისა

რატომღაც მგონია' ჰამლეტ გონაშვილი ქალაქური სიმღერებს არ უნდა ასრულებდეს, რაკი ამგვარ სიმღერებს მიწის სიახლოვე ჯალია. შეიძლება ასე მეჩვენება და ამიტომაც ვამბობ ასე.

ჰამლეტ გონაშვილი ერთნაირი სიძლიერით ასრულებს ხალხურ სიმღერებსაც და იმ სიმღერებსაც, ავტორი რომ ჰყავს. ძნელია ვინმემ დამაჯეროს, ნიკო სულხანიშვილის „დაიგვიანეს" მეორე ასეთი შემსრულებელი მოეძებნებაო. ვიმეორებ: გონაშვილის ხმა განუმეორებელია, იმდენად მიწიერია, ნამდვილად წარმოთდგენელი მგონია ზუსტად ასეთი მეორე ხმის არსებობა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეი და მომავალი თუ უკეთესს გამოაჩენს, მაშინ მადლობის მეტი აღარაფერი გვეთქმის.

იმ მუსიკალურ ნაწარმოებებს, რომელსაც გონაშვილი ასრულებს, თუ ხალხურიდან არ მომდინარეობს, ხალხური ელფერი მანც დაპკრავს — იაკობ ბობოხიძის სიმღერასაც ვგულისხმობ. იაკობ ბობოხიძე ბარეფანვალე სიმღერების ავტორია, სამწუხაროდ კი ძალიან ცოტას წერს მართალია ბარისხი რაოდენობით არ განისაზღვრება, მაგრამ რაოდენობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ნიკი თავისთავად და სიუჟეტი არის ნადები შემოქმედების საწინდარი. აღსანიშნავია ისიც, რომ იაკობ ბობოხიძე საგანგებოდ არჩევს ტექსტს, ანუ უნიათო, უფარგის ლექსზე არასოდეს წერს მუსიკას.

რა საწყენია, რომ სიტყვა ფულერია ინ კეთილი გრძნობის გადმოსაცემად. რითაც ჰამლეტ გონაშვილი ასე უხვად, ბარაკანად გვაკვსებს ადრეც ვთქვი — დიდებული სიმღერის ზმრად შესრულებაც მომპაუზრებელია-მეთქი. და როგორი ამბავია, თავისი სიამოვნებისათვის კი არა. შენი სიამოვნებისათვის მღერის!

ვინც სოფელს, სიმღერას, სიცოცხლეს გვაყვარებს, ცოდვაა და ჩვენი სირცხვილია, რომ მას რაიმე უჭირდეს ცხოვრებაში, იცეთ რაიმე, რისი გამოსწორებაც შემჩნევის, დაფასების ამბავია და მეტი არაფერი! ეს მხოლოდ საკუთარ თავმოყვარეობასთან არის დაკავშირებული და კიდევ — შთამომავლობის პატივისცემასთან, ვისაც უკეთ ეცოდინება ჩვენი შესაძენლობა, ჩვენი ფასი!

ჰამლეტ გონაშვილი ნამდვილი სახალხო მომღერალია. არ მაქვს ბედნიერება და პირადად არ ვიცნობ, უფრო სწორად — თვითონ არ მიცნობს; ჩემთვის კი შინაური რადიოთი, ტელევიზიით, ფირფიტებით. მისი სიმღერის გარეშე მეც დამიმძიმება ცხოვრება. ასე წმამს და ახლე მაკრა, ამიტომ ნურც გადაკარბებაში ჩამითვლით...

ჩვენი ქალაქის ქუჩებში ზოგჯერ გამოჩნდება ხოლმე ეს ლეგენდად ქცეული კაცი — იცოდეთ, იცოდეთ და იცნობდეთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცოხერის" დამატება — 72-17-01 ხელოვნ. ტორი -- 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 21. 11. 80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 8. 1. 81 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფაზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ.-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 2999. უე 00601. ტირაჟი 45.000.

საქართველოს კპ კკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როცა პარტია ყრილობას იწვევს...

ყოველთვის,
როცა ყრილობას იწვევს
და სამომავლო ზრახვებს ამხელს
ჩვენი პარტია —
ჩვენ სიამაყით გულები გვიცემს
და ჩვენს თვალებში სიხარულის ცეცხლი ანთია.
როცა პარტია ყრილობას იწვევს —
სჯერა ჩვენს მამულს უყოყმანოდ
და ხალმა იცის —
ხვალ უფრო მძლავრად და უფრო მტკიცედ
ჩავწვდებით
სიღრმეს უსასრულო დროის და სივრცის.
როცა ყრილობა ახალ გზებს გახსნის —
ეს ხალხმა იცის,
უყოყმანო რწმენა აქვს მამულს —
ხვალ უფრო მეტი ექნება ფასი
ალალკაცობას, შრომას, ძმობას,
სინდისს და ნამუსს.
ხვალ უფრო მეტი,
ხვალ უფრო მეტი
გული ექნებათ სამეგობროდ ხალხს ერთმანეთის,
და სამშვიდობოდ
იბრუნებს ბედი
ჩვენი საერთო საფიცარის,
ჩვენი პლანეტის.
მაღალ დროშის ქვეშ ხალხი შეკრულა,
ოცნებით
უკვე იმ მომავალ მწვერვალებს ვხედავთ,
და უფრო ჟინით,
უფრო ერთგულად
ვაგებთ ცადაწვდილ ხარაჩოებს
იმ ნათელ დღეთა.
მამულზე ფიქრით
ღამეს ვათენებთ,
გულში მზე გვიდგას
შრომის ველზე ამგზავრებულებს,
და სიხარულით ვუმზერთ
მართვეებს,
წამოზრდილებს და
დასაფრენად გამზადებულებს...
...როცა პარტია ყრილობას იწვევს,
სჯერა ჩვენს მამულს უყოყმანოდ
და ხალმა იცის, —
ხვალ უფრო მძლავრად
და უფრო მტკიცედ
ჩავწვდებით სიღრმეს
უსასრულო დროის და სივრცის.

ნოდარ გურეშიძე

ᲬᲘᲜᲐ ᲒᲝ ᲙᲐᲠ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ